


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

17 სექტემბერი 2010

№19(123)



ნუნუ ჯანელიძის ლექსები
ლადო კილასონიას ნოველა
ლევ კლუზიოს ცის ბინადარნი
აღსარება გურამ დოჩანაშვილისა
შეხვედრები ალექსანდრე ახმეტელთან
იოსებ ჭუმბურიძე დავით კლდიაშვილი
ჯონ სტაინბეკის მივლინების ანგარიში
ნინო ვახანია უილიამ ბატლერ იეიტსზე
გზას ისტორიისკენ ერთეულები ირჩვევენ
ივანე ამირხანაშვილი ბესო ხვედელიძეზე

შინაარსი

სალაღობო	2	მურმან ბულათურქია ოუშელოუ, ყოფილი ოტალო
მსსარს-ინტერვიუ	4	მანანა ჩიტიშვილი „ვიღრა ცოცხალი ხარ, არ გაგაღო სიკვდილი“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	6	ლადო კილასონია თითქმის ნაცნობი, ბოტანაბიანი, კაცი
პოეზია	9	ნუნუ ჯანელიძე ქაღი-პოეტი, სიტყვა და პნკარი
პირველი შთაბეჭდილება	12	მალხაზ ივანიძე სინახლოვე — როგორც ბედისწერა
უსწოლის თვალთ	13	ჯონ სტაინბეკი მივლინების ანგარიში
მოგონებათა სივრცე	20	გუბაზ მეგრელიძე დავით ჩხეიძის მნიშვნელოვანი მოგონება
	21	დავით ჩხეიძე შეხვედრები ალექსანდრა ასმეტიასთან
წუთები და წლები	25	როსტომ ჩხეიძე აღსარება გურამ დონანაშვილისა
სილუაბები	33	იოსებ ქუმბურიძე ორი ბოდიში (ლიტერატურულ-პუბლიცისტური ეტიუდი)
დღიურის ფურცლებიდან	34	ნინო ვახანია სახელდახლო ჩანაწერები
ქინო	38	ნანა ქავთარაძე „გზას ისტორიისკენ ერთულები ირჩევენ“ (ნანა ჯანელიძის დოკუმენტური ფილმი ქართულ საგალობლებზე)
რეპორტაჟი	40	ნათე ბანძელი ნისლის ტინარი, ეს უსაშველო ნისლის ტინარი... (ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი დავით მიქელაძეზე)
აინტოლე	44	თემო ჩიტაძე ზნეობრივიც, ძრესტომათიულიც (ჩვენს მოვალეობა ვასილ ბარნოვის წინაშე)
	44	კოტე სისაური კიდეც ერთი „დაბრუნება“ (გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველთა“ თამარ კოტრიკაძისეული თარგმანი)
გამოხმაურება	45	მარინე ტურავა ზღვის ორდენის რაინდი (გურამ ოდიშარიას მინიატურები)
დაუვიწყარი სახელები	46	ნინო ჩხიკვიშვილი ყველაზე სანდო მწერალი ანუ დისერტაცია, როგორც არაორდინარული მოვლენა
კრიტიკა	50	ივანე ამირხანაშვილი იმედის ცნობიერება (ბესო ხვედელიძის ერთი მოთხრობის ანალიზისათვის)
პოეზიის მერიდიანები	51	ფრანგული პოეზიიდან
უსწორი ნოველა	54	ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო ცის ბინადარი
ნაქვესები	61	მასპინძელიტყვეობის ნიმუშები
მოზაიკა	63	მანინე იტყვის, ჩემი სჯობსო

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეტი“
საბეჭდო, თბილისი, საბურთალოს რაიონი 17
ბაქურაძის ქ. +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TEL PHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: გზა მარტვილის მონასტრისაკენ

ბაბუა ალუდაურის ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 1 ოქტომბერს

მურმან ბულათურქია

ოუშელოუ, ყოფილი ოტელო

ჩემი ბავშვობის მეგობარი გახლავთ — სახელად ერქვა, არც მეტი და არც ნაკლები, ოტელო!

არა მგონია, მის მშობლებს შექსპირი ჰქონოდათ ნაკითხული. ალბათ რუსთაველის თეატრში აკაკი ხორავას მიერ ხორცშესხმული ოტელო მოეწონათ. მერე ვახტანგ ჭაბუკიანის ჯადოქრობით აცეკვებულმა ოტელომ მთელ საქართველოს თავბრუ დაახვია და ამ სახელს წინ რაღა დაუდებოდა. ორმა დიდმა ხელოვანმა მახრჩობელა კაცი შეგვაყვარა.

ჩემი ოტელო თავს იმართლებდა, რომ დავიბადე, ძალიან შავტუხა ვყოფილვარო. ჭორფლისა არ იყოს, მერე გაუარა და ველარავინ მიხვდებოდა, რატომ დაარქვეს ოტელო.

რას იზამ, საქართველოს შვილებისათვის უარესი სახელებიც დაურქმევიათ. აი, უცნაურ სახელთა მსოფლიო ჩემპიონატი რომ გამართულიყო, პირველობის პალმას, უსათუოდ, „ლენსტალბერი“ დაისაკუთრებდა. მაგრამ რათ გინდა, თავის დროზე ფრიად თავმოწონესა და გალაღებულს ჯერ კუდი მოაგლიჯეს, მერე გულ-ღვიძლი ამოუკორტნეს და ცარიელი თავილა დარჩა. ბოლოს და ბოლოს ისიც მოაჭრეს.

ოტელოს გული სტიკოდა, რაღა ქალისმკვლელის სახელი დამარქვესო?! ისე, კაცმა რომ თქვას, განა ვინმეს დაუნუნია, ვთქვათ, ჰამლეტი (სამი კაცი ჰყავს მოკლული: კლავდიუსი, პოლონიუსი და ლაერტი, ოფელიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ). არადა, საქართველოში ისეთ „ცნობად სახეებს“ (ქართულ ტელევიზიაში შემოღებული ტერმინი გახლავთ) ჰქვიათ, ალტაცებისგან სუნთქვა შეგეკვრება.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ოტელოსაც ეშველა. ვილაც ღვთისნიერმა ტინეიჯერმა, საოფიციალტო ფაკულტეტი რომ ჰქონდა გავლილი ჰარვარდისა თუ იელის უნივერსიტეტში, მონატრებულ სამშობლოში დაბრუნებულმა, სანატრელი წესრიგის დასამყარებლად, ქართული ტრანსკრიპციები-ტრანსლიტერაციების გასწორება-გამოსწორებას მოჰკიდა ხელი და, სხვა სიკეთეებთან ერთად, შავით თეთრზე გამოაცხადა, ინგლისურად „ოტელო“ წარმოითქმის, როგორც „ოუშელოუ“ და ჩვენც ასევე უნდა ვთქვათო.

როგორ გაიხარა ოტელომ! მორჩა, გათავდა, ამიერიდან ოუშელოუ ვარო. შექსპირი ვერე ამბობდაო, უფრო სწორად — შეიქსავიაო. ამაოდ ვუხსნიდი, რომ ოტელო მაგრი იყო და თავისი ხმლითა თუ ჭკუით ვენეციის რესპუბლიკას ემსახურებოდა, იქ ხომ იტალიელები ცხოვრობდნენ. და დღესაც ჰყავთ ოტელოები ძმაო, ინგლისელების ყურება კი რა ხეირს დაგაყრის, ეგენი „მანჩესტერს“ წერენ და „ლივერპულად“ კითხულობენ-მეთქი.

ჩავჩინებ ოტელოს: აგერ ცნობილი მხატვარია, სახელად აივენგო ჰქვია. ნაიკითხა უოლტერ (ყოფილი — ვალტერ) სკოტის სახელგანთქმული რომანის ახალი სათაური, მაგრამ „აივენგო“ ვარო, არ დაურჩემებია. აბა სცადე და წარმოთქვი „აივენგო“ — ლამის სული შეგეხუთოს. ჰოდა, კაცს ჭკუა ეყო, რომ არ აპყლოდა ჩვენში სახადივით მოდებულ მოდას, ყველაფრის გადარქმევა-გადაკეთება რომ სწყურია (ცხვირიან-ქუჩიან-კანონიანად).

ყველას თავისი მეტყველება აქვს, აბა დადექი და ფრანგით იძახე: პალი!

არაო, მეუბნება ოუშელოუ (ყოფილი ოტელო), ჩვენ დამოუკიდებლობა მოვიხვეჭეთ და დამოუკიდებლად უნდა ვი-აზროვნოთო. ეს ოხრები გვატყუებდნენ, ხორავას ოტელოს მონოლოგებს უკვეთავდნენ და ჭაბუკიანს ოტელოს აცეკვებდნენ, თურმე ოუშელოუ ყოფილაო.

ვეუბნები: ჩემო ოუშელოუ, ყოფილი ოტელო, ყველაფერში რომ სხვებს ვბაძავთ, აბა ერთი გავიკითხ-გამოვიკითხოთო, ამ საქმეს სხვები როგორ უვლიან.

აგერ, იტალიურად „ლონდონს“ ჰქვია „ლონდრა“ (თითქმის ასევეა ფრანგულში) და იტალიელებს სულაც არ ედარდებათ, ვაითუ ინგლისელებმა და ამერიკელებმა ინგლისურის უცოდინრობად ჩამოგვართვან და გაუნათლებელ ერად შეგვრაცხონო.

ვუსხნი ოუშელოუს (ყოფილი ოტელოს), რომ ჩვენში იტალიური ენის ტრფიალინი გაცილებით ცოტანი არიან, ვიდრე ინგლისურ-ამერიკულისა და ამიტომაც ახალი სიო ჯერ არ შეჰხებია დანტე-პეტრარკა-ბოკაჩოს კეთილხმოვანსა და კეთილსურნელოვან ენას. ოუშელოუ ჯერ არ გაჭაჭანებულა იქ. აი, თავად განსაჯე-მეთქი: ფლორენცია დარჩა ფლორენციად (უნდა იყოს „ფირენცე“), გენუა — გენუად („ჯენოვა“), ტურინი — ტურინად („ტორინო“), რომიც ისევ რომია (უნდა იყოს „რომა“).

არც ინგლისელები იკლავენ თავს, რომ მაინცდამაინც იტალიურად წარმოთქვან იქაური ტოპონიმები. საცოდავებმა არც კი უწყიან, რომ იტალიის ულამაზეს ქალაქს ჰქვია „ფირენცე“ და უტიფრად გაიძახიან: „ფლორენს“-ო. იტალიის დედაქალაქი კი „როუმ“ ჰგონიანთ მაგ დამთხვეულებს, მაგათ...

ღვთიკურთხეული ინგლისური ენის ფონეტიკურ თავისებურებათა გამოისობით განსაკუთრებით ანგლისტები ყელყელაობენ.

როგორც ირკვევა, შოტლანდიას შოტლანდიურად რქმევიან „სკოტლენდი“ და ჩვენ კი ჩვენს წყეულ მტრებს ვბაძავდით. კაი, სერ, იყოს სკოტლენდი, დაგვიშლის ვინმე? მაგრამ აგერ ამ მაფიოზ იტალიელებს ერთი ბენოზეც არ ემინიათ ვისკიყლავია სკოტლენდელებისა და ურცხვად ეძახიან „სკოძია“-ს.

აბა ერთი ბრძანეთ, რომელი უფრო ეწყინებათ სკოტლენდელებს: შოტლანდია თუ სკოძია?

მთელი ჩვენი ცხოვრება გვესმოდა „ეიზენშაუერი“ (აშშ პრეზიდენტი №34; 1953-1961). ახლა „ეიზენშაუერი“ დაარქვეს. ეს რეფორმა, როგორც ჩანს, ტარდება სოკოებივით მომრავლებულ ტინეიჯერთა საამებლად, რომლებსაც, დუაიტ (აიკ) ეიზენშაუერს ვინ ჩივის, დავით გურამიშვილიც კი არ გაუგონიათ და ჯერჯერობით (ჯერჯერობით-მეთქი) ჭავჭავაძის გამზირზე აღმართული მისი ძეგლი, მისივე დალოცვილი შემოქმედის წყალობით, უსიტყვოდ რომ დაღადებს, დიდებული პოეტის ძეგლი ვარო, გიორგი სააკაძის ძეგლი ჰგონიათ. ზოგს არც სააკაძე სმენია და თამამად გეტყვის: ეს უცნობის ძეგლი არისო.

ამასობაში ესპანისტებმაც (თუ ესპანოლოგებმა?) დრო იხელთეს, ჩვენც ნახირ-ნახირო და მთელ საქართველოს ომანიანად აუნყეს: მწუხარე სახის რაინდს ესპანურად „დონ კიხოტი“ კი არ ერქვა, არამედ „დონ კიხოტე“-ო (ხომ ხედავთ გრანდიოზულ სხვაობას?). პატივცემულთ ავინყდებათ, რომ „დონ კიხოტი“ უკვე ქართული სიტყვაა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია დამონებული ისევე, როგორც მისგან წარმოებული „დონკიხოტობა“ და „დონკიხოტური“.

ერთი ისიც ვიკითხოთ, ირანისტები რატომ დადუმებულან? ლექსიკას რომ თავი დავანებოთ, რაც ქართულში სპარსული წარმომავლობის საკუთარი სახელები შემოჭრილა და მტკიცედ დამკვიდრებულა, ყველანი სპარსულად რომ წარმოვთქვათ, სად წავალთ? სად და ფერეიდანს იქით, ჯანდაბასა და დოზანაში.

მთელი საქართველოს ვაჟკაცების „გადაგვარება“, უფრო ზუსტად — „გადასახელება“, მოგვიწევს. მხოლოდითი „ოუშელოუ“ სანატრელი გავგიხდება. ნახეთ რა ნარჩევ-ნარჩევი სახელები გვარჩუქეს: ზურაბი, თეიმურაზი, როსტომი, ამირანი, ჯუან-შერი, თამაზი... ეს — ყველაზე მეტად გავრცელებულნი. დანარჩენი თქვენ გაიხსენეთ, ნათესავ-მეგობრებში მოიკითხეთ.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის დამტკიცებლად, რუსულ ტექსტებში სადაც კი „განი“ და „ხანი“ შეხვდებოდა, უკლებლივ ყველა „ჰაე“ ჰგონიათ და ჰაიდა, მიერეკებთან თავისას. ჰოდა, ქართულში უეცრად ჩნდება „ჰარიბალი“ (ვაი სირცხვილო! იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სახელოვანი ბელადის ჯუზეპე გარიბალდის სახელი ქართველი კაცისათვის XIX საუკუნეშივე კარგად იყო ცნობილი, თქვენ წარმოიდგინეთ, კარლ მარქსზე და ფრიდრიხ ენგელსზე ადრე. გორიდან გალექსილი დეპუტატი კი გაუგზავნიათ მისთვის: „მოგვილოცავს, გკოცნით ლომო, ჩვენც ავდგებით მალე ზეზე!“ ილიმბოდა გარიბალი და რუკაზე გორს დაეძებდა. სხვათა შორის, მისი გვარიდან ახალი სიტყვა გაჩნდა ქართულში და კიდევ დამკვიდრდა: „გალიბანი“ — ცხვრის ტყავისგან დამზადებულ შავი ფერის ქუდს ჰქვია. სწორედ ეგეთი ქუდი ეხურა თავზე იმ დალოცვილს. ესენი კი — ჰარიბალიო!).

ხომეინიმ რალა დააშავა? ნამდვილი რევოლუცია რომ მოუწყო ირანის შაჰს და დაამხო? თანხმობანი „ხანი“ მართოდენ რუსული ენის კუთვნილებად მიაჩნიათ და ვერაფრით ვერ გადაარწმუნებ, ვერაფრით ვერ დაარწმუნებ, რომ სპარსულშიც არის ეს თანხმობანი. დაიჟინეს — ჰომეინიო და არაფერს შეეპუებთან. რას იზამ, დამოუკიდებლობა სწყურიათ... სალი აზრისგან.

მკითხველს ბოდიშს მოვუხდი და კიდევ ერთ კურიოზულ მაგალითს დავიმოწმებ. ეს ავადსახსენებელი „გონორეა“ (მდაბიურად — „ტრიპერი“) რუსული წარმომავლობის სენი ჰგონიათ (აბა, ვისი იქნება?) და მყისვე გადმოაქართულეს, როგორც „ჰონორეა“. ეტყობა ჰგონიათ, ჰონორარს რომ აიღებდა კაცი, მერე უსათუოდ „ჰონორეას“ აიკიდებდა. ამასთან შედარებით „ტახიკარდია“ რომ „ტაჰიკარდია“ გადაიქცა, კამფეტად მოგეჩვენება.

ეს ყველაფერი შემთხვევითი წვრილმან-წვრილმანი ლაფსულები არ გეგონოთ, უამრავთაგან სათითაოდ არიან ამოკრეფილნი და საყოველთაო ტენდენციას გამოხატავენ, მძლავრად აგუგუნებულ-აღუღუნებულ ტენდენციას, ზოოპარკის ზოგიერთ ბინადარს რომ შეეფერება.



ოტელო (ვახტანგ ჭაბუკიანი)

მკითხველს, ალბათ, გაეცინება, კაცს თავსა სჭრიდნენ, ის კი იხვეწებოდა, კისერზე მუნჯი მაქვს და არ მატკინოთო. მეტყვიან: სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვალი დავუხუჭოთ და ყური ნავუყრუოთ, ყველაფერს, ყველაფერს, ყველაფერს, რაც თავს დაგვატყდა ამ ბედნიერ XXI საუკუნეში, სადარდებლად მარტო ის იკმარებდა, რომ ინგლისურ-ამერიკული სიტყვებით ივსება ქართული ენის ლექსიკა და შენ კიდევ ტრანსკრიპციებ-ტრანსლიტერაციებით გავკინყალე გულიო.

მართალი ბრძანდებით, ბატონებო და ქალბატონებო, მაგრამ ევ სულაც არ მეჩოთირება (უკაცრავად პასუხია და ქურდი მირჩენინა სულელს), არ მეჩოთირება-მეთქი, ვინაიდან უხსოვარ ჟამთაგან ქართული ენის ლექსიკა უცხო ენებიდან მდიდრდებოდა და ღონიერდებოდა. ვისაც განგება გვიბოძებდა ბატონ-პატრონებად, იმათ ადათ-წესებსა და მენტალიტეტს, რასაკვირველია, თან ახლდა ქორფა-ქორფა უცხო სიტყვები, რომელთაც დედის რძესავით შევირგებდით ხოლმე.

ერთი გამოჩენილი ქართველი მწერალი, რა თქმა უნდა, ხუმრობით ამბობდა: ნუხელის „სიტყვის კონას“ ვფურცლავდი, წყაროს წყალივით ანკარა ქართული სიტყვები რომ მეპოვაო. რომელი სიტყვაც არ მომხვდა თვალში, ყველას ეწერა — სხვათა ენა არისო. დიდხანს ვეძებე, ბოლოს ერთადერთ ძირძველ ქართულ სიტყვას ძლივს მივაგენი და შერე მთელი ღამე მაგრად მეჭირა ხელში, მტერს რომ არ წაეგლიჯაო.

ისევ ჩვენს ცხვრებს მივუბრუნდეთ. ამასობაში ეს ჩვენი ოუშელოუ (ყოფილი ოტელო) ისე გაუშინაურდა ამ ახალქაჯურ მეტყველებას (შდრ. ჯორჯ ორუელის „ნიუსპიკი“), რომ ქართულშიც განიზრახა იქაური ზნის დამკვიდრება და გამომწვევად მიუბნება: რა შენი თრაქის საქმეა, მე რას დავირქმევო.

მოდი და ნუ გაგახსენდება ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრის, ავყია დოქტორ იოზეფ გებელსის (ჭირმა დანყველოს მისი სახელი!) გესლიანი აფორიზმი ჩვენი ეროვნული ბუნების შესახებ: მთელი დედამიწის ზურგზე ძნელად თუ იპოვით ისეთ ხალხს, რომელიცა რომაო და ა.შ.

P.S. როგორც მოგახსენეთ, გუშინინდელ საუკუნეში იმდროინდელმა ქართველებმა გორიდან გაუგზავნეს დეპუტა გარიბალდის და ნეტავი ჩვენ რა გავვიჭირდა ასეთი, რომ ერთი ცინცხალი მესიჯი არ ვაახლოთ სინიორ ბერლუსკონის და შევევედროთ, ერთი მაგგგარი მასწავლებელი იტალიურისა გამოგვიგზავნეო, რათა მისი კურატორობით ხმარებიდან ამოვიღოთ ძველმოდური სიტყვები: გრანდიოზული, ვირტუოზული, კურიოზული, გრაციოზული, ოდიოზური, პომპეზური და სხვანი მისთანანი ანუ მტვერით ჩამოვიფერთხოთ ეს ორმაგი სუფიქსები და მარტივად, ყველასთვის გასაგებად, წარმოვთქვათ: გრანდიული, ვირტული, კურიული, გრაციული, ოდიური, პომპური და სხვანი და სხვანი. ჩვენც მოვისვენებთ და იტალიულებსაც მოვასვენებთ, სტრასბურგში რომ გვიჩვიან, სუფიქსები აგწანანესო.

ერთი სიტყვით, გაუმარჯოს ოუშელოუს, ჯორჯ ორუელს და, მით უმეტეს, ნეტარმოვლენილ ნიუსპიკს!

მანანა ჩიტიშვილი

„ვიდრე ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— არსებობს უკიდურესი გაჭირვება ერი-სა და პიროვნებისა. როცა ადამიანის სასიცოცხლო ძალები იმდენადაა დაუძღურებული და გათელილი, რომ ასპიტივით შემოგრაგნილი სასონარკვეთა ახრჩობს, მოქმედების უნარს უკარგავს და იმედის ნიშანწყალსაც არ უტოვებს, ვფიქრობ ეს უკვე უკიდურესი გაჭირვებაა. რაც შეეხება უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობას ერისას, შორს ნასვლა არ დაგჭირდებათ, — შეხედეთ დღევანდელ საქართველოს!

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც არ უნდა გავეჩინე უფალს, იმ ქვეყნის მუხლმოყრილი და თავმწირული მლოცველი ვიქნებოდი. სურვილით კი იმ ქვეყანაში ვისურვებდი ცხოვრებას, სადაც ჩემი კუთვნილი ავიც და კარგიც “გულითა და ხელითა მართლით” მომეგებოდა და არა ჩემს ზურგს უკან მდგომი ადამიანების შიშით ან ხათრით; სადაც ასე დაუცველად არ ვიგრძნობდი თავს და როგორც გალაკტიონი იტყოდა — “ვირების გაბუღბუღებას” ასეთი მასობრივი ხასიათი არ ექნებოდა. ღირსეულ სამშობლოში ღირსეულ არსებობას ვინატრებდი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ყველა სახლს თავისი თავანი აქვს. მგონია, ბედნიერებაც ასეა — გააჩნია, ვისთვის რა არის უმთავრესი და რაში ხედავს მის უმაღლეს გამოხატულებას. ვერ დაგიკონკრეტებთ, რა არის “უმაღლესი ბედნიერება”, რადგან ჩემს ერდოზე ეს ზღაპრული ფრინველი არასოდეს შემომიჯდარა. ჩემი სამშობლოთი, ჩემი შვილითა და ლექსებით ვცოცხლობ. არ ვიცი, ეს რა დონის “ბედნიერებაა”, მე კი ძალიან მეძვირფასება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ხალხური პოეზიის გმირი, ზეზვა გაფრინდაული; პატარა უფლისწული, ანა-მარია, დედუნა, გოდერძი ჩოხელის მართა... გავრძელება უსასრულოდ შეიძლება.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ლევან გოთუას გიორგი ბატონიშვილი და ქეთევან დედოფალი, ოთარ ჩხეიძის თევდორე მღვდელი, გრიგოლ აბაშიძის შალვა ახალციხელი, ნოდარ ნულებისკირის აბო.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— იმპრესიონისტები, ნიკო ფიროსმანი, ირაკლი ფარჯიანი, ზურაბ ნიჭარაძე.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გია ყანჩელი, გიორგი ცაბაძე, პეტრე გრუზინსკი.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— “ნუ ააღლევებთ კაი ყმას, — მინა არ ძვირობს ბინასა, / საღამოს ბეგთარს ჩაიცომს, ნითლად დახვდება დილასა, / ლაშქარში მაშინ ჩავალის, რკინა რო გაღექს რკინასა, / გონჯაი დაიმალება, კაი ყმა დაჰკრავს ნინასა.”

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— თავისი საღმრთო დანიშნულებით ქალი უპირველესად დედაა, სიცოცხლის მატარებელია და მისგან სიკეთისა



და სათნოების შუქი უნდა გამოდიოდეს. საჭირო დროს საზავო მანდილის ჩაშლაც უნდა შეეძლოს და მამულისა და ოჯახის ღირსების გადასარჩენად ლელა ბაჩელივით ხელში მახვილის აღებაც.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მიმტევებლობა, არა — შეცოდებაზე, არამედ ადამიანების ჭეშმარიტ სიყვარულზე დაფუძნებული.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— 4-5 წლიდან დღემდე თავგადაკლული მკითხველი ვარ... ძალიან მიყვარს მცენარეების მოვლა, მათთან ურთიერთობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— საკუთარი თავით აღფრთოვანება არ მჩვევია, მაგრამ არც “სხვად” ყოფნას ვინატრებდი. ისეთი ვარ, როგორიც შემქმნა უფალმა და სხვაგვარად ნამდვილად “არ ძალმიძს”, — ჩემი ცოდვითა და მაღლით მიყვები ნუთისოფელის დინებას. ის სხვა საქმეა, რომ გამუდმებით ვცდილობ საკუთარი თავის დახვეწას და იმ უარყოფითი თვისებების დათრგუნვას, რასაც თვითონაც ვამჩნევ და არ მომწონს.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ბუნებრიობა და გულწრფელობა, კიდევ — პასუხისმგებლობა იმ საქმისადმი, რასაც ვაკეთებ.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— “ძმასა ისეთი ძმა უნდა, ბადრს რო უსუპი ჰყოლია, ბადრი კლდეს გადავარდნილა, უსუპ თან გადაჰყოლია”.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზედმეტი მგძნობიარობა და მყისიერი მიმნდობილობა ადამიანებისადმი, რასაც ჩემთვის ბევრჯერ მოუტანია უარყოფითი შედეგი, მაგრამ ამ მხრივ ნარსულის გამოცდილება არაფერში მარგია. არ შემიძლია გარშემომყოფთ ეჭვის თვალთ ვუცქირო და კრიტიკულად გააანალიზო მათი ყოველი სიტყვა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— დასაწყისში გითხარით, რომ ბედნიერებაზე ყველას საკუთარი წარმოდგენა აქვს. მის მოსაპოვებლად დიდი შრომა და მოთმინებაა საჭირო, თუმცა არსებობს “კონკიას ილბალიც”, მაგრამ ეს ისე იშვიათია, რომ მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოიდგენ. ჩემთვის ბედნიერება იქნება, თუკი ჯანმრთელად და უვნებლად მეყოლება ჩემთვის ძვირფასი ადამიანები და მეცოდინება, რომ “პური არსობისა” არ უჭირთ.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ძალიან მეშინია და შეგნებულად არ გიპასუხებთ, რადგან დანერვილ ან წარმოთქმულ სიტყვას თავისი მაგია, თავისი აურა აქვს და ნათქვამიდან ახდენამდე ზოგჯერ ერთი ნაბიჯია ხოლმე. ამ კითხვაზე არც ფიქრი მინდა, არც ლაპარაკი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— პირველ რიგში, უფრო ჯანმრთელი. წინააღმდეგობას რომ ვანყდები, მორჩილად ხელები კი არ დამეშვა და არა

— შიშის, არამედ თავმოყვარეობის გამო ჩუმად კი არ გავც-
ლოდი იქაურობას, ბედისწერასთან და ადამიანების უგუნუ-
რებასთან მეტი ბრძოლის და გამძლეობის უნარი მიხდოდა
მქონდა; ბევრი შვილი მყოლოდა... მაგრამ “ავაჰმე, ნუთი-
სოფელი სხვის ნასურვილარს ჰგავდა” და ოცნება ოცნებად
დამრჩა. მსურდა ისე მეცხოვრა, რომ გაჭირვებული მოყვა-
სის თანადგომა და დახმარება შემძლებოდა, მგონი ყველა-
ფერი პირუკუ გამოვიდა...

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ოქტომბერში, ვიდრე ცივი წვიმები დაიწყება, ქსნის
ხეობის ტყეების ფერადოვნება, — ფერდობებზე სისხლი-
ვით ჩამოდვრილი მენამული თრიმლები და სანთლისფრად
განათებული იფნები და ნეკერჩხლები მასხენებენ, რომ რა-
ღაც დიდმა და მშვენიერმა ჩაიარა და ახლა მის უკანასკე-
ნელ გამონათებას ვადევნებ თვალს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი, შაშვი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ასეთი ავტორები იმდენია, რომ მათი არც ჩამოთვლა
შემიძლია და არც გამოცალკევება. ცხოვრების სხვადასხვა
ეტაპზე საყვარელი წიგნებიც იცვლება, თუმცა ბევრ მათ-
განს დრო თითქმის არ ეხება. ლიტერატურა, მწერლობა ის
ერთადერთი, რომლითაც ვსულდგმულობ და ვსუნთქავ.
ამაზე მეტის თქმა ნამდვილად არ შემიძლია.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— რაც ზემოთ მწერლობაზე მოგახსენეთ, რა თქმა უნ-
და, პოეზიასაც გულისხმობდა. არის სახელები, რომელთაც
ასე უბრალოდ ვერ უწოდებ “საყვარელს”, მაგალითად,
რუსთაველი. ამ შემთხვევაში სიტყვა “სიყვარული” მეტის-
მეტად ცოტაა. ჩემს დამოკიდებულებას ამ გენიალური პოე-
ტისადმი მუხლმოყრილ ლოცვას და მონინებულ თაყვანის-
ცემას უფრო დავარქმევდი. ვფიქრობ, ეს ყველა ქართვე-
ლისთვის ასეა. ჩემის აზრით, დღევანდელი საქართველოს
მტკივნეულად მფეთქავ იარებს ყველაზე მეტად გურამიშ-
ვილი და ილია აკლია, ჩვენში აგრე ფეხმოკიდებულ სისას-
ტიკეს და პირქვედამხობილ კაიყმობას — ვაჟა, პოეტური
კულტურის ესოდენ დაბალ დონეს — გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ზემოთ დასახელებულ დედუნას, მართას და ანა-მა-
რიას ლელა ბაჩლელს და ალაზას დავამატებდი, თუმცა ამ
სიის გაგრძელებაც დაუსრულებლად შეიძლება.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— უპირველესად დავით აღმაშენებელი. ჩემს ფიქრში
მას ვერც ვერავის შევადრი და ვერც გავუტოლებ, მოხიბ-
ლული და განცვიფრებული კი ბევრით დავრჩენილვარ. მათ
შორის არიან: მეფე ფარნავაზი და ეგრისის მთავარი ქუჯი,
აბო თბილელი, გიორგი ჭყონდიდელი, ცოტნე დადიანი, ბახ-
ტრიონის ბრძოლის სამი ნამებული გმირი, რომელთაგან
ორი — შალვა და ელიზბარი ჩემი ხეობის შვილები არიან და
მამულიშვილური ვალდებულებაც მათი ხსოვნის წინაშე
განსაკუთრებული მაქვს: “არ გეგონოთ, უგვარტომომ შე-
მოგიღეთ სახლის კარი, გულზე მიძიმე მადევს ხელი შალვა-
სი და ელიზბარის”.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— როგორც აკაკი იტყოდა — “ნინო, თამარი და ქეთე-
ვანი”.

— საყვარელი სახელი?

— ლაშა, ანანო.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიცრუეს და არაფრობაზე დამყარებულ ცუდმედი-
დობას, მხოლოდ საკუთარ ჯამში ჩაცქერას და მედროვეთა
წინაშე მუხლებზე ხოხვას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი
დაიმსახურა?**

— ივანე მხარგრძელი, ქართული ლაშქრის მთავარსარ-
დალი, რომელმაც გარნიის ბრძოლაში შალვა ახალციხელ-
სა და მესხების მცირერიცხოვან რაზმს ჯარი არ მიაშველა
და საკუთარ კინიკაცობას გადააყოლა სამშობლოს ბედ-ილ-
ბალი. გარნიის მარცხით დასრულდა დავითისა და თამა-
რის ოქროს ხანა და ქართველთა “დიდი ლამე” დაიწყო.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-
ნაკლები აღტაცებისა?**

— დიდგორის ომი — არაჩვეულებრივი გამონათება
ქართული სამხედრო ნიჭისა და პიროვნული სიმამაცისა. ამ
ბრძოლას დავითის ისტორიკოსმა “ძლევაი საკვირველი”
უნოდა და სრულიად სამართლიანადაც.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენი განსაკუთრებით
უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— დავით აღმაშენებლის რეფორმები, როგორც საერო,
ისე სასულიერო სფეროში, რომელთაც დაშლილ-დანანე-
რებული და თურქთა თარეშისგან დაბეჩავებული საქარ-
თველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულ ისეთ ქვე-
ყანად აქციეს, რომელმაც 400 წელს “არაბთა ქონებული”
დედაქალაქიც გამოიხსნა, მაჰმადიანთა კოალიციური ლაშ-
ქარიც დაამარცხა და ქრისტიან მეზობლებსაც აღუდგინა
დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— ბედნიერი ვიქნებოდი, ხატვა რომ შემიძლოს. გარე-
მოს, ლექსს ფერებში ვხედავ და ვცდილობ, სიტყვით მაინც
ვხატო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ის არ არის, რაზედაც სიზ-
მრებში მიოცნებია.

— როგორი გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?

— მინდა სიკვდილის წინ გაფრენა შემიძლოს; მსურს
მალა, ვარსკვლავებთან ავიდე და იქ გავქერე, რომ ჩემმა
შვილმა და ახლობლებმა ნუხილი არ იგრძნონ. ცაში ვარსკვ-
ლავებთან ახლოს მინდა დავასრულო სიცოცხლე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ერთი ანეკდოტი გამახსენდა, როცა კაცმა, ვისაც ამ-
გვარი კითხვით მიმართეს, შემკითხველს უთხრა: “ღირსი
არა ხარ, დავდგე და მართლა გიამბო, როგორა ვარო”. მეც
ეგრე... ისე ვარ, როგორც სამკვიდროდაკარგულ პოეტს შე-
ეფერება.

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას
იმსახურებენ?**

— თუ ქმედების გამომწვევი მიზეზი შედეგზე საშინე-
ლია, მაშინ მისი პატიება შემიძლია.

— თქვენი დევიზი?

— ვიდრე ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდი ღმერთს, რას ისურვებ-
დი რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— ღმერთთან “შეხვედრას” ყველაზე თამამ ოცნებაშიც
კი ვერ წარმოვიდგენ. მე ვინა ვარ, რომ უზენაესმა ამგვარი
პატივის ღირსი გამხადოს და მაინც ყველაზე დიდი ალბა-
თობით რომ დავუშვათ, თუკი ოდესმე ეს მოხდება, უდიდესი
მადლობითა და მინასთან გაერთებული თაყვანისცემით მო-
ვისმენ მის ყოველ სიტყვას.

ლადო კილასონია

თითქოს ნაცნობი, პოტასეპიანი, კაცი

მანქანაში სამნი ვსხედვართ, მე, “მაროჟნი” და ნანა დეიდა, რალაცებს ვლაპარაკობთ და მალიმალ ვაპარებთ თვალს ბებეროს სადარბაზოს მოყავისფრო-მონითალო სქელი ხის კარისაკენ, რომლის იქიდანაც წუთი-წუთზე უნდა გამოჩნდეს ჩვენი ძმაკაცის მაღალი გამხდარი სხეული და ნაადრევად შემელოტებული პატარა თავი. გუშინ დამირეკა “მაროჟნიმ”, ნანა დეიდას მაღაზიაში უნდა გავეყვეთ ბოტასების საყიდლად და რომელზე შევიძლიაო. სამსახური დილას მქონდა, დალევის პონტი — სალამოს, თორმეტისკენ-მეთქი, ვუთხარი და შევთანხმდით.

ვინრო ქუჩაზე ხალხი ირევა, ისმის სხვადასხვა ხმა, მანქანების მოძრაობა ორმხრივია, ამიტომ ხანდახან პატარა პატარა “პრობკები” ჩნდება და სიბრაზისა თუ მოუთმენლობისაგან წამოწოტებული, შუბლზე ოფლდასხმული მძღოლები ყვირილს იწყებენ, ნერვიულად ურტყამენ მუშტებს მანქანის საჭეს, “სიგნალებს” იძლევიან და ფანჯრიდან გადაყოფილი ხელებით აჩვენებენ ერთმანეთს, საით უნდა გაიწიონ, რომ საცობი გაიხსნას, ან რომ თვითონ არაფერ შუაში არიან და ყველაფერში მათ წინ მდგომი, რომელიმე ძვირადღირებულ მანქანაზე მომხტარი “ნაშოჩკაა” დამნაშავე.

ჩვენ კი ვსხედვართ და ველოდებით, მზე მაგრად აჭერს ჩემს ვერცხლისფერ სიატს, აქედან გამომდინარე სალაპარაკო თემაც ამინდია, “მაროჟნი” ამბობს, რომ დაიწყო, ანუ როგორც ყოველთვის ხდება, ჩვენი ქალაქი, სიგრძეზე მსტომელივით გადაველო გაზაფხულს და ზამთრიდან პირდაპირ ზაფხულს დაახტა, ნანა დეიდა კახეთის ამბებს გვიყვება, თუ როგორ დააზარალა ამდენმა წვიმამ იქაური გლეხობა, რასაც მე მამის მიერ ტელეფონით მოწოდებულ ცნობებს ვამატებ, რომ არა მარტო კახეთში და ჩვენთან, არამედ სამეგრელოშიც იგივე ამბავია და რომ იქაც თითქმის ყველაფერი დალბა. მერე ცოტა ხანს ვჩუმდებით.

— ძალიან კი მერიდება რო მოგაცდინეთ ბიჭებო, არ მინდა ხოლმე თქვენი შეწუხება, მაგრამ ხო იცით, მე დაებერდი, ჩემი არჩეული შეიძლება არ მოეწონოს, გადასაყრელი ფული კი არ მაქვს, ამიტომ ვთხოვე დათოს და ლაშას (პირველი მაროჟნია, მეორე კი ბებერო) წამოყოლა, შენზე კი არ მინდოდა რო ეთქვათ, ალბათ, ათასი საქმე გაქვს, — მეუბნება ნანა დეიდა, — და მაინც არ დაიშალეს.

— კარგი რა, ნანა დეიდა, — ვპასუხობ ნახევრად გაბრაზებით, ნახევრად სიამაყით, — მე თუ არ მეტყვი, აბა, ვის უნდა უთხრა? ერთადერთი, რისი გაკეთებაც შემიძლია, ეგაა.

— რა ვიცი, შვილო, სულ ვნერვიულობ, საქმეები არ ქონდეს...

— არა უშავს, შენთვის მოვიცილი, — ვცდილობ გახუმრებას, მაგრამ არ გამომდის, ამიტომ ლაპარაკი სხვა რამეზე გადამაქვს. — და თვითონ როგორ არის, ნახე?

— კი, ვნახე, — მეუბნება და უეცრად შვილის ხსენებაზე აქამდე ჩამქრალი თვალეები უცოცხლდება, ღრმად ჩამჯდარი ნაოჭები მოძრაობას იწყებენ, აქეთ-იქით იწევიან, გეგონებათ ვილაცამ ხელი მოჰკიდა, როგორც მაღალი ბალახი, ისე გადასწია და იქიდან მომლიმარი სახე მოჩანს. — ძალიან გამხდარია, წვერი გაიპარსა...

— ისევე ციხის ფერი ადევს?

— არა, ეხლა ხომ ერთ ოთახში აღარ არის ჩაკეტილი, მოგიკითხათ, ასე მითხრა, გადაეცი: ყველანი ძალიან მიყვარხართ და გენაცვალეთ თქვენო.

— რამდენი გავიდა?

— სამი წელი იქნება ივნისში, — მპასუხობს, — რასაც მართლა იმსახურებდა, ივნისში იხდის, რა სწრაფად გადის დრო, არა? — ახლა უკვე თვითონ მეკითხება.

მე თავს ვუქნევ, გალიმებას ვცდილობ და გამომდის კიდევ, რას არ მოვიტყუებით თუ დაგვჭირდა?! არა და ახლა სულ სხვა რამეზე ვფიქრობ, უფრო სწორად, კი არ ვფიქრობ, ვცდილობ გავიხსენო სახე, რომელიც აგერ უკვე თურმე მესამე წელია აღარ მინახავს, სახე, რომელსაც ყოველ დღე ვხედავდი და რომლის თითოეული ნაკვთი საკუთარი ოთახივით ნაცნობი იყო ჩემთვის, ვცდილობ გავიხსენო და ვერ ვიხსენებ. მახსენდება ის თითქოსდა შორეული დილა, როდესაც ნანა დეიდა ჩვენთან მოვიდა სახლში (მაშინ მამაჩემი ჯერ კიდევ თბილისში იყო, და ჯერ კიდევ შეეძლო რალაცების კეთება) და ტირილი დაიწყო, “მიშველეთ, დაიჭირესო!” ჩვენი მეზობელი, ფუმფუმა ადვოკატი ქალიც მახსენდება, ყურმილზე თავმიდებულს როგორ გადაურბინა სახეზე რალაცნაირმა, ჩემთვის იქამდე უცნობმა ღიმილმა, რომელშიაც ყველაფერი ერთად არეულიყო, სინანული, თანაგრძნობა, კანონებისა თუ სისხლის სამართლის კოდექსისა და საკუთარი საქმის უბადლო ცოდნით მოგვრილი სიამოვნება და რაც მთავარია მთელი ამ სიტუაციის გამოუვალობა, როგორ დაკიდა ის ძველი შავი ყურმილი და ნაზი, რბილი ხმით გვითხრა: პატრულს ესროლაო.

ისინიც მახსენდებიან, ვისაც მოჰყავდა და მიჰყავდა სასამართლოზე, ფერმკრთალები, გაპარსულები, წამხდრები. მოსამართლეც მახსოვს — მსუქანა, მელოტი კაცი და ბრალმდებელიც, შავთმიანი ლამაზი გოგო, მისი სწორი, მაღალ ქუსლებზე შემდგარი ფეხები, ნაცრისფერი, ტანზე მოტმასნული კაბა, აი, ძმაკაცის სახეს კი ვეღარ ვიხსენებ, თითქოს მაკრატლით ამოჭრეს ჩემი მესხიერებიდან და ის ორად ორი სურათილა მაიმედებს, ბებერომ რომ დააგდო facebook-ზე და “ოდნოებზე”, რომელშიაც ბიჭები ჩვენი ძველი, ჩამავებული სადარბაზოს ქვის კიბეზე ჩამოემსხდარვართ, რალაცაზე ვიციანით და გვგონია, რომ ბოლომდე, სულ ბოლომდე ყველანი ერთად ვიქნებით.

— სად არის ამდენი ხანი? — ბრაზობს მაროჟნი.



— თავს იბანს, ალბათ, — ვხუმრობ მე.

— მაგასაც ესლა მინდორი არ ჰქონდეს დასაფარცხი, გადაისვას, სველი ტილო, ცოტა გაიპრიალოს და მორჩა, — იცინის მაროჟნი, მე და ნანა დეიდასაც გვეცინება და ამ დროს ჩნდება ბებერო. ნაიკის ბოტასები როგორც ყოველთვის უნაკლოდ აქვს განმენდილი, ნაცრისფერი სპორტული შარვლის ჯიბეში რალაცა ოთხკუთხედი საგანი, ალბათ სიგარეტი, უდევეს, სახეზე შავი სათვალე უკეთია. მოდის, მანქანის კარს აღებს და ჯდება.

— ნავედით? — ვკითხულობ მე.

— დავაი, — მპასუხობს ბებერო. — მე და შენ რომ ვიყავით, ნაიკში, იქ.

მანქანას ვქოქავ, პატარა “პრობკას” ვაკეთებ და თამარ მეფის გამზირზე ვძვრები.

— როგორი ბოტასი გვინდა? — ბებერო სიგარეტს უკიდებს.

— რამე საზაფხულოო, თორემ ის ფეხს მიხუთავსო, — ამბობს ნანა დეიდა, — თანაც აუცილებლად ნაიკის მალაზიასიო.

— რა იყო, რუსთავის მე-2 ზონის ასფალტზე ადიდასი აკრძალულია? — ვკითხულობ მე და ვცდილობ სიბრაზე, ხუმრობით დავმალო.

— თბილისელი თუ ხარ, უნდა გაიზმანო, იქ, ეგრეა, — მეუბნება მშვიდად ბებერო.

ვჩუმდები, ალბათ მართლა ეგრეა, მე ხომ ეგეთი რამეების არაფერი გამეგება. მახსოვს, რაგბის მაისური უნდოდა ერთხელ, ავდექი და რაც მქონდა იმათში საუკეთესო შევურჩიე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების, ჩემი ნაქონი, 22 ნომერი, კუკრის ფირმის, თეთრი ნითელში, ეგეთები ახლა აღარ გამოდის და, რაც გამოსულა, იმათშიც ერთ-ერთი საუკეთესოა, ცოტას თუ აქვს. ისე მიყვარდა, მე თვითონ არ ვიცვამდი და არც სხვას ვაცმევდი, რელიკვიასავით იყო, ავდექი და ეგ შევუგზავნე, ბებეროს რომ ვუთხარი, მაგრად დამცინა, ნომრიანს ვინ ჩაიცვამს იქ, ბიჭოო?! მართლაც ორ კვირაში ნანა დეიდამ უკან მომიტანა, ძალიან მოეწონა, მაგრამ პატარა მოუვიდაო, და მე რაღაცნაირად გული დამწყდა, იმიტომ, რომ ვიცი, როგორ უყვარდა ეგ მაისური, სულ მთხოვდა, მაჩუქეო, მაგრამ არ მივეცი, ახლა კი გაუფუგზავნე და ველარ ჩაიცვა.

— მეუბნება, აქ სხვა არაფერი მახარებს, მარტო ეგეთი რამეებს მოყვავარ გუნებაზეო, ეს ბოტასებიც ძალიან უნდა, ყველაფერი დამაკელი, მაგრამ ეგენი კარგი მიყიდეო, მითხრა, ბოლოს რომ ვნახე, — ამბობს ნანა დეიდა. — თავიდან “ნიუ ბალანსები” დამაბარა, მაგრამ იმ დღეს ჩემს თვალწინ ვილაც გოგოს უნდოდა ეგეთების შეგზავნა, თურმე ქეჩა არ ძვრება და იმ მიმღებმა თუ შემომწმებელმა ლამის ნაკუნ-ნაკუნ დაუჭრა დანით, ათი წუთი უტრიალა, ხო

ვუყურებდი, სუფთა, აი, ძაღლები რო ქეჩავენ ნაგვის პარკს, ისე ეძებდა, ალბათ ეგონა, რომ რალაცა იდო შიგნით, მაინც რა საშინელი ხალხი მუშაობს, არა, იქ? ერთი კაცია, იმან ამითვალწუნა, რამდენი რიგი მომიწევს, შემომხედავს ხოლმე და ისე უხეშად მეუბნება, რას დადიხარ აქ, ქალო, ყოველ კვირაო? ვუხსნი, რომ შევეშალე, რომ თვეში ერთხელ მოვდივარ მარტო, მაგრამ არ სჯერა, მე შენგან არ მივიღებ “პერედაჩასაო”, და ახლა სხვა რიგში მიწევს ხოლმე ჩადგომა და სულ მიკვირს, საიდან პოულობენ ასეთებს?

— ეძებენ, ნანა დეიდა, სანთლით ეძებენ, აბა იქ ბულკი და კაი გულის ტიპი ვის რად უნდა?! — ამბობს მაროჟნი.

— არადა ერთი ბიჭი იყო, სომეხი, ისეთი ზრდილობიანი, წყნარი, სულ თქვენობით მელაპარაკებოდა, მოუხსნიათ სამსახურიდან.

— ზუსტად იმიტომ, რომ ეგეთი იყო, — ექსპერტივით ამატებს მაროჟნი, მე საჭეს მარჯვნივ ვიღებ, დაბლა მივგორავ და “ნაბერეჟნი” ვჩნდები.

და ახლა ბებერო იწყებს ლაპარაკს, მაგარია ჩათლახი, ზუსტად იცის, რომ თემა უნდა შეიცვალოს, ამიტომ სწორედ იქ მიდის, სადაც საჭიროა — ბავშვობაში — ათას რამეს აცოცხლებს, არ ჩერდება, ნანა დეიდასაც აიყოლიებს და ორივე ერთად ისხენებს ძველ ამბებს.

— მახსოვს, ველოსიპედისტობაზე მივიყვანე, — ჰყვება ნანა დეიდა, — ძალიან მოეწონა მწვრთნელს, ზუსტად ისეთი ფეხები აქვს, ჩვენთან რო არის საჭიროო, ერთი-ორჯერ სხვებმაც დამირეკეს, გადმოიყვანეთ, მანდ არ დატოვოთ, ბავშვს მაგარი მონაცემები აქვსო, მაგრამ ერთხელ ამ მწვრთნელს უთქვამს დღეს ვარჯიშის შემდეგ დარჩი ველოსიპედის დაშლა ანყობას გასწავლიო, და იმის მერე აღარ მისულა, დაეზარა.

მხატვარი მარიამ კიკნაძე

— ჰო, — ამბობს მაროჟნი, — დაეზარებოდა, აბა რას იზამდა, ეგეთი ზარმაცი კაცი მეორე არ მინახავს.

— მერე ფეხბურთზე მივიყვანე, მაგრამ იქ არ გამოდგა, მეც მივხვდი, ბურთი რომ ერთ ადგილას იყო, ეგ მეორე ბოლოში იდგა...

— ფეხბურთში ძლიერი იყო, — იცინის ბებერო, — განსაკუთრებით „მატაობაში“, და დრიბლინგი ქონდა?!... ძაან ცუდად თამაშობდა და სულ სხვებს აბრალებდა, ეგ და კონო გვეთამაშებოდნენ „პარაში“ მე და ობობას, სულ ვუგებდით და მერე სულ კონოს სცემდა, შენი ბრალიაო, ყოველდღე ვთამაშობდით და ყოველდღე სცემდა, დააყენებდა და ნავიდა წვივებში.

— მართლა? — წუხდება ნანა დეიდა.
— კი, მაგრად გვჩაგრავდა ბავშვობაში, — ვამბობ მე, — გვაშინებდა, ურჩხულივით იყო...



— ურჩხულზე ვარესი, — ამატებს ხუმრობით ბებერო.
 — ვარესი კი არა, უარესი, — ვუსწორებ მე.
 — და ის ხო არ გამოჩენილა? — კითხულობს უცებ მაროჟნი.

— ამას წინებზე. ქუჩაში შემხვდა, — პასუხობს ნანა დეიდა.

— მერე? — წინ იწევა ბებერო.

— არაფერი, დაველაპარაკე, ძალიან არ მინდა-მეთქი ბატონო თქვენზე ცუდად ვიფიქრო, ბიჭები სულ მეუბნებიან ნომერი მოგვეციო... არაო, იმდენი ბოდიში მიხადა, ეხლა სახლს ვყიდი და ამ დღეებში აუცილებლად მოგანოდებთ ფულსო.

— ეჰეჰე, — ვიწყებ მე.

— მომატყუა ხო? — მეკითხება ნანა დეიდა დარცხვენილი პატარა ბავშვივით, მერე თავს სწევს, თვალეში მიყურებს და ისე საცოდავად იღიმება, რომ ისევე ვჩუმდები.

— აბა რა! — ერთვება მაროჟნი, რომელიც უკან ზის და ნანა დეიდას სახეს ვერ ხედავს.

— ასეთი ჯიუტი ქალი არ იყო, ნანა დეიდა, არა და ხომ გითხარი არ მისცე მაგას ფული-თქო, ეხლა სხვა დროა, ეგეთი რამეები ძაან მაღლა კეთდება, ადრე რო ყველას შეეძლო, ისე კი არა, მაგრამ არ დამიჯერე, ნომერი მაინც მომეცი, დავურეკავ.

— არ იღებს, — ამბობს ნანა დეიდა.

— ეგ შენსას, თორემ იქნებ ჩემი აიღოს, ისე თუ საჩუქრად დასარიგებელი ფული გაქვს, რაღა სხვას ჩუქნი, ბარემ მე მაჩუქე, — ფანჯრიდან სიგარეტს აფერფლებს ბებერო.

— არა, სად მაქვს დასარიგებელი, — იცინის ნანა დეიდა.

— რამდენია? — ვეკითხები მე.

— ოთხასი დოლარი.

ერთი წელი იქნებოდა გასული ნანა დეიდა თავისი მეგობრის ოჯახში ვილაც კაცი რომ გაიცნო, ადრე ნაქურდალი, ახლა კიდეე საქმეს ჩამოშორებული და წესიერ გზაზე დამდგარი. ულაპარაკიათ, იმას ყველაფერი წვრილად გამოუკითხავს, რაზე იჯდა და რამდენი ჰქონდა მისჯილი, ბოლოს კი შეჰპირებია, ოთხას დოლარად შეიღოს რუსთავის მეორე ზონაზე გადაგიყვანო, ოღონდ ფული წინასწარ უნდაო. ბიჭებს რომ გვითხრა, ასე და ასეო, ვურჩიეთ არ მიეცა, მაგრამ არ დაგვიჯერა. მარტო იმისი ფიქრი მომკლავს, რომ რაღაცის გაკეთება შემეძლო და არ გავუკეთე, მაგას მიჩვენებია მივცეო, შესახვედრად მაინც გაგვიყოლე-მეთქი, ვეხვეწებოდით, მაგრამ არც ეგ ქნა, უჩვენოდ წავიდა, ფული მიუტანა, ის კაცი კი გაქრა და აგერ, ახლა შეხვედრია და კიდეე მოუტყუებია.

უეცრად ვგრძნობ, როგორ ვბრაზდები, როგორ მანვება ბოლმა. „აქვე რომ იყოს, ნაღდად არ დავინდობდი, სისხლის ბოლო წვეთამდე ვურტყამდი, სანამ სახე წითლად შეეღებებოდა სააღდგომო კვერცხივით“ — ვფიქრობ ჩემთვის. არა რა, ისე ჩვენც მაგრები ვართ, მარტო მაშინ გვახსენდება ეგ ამბავი, როდესაც ნანა დეიდას ვხედავთ, მარტო მაშინ ვიქაჩებით, ნომერი მოიტა, ნომერი მოიტა, თორემ ისე, უბანში მსხდომებს და ცივი ლუდის წრუპვით გართულებს არცერთს არ მოგვივა თავში, ყველაფერზე ვილაპარაკებთ, ფეხბურთზე, პოლიტიკაზე, გოგობზე, აი, იმ ნამდვილს და მართლა მნიშვნელოვანს კი არავინ შევხებით, იქამდე სანამ ძმაკაცის დედის დაბალ, სიბერისა და გაჭირ-

ვებისაგან დამძიმებულ სხეულს არ მოვკრავთ ხოლმე თვალს, წელი, დაღლილი ნაბიჯებით რომ მოუყვება ჩვენს ვინრო ქუჩას და მაშინ ცოტა ხნით ვჩუმდებით, ცოტა ხნით ვაჩერებთ მზერას, თითქოს იმ რაღაცა მნიშვნელოვანმა ნამით გაიღვიძა ჩვენში, სირბილი დაიწყო, იპოვა სადღაც ღრმად, ათასი სისულელის მიღმა დამალული ნამუსის სიმი და ხელი ჩამოკრა. ტანში ჟრუანტელი გვივლის, გვგონია, რომ ეს-ესაა მიუახლოვდით, რომ სადაცაა მივხვდებით, შევხვებით, მაგრამ მერე ერთ-ერთი ჩვენგანი ისევე წამოისვრის რომელიმე მნიშვნელოვან თემას და ყველანი ერთად უკან, ჩვენი უბნის უბრალო ხის მაგიდასთან ვბრუნდებით, რომლის პრიალა აქა-იქ დაბზარულ ზედაპირზე სოჭოებივით ირევიან შავ-შავი დომინოს ქვები.

მაღაზიის კარი თავისით იღება ჩვენი მიახლოებისას, გამყიდველი გოგო ღიმილით გვხვდება.

— რა გნებავთ?

— ბოტასები.

— ვისთვის?

— პრეტენზიული კაცისთვის, — ვპასუხობთ და შევდივართ.

მიგნით სიგრილეა, ამერიკელი რეპერივით ჩაცმული ბიჭი ბოტასს იზომავს, ჩამომჯდარა რბილ, დაბალ სკამზე და გულმოდგინედ ცდილობს ფეხის ჩაყოფას ნავის ფორმის მაგვარ რაღაცაში.

— ააუ, ნახე ამას რა დანძრეული აქვს, — მანიშნებს ბებერო და ბიჭისკენ აქნევს თავს.

ჩვენ ბოტასების სტენდისაკენ მივდივართ და ვათვალიერებთ, ფასი 200 ლარიდან მაღლა ადის. მერე სპორტულების განყოფილებისაკენ ვინაცვლებთ და ლაპარაკს ვიწყებთ, რომ თბილისში ტანსაცმელს ფასები მაღაზიების პონტში ადევს, თორემ ისე ყველგან ერთი და იგივე იყიდება, რომ ახალი კოლექციები არ შემოდის, რომ ევროპაში ეს ყველაფერი ბევრად უფრო იაფია და რაც მთავარია ბევრად უფრო მაღალი ხარისხის.

— ბიჭებო, იქნებ აი, ეს? — ისმის ნანა დეიდას ხმა, რომელიც სულ გადაგვავიწყდა, ჩვენ მისკენ ვბრუნდებით.

ძვირადღირებული ბოტასების ბრჭყვიალა, მოვლილ სტენდთან, როგორც შავ-თეთრი ფილმიდან ამოჭრილი კადრი, ისე დგას დაბალი ჭალარათმიანი ქალი, გახუნებული შავი ჟაკეტი და კაბა აცვია, ვენებდაბერილი ფეხები ალაგ-ალაგ დაგლეჯილ, ძველ, შავ ტყავის სანდლებში გაუყვია, მარჯვენა ხელში იაფფასიანი ჩანთა უკავია, მარცხენაში ახალთახალი ბოტასი უბრწყინავს, გვერდზე კი ალვის ხესავით ამოსდგომია ის გოგო და არჩევანს უქებს.

და მეც უცებ წარმოვიდგენ, რომ ეს წყეული ქალაქი გიჟივით გარბის წინ, როგორც ბარიერებს, ისე ახტება დროს და როდესაც თოთხმეტჯერ გადაახტება ზამთარს და თოთხმეტჯერ ზაფხულს, ციხის მიმე დაჟანგული რკინის კარი ღრჭიალით იღება, სამხედრო ფორმაში ჩაცმული ბიჭები სადღაც ქრებიან და ცარიელი ნაცრისფერი ეზოს სიღრმიდან ჩვენსკენ სწრაფი ნაბიჯით მოდის უზონის თმაგაცვენილი, თითქოს ნაცნობი კაცი, მოხრილ, გაღეულ მხრებზე ჯინსის ძველი ქურთუკი მოუგდია, ფერმკრთალ სახეზე რაღაც უცნაური გამომეტყველება დასდებია, ცისფერი გაკვირვებული თვალები მოუსვენრად დაურბის აქეთ-იქით, ხოლო ფეხზე სწორედ ის ბოტასები აცვია, ნანა დეიდას რომ უჭირავს ახლა ხელში.



ნუნუ ჯანელიძე

* * *

იმ დედაკაცად როგორ მაქციე,
გულშიაც რომ არ გავივლებდი;
ყვავილივით მსურდა დარჩენა,
ვიდრე სურნელგამოლეული
მოცელილი დავეცემოდი;
იმ დედაკაცად როგორ მაქციე,
გულშიაც რომ არ გავივლებდი.

* * *

განა ნასულ, სინანულით გამოსყიდულ
ცოდვებზე ვდარდობ?
ახლა, სულში რომ მწიფდებიან
და დღე-დღეზე უნდა დავბადო,
ის ცოდვები არ მასვენებენ
და მანამებენ შეუბრალებლად.

* * *

მეგობარო, მითხრა უფალმა, მეგობარო.
სიტყვა-დესპანით შემომეგება
და მე მგობარი გამიხადა თავის მოყვარედ.
მეგობარო, მითხრა უფალმა, მეგობარო
და ამომავალ მზეს შემახედა.

* * *

თავი რომ მეცნო, მრავალი დღე
ჩემი გულის მოძრაობას ვაკვირდებოდი
და კვირა დილით თეთრი ტაძრის შესასვლელთან
ბატკანივით ვაბამდი ჩემს თავს
და უფალს ვთხოვდი,
მაპოვნინე საკუთარი მე ჩემი თავი.
...თუ ჩამეთვალა...
...რაკი მერე, თოქისაგან თავდახსნილი,
კვლავ მინდვრისკენ მივბაკუნობდი.

* * *

შეცდომებს როგორ გავექცეოდი,
ჩემთან იყვნენ დაბადებამდე;
და ორივენი, სისხლთან ერთად,
ჭიპლარიდან,

წინაპართა ძველ შეცოდებებს
ვინოვდით ხარბად.
...ვინ ამოხაპა თავის სული
ამ სოფლიდან
ცრემლის გარეშე.
შეცდომებს როგორ გავექცეოდი,
ჩემს გაჩენამდე
დღით დაწერილს
ბედის მწერლისგან.

* * *

ამოვიღე თვალიდან დირე
და სამყარო უკეთესი მეჩვენა უფრო,
და განიბნა ქუფური
და საუფლო უფლის ვიხილე;
სინანულის ცრემლი დამდინდა
და ახლა მინდა,
ჩემი ძმის თვალს ვაშორო ბენვი,
მონადინე ვარ სიყვარულის
და გული მენვის
ბრმად მავალთათვის..

* * *

გმადლობ, უფალო, შენ მე ამ დღესაც გადამარჩინე,
გამიჩინე იმედი, სარჩო.
ნეტავ ვიცოდე, წინ რა მადლის მადლი დამიხვდა,
იმ საცოდავი გროშის ხომ არა,
დილით ბოშა ქალს რომ გადავუგდე,
მტვერში მორთხმული ჩვილ ბავშვს
ძუძუს რომ ანოვებდა.

* * *

მე ჩემმა თავმა დამლო ბრალი,
ჩემმა გონებამ;
ცა დამინგრია და სამყარო გამოგონილი
თავზე დამამხო;
ვარ გათანგული დღის აგონიით
და უკარნახო სივრცეებსაც ვატყვევებ შიშით.
მე ჩემმა თავმა დამლო ბრალი,
ჩემმა გონებამ,
როს სულის ნარმწყმედ სურვილებში
გზა ამებნია...

* * *

მზად რომ იქნები შენი წილი
მწუხარებისთვის,
ნაუმახე ძველ კალამს ნვერი
და ნაკანრები სულის ეტრატზე
ამოავსე საკუთარი ცრემლით და სისხლით
და ნასესხები დღეები შენი
ლოცვითა და სინანულით აპოხიერე.
..მზად რომ იქნები შენი წილი
მწუხარებისთვის..

* * *

ჩემს მდარე ყოფას სიტყვის ფერად ნაჭრებში ვახვევ
და ლექსების ატლასით ვანყობ;
...კვერს ვუკრავ ანწყოს
და ვუღიმი წინა კბილებით
და გაკვირვებულ მტერ-მოყვარეს
ვუჩინ საფიქრალს...

* * *

როცა ვიპოვე, ხელში რატომ არ აგიტაცე,
მკერდზე, ნეტავ, რად არ მიგიკარ
და რატომ არ გავიქეცი შორს-შორს,
უკანმოუხედავად,
რომ შენი თავი ძალით ვინმეს
არ წაეგვარა.
შენზე დიდი განძი რა ვპოვე,
ან ამ ყოფის მძიმე ბეგარა
რად ვამჯობინე შენს უტკბილეს
თავისუფლებას..

* * *

როცა სამყაროს ყიფლიბანდი-
-პოეტის გული
საბოლოოდ დაიხურება,
დღე დაკარგავს გრძნობას მზურვალეს
და დედამიწას მიატოვებს ჩვილის სურნელი;
დაიმსხვრევა მზის მყიფე ბადე,
როცა სამყაროს ყიფლიბანდი -
-პოეტის გული
საბოლოოდ დაიხურება.

* * *

თავი სულმოკლეობაზე წავასწარი და
ავტირდი;
და მამალმა სამჯერ იყივლა;
უფლის სიტყვიდან გადმოვევარდი უგნურ ბარტყივით,
თავი სულმოკლეობაზე წავასწარი და
ავყივლდი;
და მამალმა სამჯერ იტირა.

* * *

ბედნიერება ნილაბია,
რომელსაც ვძერწავთ მთელი სიცოცხლე,
რომ დავმალეთ ცხოვრება ბერნი.
მთელი სიცოცხლე...
...ისე გვიმძიმს ჭირის გამხელა,
ვიდრე ნილაბი ცივ სახეზე არ შეგვანმება.

ლექსი ის არის, რაც მე მსურდა ვყოფილიყავი:
შეურყვნელი, კამკამა წყარო;
თუმცა, უგნურმა ბევრჯერ ვცადაე მისი ამღვრევა,
როცა ცოდვილი ხელით შევეხე.

* * *

ვგრძნობ, როგორ ახალგაზრდავდება ჩემი გული
ნლებთან ერთად,
როგორ ფერავს მას სიყვარული და ცხოვრების
გამოცდილება

და აცილებს ჟანგს თანდაყოლილს.
..მამამ ყოვლისა იზრუნა ჩემზე,
ჩამახედა საკუთარ სულში და მაპოვნინა მშვენიერი
ბალი სიბრძნისა
და მის წიაღში შემალული ახალგაზრდობა.

* * *

უცნაურად ყვავის სოფელი,
კენწეროში, ბებერ ხესავით,
გასახმობად რომ ემზადება
და უკანასკნელ, ფუჭ ყვავილებს
ანონებს გამვლელთ.
დავტირი მალვით
ყოველწლიური სიიაფით გაძვირებულ
ყოფას სოფლისას და უფლის კარვის სიახლოვეს
მინდა ჩამუხლვა.

...უცნაურად ყვავის სოფელი,
კენწეროში, ბებერ ხესავით,
დღის დაღვევამ რომ იცის, ისე...

* * *

ძლივსლა ვბჭუტავ ნედლი კვარით,
ხოლო ფიჩხივით ხმელი სტროფები
სტრიქონებად კენესით ტყდებიან;
ვერ გავქეცი დამატყვევებელ
დღის ბრწყინვალეებას
და დიდ ნათელს მოკლებული ფუჭად ვიბნევი.
..ძლივსლა ვბჭუტავ ნედლი კვარით..

* * *

მე უშიშარი სიტყვის მცველი ვარ,
საუკუნეებგამოვლილი სიტყვასთან ერთად,
ერთგულეების ბეჭედდასმული;
არ დამიკარგავს არც ერთი სიტყვა,
არ დამიგდია ძირს ეშმაკის მისაკერძავად
და საქილიკოდ არ გამიხდია.
მე უშიშარი სიტყვის მცველი ვარ.

* * *

ვერავის გავუყავი თავისუფლება, ვერავის ,
ვერც ქმარს, ვერც შვილებს,
დაგეშილებს ჩემს სიყვარულზე;
ამიტომაც შორით მზვერავენ
და სიტყვაზე მისაფრდებიან,
ვით უცხო ჩიტს, ოქროს ფრთებიანს.
..მეტისმეტად თავმოყვარე ვარ.
ვერავის გავუყავი თავისუფლება, ვერავის...

* * *

მთელი ღამე არ მიძინია;
მხარზე ამომდის მხეცის ნიშანი;
თმები უნდა ჩამოვიშალო,
და ცრემლებით მოვიწანო,
მტვერში ჩავჯდე, როგორც ნინევე,
ჩამოვრეცხო სულს ბოროტება;
მთელი ღამე არ მიძინია:
მხარზე ამომდის მხეცის ნიშანი...

* * *

ღმერთმა რომ იცის და კაცმა არა,
მე ის სიმართლე დამიცავს,
მაგრამ,
კაცთან რომ ვმალავ და ღმერთმა იცის,
რაღა დამიცავს იმ სიმართლისგან...

* * *

სამარხვო
ენაფე მას, რაც სულს არგებს
და უსურმაგი დათმე,
უსურვე შენს გულს მშვიდობა,
შუბლი გაუხსენ ნათელს.
ეძიე ლუკა, მარკოზი, იოანე და მათე,
ენაფე მას, რაც სულს არგებს
და უსურმაგი დათმე.

სიბრალულმა შემაყენა შენდობის გზაზე
და მასწავლა ჭირთა მოთმენა
და მოთელილ ყვავილთა სევდის
გავხდი მძებნელი.
სიბრალულმა სიყვარული შემადღებინა...

* * *

წავიდნენ ბაბუები და
მათ ბებიები მიჰყენენ,
მიდიან უკვე მშობლებიც,
ზევით მიიწევენ რიყე;
ჩემი ტოლებიც მიდიან,
მე ვითომ მაგრად ვდგავარ,
მეკაპასება სოფელი,
როგორც მამიდა დავარ...

* * *

არ მოუწყინო, არ მოუწყინო
სიკეთეს,
ამ დაუვიწყარ ანბანს გულისას.
არავინ უწყის, ჩამოივლის როდის
უფალი;
ქვეყნის უწყავი ლარის მქონეს
იქნებ სწყურია,
ჭიქა წყალი სურს შენი ხელით
მინოდებული...

* * *

როდის იქნება, ჩემს სახლშიაც უფლის ცხვარი
მობაკუნდება,
ჯვარს გადასახავს მის ყოველ კუნჭულს
და შესაშური სიმშვიდით იტყვის:
შორს სიღარიბე, მწუხარება,
გასწით, გადადი,
გადაიკარგეთ ამ ოჯახიდან,
დღეიდან მე ვმკვიდრდებიმასში...

* * *

უკანასკნელი ადამივით შემიკრიბავს
ყველას ცოდვები
და ყველა ცოდვის საზღაურიც ჩემთანაა —
— სნეულება ათასნაირი
(თუმცა ღვთისწიერი ვარ ვითომ ცოტა).
ყველა ჩემი წინაპარი გაცოცხლდა ჩემში
თავისი მანკით, ტანჯვით, ტკივილით;
ბაბუაჩემის მანვალებს ეშმა
და ძვლებში მტეხს ბებიჩემი;
დედაჩემის შიშები მცრიან,
ხოლო სიზმრები მამაჩემის
მტანჯავენ ძილში.
...უკანასკნელი ადამივით
მამძიმებს მინა...

* * *

თავს წამომდგომიან კერპები;
საითაც კი გავიხედავ, მათ გაყინულ მზერას ვაწყდები;
მე წარმართთა ქალაქში ვცხოვრობ;
ინამე, ინამე, თაყვანი ეცი,
დამძახიან ყოველ ცისმარე ფარისეველნი;
მე კი სიტყვის ანგელოზს ვყვარობ
და ცოცხალი ღმერთი მყავს გულში.
ამიტომაც არ მშურს კერპების,
ამ თივით გატიკნილი თოჯინების,
მხოლოდ ოდნავ მეცოდებიან,
რა ვიცი, როდის მოადენენ მინაზე ზღართანს;
თავს წამომდგომიან კერპები,
მე კი მათზე გავიმარჯვე დიდი ხანია
და მათ ვითომ ღმერთობაზე
გული მერევა
და ვიციანი, ვიციანი, ვკვდები სიცილით;
თუმცა წარმართთა ქალაქში ვცხოვრობ,
ფრთებს ვუსწორებ სიტყვის ანგელოზს
და ცოცხალი ღმერთი მყავს გულში...

* * *

ყოველი წამი მარწმუნებს შენში,
ყოველი წუთი;
ვძრწვი გაუნვრთნელ გულთა ნიაზე
და უმნეობა კარის წირთხლზე გადანოლილი,
მინამლავს ანწყოს;

პოეზია

ყოველი წუთი მიმონმებს შენზე,
ყოველი წამი,
თუმც მანაც ვწაწაწა
ჩემს წარმწყმედელ
ურწმუნობთან...

* * *

არც აბელი უკაენოდ,
არც კაენი უბელოდ,
სიყვარული უკანონო,
როგორც რაში უსაბელო.
არც კაენი უბელოდ,
არც აბელი უკაენოდ,
წინ მავალთა მისაბმელად
მოემზადეთ უკან მვლელნო.

* * *

უფალს რომ უყვარს,
მე ისეთი მათხოვარი ვარ;
ამიტომ არ შევეპუებო,
ვინც ინდომებს ჩემს
დამცირებას;
ჩემი დამცხვარი სულის პურები
მე იქითა გზაზეც მეყოფა...

* * *

ანი იძრა, ბანი იძრა,
ხე იძრა და წყალი იძრა,
ახალი დღე იბადება,
გაზაფხულმა გაიღვიძა,
ანი დადგა, ბანი დადგა,
ხე დადგა და წყალი დადგა,
გაზაფხული იზმორება,
ახალი დღე დაიბადა.

* * *

დედა ჩიტი ვარ;
ჭია-ლუა რა სათქმელია,
ბარტყებისთვის რაც მომიზიდავს:
მე მათ ფრენა უნდა ვასწავლო
და სასწაულს ცის ვაზიარო;
ბნელი სიზმრიდან
სინათლეში უნდა დავჩიტო
ჩემი სიტყვის ნატამალები
და ლექსად ქცევის
საიდუმლო ფრთებად შევაბა;
დედა ჩიტი ვარ
და საუფლო ფიქრის ძველ ანბანს
ფრთხილად ვაფარებ
მათ ჯერ უწვრთნელ
თავისუფლებას...

* * *

როგორც ორივე მხარე მონეტის,
შევადულაბე ქალი-პოეტი
ერთმანეთში და მჯერა, რომ კენტად
არასდროს ვივლი ამ ქვეყანაზე.
და სულერთია, როცა ვეცემი,
რომელი მხრით და სახით ვეცემი,
მიცეცხლავს ცხვირ-პირს ცხელი კეცივით
პირველისა თუ მეორის ბრწყინვა
თუ უპატიოდ გდება მიწაზე.

და სიკვდილამდე ვერვინ გაგყვაროს
ქალი-პოეტი, სიტყვა და პნკარი,
სიკვდილის მერეც ვერვინ გაგყვაროს,
რადგან იჭრება ერთხელ მონეტა
ორივე მხრით და, როგორც სამყარო,
იქნება ერთი აქაც და იქაც
ქალი-პოეტი, სიტყვა და პნკარი.

პირველი შთაბეჭდილება

სიახლოვე — როგორც ბედისწერა

უცნაური რამ არის ეს მოტივი. პოეტურ მოტივს ვგულისხმობთ, რალა თქმა უნდა, მთავარ თემას, აზრობრივ საფანელს, გნებავთ, კამერტონს, რომელიც ანესრიგებს და წინ უძღვის ლექსის ფორმალურ და შინაარსობრივ განვითარებას და თვითდადგინებას.

ნუნუ ჯანელიძე ის პოეტია, რომელსაც მოტივი აწერინებს ლექსს. მასთან ჯერ მოტივი მოდის და მერე იბადება სტრიქონები. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ეს პოეტური აღსარებანი, რომელთა ღირსებებს ისევ და ისევ მოტივის სიმკვეთრე, სიცხადე, სიცხოველე განსაზღვრავს. იგრძნობა ცხოველმყოფელი ძალა ნათელხილვის

ზღვართან მისული განცდებისა და შეგრძნებებისა. აქ არის სიახლოვის განცდა. სიახლოვე, როგორც მსოფლმხედველობა, როგორც ბედი, ბედისწერა, პროვიდენციული ნაკადი.

უფალთან სიახლოვის განცდა — შიში და პასუხისმგებლობა, სიცარიელე და სისავსე, არარაობა და რაობა მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული „მე“-ს შიგან სივრცეში.

სახარებისეული ფილოსოფია მსჭვალავს ნუნუ ჯანელიძის ლექსებს, მორალისტური ფლუიდები მოედინება სტრიქონებიდან, ნაცნობი ბიბლიური რეალიები ხვდება თვალს, მაგრამ ეს ისე ფაქიზად, ისეთი ტაქტით არის გაკეთებული, რომ სულაც არ ბადებს ზედმეტობის ან ხელოვნურობის განცდას, პირიქით, ყველაფერი ბუნებრივად, უშუალოდ, სინაფელის ნიშნით აღიქმება და ესეც ერთი თავისებურებაა ამ ციკლისა.

ბალსაზ ივანიძე

ანგარიში, როგორც ჩანს, მივიწყების მტვრით ისე იყო დაფარული, რომ როდესაც ჩემი თხოვნის საფუძველზე კალიფორნიის, სან ხოზეს უნივერსიტეტის მართა ჰირსლი კოქსის სახელობის ჯონ სტაინბეკის კვლევის ცენტრის თანამშრომელმა, ბატონმა სტოზ ტეცმა მოიძია და გამომიგზავნა, თან მომწერა: მიწიდან ამოთხრილ დოკუმენტს გაახლებო. მისი დიდი მადლიერი ვარ.

მართალია ამ ანგარიშში საქართველოში, კერძოდ თბილისში ყოფნის თაობაზე ძალზე მწირი ცნობებია, მაგრამ თავისთავად საბჭოთა ეპოქის შეფასება-გადაფასების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ამასთან, სამწუხაროდ, მასში საბჭოურ მენტალიტეტზე გამოთქმული მოსაზრებანი დღესაც აქტუალურია.

ჯონ სტაინბეკი

მივლინების ანგარიში

ზოგადი ანგარიში კულტურული გაცვლების პროგრამით ჰელსინკიში, სსრკ-ში, პოლონეთში, უნგრეთში, პრალა-სა და დასავლეთ ბერლინში მოგზაურობის შესახებ. მოგზაურობა [1963] 15 ოქტომბერს დაიწყო და [1963] 15 დეკემბერს დასრულდა. სხვადასხვა ვიზიტების ამსახველი თანდართული ყოველდღიური განრიგები ცხადყოფენ, რომ მათი შესრულება ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატებოდა. მასპინძლები განრიგებს ყოველთვის წინასწარ გვითანხმებდნენ, შესწორებებსაც იღებდნენ, თუმცა შემდეგ, როგორც წესი, ზუსტად იმას აკეთებდნენ, რაც თვითონ ჰქონდათ დაგეგმილი. სულ ქანცგანწყვეტილები ვიყავით. რა თქმა უნდა, თავს არ ვზოგავდით, თუმცა ზოგჯერ ვფიქრობდით, რომ ყოველივე ჩვენ ძალებს აღემატებოდა.

სსრკ-ში მოსკოვის, კიევის, ერევნის, თბილისისა და ლენინგრადის (კიევი, ერევანსა და თბილისს შეცდომით წერს: Kief, Yereran, Tblisi — ვ. ა.) მწერალთა კავშირებმა გვიმასპინძლეს. იგივე განმეორდა ვარშავაში, ბუდაპეშტსა და პრალაში. აღსანიშნავია ამ ადამიანთა უსაზღვრო სტუმართმასპინძლობა და ხელგაშლილობა. ლამის სულს გვხდიდნენ ჭამა-სმით; საჩუქრებითა და ღონისძიებებით. სსრკ-ში წინა მოგზაურობისას [sic] აღმოვაჩინე, რომ საბჭოთა ადამიანებს ყველაზე მეტად ის მოგზაურები სძულთ, მათთან დიდ ინტერესსა და თანხმობას რომ გამოხატავენ, ხოლო შინ დაბრუნებულები ყველაფერს გმობენ. განსაკუთრებით სძულთ რენეგატები — საკუთარიც და სხვებიც. მოგზაურობისას წესად ვაქციეთ შეხვედრისთანავე გვეთქვა, რაც არ მოგვწონდა. არ ვმალავდით, ამერიკელები და კაპიტალისტური სისტემის მიმდევრები რომ ვიყავით (რაც, სხვათაშორის, არ ესმით, რადგან მხოლოდ კარლ მარქსის მე-19 საუკუნის კაპიტალიზმი იცინა). [sic] ასეთმა გულახდილობამ, როგორც აღმოჩნდა, ჩვენდამი მეტი ნდობა გააჩინა. ბევრი ხმაურიანი პაექრობა გვქონდა. თითოეული მხარე მგზნებარედ იცავდა თავის შეხედულებას. ვფიქრობთ, ამ დისკუსიებით შევძელით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ეჭვები ჩავგვეწერა იმ ინფორმაციებისადმი, თავიანთი მთავრობებიდან რომ იღებენ ჩვენს შესახებ.

არ იფიქროთ, რომ ყველა დისკუსია დავას ინვევდა. ბევრ შემთხვევაში ვთანხმდებოდით, რაც ზოგჯერ მათ გაოცებასაც ინვევდა და, რაც მთავარია, აღმოვაჩინეთ, რომ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ როგორც ჩვენდამი, ასევე აშშ-ს მიმართ. ანგარიშში ყველგან უნდა განვასხვავო

სსრკ და ეგრეთწოდებული სატელიტი ქვეყნები. საბჭოთა კავშირი 46 წლისაა. იგი რუსების მიერ რუსული მთავრობის წინააღმდეგ მონყობილი რევოლუციის შედეგად შეიქმნა. საბჭოთა მოქალაქეთა სამი თაობა კომუნიზმის პირობებშია აღზრდილი. ამიტომ, რუსთან კომუნიზმზე კამათი იგივეა, რაც ჭეშმარიტ კათოლიკესთან ქალწულის მშობიარობაზე დაეჭვება. ეს მასში იმდენად ღრმადაა გამჯდარი, ეჭვიც არ უჩნდება. ახალგაზრდა დისციპლინებული საბჭოთა მწერლებიც და ისინიც, ვინც მადისციპლინებული ხელისუფლების უკმაყოფილონი და ურჩნი არიან, არ უნდა იქნან აღქმულნი, თითქოს ოდესმე არაკომუნისტები ან საბჭოთა კავშირისადმი არალოიალური გახდებიან. ამის წარმოდგენაც კი სერიოზული შეცდომა იქნებოდა.

განსხვავება, ერთი მხრივ, სსრკ-ს მოქალაქეებსა და მეორე მხრივ, პოლონელებს, ჩეხებსა და უნგრელებს შორის უპირველესად ის არის, რომ ეს უკანასკნელნი საბჭოთა ბლოკში ოც წელზე ნაკლებია რაც იმყოფებიან. მათ უმრავლესობას შეუძლია გაიხსენოს კომუნიზმამდე არსებული დროება. ამასთან, სატელიტ ხალხებს სახალხო რევოლუციები არ ჰქონიათ. კომუნისტური მთავრობები ძალით თავს მოხვეული, ზოგჯერ, ფაქტობრივად, საოკუპაციო ჯარის დანიშნულების ნითელი არმიის მხარდაჭერით არსებული ძალზე პატარა ჯგუფებია. მესამე, სატელიტი ქვეყნების ნაციონალური იდეა ძალიან ძლიერი ენერჯის მატარებელია. ნებისმიერი პოლონელი, კომუნისტი თუ არაკომუნისტი, უფრო პოლონელია, ვიდრე კომუნისტი. ამის ცოდნა საჭირო ამ ანგარიშის გასაგებად.

სატელიტები ჯერ კიდევ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა ჩაითვალოს, სადაც ხელისუფლება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებზე დგას. რასაკვირველია, ამ ძალთა უკან განვევის შემთხვევაში, ეჭვი არ მეპარება, რამდენიმე სატელიტი საბჭოურ გავლენას ძალიან სწრაფად შეცვლის ადგილობრივი მმართველობის ფორმებით. ეს იმის დასტურია, რომ პოლონელი, ჩეხი თუ უნგრელი მეამბოხე ან დისიდენტი თავისი კომუნისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგია, მაგრამ იმავე ნიშნით, ალბათ, უფრო მეტად პოლონელი ან უნგრელია. ეს მნიშვნელოვანია კულტურულ გაცვლათა პროგრამის მიზნების გასათვალისწინებლად. შეიძლება თავიც მოგაბეზროთ ან გულუბრყვილოც მოგეჩვენოთ, [sic] მაგრამ



ვრისკავ რამდენიმე სიტყვით ჩემი მოსაზრებანი დავამატო სსრკ-ს დღევანდელ მდგომარეობაზე ჩვენთვის მნიშვნელოვან ვითარებათა გათვალისწინებით.

ლენინი საბჭოთა კავშირს გარდაცვალებამდე მხოლოდ შვიდი წელი მართავდა. შემდეგ სტალინი ფლობდა ძალაუფლებას ოცდაცხრა წელი, რომლის განმავლობაში, როგორც დღეს აღიარებენ, მან მთელი ისტორიის მანძილზე არსებული ყველაზე უღმრთელი და სასტიკი დიქტატურა შექმნა. სტალინის დიქტატურა და ქმედებანი საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ, როგორც წესი, იმას არ ფიქრობენ, მარტო რომ არ მართავდა. მის ძალაუფლებას უზარმაზარი ბიუროკრატიული სისტემა იცავდა — არამარტო საიდუმლო პოლიციისა და პოლიტიკური არმიის მოხელეები, არამედ ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, მშრომელთა და ხელოვანთა კავშირების ხელმძღვანელები, გაერთიანებანი. სტალინურ გაბატონებულ კლასს მიეკუთვნება მატარებლების გამყოლებიც და ხელისუფლების ჩინოვნიკებიც. სტალინი მკვდარია, მაგრამ ხალხი, რომელიც მას ემსახურებოდა, ჯერ კიდევ ცოცხალია; თითქმის ყველა უწყებაში, გარდა უმაღლესი ორგანოსი, თანამდებობებზე ჯერაც კბილებით ჩაფრენილები არიან. ხრუშჩოვმა სტალინი დაგმო და ბერია სიკვდილით დასაჯა, მაგრამ კიდევ რომ ეცადა, უზარმაზარ ბიუროკრატის ვერ შეცვლიდა.

სტალინის მმართველობის დროს ახალი ელიტა აღიზარდა არმიაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშრომელთა და ხელოვანთა პროფესიულ კავშირებში. ეს ელიტა დღემდე არსებობს. იგი დავალებულია სტალინისაგან და არანაირი ლიბერალური ტენდენციებისა არა სწამს. ამიტომაც ხრუშჩოვს აუჩქარებელი, გონიერი მოქმედება და ძალიან ფრთხილი ნაბიჯების გადადგმა მოუხდა. მასზე ზემოქმედების კვალობაზე ხან წინ მიიწევს, ხანაც უკან. შეიძლება ითქვას, რუსეთი ორი პარტიული სისტემით იმართება: პირველი — მებრუნეუმიდან (ლენინი) და მეორე — იქვე მიმდებარე მინისტრული (სტალინი). არავინ უწყის, რომელი მათგანი მძლავრობს ამა თუ იმ მომენტში. ეს იწვევს შეშფოთებასა და გაურკვევლობას, რაც ყველგან თვალშისაცემია. ამის მიზეზია ხრუშჩოვის მხრიდან მუქარისა და დაპირების დროდადრო მონაცვლეობა. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ ჩანს უტყუარ: ოცდაცხრანობიანმა აბსოლუტურმა ტირანიამ ხალხს იმდენად დიდი ჭრილობანი და იარები დაუტოვა, რომ ხრუშჩოვის მმართველობის დროს წნეხის თანდათანობით შერბილებით გამოწვეული მოსალოდნელი ცვლილებანი საბჭოთა ხალხმა რომ ირწმუნოს, თუ მეტი არა, ერთმა თაობამ მაინც უნდა იცხოვროს ამ წნეხის გარეშე. თითქოს ყოველთვის ყურში ძველი, ცუდი დროების ექო ჩაესმით. საკუთარის, ადგილობრივის მინელების შემთხვევაში ამ ექოს გამოძახილის შესანარჩუნებლად საკმარისია მაოელთა სახელმწიფო, რომელსაც რუსეთის ფარული, მაგრამ დიდი მხარდაჭერა აქვს. ახლახან, მოულოდნელად, მთელს საბჭოთა კავშირში ჩინური პროპაგანდისტული პრესა გამოჩნდა. ეს რუსული სახელმწიფოს ძლიერი დახმარების გარეშე არ მოხდებოდა. ამგვარად, ჩანს, რომ მონოლითური სახელმწიფო აღარ არსებობს, მაგრამ არჩილი უდრეკია. საფუძველი მაქვს, რომ ეს ინფორმაცია ანგარიშში ჩავრთო. სხვადასხვა მწერალთა კავშირებში ვიზიტების დროს აღმოვაჩინე, რომ მათ სათავეში ისევ „ძველები“ დგანან. ზოგიერთი, რომელთაც 1947

წელს შევხდი, დღესაც თავის კარიერას აგრძელებს. ისინი სტალინის დროს ძალაუფლებას ფლობდნენ და არც ახლა აპირებენ მის დათმობას. ყველა მწერალთა კავშირში ვითხოვდით ახალგაზრდა მწერლებთან შეხვედრას. არ ვმაღავდით, რომ განსხვავებული აზრის მოსმენა გვსურდა. თავდაპირველად უარს გვეუბნებოდნენ, მაგრამ ჩვენი დაყინებული მოთხოვნის შემდეგ ახალგაზრდების ჯგუფი ყოველთვის „ძველებთან“ ერთად მოჰყავდათ, რომლებიც მათ გვერდით ისხდნენ. შუბლმეკრული ახალგაზრდები უარს ამბობდნენ საუბარზე, კითხვებზე არაგულწრფელად პასუხობდნენ. „ძველები“ გვარწმუნებდნენ, რომ ეს მხოლოდ მორცხვობის გამო ხდებოდა. მაგრამ იყო შემთხვევები, ახალგაზრდა მწერლებს ცალ-ცალკე და ფარულად რომ შევხვდით. ასეთ დროს ისინი სრულებით არ ამჟღავნებდნენ სიმორცხვეს. დაუზოგავად უტყვებდნენ „ძველებს“ და მთელი სიმკაცრით — დისციპლინარულ მეთოდებს. მაგრამ ღია შეკრებებზე ამის თაობაზე ლაპარაკს ვერ ბედავდნენ. აღნიშნულ ანგარიშში ახალგაზრდა მწერლების გვარებს არ ვასახელებ. მათ ამ შეხვედრებითაც სიმამაცე გამოიჩინეს. ალბათ ეს რომ გაუგონ, სიცოცხლეს არა, მაგრამ საარსებო წყაროს კი წაართმევენ — აუცილებლად.

მწამს, თუ რაიმე უბედურებამ ხელი არ შეუშალა, ეს წნეხი თანდათანობით შემსუბუქდება, მაგრამ ჯერჯერობით აშკარაა. როგორც ჩანს, ტენდენციას: ორი ნაბიჯი წინ და ერთი ნაბიჯი უკან. კულტურული გაცვლების პროგრამის მონაწილე მომავალ ამერიკელ მწერლებს ვურჩევდი, რომ მხოლოდ ახალგაზრდა მწერლებს შეხვდნენ და ესაუბრონ. თან დავამატებდი: შეძლებისდაგვარად დაიცვან მათი იდენტურობა.

გარდა ამისა, ჩემი რჩევა იქნება, მომავალ გაცვლებში ეს ახალგაზრდა მწერლები გაითვალისწინონ. დაბეჯითებით შემოიძლია ვთქვა, რომ თუკი საერთოდ ნება დართეს აქ ჩამოსვლისა, „ძველებსაც“ თანვე გამოაყოლებენ. თუნდაც ასე იყოს. აქ ჩამოსვლის შემთხვევაში ძნელი არ იქნება მათი განცალკევება მოვახერხოთ რალაც დროის მონაკვეთში მაინც და საშუალება მივცეთ, ჩვენი ქვეყანა და ხალხი საკუთარი თვალთ ნახონ. ნება მომეცით გავიმეორო — იმის გამო, რომ ახალგაზრდა საბჭოთა მწერალი მეამბოხე და გაბრაზებულია, მცდარი იქნება ვიფიქროთ, რომ სამშობლოს მოღალატეა.

პოლონეთში, პრალასა და ბუდაპეშტშიც მწერალთა კავშირის სათავეში „ძველები“ იმყოფებიან. აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც სინამდვილეში ისინი ხელისუფლებაში მყოფი უცხოური მმართველი პარტიის იარაღს წარმოადგენენ. აქ ახალგაზრდა მწერლებთან შეხვედრა ძნელი არ ყოფილა, მაგრამ მწერალთა კავშირებში იშვიათად ჩნდებოდნენ. ყველა მათგანს ამერიკაში სტუმრობის დიდი სურვილი ჰქონდა. მათი სპექტრი იცვლებოდა ნაკლებად მეამბოხეებიდან შმაგ რევოლუციონერებამდე. მათი სახელები ხელმისაწვდომი გახდება სათანადო ორგანოებისათვის შესაბამის გარემოებებში.

მივადექი ჩემს ყველაზე მნიშვნელოვან და ძნელ რეკომენდაციებს, რადგან ასეთი რამ უცხო ამერიკული აზრისათვის. ამერიკაში მწერლები და ინტელექტუალები დიდ ძალას არ წარმოადგენენ და არც მომხრეები მოეუბნებათ. ამ მიზეზით არ ძალგვიძს სათანადოდ შევაფასოთ მათი უზარმაზარი გავლენა და მდგომარეობა არა მხოლოდ სსრკ-ში, არამედ სატელიტ ქვეყნებშიც კი.

ჩვენი მთავრობის შესაბამისი სააგენტოები თვითონ უნდა გაეცნონ ამ ხალხს და გაერკვნენ მათ პოტენციაში. ამ განცხადების დამამტკიცებელ საბუთად ის გამოდგება, რომ დიქტატორული ხელისუფლება მათ მუდმივად ციხეში ამყოფებს ან სიკვდილით სჯის. მათი მისწრაფება ამერიკის შესწავლა და დამეგობრებაა. ჩვენი განზრახვაც მათი მხარდაჭერა უნდა იყოს. ერთ მეგობარ და ინფორმირებულ უნგრელ მწერალს მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია თავის ქვეყანაში, ვიდრე ერთნილიან რადიომუწყებლობას ან ტონა ბროშურას. ნებისმიერი ხელისუფლების ან მმართველობის ცვლილების შემთხვევაში მწერლები და ინტელექტუალები მენინავებებად რჩებიან.

საბჭოთა კავშირში სტუმარი, განსაკუთრებით ვინც მხოლოდ მონუმენტებისა და მუზეუმების სანახავად არ ჩადის, თანდათანობით რწმუნდება წნეხის არსებობაში, რომელიც მართალია ისეთი მოცულობით არა, ადრე რომ იყო, თუმცა ურყევია. ვეცადე ეს ჩემი მეუღლისა და ედვარდ ოლბისათვის წინასწარ ამეხსნა, მაგრამ ამის აღწერა შეუძლებელია, თვითონვე უნდა გამოსცადო. უცხოეთთან სამსახურის ნებისმიერ წევრს შეუძლია ამის თქმა, მაგრამ ახსნას მაინც ვერ შეძლებს. საქმე არა მხოლოდ ფარული მიკროფონებით განყოფილ სასტუმრო ოთახებს ეხება, თუმცა ასეა. ეს უგუნურებაა, მაგრამ მაინც სწადიან. ვაკვირდებით სასტუმროს ნომრების გამოცვლის დროს როგორი გახელებით ცვლიდნენ განათების მოწყობილობებს. როდესაც ეს იცი, მართალია უსიამოვნო, მაგრამ ნაკლებ საშიშია, რადგანაც კაცი ყველა საუბრისას ითვალისწინებს ამ „ხოჭოებს“, მეტიც, მომსახურების თაობაზე საყვედურების გამოსათქმელადაც იყენებს. ნამდვილად ძნელია თავი შეიკავო „ხოჭო“ არ მოშალო იმ მოლოდინით, რომ ეს მოსმენებით დაკავებული ასობით ადამიანის დასაქმებას გამოიწვევს. მოგზაურობისას გარკვეული დროის შემდეგ და თარჯიმანის მიმართ ნდობა გიჩნდება. ისინი თავიანთი, კომპეტენტურები არიან. გიმეგობრდებიან. ამიტომ ძნელი გასაგებია, მეგობრებმა ჩვენზე მუდმივი ანგარიშები როგორ უნდა წარადგინონ — მაგრამ ვალდებულნი არიან და აკეთებენ. კიდევ ერთი ზემოქმედება სანერ მაგიდაზე დატოვებული პირადი საბუთებია. მცირე ხანში პატარა ხაფანგები იგება — ფანქრის მკრთალი ხაზები, განონასწორებული წიგნი — ყველანაირი პატარა ხრიკი იმის გასაგებად, დოკუმენტები წაკითხული იქნა თუ არა. და, რა თქმა უნდა, ყოველთვის კითხულობდნენ. ქუჩაში სიარულის დროს შეუმჩნევლად, მაგრამ, როგორც წესი, ვითვალთვალევენ ან, სულ ცოტა, გაკვირდებიან. წნეხი 47 წელთან შედარებით ნაკლებია, თუმცა ვინც ქვეყანაში პირველად, მათ მიმართ მაინც განსაკუთრებულია. ალბათ, ყველაზე დიდ დამთრგუნველ ზეგავლენას იწვევს იმის გაცნობიერება, რომ ადამიანებს, რომლებთანაც მოცალეობის ფაქტს ურთიერთობ, წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რაც ჩვენ ვიცით გარე სამყაროზე: მათი ცოდნა სავსებით განსხვავებულია, იციან მხოლოდ ის, რაც უთხრეს ან არ უთხრეს.

1936 წელს, სსრკ-ს პირველად რომ ვესტუმრე, მაცნობეს, ფორდის ქარხანაში მუშები მანქანებზე მიჯაჭვულები ყოფილანო.

„არ არის ეგ მართალი“, — ვიუარე.

„რივერ რუშზე თუ ყოფილხარ?“

„არა“ — ვუპასუხე.

„აბა საიდან იცით, მართალია თუ არა?“

როდესაც ვახსენეთ, თავმჯდომარე (სკკპ გენერალური მდივანი — ვ.ა.) ხრუშჩოვმა როგორ აბრაზუნა ფეხსაცმენით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აღმოვაჩინეთ, რომ ამის შესახებ არაფერი სმენოდათ, ამიტომაც ეს არ იყო მართალი, არ შეიძლებოდა მართალი ყოფილიყო. ლენინგრადში ბერლინის კედელზე როცა ვსაუბრობდით, გვითხრეს, აღმოსავლეთ ბერლინის პოლიციას არასოდეს არავინ მოუკლავსო. მკვლელები დასავლეთ ბერლინელები იყვნენ; პატრიოტი აღმოსავლეთ ბერლინელი მუშების მიერ კედელი იმისთვის აშენდა, რათა თავი ჯაშუშებისაგან დაეცვათ.

„არც ერთი სიმართლეს არ შეეფერება“ — ვთქვით.

არა, მართალიაო. შეგვიძლია ფილმებიც გაჩვენოთ. და გვიჩვენებდნენ ფილმებს, რომელთა მიხედვითაც: 1956 წლის უნგრული ამბოხი ფაშისტთა მიერ იყო მოწყობილი და მკვლელობები ფაშისტების მიერ ციხეებიდან გამოშვებულმა მხეცებმა [10000] ჩაიდინეს“.

„ეს არ არის მართალი“.

„მართალია“.

შემდეგ შეგიძლია განწირული ხმით უარყო და ასეთივე პასუხი მიიღო ან დუმილი არჩიო. დუმილი კიდევ თანხმობის ნიშანია. სევდა გიპყრობს და ითრგუნები, რადგან ამის გამო ადამიანები, რომელთაც ესაუბრები, იჯერებენ საკუთარ ნათქვამს. მათ ასე უთხრეს. ეს არის ის, რასაც მათი გაზეთები ბეჭდავენ და ეკრანზე უჩვენებენ.

ჩვენი საელჩოს თარჯიმანი ვითხოვე და პიტერ ბრიჯისი, მეორე მდივანი მოავლინეს — ბრწყინვალე ახალგაზრდა კაცი, რომელიც არამარტო თავისუფლად საუბრობდა რუსულად, არამედ რუსეთის ისტორიისა და ლიტერატურის დიდებული მცოდნე აღმოჩნდა. დახმარება ორივეში მჭირდებოდა. განუზომელი იყო მისი დახმარება. როგორც იცით, ჩვენს დიპლომატებს მოსკოვის დატოვების უფლება არ აძლევენ. პიტერს ნება დართეს კიევიში გამოემყოლოდა. მას ყველგან მოწონებით ხვდებოდნენ და ეპატიჟებოდნენ. „რატომ არ გვსტუმრობენ ამერიკელი დიპლომატები?“

შეზღუდვების თაობაზე არაფერი იცოდნენ. მომდევნო ხანმოკლე შეჩერება ერევანში, სომხეთში გვექონდა. მეგონა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო თანახმა იყო, მაგრამ აქ გამომიჭირეს. ბრიჯისი ერევანში ვერ მოდიოდა. სომხეთში ჩემს დასახვედრად დიდი სამზადისი ჰქონდათ გაჩაღებული. ზემოქმედების გათამაშება ვცადე; ტელეგრაფით დაუუკავშირდი ჩვენს საელჩოს მოსკოვში. „გთხოვთ მწერალთა კავშირს ერევანში უდევსო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევის გამო მოწვევის მიღებას ვერ შევძლებ.“ პიტერზე ნებართვა უფრო ადრე მოვიდა, ვიდრე ადრესატს დეპეშა ჩაბარდა. ვესტუმრეთ სომხეთს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს რაუნდი მოუუგე. ახლა მათი ჯერი დადგა.

ვერარაულობდით თბილისში, საქართველოში მანქანით, მთების გავლით ჩავიდოდით. გვაცნობეს, რომ ბრიჯისი მანქანით ვერ წამოვიდოდა, უნდა გადაფრენილიყო. ამიტომ კვლავ გავაგზავნე დეპეშა. „გთხოვთ ჩემს მეგობრებს თბილისში გადასცეთ, რომ მე არ შემიძლია და ა.შ.“ ბოლომდე ვერ გავიტანე. თბილისში ღამის მატარებლით გავკამგზავრეს. პიტერ ბრიჯისმა აქაც მოწონება დაიმსახურა და

მონვევა ცილო სამომავლოდ. ეს სურვილი ერთ საღამოს წვეულებაზე მის მიმართ წარმოთქმულ სადღეგრძელოში გამოხატეს. მან სამადლობელო სადღეგრძელოში თქვა:

„ძალიან დიდი სურვილი მაქვს ისევ გესტუმროთ. ვი-სურვებდი ჩემთვის საყვარელ ორ ადამიანთან — მეუღლე-სა და ელჩთან — ერთად ჩამოსვლას.“

თანხმობის შეძახილები გაისმა:

„ჩამოიყვანე! ჩამოიყვანე!“

არ იცოდნენ, რომ ელჩი ვერ ჩამოვიდოდა.

ჯამში ქულანახევარი მქონდა. მაგრამ ვიცოდი, რომ თა-მამი ამით არ დამთავრდებოდა. როცა თბილისიდან მოს-კოვეში შავი ზღვის თავზე მიფრინავდით, ისეთ ადგილზე ვიჯექით, მიჯრით ოთხი რიგი ილუმინატორთა გარეშე იყო. რიგის შეცვლა ვცადეთ, მაგრამ ისევ უკან გადაგვსევს. და-ძაბულობა მატულობდა. პიტერი ლენინგრადშიც გვახლდა, რადგან იქ დიპლომატებს არ ეკრძალებათ ჩასვლა. მაგრამ სხვა შეხვედრებიდან აშკარად ამოიღეს. როდესაც საყვე-დური გამოვთქვი, მითხრეს — „განა შეგვიძლია თქვენს მასპინძლებს ვუკარნახოთ, ვინ დაპატიჟონ და ვინ არა?“ ფარდისმაგვარი რაღაც ჩამოეშვა. საგარეო საქმეთა სამი-ნისტრომ ბოლო ფსონი მოიგო. იმ ადამიანებისათვის, რომელთაც უთხრეს, არ მოინვიოთ, არ უთქვამთ, თუ რატომ. ამგვარია წნეხი, რომლის გადალახვა თანდათანობით ხდე-ბა. არადა მსგავსი რამის ახსნა შეუძლებელია. საგარეო საქ-მეთა სამინისტრო არ შეცვლილა. მისი ბინადრები სტალი-ნის დროინდელი ჩინოვნიკებია.

უგუნური შეზღუდვებია გადაადგილებაზე, რაც რუ-სეთში ქვეყნის 75%-ზე ვრცელდება. უსაფრთხოებასთან ამას ნაკლები ან საერთოდ არანაირი კავშირი არა აქვს. სა-პასუხოდ ამერიკის დიდ ნაწილში ასეთი შეზღუდვები მო-იხსნა. უმნიფრობაა. შეზღუდვები — გარდა სამხედრო ზონებისა — უნდა მოიხსნას. თუ ბაღლობა არ დავძლიეთ, ბაღლურ ქცევებს ვერ მოვიძლით. შეზღუდვების გამო ვხდებით ისეთები, როგორც რუსები გვახსიათებენ. ავდგეთ და გავაუქმოთ. თუ მოვიგებთ, თორემ წაგებით არაფერს წავაგებთ. ასეთი შეზღუდვების მოცილება დიდ გამარჯვებას მოგვითმის, რადგან ინფორმაცია აქაც ჩამო-აღწევს.

სსრკ-ში ჩვენს პროგრამაში, როგორც ნესი, შედიოდა შეხვედრები მწერალთა კავშირებში, პრესასთან, სტუდენ-ტებთან, მწერლებთან, ასევე ექსკურსიები და დათვალიე-რება ბინათმშენებლობებისა — ირგვლივ ათასობით რომ შენდებდა. გადანყვეტილი მქონდა არ მესაუბრა, ნებისმიერ საკითხზე კი მეპაუქვა ყველასთან. თუმცა გინდ სამოც-დათხუთმედი კაცს შეხვედროდი, გინდ ხუთასს, პაუქრობა არ იმართებოდა. ვიჯექი ბუზივით მიჭიკარტებული. კითხ-ვები იყო ფრთხილი და ეხებოდა ლიტერატურას. როგორ წერთ? რომელი რუსი მწერალი მოგწონთ? რომელია თქვე-ნი საუკეთესო ნიგნი? ყველაფერს ვაკეთებდი დისკუსიის წამოწყებისათვის. ძალისხმევას არ ვაკლებდი გვეკამათა რასობრივი პრობლემებისა და დისციპლინებული ახალგაზ-რდა რუსი მწერლების თაობაზე. დისკუსიები მხოლოდ მცი-რერიცხოვან აუდიტორიაში ხდებოდა შესაძლებელი. დიდ თავყრილობათა მონაწილენი სტატისტიკების როლში გამო-დიოდნენ, თვალეში ფრთხილი ცხოველივით მამტერდე-ბოდნენ. კულტურულ გაცვლებზე მომუშავეებს ვურჩევდი, მცირე ჯგუფებთან შეხვედრებს მიადნიონ. იმედი მაქვს ასე

შეძლებენ წარმატებას. როგორც ჩანს, რაღაც გარკვეული მასა რუსებში დუმილს იწვევს. არა მგონია შიშს, არამედ — დუმილს. შეიძლება ეს კიდევ ერთი ექოა.

ერთი რამის შესრულება კი შევძელით. გვითხრეს კი-დეც, გამოგვივითო, და მეც ასე მწამს. მოვახერხეთ ახალგაზრდა მწერლები მოგვეწვია. საელჩოს მიერ ორგა-ნიზებულ წვეულებებზე მონვევა ვინც კი მიიღო, ყველა მოვიდა. დახვენილი, თავდადებული და ინფორმირებულ ადამიანთა ჯგუფი გვეწვია. ახალგაზრდა მწერლები არა-თუ პირველად მოვიდნენ, არამედ დარჩნენ კიდევ, ლექსე-ბი წარმოთქვეს, იკამათეს, იცეკვეს. მათ მოსწონთ ჩვენი ხალხი და აქამდე მათთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ჰქონიათ. ალბათ, ეს ცოტაოდენი დათბობაა. მართალია, ეჭვგარეშეა, დათბობა დაინყო, მაგრამ დნობამდე ჯერ შორსაა. თუ საბჭოთა ახალგაზრდა მწერლები და ინტე-ლექტულები გაიცნობენ და დაუმეგობრდებიან ჩვენ ხალხს, დიდი მოგება იქნება. ახალგაზრდა პოეტი, რომელ-მაც ადრე მითხრა, კაპიტალისტი იმპერიალისტი მკვლელებ-თან ურთიერთობით არ გავისვრებიო, წვეულებაზე მოვი-და, მშვენიერი დრო გაატარა და დილის ოთხ საათამდეც დარჩა. საჭიროა კაშხალი მხოლოდ გაიბზაროს და თანაც ორივე მხრიდან. მათი ხალხი როცა ჩამოვა, უნდა დავა-ცალკევოთ; მარტონი ვაუშვით სახეტილოდ ან წავიყვა-ნოთ პატარა წვეულებებზე, სანახაობებზე, სადაც შეძლე-ბენ საუბარსაც და მოსმენასაც. დაე ნახონ კარგიც და ცუ-დიც. ჩვენს კარგს ამის შემდეგ ირწმუნებენ.

შინ დაბრუნებულები თვითონ ილაპარაკებენ კონკრე-ტულად, თუ ასეთს აღმოაჩენენ. მართული ექსკურსიებისა მსოფლიოში არავის სჯერა. რა თქმა უნდა, ყველას სურს თა-ვი საუკეთესო მხრიდან დავგანახოს. ჩვენც იგივე გვწადია. თუმცა რწმენა ასე არ იბადება. ემპაიარ სთვით ბილდინგის შემდეგ ჰარლემში უნდა გაიარო. უნდა წავიდნენ ბერმინ-ჰემში, ნახონ ეკლესია, რომელიც დაიბომბა და ხელმეორედ აშენდა. უნდა დაასწრო სასამართლო პროცესს და მუნიცი-პალიტეტის სხდომას, ათევეზაო დაქირავებული სათევეზაო ნავით, ნაიყვანო ბეისბოლის თამაშზე და ანახო არჩევნები პატარა ქალაქში. თან უნდა გავაყოლოთ სახანძრო რაზმს ან ღამით პოლიციელებს რადიოთი აღჭურვილი მანქანებით. სსრკ-ში მთელი თვე მხოლოდ ერთი გამოსასვლელი დღე გვექონდა და ისიც აუცილებლობით გამოწვეული, რადგანაც ლენინგრადის სავადმყოფოში გავატარე, სადაც გლუკოზა და ვიტამინები მიშხაპუნეს და ორკვირიანი დასვენება მირ-ჩიეს. ასე ავადმყოფურად გადამღელე პროგრამებს დიდი კატეგორიულობით ვერ ვაპროტესტებდით. ძალისხმევას არ ვაკლებდით, მაგრამ იძულებული ვარ ვაღიარო, რომ ჩვენი ქმედითუნარიანობა შეუმწნეველად უარესდებოდა რაღაც შეფარული გადაღლილობით. ეს ყოველდღე დილიდან გვიან ღამემდე გრძელდებოდა. რა თქმა უნდა ძნელია, 61 წლისა ვარ, თითქმის 62-ის, თუმცა ედვარდ ოლბი 33 წლისაა და ისიც ჩემსავით იქანცებოდა. დაძაბულობას პლუს მუდმივი ზემოქმედება, პლუს ჭამა-სმა, რაზედაც უარს ვერ ვიტყო-დით, ყველაფრის თარჯიმნის დახმარებით მოსმენა, რაც გა-უგებრობას იწვევდა, რადგან აზრი უმეტესწილად თარჯიმან-ში იბლანდებოდა.

იმის გამო, რომ ჩემი რამდენიმე ნიგნი ჰქონდათ თარგ-მნილი, მალე აღმოვჩნდით გამოცემლობაში. გამოცემ-ლობები უცხოელ ავტორთა ნებისმიერ ნიგნს ისე ირჩევენ,

არც ატყობინებენ და არც ჰკითხავენ უხდიან. მთელი შტატიტ გარშემოტყმულ გამომცემელს არაყითა და შოკოლადებით განყოფილი გრძელი მაგიდა გაეშალა. ჩემი წიგნი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ 300 000 ტირაჟით გამოუქვეყნებია და მითხრა, მთელი ტირაჟი ერთ კვირაში გაიყიდაო. მცირე საზეიმო რიტუალის შემდეგ ბულალტერი მოიწვია და მომმართა: ვალდებული არა ვარ, მაგრამ 1000 რუბლს დიდსულოვნად გჩუქნისო.

მგონი, განრისხებისაგან თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი: „თუ ეს ჰონორარია, ყველაზე დაბალი ნიხრით 0,625 პროცენტი მეკუთვნის. თუ ქრთამია, შეურაცხმყოფელია, და რაც შეეხება დიდსულოვნებას, როგორ შეიძლება კაცი, რომელმაც ქონება მომპარა, დიდსულოვანი იყოს-მეთქი?“

„კაცი, რომელმაც ქონება მომპარა, დიდსულოვანია?“

„აჰ! ჩვენი კერძო საკუთრება არა გვაქვს“ — მიპასუხა.

„არა, მაგრამ წიგნებს ყიდით. ერთ ეგზეპლარს 90 კაპიკად აფასებთ. წიგნები მყიდველებს ეკუთვნით?“

„თქვენ არ გესმით“.

„ოღონდაც, რომ მესმის, ჩემს მოქრთამვას თუ იმიტომ ცდილობთ, რომ მოპარულ ქონებაზე დაგვუჭოთ თვალი, ქრთამიც წონადი უნდა იყოს.“

„უცხოელი მწერლებისათვის ჰონორარის გადახდა ჩვენს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება“ — მითხრა.

„მერე შეცვალეთ კანონი — თქვენი შექმნილი არ არის? უცხოელ კომუნისტ მწერლებს ხომ უხდით ჰონორარს?“

წრეზე ვიტრიალეთ და ვერაფერს მივალნიე. ვფიქრობ, ჩემი 15 წიგნი რუსეთში გამოქვეყნებული. არცერთი სხვა გამომცემელი სათოფეზეც არ გამკარებია და არც მე მივსულვარ მათთან. შეიძლება მეიძულებინა და მათი დიდსულოვნებიდან რუბლები გამომერთმია, მაგრამ ეს ფული არ მჭირდება, რადგან შინ ვერ წავიღებდი, არც დრო მქონდა, საჭიროებისა და სურვილის მიხედვით დამეხარჯა. ბოლოს 1000 რუბლი თითქმის სრულად დავუბრუნე უკან. ეს ფული თან არ წამომიღია და არც გამოყენება მივიქრია.

წლების წინათ, ადლამ სტივენსონი მოსკოვს როცა სტუმრობდა, ავტორთა ლიგის რწმუნებით ალჭურვილმა ნიადაგი მოსინჯა, აპირებდა თუ არა რუსეთი საავტორო უფლებათა ლიგაში გაერთიანებას. დაბრუნების შემდეგ ამბავი ვკითხე.

„ვერაფერს მივალნიე“ — მიპასუხა.

ჩემთვის ნათელი იყო, რუსეთის გამომცემლები საავტორო უფლებათა ვერცერთი კონვენციიდან, გარდა ზედმეტი ბულალტერიისა და მწერლების მხრიდან ზედამხედველობისა, ვერაფერს იხიერებდნენ; არადა ამის გარეშე უჰონორაროდ დარჩებიან. ნებისმიერ წიგნს ხომ თავისი სურვილის მიხედვით ირჩევენ, თარგმნიან როგორც სურთ და ბეჭდავენ იმდენი ტირაჟით, რამდენიც სურთ. გაყიდვის პრობლემა არა აქვთ, რადგან რუსეთში გამომცემელი თითქმის ნებისმიერი წიგნი უმალ იყიდება, უცხოური სათაურებით — კიდევ უფრო სწრაფად. რუსი გამომცემლისათვის საავტორო ლიგა სათნობას სრულებით არ წარმოადგენს.

ცოტა ხანში დიპლომატია შეეცვალა, ვცაღე ორივე მხრიდან სიხარბის გრძობა გამეაქტიურებინა. ვფიქრობდი, რუს მწერლებს დავაინტერესებდი, რადგან ყველანაირად მოგებულნი დარჩებოდნენ და არაფერს იზარალებდნენ. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა საავტორო უფლების

საკითხი იყო. თემა უცვლელად იწყებოდა შეკითხვით — „შეერთებულ შტატებში რატომ გამოდის ასე ცოტა რუსული წიგნი?“ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის, რომ სსრკ უარს ამბობს ხელი მოაწეროს რაიმე სახის საავტორო უფლებათა ხელშეკრულებას, რის გამოც ამერიკელ გამომცემელთა მიერ განუულ ხარჯებზე გარანტიები არ არსებობს. თუ რუსეთი საავტორო უფლებათა ხელშეკრულებას მოაწერს ხელს, არა მარტო მეტი წიგნი დაიბეჭდება, არამედ მყარი ვალუტა ჰონორარის სახით გაეგზავნებათ ან პროცენტების სახით დაერიცხებათ ანგარიშზე. ეს საშუალებას მისცემთ, უფრო თავისუფლად იმოგზაურონ, რაც, მათივე თქმით, თვითულის სურვილია.

მწერალთა კავშირებში ეს თემა ყოველთვის მღელვარებას იწვევდა. ამბობდნენ „გამომცემა ჩვენი საქმე არ არის. ეს ცალკე წარმოებაა“.

„გასაგებია, მაგრამ უნდა გეკუთვნოდეთ, რადგან თქვენ ერთადერთი მწარმოებლები ხართ იმ პროდუქტისა, რითაც გამომცემლები არსებობენ.“

ეს ასეც არის. გამომცემლობისა და მწერლის განცალკევება პარტიასა და მთავრობას საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს მწერალთა კავშირებს და ტორი დაადოს იმპორტ-ექსპორტს. ამასთან ერთად, საავტორო კონვენცია სარგებელს მხოლოდ მწერალს მოუტანს. დასასრულს, ამ ქვეყანაში პარტიას ყველაზე ნაკლებად სურს ეს კონვენცია, რადგან იგი მწერლებისათვის საბჭოთა კავშირის გარედან შემოსავლის წყარო გახდება.

თანდართული გრაფიკებიდან ჩანს, რომ შეეხვდით მწერლებს, პოეტებს, პრესის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს. ერთადერთი გადახვევა ამ გეგმიდან ალექსეი აჯუბეისთან „იზვესტიაში“ სტუმრობა იყო. სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ლანჩი გაიმართა, თან დამათვალეერებინეს კომბინატი, სადაც იბეჭდება გაზეთი 8000000 ხელმომწერისათვის, და რიგში მყოფი მომავალ ხელმომწერთა სია მაჩვენეს. ალექსეი აჯუბეიმ ჯერ მოკლე ლექცია წამიკითხა, თუ როგორ უპირისპირდება კომუნისში კაპიტალიზმს და რომ ამ დაპირისპირებაში პირველი ჯაბნის მეორეს. რა უნდა გვექნა, მასპინძელი იყო და მოვუსმინეთ. შემდეგ სარედაქციო კოლეგიასთან, ბარაქიან ოფიციალურ საუბრეზე, დისკუსია წამოიჭრა, რომელიც მოგვიანებით „იზვესტიაში“ დაიბეჭდა, როგორც ჩემგან ჩამორთმეული ინტერვიუ. ვფიქრობ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩემი ნათქვამი ზუსტად იყო დამოწმებული. მომყავს ერთ-ერთი გამონაკლისი მაგალითისთვის:

მე: „მძულს ის კოროზიული ეფექტი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში განფენილი შიშის ატმოსფეროს იწვევს“.

„იზვესტია“: „მძულს ის კოროზიული ეფექტი, რომელიც განფენილი შიშის ატმოსფეროს იწვევს, რაც დღეს ამერიკამ თავს მოახვია მსოფლიოს“.

მგონია, ზოგჯერ საკუთარი თავისაც ვერაფერი გაუგიათ.

„იზვესტიას“ დაბეჭდილი ჰქონდა ჩემი მოთხრობა, ამიტომ აჯუბეიმ მაჯის საათი მაჩუქა. მაგრამ გასამრჯელოდ თუ ქრთამად, არ ვიცი.

არა მგონია, ეს როგორც განზოგადებული რეკომენდაცია, ისე შემოიღია მოგანოდოთ თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც მეუღლეს ვთხოვე, ამ მოგზაურობაში თან გამომყოლოდა. მისი

მგზავრობის საფასური ნაღდი ფულით დეპარტამენტს გადაუხადე, რათა ყველა შესაძლებელი კითხვა გამორიცხულიყო. საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს მათი მოწვევით როცა ვესტუმრეთ, მასპინძლებს შევთავაზე, რადგან მეუღლეს ოფიციალური მოწვევა არ ჰქონდა და ჩემთან ერთად მოგზაურობდა, მსურდა მისი ხარჯები მევე დამეფარა. თხოვნა თავიანთი ღირსების შეურაცხყოფად მიიღეს და უარი მითხრეს: ისიც ჩვენი სტუმარია და რომ ეს ასეა, თვითონვე დაინახავსო. ასე რომ, ერთადერთი გახარჯული თანხა მეუღლის აქეთ-იქეთ მგზავრობისათვის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გადახდილი საფასური აღმოჩნდა.

ყველა სხვა შემთხვევაში მეუღლის სატრანსპორტო ხარჯებზე ჩვენი მასპინძლები ზრუნავდნენ. ჩემთან მისი ყოფნა მოგზაურობას სავსებით სხვა განზომილებას ანიჭებდა. აღმოჩნდა, რომ მწერლის ცოლებს განსაკუთრებული თვისებები აქვთ, რადგანაც უიმისოდ ასეთი ახლო ურთიერთობები, როგორც შეხვედრების დროს ჩამოგვიყალიბდა, არ შეიქმნებოდა. მას დამეგობრების ხალასი ნიჭიც აღმოაჩნდა. მეორე, რაც გასათვალისწინებელია, მეუღლის ჩემთან ყოფნამ შეუძლებელი გახადა იმ პატარა საზიზღარი ძველი ხრიკების „ქალბატონი-რადიოსალოკაციო სადგური და/ან ფოტოგრაფი ჰომოსექსუალისტი“ (mickeycumdame and/or homosexualcumphotograph — ვფიქრობ სტაინბეკის მიერ შექმნილი კომპოზიტებია — ვ. ა.) გამოყენება და დღის წესრიგიდან ამოიღეს. ასევე შეამცირა ხარჯები ლოთობისათვის, ხოლო შეურაცხყოფის მიყენება, ხულიგნობა და უხეშობა გამოირიცხა. გარდა ამისა, ჩემი მეუღლე ყველანაირი ცნობების, სიებისა და შეხვედრების ჩანაწერებს აკეთებდა, ზრუნავდა ჩემს სისუფთავეზე, მირეცხავდა პერანგებს და ამასთან დიპლომატიურ საქმიანობაშიც მჯობნიდა. მეორე თხოვნა ედვარდ ოლბის ჩემთან ერთად წამოსვლა იყო. იგი ისეთი ნიჭიერი, გამჭრიახი და უაღრესად ინფორმირებულია, რომ, ვფიქრობ, ჩვენს მოგზაურობას დამატებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აზრი შესძინა. იგი ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანია, ვისაც ოდესმე შეხვედრივარ.

ჩვენი თანამშრომლობა ისეთი ურთიერთშენწყობილი გამოდგა, რომ ვიზიტის დასასრულისკენ მასპინძლები გვაცალკევებდნენ. ვფიქრობ, „ძველები“ მიხვდნენ, რომ ერთად ძალიან ეფექტურები ვიყავით. მ-რ ოლბის გამოსვლები ახალგაზრდების წინაშე ძლიერი მოწოდებებით გამოირჩეოდა. მის შესახებ იცოდნენ და ზოგიერთს ოლბის პიესებიც ჰქონდა ნაკითხული, მაგრამ მან შეძლო უამრავი ახალგაზრდა ამერიკელი მწერლის სათქმელი მიეტანა მათთან. იგი ძალიან დაგვეხმარა ახალგაზრდებთან ურთიერთობის გაბმვაში, რაც ხშირად საბჭოთა მწერლებს აფრთხოვდათ. დაბოლოს, სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ამ მოგზაურობის შედეგად ედვარდ ოლბიმ საკუთარ ფიგურას დიდი წონა შესძინა. რკინის ფარდის მიღმა მხოლოდ ასეთი მოვალეობის გრძნობით აღვსილი ტურნეს შემდეგ შეუძლია ამერიკელს თავისი მემკვიდრეობის შეცნობა. მოვლენები, რომლებიც აქ თითქოსდა თავისთავად აღიქმება, სამშობლოში გამორჩეულობას იძენს. ვვარაუდობ, ამ მოგზაურობის შედეგები მალე აისახება მის პიესებში.

სსრკ-ში, როგორც აღმოჩნდა, ნებისმიერი თავყრილობის დროს იყო თემები, რომლებიც დიდ გაღიზიანებას იწვევდა.

ერთ-ერთი გახლდათ ჩინეთი, მეორე — ყამირი მიწები. ზოგჯერ კუბის საკითხს, თითქოს ნემსიაო, ეშმაკურად შემოაცურებდნენ. უდავოა, მშვიდობის შენარჩუნება თავმჯდომარე ხრუშჩოვის დამსახურებაა. ჩვენი პოზიცია იყო — მივსალმობოდით თავმჯდომარის მოსაზრებებსა და მის ზუსტ შეფასებას ნახევარსფეროში ძალადობის იარაღის განთავსების სერიოზულობის თაობაზე. ჩემი შეტყობით, საბჭოთა მოქალაქეები მართალია კუბის ამბებით თავმოებურებულნი არიან, მაგრამ ასევე მათი უმრავლესობა უგულოდ ან მოჩვენებითად იკვლევს თავიანთი ხელისუფლების საქმიანობას. საბოლოოდ რომ შევაჯამოთ — ეს ძალიან ჩახლართული ამბავია და ჩვენი საქმე ნამდვილად არც არის.

ხალხმრავალი შეკრებების დროს ხშირად სვამდნენ კითხვას: „ამერიკელებს სწამთ თუ არა მშვიდობიანი თანაარსებობა?“ — ვპასუხობდი, რომ ჩვენ მტკიცედ გვქონდა გადამწყვეტილი არსებობა და გაგვიხარებოდა მათთან თანაარსებობა, მაგრამ თუ მათი არსებობა ნიშნავდა ჩვენს გაქრობას, ასეთ შემთხვევაში დარწმუნებულები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ვერავინ იარსებებდა. და ჩვეულებრივ ამის შემდეგ თემა იხურებოდა.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ ამ ანგარიშში არ შესულა. არ ვიცი, საერთოდ რაიმეს თუ მივალნიეთ, მაგრამ, ვფიქრობ, ალბათ გარკვეული შთაბეჭდილება დავტოვეთ იმის თაობაზე, რომ ჩვენი დასამარება ადვილი არაა, რომ ამერიკა არც ისეთი ურჩხულია, როგორც ხატავენ, რომ მთელ რიგ საკითხებში დეზინფორმირებულნი არიან.

ასევე, ზოგიერთი გამოწკარისის გარდა, ხალხი, რომელთაც შეეხვდით და ვესაუბრეთ, მოგვეწონა და, ვფიქრობთ, მათაც მოგვეწონეთ. უმეტესად ცდილობდით მათი ცნობისმოყვარეობა იმ ამერიკისადმი გამოგვეწვია, როგორც ის სინამდვილეშია. ამას ვაკეთებდით არა ტრახბითა და დროის ფრიალით, არამედ მთელი გულწრფელობით ვკამათობდით. ყოველთვის ვამბობდი, რომ შემძლია გავეყო ხალხს წარუმატებლობა, როცა მის გამოსწორებას ცდილობენ, ვიდრე იმათ მემკვიდრეებს, რომლებიც ამ მარცხს ხალიჩის ქვეშ ჩურთავენ. კითხვაზე, თუ რატომ ვაკრიტიკებ ასე მწვავედ ჩემს ქვეყანას საკუთარ წიგნებში, ვპასუხობდი: „იმიტომ, რომ მიყვარს. მისი ბედი რომ არ მანუხებდეს, არც გავაკრიტიკებდი.“ მთლიანობაში ძალიანზე საინტერესო კითხვები მოვისმინეთ. უფრო საინტერესო კი ალბათ ის დაუსმელი კითხვები იქნებოდა.

1963 წლის 15 ნოემბერს მოსკოვი დავტოვეთ და ვარშავაში გავფრინდით. ანგარიშში განზრახ არ ვახსენებ პროფესორ ბარგჰორნს, რადგან მასზე სხვაგანაც ამომწურავადაა ნათქვამი. მოსკოვში დიდი სიამაყის გრძნობით ალგავსო ჩვენი საგარეო სამსახურის ხალხმა. ისინი ერთგულნი, გონიერნი, ინფორმირებულნი და დაუჯერებლად მომთმენნი არიან. ჩემი აზრით, თავიანთ მეუღლეებთან ერთად, განსაკუთრებით პატივსაცემნი არიან ასეთ ძალიან მძიმე და გამაღიზიანებელ ვითარებაში ერისათვის განეული სამსახურისათვის. მიკვირს, სალი აზრი-გონება კიდევ რომ შერჩენიათ. ამით, ზოგიერთი წვრილმანის გამოკლებით, ახლახან სსრკ-ში „კულტურისგამჩაღებლის“ რანგში (culturemonger — ვვარაუდობ, ეს კომპოზიტიც სტაინბეკის შექმნილია warmonger — ომის გამჩაღებელის ანალოგიით) განეული საქმიანობის შესახებ კომენტარებს

გამთავრებ.

უდავოა, კულტურულ გაცვლებში ბევრი რამ გასაუმჯობესებელია. ვფიქრობ, საქმეს გაცილებით გააადვილებს ლექციების პატარა ციკლის შემოღება. მცდელობა იმისა, რომ სადისკუსიო თემატიკა მუდამ ახალი და თანამედროვე ყოფილიყო, საკმაოდ დამქანცველი აღმოჩნდა. ერთთვის ვადა ძალზე გრძელი და დაწურული გამოვიდა. ალბათ, ეს საქმიანობა გაადვილდება, როცა რუტინული გახდება. ჩემი შეხედულებით, მონაწილე ადამიანთა ხარისხობრივი დონე რაც შეიძლება მაღალი უნდა იყოს. იდეა, როგორც მესმის, ისაა, ასწავლო და თან ისწავლო. საბჭოთა მენტალიტეტისათვის შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ინდივიდმა მთავრობისაგან დამოუკიდებლად იმოქმედოს, იაზროვნოს ან შექმნას. ვფიქრობ, განუწყვეტლივ თან მდევდა აზრი, რომ რაღაცას ვაცნობიერებდი. ძალიან დამლელია, როცა, როგორც ამერიკის წარმომადგენელი, მუდამ ვილაცის თვალთვალს და თან ყოველნუთიერ პატივისცემას გრძნობ. ეს შეიძლება ერთგვარად კარგიც იყოს, მაგრამ ამავე დროს ძალიან მოქანცველია. ეს თავაშვებული თვალთვალის შესაძლებლობასაც ამცირებს. იმ პირებს, რომლებიც კულტურული გაცვლების ახალ ხელშეკრულებაზე მუშაობენ, ვურჩევდი, რომ თითოეულმა ქვეყანამ ჯა-შუშობაზე დასაბუთებულ ნორმათა პაკეტი ჩამოაყალიბოს. თუ ეს ნორმები ნათელი და მისაწვდომი გახდება, ასეთი მუდმივი ზემოქმედება აღარ იარსებებს. არც ისეთი მიაშიტი ვარ, ვიცი, რომ ჯა-შუშობისა და ხულიგნობის ჩამდენი შესაფერისადაც უნდა დაისაჯოს. გვეშველება, თუ ცხადი ნათელიც გახდება. მაგალითისათვის — სად და როდის შეიძლება ფოტოაპარატის გამოყენება? სამხრეთში ერთ-ერთი მგზავრობისას თან წავიღე ძალიან კარგი ორი საველე ჭოგრი, რადგან ყველგან დამაქვს. როცა მოვიმარჯვე მთაზე, თბილისს რომ გადაჰყურებს, შევატყე, რომ ჩემი მეგზურები ძალიან ანერვიულდნენ. ჩამომეფარნენ და მოუჩინებლად ეცადნენ ჩამორთმევას. ერთხელაც არ უთქვამთ, თან არ ატაროო. უმჯობესი იქნებოდა ასე მოქცეულიყვნენ. არ ვიცი, საველე ჭოგრის სანინააღმდეგო რა კანონი არსებობს, თუმცა ეს მეგზურებმაც არ იცოდნენ დარწმუნებით. მაგრამ ვაითუ არსებობდა?!

ხშირად თავს ვაღწევდით ხელმძღვანელებს და ადამიანებს უზედამხედველოდ ვხვდებოდით. ფაქტობრივად, ეს ერთადერთი გზაა გარკვეული საკითხების შესასწავლად. ვფიქრობ, საუკეთესო პოლიციის სისტემას ასეთი გამოწვლიები აღმოუჩინებელი არ დარჩებოდა. ზოგ შემთხვევაში ადამიანები, რომელთაც შევხვდით, საფრთხეში ჩავაგდეთ. ეს უნდა შეწყდეს თუ არა? შეიძლება ერთგვარი ქცევის კოდექსია საჭირო, რათა არა მარტო ჩვენი ხალხი, არამედ საბჭოთა მოქალაქენი დაბნეულობისა და საფრთხისაგან დაეიცვათ?

ერთი საკითხიც გასათვალისწინებელია, რომელსაც მთელი გზა განვიხილავდით. საბჭოეთისათვის გამოყოფილი ერთი თვე იმდენად დამქანცველია, რომ ბოლოს, როდესაც ბლოკის სხვა ქვეყანაში შედიხარ, ცოტა რჩება შესათავაზებელი. თუ შესაძლებელია, ერთი კვირა ან ათი დღე გამოიყოს დასვენებისა და შეჯამებისათვის, რათა მოხდეს ძალ-ღონის აღდგენა და თუნდაც განცდილის ხელმეორე ანალიზი.

ამის სხვა მიზეზიც არსებობს. ზემოქმედება, ვთქვათ

პოლონეთსა და უნგრეთში სხვადასხვაგვარია და ალბათ ნაკლები, ვიდრე საბჭოთა კავშირში. სსრკ-დან პირდაპირ აქ ჩამოსული მოგზაური ფიქრობს, რომ ასეთი განსხვავებანი არ არსებობს. არადა არსებობს, თუმცა სხვადასხვა გზით ვლინდება. ალბათ უმჯობესია, ვიდრე მეტი დრო დაეთმობოდეს, ეს ორი მისია ცალ-ცალკე განხორციელდეს. პიროვნება, რომელიც სსრკ-ში მიდის, იმავდროულად სატელიტ ქვეყნებში არ უნდა გაემგზავროს. ამ განცალკევების სასარგებლოდ სხვა მოსაზრებასაც შემოგთავაზებთ. მეჩვენება, რომ განსხვავებული მიდგომა ალბათ ფასეული იქნება. უფრო ნათელი რომ გავხადო — საბჭოთა მოქალაქენი, მცირე გამოწვლიის გარდა, ვერ წარმოიდგენენ არაკომუნისტურ სახელმწიფოში ყოფნას. მეორე მხრივ, სატელიტი ქვეყნების ხალხებს არათუ შეუძლიათ, არამედ აპირებენ სისტემის შეცვლას. აშკარაა, რომ აზროვნების მდგომარეობის ამ ორ გამოხატულებას სხვადასხვანაირად უნდა მივუდგეთ. რა თქმა უნდა, უნგრელი ავსტრიულ მონარქიაზე არ ოცნებობს, მაგრამ არსებული ერთგვარი დემოკრატიული სოციალიზმი მას სავსებით სხვაგვარად წარმოუდგენია.

ეს ანგარიში, თუ ამის საჭიროება იქნა, შეიძლება მოგვიანებით განვავრცო, მაგრამ რუსული სემინტი რომ შევჯამოთ, მსურს უფრო ნათელი გავხადო, თუ როგორ მნიშვნელობას ვანიჭებ კულტურულ გაცვლებს. ეს იმდენად კულტურის საკითხი არ არის, რამდენადც ინფორმაციის გაცვლის. საბჭოთა ხალხის შესახებ ცოტა რამ ვიცით, მათ კი ჩვენზე. ჩვენს შესახებ ყველა ინფორმაციას დამახინჯებულად იღებენ და, ვფიქრობ, პირიქითაც სიმართლეს შეეფერება. ამ მოგზაურობისას აღმოვაჩინეთ, რომ ძალიან ბევრი რამ ამერიკაზე, რასაც ჩვენ როგორც თავისთავად არსებულს, ისე განვიხილავთ, საერთოდ არ იციან, ან თუ გაუგიათ, ისეა დამახინჯებული, ვერც ამოიცნობთ. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი გაკეთებაც შეეძლებოდა, ზოგიერთი შეცდომა გავასწორეთ და ოდნევი ეჭვი მაინც გავუჩინეთ იმ ინფორმაციების სისწორეში, რომლებიც გაეგონათ.

დაბოლოს, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მომავალ გაცვლების პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას, არ გადავაჭარბებ თუ ვურჩევ, რაც შეიძლება დაუკვირდნენ ახალგაზრდებს. სწორედ მათ წრეში წამოიჭრება კითხვები და ჩნდება ეჭვები. თუ სტალინური მონოლითური სახელმწიფო არ დაბრუნდა, რაც ამ ეტაპზე შეუძლებელი ჩანს, ათ-თხუთმეტ წელიწადში „ძველები“ ან სამსახურიდან გადადგებიან ან ცოცხლები აღარ იქნებიან და სსრკ-ში სწორედ ეს ახალგაზრდები იმუშავებენ და იაზროვნებენ. მათთან უნდა დავმეგობრდეთ. თუ ამის ნებას დართავენ და გვეტუმრებინან, საშუალება უნდა მივცეთ, ნახონ ჩვენი ქვეყანა ისეთი, როგორც არის, თავისი ავ-კარგით. რამდენადც შესაძლებელია ნაკლები შეზღუდვები უნდა დავუწესოთ და, ყველაზე მთავარი, შეძლებისდაგვარად „ძველებიდან“ უნდა განვაცალკევოთ. სხვათაშორის, ჩვენც გვყავს ჩვენი „ძველები“, რომელთაც მცდარად გაგებული ამერიკის გამო ასევე ეკისრებათ პასუხისმგებლობა.

3 იანვარი, 1964 წელი

ინგლისურიდან თარგმნა

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში (ფ.1, საქმე-756, ხ—20580/1, 20892/11) დაცულია ცნობილი თეატრალური მოღვაწის დავით ჩხეიძის (1892-1973) საინტერესო მოგონება. იგი სანდრო ახმეტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ დეტალებს ეხება, რომლებიც სპეციალისტებისა და საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია.

დავით ჩხეიძე 1917 წ. აქტიურად მონაწილეობდა მსახიობთა კავშირის დაარსებაში და აირჩიეს გამგეობის წევრად. 1920-27 წ.წ. რუსთაველის თეატრის მსახიობია, ხოლო 1922-23 წ.წ. ამავე თეატრის კომისარი. 1927-28 წ.წ. ბაქოს ქართული თეატრის გამგე და მსახიობია, 1928 წ. მოღვაწეობდა “სახკინმრეწვეში”, 1929 წ. შეადგინა უხუცეს მსახიობთა დასი და წარმოდგენებს მართავედა თბილისისა და საქართველოს რაიონებში. 1931-48 წ.წ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. 1948 წ. იყო ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორის მოადგილე და სამხატვრო ხელმძღვანელი. 1954 წ. გარდაცვალებამდე საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი.

მოგონებები ოთხ სხვადასხვა ვარიანტად არსებობს, რომლებიც სტილისტურად გავმართეთ, მოვლენები შევაჯერეთ, ქრონოლოგიურად დავალაგეთ და გაერთიანებული სახით წარმოვადგინეთ, რომ სხვაგან გაფანტული ეპიზოდები არ დაკარგულიყო, თუმცა ავტორისეული სტილი შევიწინააღმდეგეთ. ერთი დათარიღებულია 1967 წლის 14 აპრილით, როდესაც სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 80 წლის იუბილე აღინიშნა, მაგრამ ავტორს იგი არ გამოუქვეყნებია. სხვა ვარიანტები დაუთარიღებელია.

დავით ჩხეიძე საინტერესო ცნობებს გვანვძის ახმეტელის პეტერბურგში სწავლის პერიოდზე, ქართველ სტუდენტთა სტენდისმოყვარეობა წარმოდგენებისა და მონაწილეობა შესახებ, რომელთა გვარები პირველად იხსენიება. იმხანად იგი ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ავტორი ეხება 1917 წელს მსახიობთა კავშირის დაარსებასა და რუსთაველის თეატრში 1918-19 წლებში მუშაობის რთულ პერიოდსაც. პირველად ვხვდებით სანდრო ახმეტელის თეატრში მონაწილეს აქამდე უცნობ ვერსიას. მოგონებებში იგი განსხვავებულად არის აღწერილი. ამიტომ მოვიყვანე იმ ნაწილს, რომელიც ძირითად ტექსტში არ შევიტანე.

აი, ეს ფრაგმენტი: “თბილისში დაბრუნების შემდეგ, ახმეტელი ქართული გაზეთების ფურცლებზეც წერდა საკმაოდ შინაარსიან რეცენზიებს. წერდა შენიშვნებს ზოგიერთ დადგმებზე და ბევრ სხვადასხვა ლიტერატურულ საკითხზე. შალვა დადიანი მათ კითხულობდა, სიამოვნებისაგან გაშლილ ხელებს კმაყოფილად იფშვნიტდა.

შალვა დადიანი, სადაც სანდრო ახმეტელს შეყროდა, როგორღაც მოსწონებოდა ეს განსწავლული ახალგაზრდა და საუბარში ხშირად ახსენებდა.

როცა კითხავდნენ — ვინ არის, რას წარმოადგენსო, შალვა ყველას მშვიდად მიუგებდა — ნახავთ, გაიცნობთ! ბოლოს ცდუნებას ვეღარ გაუძლო. საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრი სოლომონ ახვლედიანი და გამგეობის წევრი, ამ სიტყვების ავტორი დავით ჩხეიძე მოულოდნელად ერთად იხმო. დაუვიწყარი დიალოგი შედგა: “რა გნებაზე? თქვენი სიკეთე!” — მერე დავით ჩხეიძეს მიმართა: “პეტერბურგში წუთუ არ იცნობდით სანდრო ახმეტელს? შენც ხომ იქ სწავლობდი? შემწვარსა და მოხარულსაც ვიცნობ, იმ თქვენ სანდროს... ვეუბნები. დავით, შემწვარსა და მოხარულს თუ იცნობ, მჯერა წინააღმდეგი არ გამიხდები. ისე კი მაინც, როგორ იცნობ? მშვენიერი რეცენზენტია, გონება-მახვილი, თანაც ცნობილი. მარტო იქ კი არა პეტერბურგში! ჩვენს თბილისშიც. მაშ, აქაც იმას ჩადის, რასაც პეტერბურგში? ხითხითებს შალვა. დაახ, იმის დასჯა ხომ არ გადაწყვიტეთ? შევეკითხე შალვას. მოდი მოვიცნოთ. იცით სად? თეატრში! მაშ მონახეთ, მოიყვანეთ საზოგადოებაში ჩემთან. ჩავითრიოთ მუშაობაში. თეატრი შევთავაზოთ. დანარჩენი მე ვიცი! სხალვე აქ გავაჩენთ.”

შალვა დადიანთან ეს დიალოგი 1919 წელს შედგა. მაშინ ამ საუბრის შემსწრეებს გულიანად გაეცინათ — ეს შალვა დადიანი რა ენთუზიასტიაო. მართლაც ენთუზიასტი! ყველაზე ცხადი ის იყო, რომ მსახიობები და საზოგადოება სანდრო ახმეტელს არ იცნობდნენ, როგორც თეატრალს. რუსულად გამოქვეყნებული იმ რეცენზიებისა და წერილების ორიოდ მცოდნეს გარდა, მას დამსახურებად არავინ უთვლიდა ხელოვნების კალის ლენვაში. ამასთან ყველას სმენას მისწვდნოდა — რეჟისორს არც სათეატრო განათლება აქვს და არც გამოცდილებაო. ეს სანდროსთვის მოურიდებლად პირშიც ბევრს უთქვამს.

მოიცათ, აბა ნახავთ, რას იზამს ეგ ანაგა-ვაქირელი! იმედიანად მხოლოდ შალვა დადიანი ამბობდა და ყველას ამოშმინებდა. თავის გუმანში არც შემცდარა.”

შემდგომ დავით ჩხეიძე იგონებს: “ა. ახმეტელი კვლავ ანხორციელებს რუსთაველის თეატრში გ. ერისთავის “დავას”. შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლმა მწყობრად ჩაიარა”. აქ ავტორი ცდება, რადგან ეს სპექტაკლი 1921 წლის 23 ოქტომბერს, რეჟისორმა კ. ანდრონიკაშვილმა დადგა და ამიტომაც ძირითად ტექსტში არ შევიტანეთ.

ავტორი საინტერესო ცნობებს გვანვძის ახმეტელის პირველი სპექტაკლის “ბერდო ზმანიას” დადგმის ახალი დეტალებს შესახებ, რაც ამდღერებს მასზე არსებულ მწირ მასალას. ს. ახმეტელის ბიოგრაფიაში დღემდე უცნობი იყო, რომ მას ვორონცოვის მოედანთან მელნის ქარხნის მსგავსი წარმოება ჰქონია. დავით ჩხეიძე ზოგადად ასახელებს ახმეტელის პოლიტიკურ საქმიანობას. ვითარების ნათელსაყოფად, უფრო დეტალურ ცნობებს მოვიყვანეთ. ახმეტელმა 1918 წელს რადიკალ-დემოკრატიული პარტია დააარსა და მისმა ჯგუფმა დაიწყო ყოველკვირეული ჟურნალ “რადიკალის” გამოცემა, რომელმაც არსებობა მალე შეწყვიტა. იგი 1917 ნოემბრიდან 1919 წლის 12 ნოემბრამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და პროფესიით ჟურნალისტად ირიცხებოდა. 1919 წელს ეს პარტია მონაწილეობდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მაგრამ დეპუტატის მანდატი ვერ მოიპოვა. 1921 წლის იანვარში რადიკალ-დემოკრატიული და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიები გაერთიანდნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით, რომლის ცენტრალურ კომიტეტშიც სანდრო ახმეტელი შედიოდა.

მემუარისტი აღნიშნავს: “1921-22 წლის სეზონშიც ახმეტელს თეატრში არ უმუშავია.” ამ პერიოდში იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა. 1922 წელს საგანგებო კომისიამ დააკავა 26 მაისის სავარაუდო გამოსვლებთან დაკავშირებით. 1923 წელს კი დააპატიმრეს “სამხედრო ცენტრის” წევრებთან ერთად და მისი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა. სწორედ მისი განთავისუფლება აქვს აღწერილი დავით ჩხეიძეს, რაც მხოლოდ ამ მოგონებაში გვხვდება და ქართული თეატრის ისტორიისთვის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. ამ ფაქტის შესახებ დღემდე მარტო ზეპირი გადმოცემები არსებობდა. მხოლოდ აკაკი ხორავა თავის მოგონებაში ზოგადად აღნიშნავს, რომ მარჯანიშვილმა იგი ციხიდან დაიხსნა (საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. ფ. 1, საქმე 389, ხ - 20). ს. ახმეტელი საგანგებო კომისიის 1923 წლის 3 ავგისტოს დადგენილებით გაათავისუფლეს და ხელი მოაწერინეს პარტიის დაშლის დეკლარაციაზე. მან უარი განაცხადა ყოველგვარ არალეგალურ ანტისაბჭოთა მუშაობაზეც. დ. ჩხეიძის მოგონებით ირკვევა, რომ კოტე მარჯანიშვილი და დელეგაციის სხვა წევრები ს. ორჯონიკიძეს 1923 წლის ივლისში შეხვდნენ.

დ. ჩხეიძე გვანვძის მარჯანიშვილისა და ახმეტელის კონფლიქტის თავისებურ ვერსიას და ცდილობს ობიექტურად დაგვანახოს ამ დაპირისპირების არსი და მიზეზები, რაც ამ საკითხის შესწავლის მასალებს ამდიდრებს.

ამდენად, ეს მოგონება მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული თეატრის ისტორიისთვის და თეატრმცოდნეებს ხელს შეუწყობს XX ს. 20-იანი წლების მოვლენების მეცნიერულ კვლევებში.

დავით ჩხეიძის მონაწილეობა ახმეტელის მოგონებაში

დავით ჩხეიძე

შეხვედრები ალექსანდრე ახმეტელთან

ალექსანდრე ახმეტელს საკმაოდ ახლოს, ჯერ კიდევ 1911 წლიდან ვიცნობდი, როდესაც ორივენი პეტერბურგში ვიმყოფებოდით. ის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, მე კი საექიმოზე. ამ წლებში იქ ქართველობა საკმაო იყო, როგორც სტუდენტები, ისე მრავალი ქართული ოჯახი. ჩამოსული აბიტურიენტი, როგორც კი მატრიკულს მიიღებდა, ბინას აირჩევდა, მისი მეორე ნაბიჯი პეტერბურგში ადრე დამკვიდრებული თანამემამულის მოძებნა იყო. მერე, კლიმატის მხრივ ადვილად ვერ გასაძლებ ბუმბერაზ ქალაქში ძველი და ახლები მეგობრულ ცხოვრებას შეუდგებოდნენ. ქართველი სტუდენტები კარგადაც მეცადინეობდნენ და გაჭირვების დროს ერთმანეთს ძლიერ ეხმარებოდნენ.



მოვლენა არ გამოეპარებოდა. საშუალო ტანადობის, მხარბეჭ ჩაფსკვნილი, ჯანიანი, ოდნავ შეწეული სახის მქონე, ცეცხლის მკვერავი მოლურჯო თვალებიანი, მაღალი გამწვანებული შუბლით, საქორჩეზე რომ გვირგვინივით ადგა მაყვალევით შავი, ხუჭუჭი თმა. ასეთი ნარუდგა პეტერბურგელ ქართველებს სატახტო ქალაქის რეცენზენტი სანდრო ახმეტელი. ის ოცი-ოცდაორი წლის ძლივს იქნებოდა.

პირველი იმპერიალისტური ომის უბედურებამ მთელი რუსეთი არია და ქართველი სტუდენტებიც დაიქსაქსნენ. უმეტესმა ნაწილმა საქართველოს მოაშურა. მეც იძულებული ვიყავი 1915 წელს იქაურობას გამოეცლოდი, რადგან ჯარში უნდა წავეყვანეთ და მეფის მთავრობის მიერ არავითარი შეღავათი არ იყო. საყოველთაო მობი-

პირველი იმპერიალისტური ომის წინა წლებში, თუნდაც 1910 წელს, პეტერბურგში საკმაოდ დახელოვნებული სცენისმოყვარეთა წრე არსებობდა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი ვიყავი. მასში გაერთიანებულნი იყვნენ, როგორც სტუდენტები, ისე სხვა მოღვაწეებიც: პეტრე ქავთარაძე, დავით ფალავა, ალექსანდრე მგალობლიშვილი, ალ. არაბიძე, ანა ჩხეიძე, დავით ჩხეიძე, მარო შალიბაშვილი, ე. ლოლობერიძე, ნ. კელენჯერიძე, ე. ნიკოლეიშვილი და სხვები. სათვისტომოს სასარგებლოდ ქართული წარმოდგენები, საღამოები, თუ ლიტერატურული შეხვედრები სისტემატურად იმართებოდა.

ერთხელ, თვითმოქმედი დრამწრის წევრებმა გაიგეს, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელში სანდრო ახმეტელი სწავლობდა, მაგრამ ის ჯერ არავის ენახა. გასაცნობად არც არავისთან მისულიყო და არც რაიმე საზოგადოებრივ მუშაობაში უცდია ჩაბმა. ერთი სიტყვით, მისი არაფერი ვიცოდით, მაგრამ ბოლოს ერთბაშად გამოჩნდა.

ამ უცნაურმა სტუდენტმა, მხოლოდ თავის ტყავში რომ ტრიალებდა და ქართულ საწრეო-საზოგადო მუშაობას თითქოს თავს არიდებდა, თურმე ჩვენზე უკეთ იცოდა პეტერბურგელთა ყველა წამოწყება და სანადელო, რასაც ცხადყოფენ ის რეცენზიები ქალაქის პრესაში სანდრო ახმეტელის ხელმოწერით რომ იბეჭდებოდა. ახლადგამოჩენილი რეცენზენტის გამჭრიახ თვალსა და გონებას, იმდროინდელი ჩვენი მოღვაწეების, თუ ჩრდილოეთის დიდ ქალაქში მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საზოგადოებრივი საქმიანობიდან არცერთი ღირსშესანიშნავი

ლიზაცია რომ გამოცხადდა, გასანვევთ თავიანთ ბინებში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ. პოლიცია, მეეზოვეები და კარისკაცები (შვეიცარები) გამუდმებით თვალყურს გვადევნებდნენ. ქალაქიდან გასვლაც აკრძალული იყო. სამშობლოში წამოსასვლელად სანამ რამეს ვილონებდით, ღამის გასათევად რამდენიმე კაცი ცარსკოე სელოში წავედით და სასტუმროში მოვთავსდით. მთელი დღე ქუჩაში ვიმყოფებოდით და დალილებს ჩაგვიძინა. ღამის სამი საათი იქნებოდა კარზე კაკუნი გვესმის. გავალეთ კარი და რას ვხედავთ — პოლიციის მოხელენი გამოგვეცხადნენ... ჩვენი პიროვნების დადგენას შეუდგნენ. ვინა ვართ, ცარსკოე სელოში რატომ ჩავედით და სხვა ასეთი.

ვიცოდით, რომ ამ ქალაქის კომენდანტად გენერალი ვაჩნაძე იყო (რომელიც შემდგომში სერგო ქავთარაძის სიმამრი გახდა). თავი რომ დაგვეღწია განუწყობადეთ, რომ ვითომ ვაჩნაძის სანახავად ჩამოვედით. შუალამე გადასული იყო, შესამონებლად ბინაზე რომ ურეკავენ. ეკითხებიან გვიცნობს თუ არა და სხვა. ჩვენს არასასურველ სტუმრებს ვთხოვე ტელეფონის მილი გადმოეცათ. თხოვნა შემისრულეს და უშუალოდ შესაძლებლობა მომიცა ვაჩნაძისთვის მეთქვა, რომ ფრიად საჭირო საქმისთვის მისი ნახვა გვსურდა. მე მას ქართულად ველაპარაკებოდი, რაც არ ეჭაშნიკათ და შენიშვნა მომცეს. ვაჩნაძემაც უთხრა ჩვენთვის თავი დაენებებინათ. დილით ვინახულეთ და ყოველივე დაუმაღავად მოვახსენეთ. მან ხუმრობით გვიპასუხა: „თავგმა თხარა, თხარა კატა გამოთხარაო“. ბევრი წვალეების შემდეგ თავი დავაღწიეთ და სამშობლოს მოვაშურეთ.

უკვე თბილისში ვცხოვრობდი. ქართული თეატრის შენობა ცეცხლმა შთანთქა და მსახიობებს სხვადასხვა კლუბებში მუშაობა გვიხდებოდა.

1917 წლის აპრილში შალვა დადიანის ინიციატივით სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირი დაარსდა, რომლის შექმნაში სხვებთან ერთად მეც მიმიძღვის წვლილი. კავშირის ამოცანა იყო მსახიობთა მუშაობის პირობების გაუმჯობესება, ქართული თეატრის სეზონების ხელმძღვანელობა თბილისისა და პერიფერიების თეატრებში, ხელი შეეწყო დასების ჩამოყალიბებისთვის, რეპერტუარის შედგენისთვის და სპექტაკლების გამართვისთვის. ყრილობაზე გამგეობა და სარევიზიო კომისია აირჩიეს. გამგეობაში მეც შევდიოდი. ამ მოღვაწეობის პროცესში, შალვა დადიანი გზადაგზა სწავლობდა მსახიობთა შესაძლებლობებს, ახლოს ეცნობოდა თეატრალებსა და დრამატურგებს.

ახლანდელ რუსთაველის თეატრში რუსული დასი მოღვაწეობდა. დიდი მეცადინეობის შედეგად ამ თეატრში მუშაობა გველირსა. ეს იყო 1918-19 წელს, სადაც მხოლოდ სამი დღეს გვითმობდნენ. მანამდე ოპერის თეატრში კიდევ ორი დღე გვეძლეოდა, სადაც მუშაობა ყოველად აუტანელ პირობებში გვიხდებოდა. რეპეტიციისთვის ადგილი გამოყოფილი არ გვქონდა, ასევე სცენაზე გენერალური რეპეტიციის გავლის შესაძლებლობა დიდი დამადლებით მხოლოდ ერთხელ თუ გვეძლეოდა. კუთხის შოვნა მუდამ საძებარი და სულ სავაჭრო იყო, თუმცა ქართულ დასს ნორმალურ პირობებში მუშაობის უფლებაც ჰქონდა.

მე და სარევიზიო კომისიის წევრმა სოლომონ ახვლედიანმა მოვილაპარაკეთ ალ. ახმეტელის მონვევის შესახებ. ჩვენი მოსაზრება შალვა დადიანს გაუზიარეთ და მან თანხმობა განაცხადა. შეიძლება ამაზე წერა ზედმეტიც იყოს, მაგრამ ზოგან როგორ ყალბად არის ნაჩვენები, ვითომ ახმეტელი ს. ახვლედიანის და ალ. ნუნუნავას მიერ იყო მონვეული. ალ. ნუნუნავა ახმეტელს ახლოს არ იცნობდა და ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ამასვე, თავის დღიურებში ადასტურებს ტასო როსტომაშვილი, ახმეტელის პირველი მეუღლე.

სულ ცოტა ხანში თეატრმა სანდრო შანშიაშვილის პიესა “ბერდო ზმანია” მიიღო. სანდრო ახმეტელი ამ პიესამ ძლიერ დაინტერესდა, დასადგმელად ხელი მოჰკიდა და როლების განაწილებას მაშინვე შეუდგა. ახმეტელის მუშაობას ყველა გაფაციცებით ადევნებდა თვალს. მსახიობები უმიზეზოდ არ წუხდნენ. ახმეტელს ისინი რამპასთან თითქმის არ იცნობდნენ. პირველი რეპეტიცია ყველას განსაკუთრებით აღელვებდა. ეს დღეც დადგა. მთელი დასი შეგროვდა. შიშმა აგვიტანა – მსახიობებს ობსტრუქცია არ მოეწყოთ. რეჟისორმა პირველმა დაარღვია სამარისებური სიჩუმე. ახმეტელმა ერთ მსახიობს მიმართა და სთხოვა ამხანაგებისთვის ეამბნა, თუ როგორ ესმოდა თავისი როლი, ან როგორ აპირებდა მის განსახიერებას. მსახიობმა რეჟისორის სურვილი შეასრულა და გზადაგზა მიღებული შენიშვნები როგორღაც თავისთავად მიიღო. აქ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. უნდობლობის ყინული გატყდა. დასი დამწყებ რეჟისორს მიენდო. რეპეტიციის შემდეგ სანდრო ახმეტელი ტაშით დააჯილდოვეს. შვებით

ამოვისუნთქეთ, განსაკუთრებით ახმეტელის მომხრეებმა. ახლა ჯერი საზოგადოებაზე იყო — ის რას იტყვის?

თეატრი გადაჭედულია — მიდის “ბერდო ზმანია”. მაყურებელი სმენადაა გადაქცეული. დასრულდა რამდენიმე აქტი. ნიშნები კარგია. ს. ახმეტელს წილად ხვდა საზოგადოებისა და მსახიობების ოვაციები. ამ სპექტაკლში ახმეტელის მიერ შეტანილი იყო ცეკვები. როგორც ხშირად ხდება ბევრს მოეწონა, ბევრი აკრიტიკებდა თვით პიესას და ასევე მის რეჟისორულ გახსნას. საერთოდ, იმ დროს ეს ახალი სიტყვა იყო.

სამწუხაროდ, ამ სპექტაკლს პრესა ნაკლებად გამოეხმაურა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უდაოდ ახალ მოვლენას წარმოადგენდა ქართულ თეატრში. პიესამ ვერ გაიმარჯვა, თუმცა ახმეტელის ნამუშევარს მაყურებელი და დასი დადებითად აფასებდა.

ამ სპექტაკლის შემდეგ ახმეტელი თეატრიდან გაგვექცა და არაერთხელ მივმართეთ დაბრუნებულისკენ. ვორონცოვის მოედანთან გახსნა მელნის ქარხნის მსგავსი რაღაც “ქარხნად” ნოდებული. შემდეგ, ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორობა დაიწყო, რომელიც სამი კაცისაგან შედგებოდა. შექმნა პარტია, რათა ადგილი მოეპოვებინა დამფუძნებელ კრებაში, როგორც დეპუტატს. ასე, ამ მოუსვენარ მდგომარეობაში წლებმა გაიარა. მოხდა საქართველოს გასაბჭოება. სახელმწიფომ თავს იდო მისი პატრონობა. 1921 წელს, ახმეტელი შალვა დადიანის მინვევით მუშაობდა განსახკომის სათეატრო სექტორში. 1921-22 წლის სეზონშიც ახმეტელს თეატრში არ უშუშავია.

ქართული თეატრი კრიზისს განიცდიდა და თითქმის დაშლილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გვყავდნენ ნიჭიერი რეჟისორები: ალ. ნუნუნავა, მ. ქორელი, აკ. ფალავა და კ. ანდრონიკაშვილი. აგრეთვე შესანიშნავი მსახიობები: ნ. ჩხეიძე, ეფ. მესხი, ნ. დავითაშვილი, ნატ. ჯავახიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ელო ანდრონიკაშვილი, ტ. აბაშიძე, ან. ქიქოძე, ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ალ. იმედაშვილი, გ. არადელ-იშხნელი, ვიქ. გამყრელიძე, ალისა ქიქოძე, აკ. ვასაძე, უშ. ჩხეიძე, გ. დავითაშვილი, მიხ. ლორთქიფანიძე და სხვ. რატომღაც ინტელიგენცია გულგრილობას იჩენდა და თეატრს მაყურებელი გაეცალა. სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ თეატრის სრულიად დასურვის მომხრენი, რომლებიც სტუდიურ მუშაობაზე გადასვლას მოითხოვდნენ. ერთმა მათგანმა აშკარად თქვა — რად ირჯებით? თეატრი დაიშალა. იგი აღარავის სჭირდება. მის აღდგენაზე ფიქრიც უსარგებლოაო. ამ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით.

1922 წლის აგვისტოში თბილისში კოტე მარჯანიშვილი ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა ყველას გაგვეხარდა. ამ დროს მსახიობობის გარდა, თეატრის დირექტორად ვიყავი და ნიშნული და ყოველი მოვლენის უშუალო მონაწილე გახლდით.

განათლების სახალხო კომისარიატში ცნობილი თათბირი შედგა, რომელსაც დაესწრნენ როგორც თეატრის მუშაკები, ისე მწერლები, მეცნიერები, სახვითი ხელოვნების ოსტატები და სხვა საზოგადო მოღვაწენი. ქართული თეატრის სიცოცხლე ბუნებრივად კიდეა! აშკარად თქვეს კულისებში. ასეა, ასე! უდასტურებდნენ მათ სხვები — არ არის შემტკიცებული დასი, არ მოიპოვება მცოდნე, გამოცდილი ხელმძღვანელი. ერთი სიტყვით, თეატრი არ

გვაქვს და მგონი აღარც არის საჭირო! განაცხადა ვილა-ცამ და დაამატა — ახლა, ყველა ცოცხალ სანახაობას კინო (ცვლის და ახალი კადრების მომზადებას უნდა შევუდგეთო, განაცხადა კრების ერთმა მონაწილემ. არცერთი დღით! ჩაერია ასე ცუდად წარმართულ ლაპარაკში ერთი უცხო პიროვნება — მერე კი მტკიცედ, შინაგანი ცეცხლით დაასკვნა — რაო? ვინ სთქვა ქართული თეატრი უნდა დაიხუროსო! ქართული თეატრის დახურვა, ვთქვათ, ერთი დღითაც შეუძლებელია! ის უცხო პიროვნება, ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობი, კოტე მარჯანიშვილი გახლდათ, რომელიც მოსკოვიდან დროებით თბილისში ჩამოსულიყო და თათბირზე მოენვიათ.

თათბირის მონაწილეთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს სიხარული გაათქვამა, რაც კოტემ სურვილი გამოთქვა — სპექტაკლს დავედგამო.

კოტე მარჯანიშვილი მუშაობას უმაღლესე შეუდგა. დასადგმელად ლოპე დე ვეგას “ცხვრის წყარო” აირჩია, რომელსაც ის სამოქალაქო ომის დროს რევოლუციონერ მუშებსა და გლეხებს, წითელი არმიის ნაწილებს უკრაინაში უჩვენებდა.

საქართველოში მაღალკვალიფიციური მსახიობი საკმაოდ აღმოჩნდა. კიდევ მეტიც, თეატრთან თანდათანობით თავი მოიყარა თეატრალური ხელოვნებით გატაცებულმა ახალგაზრდობამ. გაჩნდნენ სრულიად ახალი დრამატურგები. მიძინებულმა, დაქვეითებულმა სათეატრო ხელოვნებამ სასწრაფოდ იწყო აღორძინება.

ყველა თეატრალი თავის ადგილას! მოუწოდა კოტე მარჯანიშვილმა დაინტერესებულთ და, როგორც ერთხელ შალვა დადიანმა, მანაც მოუხმო სანდრო ახმეტელს. მასაც აღარ უყოყმანია, თეატრში მაშინვე გაჩნდა. მარჯანიშვილმა მასზე შეაჩერა თავისი ყურადღება და მათ შორის მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა. რა გინდა დადგა? მაშინვე შეეკითხა მარჯანიშვილი — ოსკარ უაილდის “სალომე” — იყო პასუხი. ოღონდ სწრაფად და მაღალსტატურად! უთხრა მარჯანიშვილმა.

მაყურებელმა ეს უცხოური პიესაც “ბერდო ზმანია”-სამებრ მიიღო. მიზეზი? პიესა ჩინებულად იყო გააზრებული და გაფორმებული. ეს სპექტაკლი ახმეტელმა დადგა მარჯანიშვილის მეთვალყურეობით. ასე დაწყებული მჭიდრო მეგობრობა კოტესა და სანდროს შორის ოთხი-ხუთი წელი გაგრძელდა. კოტე კარგად აფასებდა ახმეტელის რეჟისორულ ნიჭს და თავის მარჯვენა ხელად თვლიდა.

სამწუხაროდ, მალე ახმეტელი რეპრესირებულ იქნა იმ თხუთმეტ კაცთან ერთად, რომელიც პარიტეტრიკების ჯგუფად იყო გამოცხადებული. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ კოლექტივი დიდად შეანუხა და ყველა ერთად მონადინებული იყო როგორმე უვნებლად დაებრუნებინათ. მარჯანიშვილი ნამდვილ მამობრივ მზრუნველობას იჩენდა და სადაც კი ხელი და სიტყვა მიუწვდებოდა მის განთავისუფლებას ცდილობდა.

იძულებული შევიქნით, როგორმე სერგო ორჯონიკიძემდე მიგვეღწია. მის სადარბაზოს წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ისინი იმ თხუთმეტი კაცის ჭირისუფლები, ნათესავები იყვნენ. ამ სურათმა ჩვენზე აუნერლად მიიმეშაბეჭდილება დატოვა.

მან საკუთარი ბნის სამუშაო ოთახში მიგვიღო დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: კოტე მაყაშვილი (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), ნინო ნაკაშიძე, შალვა დადიანი, კოტე მარჯანიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ლმობიერად შეგვხვდა. დავსხედით. საუბარი კოტე მაყაშვილმა დაიწყო. ის თხუთმეტი კაცი სათითაოდ განუმარტა, თუ ვინ იყვნენ, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ჩვენთვის და სხვა. რიგ-რიგობით ვლაპარაკობდით. ვცდილობდით მასზე გავლენა მოგვეხდინა და ყველა მათგანი დაგვეხსნა. კოტე მაყაშვილმა მათი დაცვა მეორედ რომ დაიწყო ცუდად შეიქნა. დივანზე დავეწვინეთ. ორჯონიკიძემ ვალერიანის წვეთები და დასველებული პირსახოცი გამოიტანა. როგორც იქნა უკეთ შეიქნა. ამის შემდეგ, მეორე ოთახიდან დატუსაღებულთა სია გამოიტანა. სია ანბანზე იყო შედგენილი და კოტე აფხაზიდან დაიწყო. კოტე აფხაზი იყო ილია ჭავჭავაძის დისშვილი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყოფილი წინამძღოლი. განათლებული, რამდენიმე ენის მცოდნე, გადაჭარბებულად თავმდაბალი, იშვიათი გარეგნობით.

ორჯონიკიძემ საბოლოოდ ასე განმარტა — კ. აფხაზი ჭკვიანი კაცია, ჩვენზე ბევრად განათლებული, არასდროს შეგვირიგდება და მის განთავისუფლებას ვერ შეგპირდებითო. შემდეგ, სიაში იყვნენ ცნობილი გენერლები: ნულუკიძე, ახმეტელი, მაზნიაშვილი, გედევანიშვილი, ხიმშიაშვილი, ანდრონიკაშვილი და ბოლოს ალექსანდრე ახმეტელი. მაზნიაშვილი შეიძლება გავანთავისუფლოთ, რადგან ბათუმში თათრების შემოსევის დროს მოგვეხმარა, დანარჩენებზე საიმედოს ვერაფერს გეტყვიანო. ხოლო რაც შეეხება გედევანიშვილს და ახმეტელს, ჩვენთვის ისინი საშიშროებას არ წარმოადგენენ — *Ахметели это перелетная птица, сегодня наш завтра ваш*. ასე, რომ მისი განთავისუფლება შესაძლებელიაო. ძნელია იმ წუთების გახსენება. აღარ მახსოვს როგორ დავშორდით და სახლამდე როგორ მივალნიეთ.

რუსთაველის თეატრის სეზონი დავხურეთ და დასი შემდეგი სეზონის მოსამზადებლად ბორჯომში გაემგზავრა. ამის შემდეგ, ერთმა თვემ განვლო, სანამ ახმეტელს განათავისუფლებდნენ. განთავისუფლებული ახმეტელი ბორჯომში ჩამოვიდა. ბინა ჩემთან დაუდგ. ისე იყო წერევა-შლილი, რომ არაფრის თავი არ ჰქონდა. მუშაობაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. მისი დიდი ხნით მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. მეშინოდა, თავისთვის არაფერი აეტეხა. ვცდილობდი მასთან რეპეტიციიდან თავისუფალი მსახიობი მისულიყო. საბედნიეროდ, ჩვენი ბინიდან სამუშაო ადგილი რამდენიმე ნაბიჯით იყო დაშორებული.

ახმეტელმა რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველოში დარჩენა არ შეუძლია და დახმარება გვთხოვა, რომ რუსეთში გაგვეგზავნა. მისი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად არ დავთანხმდი, რადგან მეშინოდა არ გადახვეწილიყო და არ დალუპულიყო. ბევრი ახსნა-განმარტების შემდეგ, როგორც იქნა დავტოვეთ და არ გავუშვით. ბორჯომში საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ თბილისში დავბრუნდით. მასზე მზრუნველობა არ შეგვიწყვეტია. განსაკუთრებით მარჯანიშვილი ყოველნაირ ხერხს მიმართავდა, რომ ახმეტელისთვის ნორმალური პირობები შეექმნა. ასევე კოლექტივის მთლიანი შემად-

გენლობა მონადინებული იყო გამოყვანათ იმ ბურანი-დან, რათა ნორმალური მუშაობა შესძლებოდა. ახმეტელისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ნაყოფი გამოიღო და მუშაობის დაწყების შესაძლებლობა მიეცა.

რამ გამოინვია კონფლიქტი მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის

ჩემს თავს ნებას ვაძლევ ყოველივე სიმართლით აღვნიშნო და ერთხელ და სამუდამოდ ნათელი მოეფინოს მარჯანიშვილისა და ახმეტელის ურთიერთდამოკიდებულებას. სხვა არა იყოს რა, ეს საჭიროა იცოდეს მომავალმა თაობამ. ქართული თეატრის ისტორიას ვის როგორ სურს, ისე აშუქებს ჟურნალ-გაზეთებში, კამათის დროს და სხვა. ნათქვამია: “ქმარი ომში იყო და ცოლი ომის ამბავს ახვედრებდაო”. ჯერ კიდევ დარჩენილია რამდენიმე პიროვნება, რომლებიც მომსწრენი არიან ყოველივე წარსულისა. მაკვირვებს, სად აქვთ ასეთი უტიფრობა, თუ სწორი არ გაგება, რასაც ისინი ამის გარშემო წერენ. რატომ არ ფიქრობენ, რომ უშუალო მოწმენი იმყოფებიან. არაფერს ანგარიში არ ეწევა და ვის როგორც სურს პირად გამორჩენისთვის, თუ პირად სარგებლობისთვის ისე ხელალებით აყალბებენ ისტორიას.

არის ისეთი ჯგუფი, თუ წრე, რაც გინდათ ვუნოდოთ, რომელთაც არც ერთი უნახავთ და არც მეორე. არც მათი მუშაობა იციან და თითქოს აკვნიდან იცოდნენ ყოველივე მათი საქმიანობისა. თუკი რომელიმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს, კეთილი ინებოს და დაამტკიცოს, რომ ეს ასე არ იყო. დარწმუნებული ბრძანდებოდნენ, რომ საერთო საქმისთვის საჭირო არ არის მათი მოღვაწეობის არც ზედმეტი განდიდება და გაკეთებულის არც რაიმეს დაკლება.

რუსთაველის თეატრში ერთ ჯგუფს აზრად კორპორაციის შექმნა მოუვიდა. მისი ჩამოყალიბების ინიციატივა სანდრო ახმეტელს ეკუთვნის. კორპორაციის ლოზუნგი იყო: “ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის”. საინიციატივო ჯგუფში შედიოდნენ: ალ. ახმეტელი, აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, დ. ანთაძე, შ. ღამბაშიძე, ვასო პატარია (რომელიც იმ დროს ჩვენთან მუშაობდა), ვ. ჯიქია, უშ. ჩხეიძე, კ. პატარიძე და ამ სტრიქონების ავტორი. კ. მარჯანიშვილმა ამის ჩასახვის შესახებ არაფერი იცოდა, სანამ საბოლოოდ არ გადაწყდა.

1924 წლის 29 იანვარს, კორპორაცია “დურუჯი” თავისი მანიფესტით გამოვიდა, რომელიც მიუღებელ ფორმულირებებსაც შეიცავდა, მაგრამ არსებითად საპატიო მიზანს ისახავდა. დროის გარკვეულ მონაკვეთში, ახალი თეატრის შექმნაში, კორპორაციამ პოზიტიური როლი შეასრულა. მისი დახმარებით დისციპლინა საგრძნობლად განმტკიცდა, ხელი შეუწყო თეატრში ინტენსიური შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას.

დროთა განავლობაში, კორპორაციამ თავისი პროგრესული სახე დაკარგა. მან კასტური ხასიათი მიიღო. დაინყეს კოტე მარჯანიშვილის სათეატრო პოლიტიკაში ჩარევა. საბოლოოდ, კორპორაციამ თავის პირვანდელ დანიშნულებას გადაუხვია. თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ “დურუჯი” მის

საქმიანობაში ერეოდა და ამით არევე-დარევა შეჰქონდა. სამწუხაროდ, თეატრის საქმეში მესამე პირები და შემთხვევითი ადამიანები ჩაერვივნენ, რომლებიც არეულობის შემოტანას ხელს უწყობდნენ და აღვივებდნენ.

კოლექტივი ორ ბანაკად — მარჯანიშვილისა და ახმეტელის მომხრეებად — გაიყო. როგორც უშუალო მოწმემ, შემძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ მარჯანიშვილს დანაშაული არ მიუძღვის. იგი თავისი ხასიათით, ისეთი კაცი იყო, რომ ბრძოლის უნარი არ ჰქონდა. მას ახმეტელი უდაოდ ნიჭიერ შემოქმედად მიაჩნდა. უფროთხილდებოდა, როგორც მშობელი მამა. არაფერს იშურებდა ოღონდ ახმეტელი სწორ გზაზე დაეყენებინა. ახმეტელიც დიდი სიყვარულით და პატივისცემით იყო გამსჭვალული მარჯანიშვილისადმი. კოტე მარჯანიშვილს სანდრო ახმეტელი მისი გაბედული შემართებისთვის უყვარდა. ზოგჯერ, მათ შორის თუ მწვავე კამათსაც ჰქონდა ადგილი, ამით მარჯანიშვილი თვითონაც ქეშმარიტებისკენ მიიღვროდა და მონინალმდეგესაც იქით ეზიდებოდა.

შემძლია ვთქვა, რომ ახმეტელს თეატრში ყველაზე ახლოს ვიცნობდი. მიმანდა, როგორც დიდად საჭირო პიროვნება თეატრისთვის და ახლო მეგობრებიც ვიყავით ამ სიტყვის სწორი გაგებით. ვუფროთხილდებოდი როგორც საკუთარ ძმას. იშვიათი სამეგობრო, გამტანი პიროვნება იყო. მასთან ხშირად მქონია საუბარი დაჯგუფებების გარშემო. ვურჩევდი, იმ ჯგუფების მზაკვრულ ამბებს არ აჰყოლოდა. ბევრი უსიამოვნებაც შემახვედრეს, მაგრამ ისე აუქციეს მხარი, რომ რომ საქმის გამოსწორება ალარაფერით მოხერხდა. საბოლოოდ, მესამე პირებისა და შემთხვევითი ადამიანების არაკეთილსინდისიერი ჩარევით გათიშვა მაინც მოხდა. კიდევ ვიმეორებ, მარჯანიშვილს ბრძოლის უნარი რომ ჰქონოდა, მცდარად მოაზროვნე ჯგუფი არ გაიმარჯვებდა. ამის გამო, მარჯანიშვილი იძულებული გახდა პოზიციები დაეთმო და თეატრიდან წასულიყო.

მარჯანიშვილთან ერთად თეატრი ვერიკო ანჯაფარიძემ და მეც დავტოვეთ. ერთი წლის შემდეგ წამყვანი მსახიობები — თამარ ჭავჭავაძე, ელენე ღონაძე, ცეცილია ნუნუწავა, სესილია თაყაიშვილი, ხათუნა ჭიჭინაძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ვასო გოძიაშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე, მიხეილ სარაული და სხვები იძულებულნი შეიქმნენ რუსთაველის თეატრი დაეტოვებინათ. შემდგომში ახმეტელი ნანობდა, მაგრამ სამწუხაროდ უკვე გვიან იყო. რუსთაველის თეატრი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხალხმა პირი იბრუნა. მარჯანიშვილის ნიჭიერ მონაწევს, სანდრო ახმეტელს დიდი შრომა დასჭირდა, რომ თეატრი განსაცდელისგან ეხსნა. ამის დადასტურება ის, რომ ალ. ახმეტელმა, რომელიც წლების მანძილზე რუსთაველის თეატრს სათავეში ედგა, თავისი ბრწყინვალე სპექტაკლებით ქართული თეატრი არაერთხელ ასახელა, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში საგასტროლო მოგზაურობებითა და ფესტივალებში მონაწილეობით.

სამწუხაროდ, ნიჭიერ რეჟისორს ქართული თეატრის მიმართ თავისი მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება და მოსკოვში ეროვნებათა თეატრის ჩამოყალიბება არ დასცალდა, რომელზედაც იგი ოცნებობდა.

როსტომ ჩხეიძე

აღსარება გურამ დოჩანაშვილისა

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი მდინარე,
მაგრამ ხანდახან არც ვიცით ხოლმე.
გურამ დოჩანაშვილი

პროლოგის მაგიერ

— თქვენ ბრძანდებით თავად საკრავი, თანაც საკრავი უზენაესი, რადგან თუმცაღა მხოლოდ ორი, მაგრამ უნეტარესი ყოვლად სიმები შიშველ სხეულზე, ტან-ტატანზე გადაგჭიმვოდათ — თავისუფლება და სიყვარული, და რადგან ყოველ საკრავში ეს ორი მცნება, აკი ვიძახი: უზენაესი, — ტანჯვით სანვდომი თავისუფლება და სიყვარული, ეს ორად ორი უშუალოდ ამაღლებება, საიდუმლოდ ძვეს...

თხრობა გრძელდება ამ არტისტიზმითა და ექსპრესიით, გურამ დოჩანაშვილის მიდრეკილებას სტილური თამაშისაკენ ასე მოხდენილად რომ აგვირგვინებს და კიდევც არაერთხელ ნაქებ და კიდევც არაერთხელ გაქიქებულ მოთხრობაში — „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ — მართლაც ჩინებული ხელოვნებით წარმოდგა, და ეს იმიტომაც, რომ მისი თავბრუდამხვევი სტილური ორომტრიალი და ექსპრესია იმ თავისუფლების ხელშესახებ დადასტურებად იქცა, უზენაესობას რომ შეუთანაბრდა.

თავისუფლება და სიყვარული.

ტანჯვით სანვდომი ეს ორად ორი უშუალოდ ამაღლებებაო...

კარმენის სიმბოლური სახება ამიტომაც ამოჩნდებოდა, როგორც ერთდროული მპყრობელი თავისუფლებისაც და სიყვარულისაც, და გურამ დოჩანაშვილის სტილური არტისტიზმი მისგან მონაბერი მაგიური სუნთქვით გაჟღერებულიყო, თორემ სხვაგვარად რატომ უნდა გამოჰყოლოდა აპოლოგეტური ვარიაციები კარმენის თემაზე ესთეტიკურ ჩანართებად ბესამე კაროს თავგადასავალს იმ ზიგზაგობრივ გზაზე, საკუთარ სულში ჩაღრმავება და საკუთარი თავის შეცნობა რომ ჰქვია.

ამ ორ ფრთას დაყრდნობოდა თხრობის სტილისტიკა ამ მხატვრული ქმნილებისაც და გურამ დოჩანაშვილის მწერლური სამყაროსიც, და კიდევ ერთი საყრდენიც თვალნათლივ ირეკლებოდა, ამჯერად უნებლიეთ რომ გამოთიშვოდა თანამოძმეთ, მაგრამ მოგვიანებით მოთხრობა „იქამდე“ მის არსებობასაც გაცხადებდა და რკალიც საბოლოოდ შეიკვროდა:

— სამადსამი ცნება უმთავრესი იყო — ბავშვობა, თავისუფლება და სიყვარული.

ამ სამი ცნების ხსენებას ოდნავი სკეპსისიც უნდა შეეერიოს („მაგრამ ბავშვობა რა... — ჩავლილია, თავისუფლება

რომელ ერთს უგემნია სიცოცხლეში, სიყვარული კი, იმ სიმღერისა არ იყოს, ძნელი რამ გახლდათ...“), რაკილა წუთისოფელი არ განებებს, რომ რაიმე ბოლომდე, სრულყოფილად განიცადო, მითუმეტეს, უმთავრესი თუ უზენაესი სწრაფვანი, მაგრამ ის ხომ მკაფიოდ ჩამოგიყალიბებია შენთვის, საიდან ივსები შთაგონებით, და მკითხველსაც სთავაზობ შენი მხატვრული სამყაროს გასაღებად.

ბავშვობა, თავისუფლება და სიყვარული.

ტანჯვით სანვდომი — და სწორედ ესაა მათთან ზიარების ბედნიერება, მძაფრი სულიერი ძიებებით რომ უნდა მოიპოვო, ურთიერთსაპირისპირო განცდათა ლაბირინთების გამოვლით, თორემ თავისთავად თუ გადმოგეცემოდა, გაურჯელ წყალობად, კაცთა არსებობა ერთბაშად შემოიძარცვებოდა იდუმალეზისაგან და მომბებრებელ ყოფად გადაიქცეოდა.

და გაიხარებდა და რარიგ გაიხარებდა გურამ დოჩანაშვილი, როდესაც „დონ კიხოტშიც“ (ლიტერატურის გამორჩეული ძალმოსილების დასტურად სერვანტესის ამ რომანს რომ მოიხმობდა ხოლმე — მწერლობას და მხოლოდ მწერლობას შეუძლია პერპეტუუმ მობილეს შექმნაო) ამ ცნებებს მიაკვლევდა, როგორც მთავარი გმირის ხასიათისა და რომანის სტილისტიკის განმსაზღვრავთ. სხვას არავის გაემახვილებინა ყურადღება ამ მხრივ, მაგრამ გურამ დოჩანაშვილი საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა და ესეისტის ოსტატობით წარმოაჩენდა „დონ კიხოტის“ მარადმფეთქავი ძარღვის ამ მამოძრავებელ ტრიადას რომანში „ლოდი, ნასაყდრალი“.

ამ რომანის მთავარ გმირს მოესმის თუ არა „დონკიხოტობა“ სისულელისა და ამაო გარჯის სინონიმად, ხელისგული ისე აჰქავდება ხოლმე, აღარ იცის, როგორ შეიკავოს თავი.

— ვინ იყო სულელი და ამაოდ გარჯილი, ის, ვისაც მთელ დედამიწის ზურგზე ყველაზე მეტად ესმოდა თავისუფლება და სიყვარული?

და თავისუფლების საგალობლად ამოიწერდა თუნდაც ამ პასაჟს:

„...თავისუფლება უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მიჰმადლა ადამიანს. ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამ ქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება თავგანწირვა“.

სიყვარულის ჰიმნად კი დულსინეა ტობოსელის ამგვარ შესხმას:



„...მასთან ვერც ელენე მივა და ვერც ლუკრეცია ამაღლდება, და ვერც ვერავინ სხვა წარსულ საუკუნეთა ქალბატონთაგან — მისს მსგავსს სხვას ვერავის მოძებნი ვერც ბერძნებთან და ვერც ლათინებსა და ბარბაროსებთან, ესენი ყველანი ერთად ქებული ქალები მისკენ ფეხს ვერ გაინვიდნან“.

იქვე დასძენდა — მკითხველის ცნობისმოყვარეობის გასაღვევებლად — კიდევ ერთი რამეც, მაგრამ ამაზე შემდგომო.

და ეს კიდევ ერთი რამეც სხვა რა აღმოჩნდებოდა, თუ არა:

— ფათერაკთმადიებელი რაინდის მესამე, თუ უპირველესი ჯილდო — აის მთელ გზაზე ადევნებული ბავშვობა, სიბავშვე, უზენაესის როგორი ჯილდო, ზღაპრებისა რომ ულაპარაკოდ სჯერავს: ეს ქარის რალაც ოცდაათიოდე წისქვილს კი არა, დევების ხროვას შეერკინა წრფელგულა რაინდი, და, დიდი ამბავი, თუ დამარცხდა — შეება ხომ! ოცდაათამდე მახინჯ თავმოყრილ დევს, ერთად!

ბავშვობა, თავისუფლება და სიყვარული.

ყველა მოვხიბლულვართ სტენდალის ეპიტაფიით, ამგვარ ლიტერატურულ ფორმულაში რომ მოექცია თვითონვე თავისი ნუთისოფელი:

— ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა.

თითქოსდა ისეთიც რა, მაგრამ სწორედ ამ უბრალოებაში ჩაქსოვილა ის სწრაფვანი, მისი არსებობის გულისგულს რაც შეადგენდა და მისი მხატვრული სამყაროს ასახსნელადაც თურმე ყველაზე მარჯვე ბილიკებად ისახებოდა მკითხველისთვისაც და მკვლევართათვისაც.

უბრალოებაშიც ჩაქსოვილა და სისხარტემიც, ამ მხრივ იულიუს კეისრის უკვდავ ფრაზას რომ გაგვახსენებდა: ვენი, ვიდი, ვიცი (მივედი, ვნახე, გავიმარჯვე), მაგრამ ჩვენთვის, მკითხველებისათვის, სტენდალის სიტყვები გაცილებით ფასობდა, რაკილა დიდებული მწერალი ბევრით დაგვიმჯობინებია ხელისუფალთაც და მხედართმთავართაც, და „პარმის სავანის“ შემოქმედის ეპიტაფიას ამიტომაც დაუცდენინებია ჩვენთვისაც აღმტაცი ეპითეტები.

სტენდალი ქართველი მწერალი რომ ყოფილიყო ვითომ მამინაც ასერიგად მოვხიბლებოდით ამ სამად სამი სიტყვითა თუ ცნებით?

რა მოგახსენოთ — თუკი მთლად გულგრილად არ გადავატარებდით, იქნებ ჩუმი მოწონება გვეკმარა, ეგაა და ეგ... და თუ ასე არაა და ქართველ მწერალსაც არანაკლებ დავუფასებდით სისხარტესა და უბრალოებაში გაზავებულ ღრმა სიბრძნეს, ხელს განა რა გვიშლის, რომ გურამ დოჩანაშვილის ის ლიტერატურული ფორმულაც შესაფერისად დავაფასოთ და თავისებურ შარავანდადაც ვიგულისხმოთ მისი მხატვრული მონაპოვარის თავზე.

— ბავშვობა, თავისუფლება და სიყვარული.

ესეც წყარო და განმსაზღვრავი მისი უკიდევანო მხატვრული ფანტაზიის.

სტილური არტისტიზმისა და ექსპრესიის დაუმცხრალობის.

— ნუთუ ყოველივე, — გაიფიქრებს გურამ დოჩანაშვილი, მარადახალი მდინარის პირას მჯდარი, — ნუთუ ყოველივე ეს?

I.

რა — სიცოცხლე თუ ლიტერატურა?..

— აი, რომ არ წამოხვედი!..

ყელქცეულში ვართ. აგვისტოს მიწურულია. დედა და ნატო ის-ისაა ჩამოვიდნენ გაგრიდან და დედა პირველად ამ სიტყვებით რომ მომმართავს, ჩანთიდან მაშინვე ამოიღებს ჟურნალ „ცისკრიდან“ ერთ ამონაბეჭდს, რომელსაც გურამ დოჩანაშვილის სახელი ამშვენებს და მოთხრობის სათაური — „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“.

და იქვე... იქვე გაკრული ხელით მიწანერი, რომ... რომ ამ ამონარიდს მწერალი მე მიძღვნის.

წარწერას ფრთხილად, ფრთხილად ვეხები, ხელს გადაუუსვამ, დავცქერი, ისევ გადაუუსვამ... — გაგრამი იყო?

— აი, რომ არ წამოხვედი!..

ყელქცეულში დარჩენას ვამჯობინებდი და ესეების თარგმნას პაატასთან ერთად. არადა, დედაც მირჩევდა და მამაც: თარგმნა სად გაგექცევა, ცოტა ამოისუნთქე, ზღვაზე წასვლის საშუალება ყოველთვის კი არ მოგეცემაო, — მაგრამ არაფრის გაგონება არ მინდოდა, გარდა ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ესეებისა, სულ სხვა სამყარო რომ გამიხსნეს, ძალიან ბევრი შემძინეს და კვლავაც მაცთურად მეპატიჟებოდნენ თავიანთი უსაზღვროების ბილიკებზე.

წამითაც არ მიწანია, გაგრამი გამგზავრებაზე უარი რომ ვთქვი, მაგრამ ახლა კი... ახლა... — ასე გაუშვი ხელიდან გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრის, გაცნობის, მასთან საუბრის ასეთი ხელსაყრელი შესაძლებლობა და, ნაცვლად ამისა, უნდა მეკმარა ეს ახალი მოთხრობა და მიძღვნილი წარწერა.

ერთს კი გავიოცებდი, მესამე ძმა კეჟერაძის თავგადასავალი რომანად მეგულეობდა და არა მოთხრობად, მაგრამ რაკილა მწერალს ეს ჟანრი ემჯობინებინა, თავისი საქმისა თვითონ უკეთ მოეხსენებოდა. მთავარია, რომ კიდევ ერთ ახალ მოთხრობას უნდა გავცნობოდი ჩემი უსაყვარლესი მწერლისას, თანაც — ესეც მემამაყა — ჟურნალის გამოსვლამდე.

ალარ ვიცი, როგორ მოვიქცე, ჯერ მოთხრობა წავიკითხო თუ ჯერ გურამზე გამოვიკითხო, ყველა წერილმანი ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია — როგორ დადის, როგორ ლაპარაკობს, როგორ იცინის, თანამოსაუბრეებთან ყოფნას ამჯობინებს თუ განმარტობას, როგორ ცურავს, და იქაც წერდა თუ არა... — ისევ ასე სჯობს — თან თვალს ჩავავლებ სტრიქონებს, თან დედას და ნატოს მოვუსმენ.

„— რა სჯობია კარგ, წესიერ, ვაჟკაცურად ლამაზ, განათლებულ მამაკაცს? — იკითხა ეკატერინე ხომასურიშვილმა, და, თავის სიმართლემი დარწმუნებულმა, საზოგადოებაში ამაყად მიმოიხედა, — არაფერი. — რა და კაი ქალი, — მიუგო ბარნაბ ჯაშმა, არც დაფიქრებულა. — ასეა, ვის როგორ...“

ტრადიციული პროლოგის მაგიერ ამ სტრიქონებით იწყებოდა მოთხრობა, ჭეშმარიტად დოჩანაშვილურად და: კარგი ხარ, მაცსტრო, — კლიმივით (აი, ის, ვასიკო კეჟერაძის თანაშემწე ფოტოლაბორატორიაში) რომ გავიფიქრებ-

დი, იმავდროულად გაფაციცებით ვკრებიდი ყოველ სიტყვას, რასაც მიაბობდნენ.

დედას ჯერ ნათელა გაეცნო, გურამის მეუღლე, და მისთვის ეთქვა: რომ იცოდეთ, როგორ უყვარს ჩემს შვილს გურამი, სულ მისი წიგნები უჭირავს ხელში, გაზეპირებული აქვს თავიდან ბოლომდე და შინ ხუმრობით დოჩანაშვილოლოგს ვეძახითო.

მეორე დღეს ის ჰკითხავდა: თქვენი ვაჟი რამდენი წლისაა, გურამს აინტერესებსო. — ოცისო, — დედამ. და მომდევენო დღეს გურამის ამ სიტყვებსაც ამცნობდა: სწორედ მაგ ასაკის მკითხველები მყავს, უფრო აქეთ კი... — და სინანულით გადაექნია თურმე თავი.

„მით უარესი იმათთვის“, — გავიფიქრებ, და თან შემეხარბება: პირველად ნაკითხვის ბედნიერება ჯერაც წინ რომ ელოდებათ.

მისი ცოლ-შვილი სულ ზღვაზე იყო, რათა ხელი არ შეეშალათ გურამისათვის, რომელიც საღამომდე თავაუღლებლივ წერდა, საღამოს კი, დამაშვრალი იმ შრომით, თვითონ დროდადრო კატორღულსაც რომ ადარებდა, შედგაფუნდებოდა ზღვაში და რა სტილი გნებავთ, მას რომ არ სცოდნოდა, თითქოს კლასს აჩვენებს დამსვენებლებსო. თუმც ნაკლებ მოსალოდნელია, კლასსა და ამისთანებზე ეფიქრა, გნებავთ გაგანია მზეში, გნებავთ მოქურუმებულ ამინდში არა სცხელოდა ასეთი ფიქრებისათვის, და ტალღებს რომ მიაპობდა, ეტყობა, ლიტერატურულ ზვირთებზე გრძნობდა თავს, ვითომდა მიტოვებულ საქმეს აგრძელებდა კვლავაც და შეჰხაროდა ცხოვრებას, თუნდ წამიერ სულისმოსათქმელს რომ უბოძებდა ხოლმე, თორემ თბილისური სახლის სივინროვეში ისე განამებულოყო, ერთხელაც იქნებოდა საქვეყნოდ განაცხადებდა: აუცილებლად შევწყვეტ წერას, მეტი აღარ შემიძლია ამ შემანუხებელი პირობების ატანაო, — და კიდევ დაზაფრავდა მისი მხატვრული სამყაროს თავგანისმცემელთ, რომელნიც თვალდათვალ მატულობდნენ...

მატულობდნენ რა — ვმატულობდით... და ყველა ჩვენგანი დარწმუნებული გახლდათ, რომ ამ მხრივ სხვა ვერავინ შეედრებოდა.

მამა ყოველთვის ამბობდა: ახალგაზრდა პროზაიკოსებში თუ ვინმეა გამორჩეული, უდავოდ გურამ დოჩანაშვილიცო. „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“ რომ გამოქვეყნდა, მაშინ ხომ: ოოო, ამის დამწერი შეიძლება ძალიან შორს წავიდესო!..

მოგვიანებით ამასვე მეტყვის ნაირა გელაშვილი: ნამდვილი გურამი ამ მოთხრობით დაიბადაო.

ამჟამად მეც დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოთხრობა პირველი, ყველაზე მტკიცე განაცხადი დიდი მწერლობისაკენ სვლისა, მაშინ კი ამისთანებზე არა ვფიქრობდი, ძალიან მომწონდა და მორჩა... ოღონდ ჩემთვის გურამი მაინც ვასიკო კეჟერაძის უცნაური სახებით დაინყო, კაცისა, ვისაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ეგაა და ეგ... თუმც სხვა რალა უნდა ყოფილიყო — ადამიანს თუ ლიტერატურა ფანატიკურად უყვარს, სხვა არც არაფერი მოეთხოვება, უანგარობისა და სულიერების უწყვეტობას უნარჩუნებს ქვეყანას; და უპირველესად არა ღრმავლოვანი მსჯელობებითა თუ მახვილგონიერულ არგუმენტთა დახვევებით, არამედ საკუთარი ბიოგრაფიით შთაგაგონებს, რომ არსებობს ყოფით სინამდვილეზე არანაკლები და იქნებ უფრო დიდი სინამდვილეც — მხატვრული რეალობა... და ხილული სამყარო ეგებ მართლაც იმიტომ შეიქმნა, რომ ლიტერატურაში აღწერილიყო!..

გახსოვთ ლუკას („საქმე“) ყველაზე ღრმა, ყველაზე იდუმალი შეგრძნება, როდესაც ხელთ ეპყრა ნაღდი, სტრიქონების ჩანიკნიკებულ, თითქოსდა სუსტ ხერხებალზე ჩამოსმული ცოცხალი, უახლოესი ადამიანები და ქვეყანა, მართლაცდა დიდი ადამიანების გონებითა და მარჯვენა ხელით ბოძებული, შექმნილი თითებში გამომწყვდეული კალმითა და ბატის ფრთით, რომელსაც ვერავითარი „ნამდვილი ამბავი“ ვერ შეედრებოდა?

— ეს მხატვრული სინამდვილე იყო, სინამდვილეთაგან ყველაზე ძლევაშისილი, უდიადესი...

იმ დიდ, ნამდვილ მწერლებს რა შეეძლოთ?

ჰეეე, რა აღარ —

სულში მოურიდებლად ჩახედვა და კითხვისას მთელი სხეულის დაჭიმულ სიმებზე უხეშად ხელის ფათური;

კიდევ — ქეროში ხელის ჩაგლება და კლიენტის იქით წაყვანა, საითაც მოეპრიანებოდათ;

კიდევ — მეფური წყალობის გაცემა;

და კიდევ — ცივი წყლის გადასხმაც.

აბა, მამ როგორ გინდოდა?!

და ყველას თავთავისი ქვეყანა რომ ჰქონდა, ხალხითა და ნივთებით სავსე, რომელსაც ვერავითარი ჟამთასვლა თუ დროთადინება ვერ წაშლიდა, დიდებულ შემოქმედთა ამ თანავარსკვლავედიდან სამს გამოარჩევდა, სიმბოლურად რომ უნდა განესახიერებინათ მხატვრული სინამდვილის ძლევაშისილება, სინამდვილეთაგან ყველაზე აღმატებულის:

მიგელ დე სერვანტესის ესპანეთს („დიდი, ოღროჩოლო გზებით, რომლებზედაც ხნიერმა ინვალიდმა თავისი გერი, მრავალტანჯული იდაღო ხან აჯირითა და ხანაც დინჯის ნაბიჯით გაარონია“), ფიოდორ დოსტოევსკის სანკტ-პეტერბურგი („ნესტიანი, დიდი, ნაცრისფერი ქალაქი“) და ჯეიმზ ჯოისის ირლანდია („რომელსაც ხანდახან ისე ხვავრიელად, ისე უნამუსოდ ათოვდა“).

დაგარეტიანებდა, გაგაბრუებდა ეს ყოველივე — ჩემი არ იყოს... და უკვე აღარც ის მიკვირდა, გურამ დოჩანაშვილის ეს გმირიც იმავე მწერლებს რომ გამოარჩევდა, ჩემთვისაც ასე მახლობელნი რომ იყვნენ და კვლავ და კვლავ მარწმუნებდნენ, რომ ხილული სამყარო იმიტომ შეიქმნა, წიგნად აღწერილიყო.

უპირველესად მაინც სულიერებისა და უანგარობის უწყვეტობას უნარჩუნებს ქვეყანასო...

უპირველესად, თორემ ვასიკო კეჟერაძის („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) ლაპარაკს არც ღრმავლოვანება აკლია და არც მახვილგონიერება, პარადოქსებით გვარიანად შეზავებული, მკითხველის ხელობას ისეთ სასწაულსაც რომ შეადარებდა, რომ შეიძლება წოლილიყავ ისედაც ვინრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის და სულაც არ ყოფილიყავ ზედმეტი, უფრო მეტიც, აუცილებელიც ყოფილიყავ, და ეს იმიტომ, რომ ავტორმა ინება ასე, ავტორის ნებას კი, მეფერო ძალაუფლებას გატოლებულს, რა გადაუდგებოდა წინ.

ქვეყნად არსებულ ხმაურთაგან კი ერთს გამოყოფდა, — ამას უკვე ხმადაბლა, კრძალვით აღნიშნავდა, — ყველაზე საშინელს, უსიამოს, გულდამწყვეტსა და, ვინ იცის, კიდევ რას — პირველი გოროხის დაცემას საფლავში ჩადგმულ კუბოს სახურავზე, და ვისაც გაახსენდებოდა, ყველა რაღაც ყრუ ხმაურს მიაშვავებდა, საზარლად ფშვინად... ესეც არ იყოს, შეუძლებელია ხანდახან ძილი

არ გაგტყდომოდა და, ბნელი ღამით, უეცრად გაღვიძებულს, მოულოდნელად, განსხვავებული სიკვდილით არ წარმოგედგინა სიკვდილი, რომლის მოსვლაშიც არასოდეს დაეჭვდებოდი. აი, მკითხველებს კი სიკვდილისაც ნაკლებად ეშინოდათ და ასევე იქნებოდა უკუნითი უკუნისამდე, რადგან მრავალჯერ გამოუცდიათ გარდაცვალებაც — ზღვაში დახრჩობით, ქუსლში დაჭრით, გილიოტინაზე ასვლით, და სანოლში მშვიდადაც, ფათერაკთა გადახდის შემდეგ... — და, მასთან ერთად, ყოველგვარი აღმატებაც თუ დაცემაც, უსაზღვრო სიხარულიც თუ უკიდურესი ტანჯვაც, და მოუხილავი არაფერი დაეტოვებინათ ყოფილობის ხვეულებსა თუ წარმოსახვის უკიდველობაში...

და ეს ყოველივე თავთავიანთ ოთახებში, მაგიდებისაკენ თავდახრილთ...

ვასიკო კეჟერაძე მიმაბრუნებდა მწერლის მანამდელი მოთხრობებისაკენ, რომლებიც უკვე სულ სხვა ძალით იმოქმედებდა, განსაკუთრებით მაინც „იგი სიყვარულისათვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი“, და მიკვირდა, მხოლოდ ახლა რომ მომიწია მისმა აღმოჩენამ — გრიშას თავგადასავლისა, ვასიკო კეჟერაძის შუათანა ძმის, არანაკლებ უცნაურისა და კოლორიტულის.

ნეტა იმთავითვე ჩაეთქვა სამი ძმა კეჟერაძის მხატვრულ პორტრეტთა წარმოსახვა, გრიშას ხასიათს რომ აქანდაკებდა, თუ ვასიკო კეჟერაძის სახეობამ უბიძგა, სისხლითაც გადაეჯაჭვა გრიშასათვის და მესამე ძმაც ამოეყენებინა მათთვის გვერდში?

ეს ისე, სხვათა შორის, თორემ რა მნიშვნელობა ჰქონდა ფსიქოლოგიურ პირველობას, მთავარია, რომ ვასიკო ძალდაუტანებლად ახსენებდა იმის სახელს თამაზსა და მის ხელმძღვანელთან საუბრისას: გრიშასაც ლიტერატურა სიყვარულით როგორ არ უყვარს, მაგრამ ჩემსავით ძლიერ — არაო, და გაკვრით ჩაურთავდა წინამორბედი მოთხრობის ზოგად ქარგასაც („ეეჰ, იმასაც ჰქონდა თავისი პრობლემა-გატაცება, მაგრამ უკიდურესობაში ჩავარდა, რადგან ყველას ემუსაიფებოდა, განურჩევლად, მერე კი გადაწყვიტა ჩუმად იყოს, ეეჰ, ახლა პიანინოებს აწყობს და ჩუმადაა“).

მესამე ძმაზე კი განუცხადებდათ: ოო, ისაა, რაცაა, ორივესა გვეჯობს, ოღონდ ჩვენთან ერთად არა ცხოვრობს, სოფელ-სოფელ დადისო.

მესამე ძმის ამბავი ჯერ დასაწერი იყო, ოღონდ არამართო ქარგის ზოგად მონახაზს აცნობდა მკითხველს, არამედ უანრზეც მიანიშნებდა:

— მე და გრიშა თუ... აბა, როგორ გითხრათ... ჰო! მე და გრიშა თუ სამოთხრობო ხალხი ვართ, ის ძმა — მესამე — სარომანოა, მამ!

ჯერ სახელიც არ მოეფიქრებინა მესამე კეჟერაძის, უფროს-უმცროსობით — სულაც პირველის, არ იჩქარებდა, რომ სახელდახელოდ შეერქმია რაიმე, და დაელოდებოდა იმ დროს, როდესაც სოფელ-სოფელ მის ხეტიანს მხატვრულად შეასხამდა ხორცს. სახელიც მაშინ გამოიკვეთებოდა, ზუსტი და შესაფერისი.

გამეხარდებოდა და რარიც გამეხარდებოდა ეს „სარომანო“.

ეს ფრაზა სხვა როგორ უნდა აღიქვათ, თუ არა უკვე ჯერში ჩამდგარი რომანის ანონსი?!

არამცთუ ჩემსავით სკოლის მოსწავლეს, არამედ აგერ ტარიელ ჭანტურიასაც ასეთივე შთაბეჭდილება დარჩენოდა

ამ პასაჟით, უკვე აღიარებულ პოეტსა და გამოცდილ ლიტერატორს, ვისი ვრცელი წერილის — „ყულაბა, სავსე ოცნებით...“ — მეორე, არსებითად დამოუკიდებელი ნაწილიც („მოცნებთა ტანდემი“) ამ მოთხრობით გამოწვეული მოწონების შთაბეჭდილებებს უზიარებდა მკითხველს, ავტორს სულ „მაღალნიჭიერად“ იხსენიებდა და ამ ქმნილებას აფასებდა მრავალი ისეთი პრობლემის ნამოჭრისა და მისი გადანყვეტის მარჯვე ცდად, რასაც ჩვენი ახალგაზრდული პროზა, მის რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელთან ერთად, ლიტერატურის ერთადერთ ცენტრალურ მაგისტრალზე გაჰყავდა...

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ მკითხველის ქებათა ქებად აღმართულიყო და ტარიელ ჭანტურია ამ მხრივაც მოეხიბლა, რაკილა თვითონ ისიც მკითხველის აპოლოგეტად მიიჩნევდა თავს, კულტურის ამ უჩინარ, უანგარო და განუზომელი ღვანლის მსახურთა მეხოტბედ დამდგარიყო და გაახარებდა აპოლოგეტებში გურამ დოჩანაშვილის შემომატება. და მის ღიმილს მიიჩნევდა დავით კლდიაშვილის, აგრეთვე ნოდარ დუმბაძისა და რეზო ჭეიშვილის ღიმილის გაგრძელებად, რაკილა ახალი თაობის ამ მწერლის მანერის ელვარება დღითიდღე უფრო საჩინო ხდებოდა და თანდათან სრულყოფილ სახეს იძენდა მის მოთხრობებში ჰუმორი, გროტესკი, სატირული სახე! არც ამ მოთხრობას აკლდა სატირული პლანი, მაგრამ საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ გროტესკის სიმწვავეს მწერალი ოსტატურად ანელებდა ჰუმორის შუქით.

და ამ ჰუმორით გამთბარი ორი ძმის ამბავს რომ გასცნობოდა:

— მე ახლა მოუთმენლად ველოდები ტრიპტიქის მესამე ნიგნს: აკი თქვა ვასიკომ, სამნი ძმანი ვართო. გურამ დოჩანაშვილი ალბათ მესამე ძმის ხასიათსაც გაგვაცნობს. ვასიკო კეჟერაძის თქმით, ეს უნდა რომანი იყოს. მე სიამოვნებით დაველოდები მაღალნიჭიერი ქართველი მწერლის პირველ რომანს.

თქვენ ჩემი მოუთმენლობა თქვით!..

„სამოსელი პირველის“ გამოქვეყნება რომ დაიწყო გაგრძელებებით, თავიდან სწორედ ის მეგონა მესამე ძმის თავგადასავალი, მითუმეტეს, ლტოლვილის გამოჩენით იწყება თხრობა, მისი მისვლით მაღალ-სოფელში... ესეც ის პერსონაჟი, სოფელ-სოფელ რომ დადის... მაგრამ აღმოჩნდებოდა, რომ ეს სხვა რომანი იყო, სწორედ ის, რომლის შექმნაც ასეთი რწმენითა და იმედოვნებით განეზრახა ლუკას, „საქმის“ მთავარ გმირს, გულის ყველაზე დაფარულ შრეში თვით „ვეფხისტყაოსანს“ რომ გამოეთამაშებოდა... და ამგვარ სითამამეს თვალისა რომ ავარიდოთ, მწერლური ხელოვნების დღესასწაულის მხილველებად კი გვაქცევდა ყველას გურამ დოჩანაშვილი — ერთი აკვრით ამ უანრის ამხელა სიმაღლეზე რომ ატყორცნილიყო.

პირველ ნიგნსვე შეეცხოვრება ის უჩვეულო მაღლი, ფინალამდე ასეთი დიდებულებით რომ მიიღწევდა — იუმორის, ირონიის, გროტესკის, სატირის ასეთი თავბრუდამხვევი ბრუნვა-ტრიალით.

კიდევ უკეთესი, თუ ლუკას ოცნების ახდენის შემსწრე-ნიც გავმხდარიყავით.

ვასიკო კეჟერაძის ოცნების ახდენასაც რა უნდა გადადგომოდა წინ.

მაგრამ შალვა კეჟერაძის თავგადასავალი... აგერ, მოთხრობის ჩარჩოს ვერ გასცდენოდა.

დაე მოთხრობა ყოფილიყო (მითუმეტეს, მიძღვნილი ნარწერიით!), მისი მოთხრობები, რა, ნაკლებად მიყვარდა? მაგრამ აკი სარომანოო?..

მოგვიანებით თვითონ ასე ამიხსნიდა: „სარომანო“ პერსონაჟის ხასიათის მასშტაბურობას გულისხმობს და არა მაინცდამაინც ჟანრს, ვასიკოს სიტყვები უფროსი ძმის გამორჩეულობაზე მეტყველებს, მის განსაკუთრებულ მისიაზე, ესაა და ეს, თორემ „ერთი რამის სიყვარული“ იმთავითვე მოთხრობად მქონდა ჩაფიქრებულიო.

კაცმა რომ თქვას, სარომანო ხასიათს სწორედ სარომანო ფორმა შეჰფერის და, თავიდან რა მოგახსენოთ, მაგრამ ვასიკო კეჟერაძეს იმ სიტყვებს რომ ათქმევინებს, იმ წუთას უთუოდ გაუჩნდებოდა სურვილი, მართლაც რომანად ხომ არ გამეშალა თხრობაო.

პერსონაჟი რომ სოფელ-სოფელ დადის, ბევრგვარ ფათერაკშიც შეიძლება გაეხვეს, მწერლის დაუმრეტელი ფანტაზია კი ამ ამბებსა და ფათერაკებს მიმზიდველ თხრობად აქცევს... ხოლო გურამ დოჩანაშვილის წარმოსახვის სიმდიდრესა და ამოუწურაობას „სამოსელი პირველი“ ისე თვალნათლივ, ისე შთამბეჭდავად ადასტურებდა, შალვა კეჟერაძის სარომანო თავგადასავლის ხელიდან გაშვება როგორ იქნებოდა?!

თავის დროზე პეტრე უმიკაშვილს ძალიან დაწყებოდა გული, „სამანიშვილის დედინაცვალი“ ასე მალე რომ მოთავდებოდა, და მეგობრულად შეახურებდა დავით კლდიაშვილს, სულ „ზარმაცა“ უძახია მისთვის, როგორ თუ იმერეთს არ გადმოაცილე პლატონ სამანიშვილი და მთელი საქართველო არ მოატარე, მოთხრობა იკმარე და რომანთან შეჭიდება არც მოინდომე, თორემ შენი ტალანტის კაცი ამ თემაზე რა რომანს შეგვიქმნიდაო.

უხერხულად იმეზუნებოდა დავით კლდიაშვილი და ერთი გაფიქრება ალბათ კიდევ გაიფიქრა: ნეტა მართლა სიზარმაცით ხომ არ დამემართა, რომ ჩემი გმირი მხოლოდ იმერეთის სოფლებში ვატარე და ქვეყნის სხვა კუთხეებში აღარ გადავიყვანე თავისი ჯაგლაგითო.

თუმცა რაოდენ შთამბეჭდავიც უნდა იყოს სამანიშვილების ამბავი და რაოდენ მაცთურიც მისი გაგრძელების სურვილი, რომანის ფორმა ერთბაშად გადაყლაპავდა მთელ ამ მიმზიდველობასა და ექსპრესიას — სიუჟეტი ვერ იტივრებდა რომანად გაშლას, რადგანაც ჯერ ისედაც ნოველა უნდა ყოფილიყო თავისი არსით. დიახ, ისედაც გაგრძელებულიყო, მოთხრობის ფორმა შეეძინა და, აქ კი ასე თუ ისე ინარჩუნებდა თავს მწერლის განსაკუთრებული ტალანტის წყალობით, მაგრამ ზედ რომანის დაშენებას ვერ გაუძლებდა თუნდ მახვილგონივრულად მიგნებული სიუჟეტი, ბევრ დასავლელ მწერალს რომ შეეხარებოდა.

ამ პერსპექტივამ შეაფიქრინა და შეაჩერა უთუოდ დავით კლდიაშვილი.

„ერთი რამის სიყვარულიც“ ნოველა უფროა თავისი შინაგანი აღნაგობით, მოთხრობის ფორმასაც იგუებდა როგორც, მაგრამ რომანს ვერაფრისდიდებით ვერ გადანვდებოდა, საიმისოდ სიუჟეტის ღერო საკმაოდ სუსტი აღმოჩნდებოდა და მწერლური წარმოსახვის გაქანებაც ბევრს ვერაფერს უშველიდა მომბაბურებელ გაჭიანურებას.

ამიტომაც „სარომანო“ შალვა კეჟერაძე მოთხრობის ქარგაში და მარტოდენ იმერეთის სოფლების არეალში შე-

ეცდებოდა იმ ერთი რამის სიყვარულის გამჟღავნებას, დაფარვა რომ სჭირდებოდა.

მე კი სულმოუთქმელად გადავიკითხავდი სოფელ-სოფელ ხეტიალის ამბავს — იუმორსა და ირონიამი გამობხვეულ დიდ სატკივარს.

— აი, რომ არ წამოხვედი!..

მაგრამ გზა როგორღაც უკვე გაკვალულიყო... გაკვალვად ითქმის, აბა, სხვა რა — თავის ერთგულ მკითხველთა შორის მეც მგულისხმობდა უკვე... და თბილისში დავბრუნდებოდი თუ არა, სექტემბერშივე ძალიან ვთხოვდი მამას, რომ გურამიც მოენვია ჩვენთან და კიდევ — ხშირ სტუმრებთან — ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ბიბილური, ტარიელ ჭანტურია, თედო ბექიშვილი — ერთად გურამ დოჩანაშვილი და ბესიკ ხარანაულიც გამოჩნდებოდნენ, იმჟამად სიამის ტყუპებით გადაბმულნი, გურამს სულაც მის ტერიტორიაზე რომ მოენდომებინა შეჭრა, ერთხელაც დაუჯდებოდა, საიდუმლოს გაუმხელდა, ლექსებს მეც ვწერო, და უკითხავდა და უკითხავდა ბლომად დაგროვილს, თან გამომცდელად აკვირდებოდა: აჰა და რას მეტყვის, როგორ მომიწონებსო... ის იჭვნეულად გადააქნევდა თავს და ურჩევდა: რაც გიკეთებია, ის აკეთეო. იმ წუთას კი განწყობოდა გურამი, მაგრამ მერე მაინც მოინელებდა ამ მტკივნეულ შეფასებას, ხოლო ბესიკი თავს იმით იმართლებდა: ჩინებულ პროზაიკოსს დავკარგავდით და რიგით პოეტს შევიძენდით, ასეთ ჟანრობრივ გადანაცვლებას კი როგორ შევგუებოდიო.

ლექსი გულს მაინც უღრღინდა გურამს და ისედაც რიტმიკაზე აგებულ თხრობას ალაგ-ალაგ პოეტურ პასაჟებსაც გაურევდა, მენდეს მასიელს კი, „სამოსელი პირველის“ გმირს, წინამძღოლსა და თავისუფალი ქვეყნის — კანუდოლის — დამაარსებელს, სულაც ვერლიბრგარეულ თეთრ ლექსად აალაპარაკებდა.

ამ გარემოებას აკაკი ბაქრაძე მიაქცევდა ყურადღებას და კრიტიკულ თხზულებაში „იყიდენ მახუილი“ (ვითომ ლიტერატურული სახელწოდება მისი ხელმოწერით პოლიტიკურ მოწოდებად რომ განხილავდებოდა იმჟამად!), იმ თვალსაზრისის დასასაბუთებლად, კანუდოსის აღწერისას თუ როგორ იცვლება „სამოსელი პირველის“ საერთო ირონიული ატმოსფერო პათეტიკური განწყობილებით და ავტორი ამაღლებული ინტონაციით იწყებს თხრობას, ზოგიერთ შემთხვევაში კი თხრობის ინტონაცია პროზიდან ლექსში გადადის, თვალსაჩინოებისათვის მოხმობდა მენდეს მასიელის სიტყვას გრაფიკულად ლექსის სახეს მიანიჭებდა — აჰა და თვალნათლივ დარწმუნდითო:

**თავისუფლებას გაჩვენებთ, რაა, ოღონდ დროებით, იცოდეთ ესეც და ნუ შეკრთებით, რადგან ისედაც დროებითა ვართ, აქ, ამ მიწაზე...
და სიკვდილისაც ნუ გეშინიათ, ნურც — არყოფნისა.
ნუ გგონიათ, რომ უცხო ხილია — დაბადებამდეც ხომ არ ვიყავით...
რა არ მომხდარა ჩვენს გაჩენამდე, დიდრონ ქალაქებს იღებდნენ ერთნი და მეორენი თაყვანსა სცემდნენ...
ბნელში ტიროდა პატარა ბიჭი...
ზღვის პირას გრძელ ნავს უცდიდა ქალი...**

გურამს ძალიან გაახარებდა იმ ვრცელი გამოხმაურების ეს პასაჟი და გუნებაში ნიშნაც მოუგებდა ბესიკ ხარანაულს: აი, თუ არ მეხერხება ლექსად გაწყობაო. გარეგნულად კი არაფერს შეიტყობდა... ხოლო თვითონ იმ კრიტიკულ ნარკვევზე გაორებული შთაბეჭდილება დარჩებოდა — არაერთი ადგილი ძალიანაც მოსწონდა, მაგრამ არაერთი კამათის გუნებაზე აყენებდა და კიდევ წამოცდებოდა: კაკოს ხელისუფლება რომ არ ავიწროვებდეს და წერილებსაც არ უკვეთავდეს მის წინააღმდეგ, აუცილებლად გამოვეპასუხებოდი, მაგრამ ახლა არ მინდა, სხვანაირად ჩამომართმევენო.

ოთარ ჩხეიძესაც რომ გაუზიარებდა თავის შთაბეჭდილებას, ის ეტყუოდა: ცალკეულ შენიშვნებს მართლაც იწვევს, მაგრამ მთლიანობაში ძალიან კარგი კრიტიკული ნაშრომია, კარგა ხნის ნამუშევარიც უნდა იყოს, ასეთი წერილები სახელდახელოდ ვერ იწერება, საერთო დონე ეს რომ იყოს ჩვენი კრიტიკისა, რა გვიჭირდაო.

— ამაში გეთანხმებითო, — გურამმა.

იქ კი, სუფრაზე ვიღაც ზვიად გამსახურდიას უხსენებდა და გურამი: ოთხი წელია ხმას არა ვცემო.

შერიგდებითო.

არა მგონიაო.

ტარიელ ჭანტურია ჰკითხავდა ვითომდაც დიდად სერიოზული კილოთი: ქეთო შენს ქაღალდში ხომ იმიტომ დაარქვი, თქვენი საიდუმლო ორგანიზაციის აბრევიატურა რომ იყო — ქართველთა ეროვნული თავისუფლების ორგანო ანუ ქეთოო?..

— რას არ მოიგონებო, — გურამმა.

— კიდევ მე მოვიგონებო? — იმან, სიცილით, — ზვიადი რომ აღარ გინდა, აღარც მასთან ურთიერთობის გახსენება გინდაო?

— არა და არაო, — ეს უარზე დადგებოდა, — ეს რაღა დასამალი ან უარსაყოფი იქნებოდა, ქეთო მართლა მაგიტომ რომ დამერქმია... ისე ხუმრობით რატომაც არა, თუ გინდა ყოველთვისაც დაგიდასტურებო.

სუფრა რომ აიშლებოდა, გამომშვიდობებისას გურამი განზე გამიხმობდა: რაღაც მოთხრობას ვამთავრებ, ასე მგონია, აქამდე ჯერ ასეთი არაფერი დამიწერია და, თუ გინდა, დავასრულებ თუ არა, დაგირეკავ და წავაკითხებო.

თუ გინდაო?... ვის ეუბნებოდა!.. ლამის ხელი აღარ გადამეხანა, გურამმა ჩამომართვა-მეთქი, და მისი გამოუქვეყნებელი მოთხრობის წაკითხვას თუ მოვისურვებდი?... განდობილია წრის წევრი მეც ვხდებოდი, ანკი რომელი განდობილი წავგავაჭარბებდნენ ფანატიზმით და გულალალობით, მითუმეტეს, ლიტერატურა ლამის მთლად რელიგიური თვითჩარმავებისაგან არც არასოდეს გამოგვერჩეოდა, სექტანტობისა კი, საბედნიეროდ, არაფერი გვეცხო, თორემ ლიტერატურული სექტანტობა რელიგიურსა და პოლიტიკურ სექტანტობაზე უარესია.

ტარიელ ჭანტურია რამდენიმე დღის შემდეგ ნატოს ჰკითხავდა: რა იყო, ეს შენი ძმა რა ალტაცებული შეჰყურებდა და ელაპარაკებოდა გურამ დოჩანაშვილს, მონამულული პავლიკიანელი რომაა, ვიცი, და მონამულული გურამიანელიც ხომ არ არისო?

— არისო, — დაუდასტურებდა ნატო, — გურამი მისი უსაყვარლესი მწერალიაო.

მისებურად გაიცინებდა „თაფლობის საუკუნის“ შემოქმედი:

— ოთარ ჩხეიძე სახლში გყავდეს და გურამ დოჩანაშვილი უპირველეს მწერლად მიგაჩნდეს? რა ვქნა, რაც ჭადრაკში ასე მჩაგრავს, შენი ძმის ყოველი შეცდომა, ცხოვრებაში დამეხვეწი, სიხარულით მავსებს.

ტარიელ ჭანტურია და ყოველ წამსა და წუთს არ იხუმროს?

ისე თუ ვინმეს თანადგომა და უშურველი ქება მახსოვს ლიტერატურის კარიბჭეზე მოკაკუნებისას, ერთი უპირველესთაგანი მისი — ძია ტარიელის, და, სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიასთანაც ისეთი ეპითეტებით შემამკობდა, ის დიდი ცნობისწადილით დამაკვირდებოდა: ნეტა ვინ არის ამისთანაო!..

ვინ ვიყავი და... ვისაც ლიტერატურა ძლიერ მიყვარდა!..

ჩემითაც მეგრძნო უკვე, მაგრამ გურამ დოჩანაშვილის ნყალობით მოვლენილი პერსონაჟი სრული უეჭველობით მიდასტურებდა, რომ სიცრუე იყო, თუ ბევრს ნახავდი და უამრავი რამ გადაგხდებოდა, სიკვდილისა აღარ შეგეშინდებოდა, პირიქით, უფრო გაგიძნელებოდა სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ ის მაინც გეცოდინებოდა, სავსე ცხოვრება რომ გქონდა, ნანანალი და ყოვლისმნახველი.

და — ვასიკო კეჟერაძისა არ იყოს — მეც თვალნათლივ ვჭვრეტდი იმ სურათს, ოდესმე სიკვდილის წინ, უღონო, სარეცელზე თუ როგორ წარმოვთქვამდი:

— ეჰ, კარგი იყო, ოხერი... —

და თუ ვინმე ჩამეკითხებოდა, ცნობისწადილით ან თუნდაც ნიშნისმოგებით:

— რა — სიცოცხლე თუ ლიტერატურა?..

გაინტერესებთ, რას მიუფუგებდი?.. გაინტერესებთ?.. რას და:

— და განა სულერთი არ არის?

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი მისია, მაგრამ ხანდახან არც ვიცით ხოლმე.

ზვიად გამსახურდიასთანაც ისეთი ეპითეტებით შემამკობდაო...

ტარიელ ჭანტურია შინისაკენ მოდიოდა და ის შემთხვევით გადააწყვეტებოდა მანქანით და შესთავაზებდა: მე წავიყვანო. ეს იუარებდა: გზას არ გაგიმრუდებო, — მაგრამ ის არ მოეშვეებოდა: რას ამბობ, რა გზის გამრუდება, თუ წყენა არა გაქვს გულში ჩარჩენილი, უარს ნუ მეტყვიო. და კიდევ ამოაქროლებდა საირმის ქუჩის ბორცვზე.

მეც იმ დროს ვბრუნდებოდი შინ და სადარბაზოს რომ მივატანდი, კიდევ გააჩერებდა ზვიადი მანქანას და თანამგზავრს გამოემშვიდობებოდა.

ზვიადს თქმით მაინც უთქვამს: არ იყავით „ცისკრელები“ ჩემთან მართლებიო, და მისი თანამგზავრიც იქნებოდა, რაიმე დაეთმო: ბაბა, უკან გაიხედე... არა, არა, აზრობრივად გეუბნებიო... და კარგად გაიხსენე, რა და როგორ მოხდა, ისეთი რაღაც ჩაიდინე, საყვედურის თქმის უფლება აღარ გაქვსო.

შეყოლით აღარ შეყოლიან კამათს და კეთილად გაყრილან.

ზვიადს ასე ახლოდან მეორედ ვხედავდი, პირველად მაშინ, მწერალთა კავშირში რომ დაიბარეს ამ ორგანიზაციიდან გასარიცხად — 1977 წლის 1 აპრილს. ყველამ იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა — მოახლოებულიყო მისი დაპატიმრების ყამი და ხელისუფლებას მწერალთა ოფიციალური სანქცია ცხირდებოდა ამისათვის.

ამიტომაც მიწყვეტოდა მაჩაბლის ქუჩას უამრავი ხალხი, და მილიციას გაეპო შუაზე ეს ამხელა დუნდგო და დერეფანი დაეგმო შერისხულისათვის. მოდიოდა გამტკნარებული სახით, ოლონდ შემინებულია არაფერი ეტყობოდა. მოახლოებულიყო ყამი, რომლისთვისაც ემზადებოდა და გაუძლებდა თუ ვერა?.. გაუძლებდა თუ ვერა?.. გაუძლებ, როგორ არ გაუძლებო, — იმ წუთას ეს იერი და განცდა აღბეჭდოდა სახეზე, და იმედით ამიტომაც მიმოატარებდა მზერას — ხალხის ასეთი ალტკინებისათვის ღირდა თავის გადაადებაო.

„ცისკარი“ დიდად არა სწყალობდა. ქილიკობდნენ, დას-

ცინოდნენ, გურამ დოჩანაშვილსაც არ ერიდებოდნენ: შენმა ძმაცაცმა იგავ-ნაგავები მოგვიტანაო. ვერც მის ლიტერატურულ ზღაპრებს ენცობოდნენ მაინცდამაინც — სჯობდა ოსკარ უაილდის ზღაპრების თარგმნა ეკმარა და თვითონ აღარ წაცდენოდა ხელიო. მისი ლექსები კიდევ უფრო ამხიარულებდათ: ნეტა თავს არ იტანჯავდესო. აი, მის ესეებს უფრო შემწყნარებლურად ხვდებოდნენ უცხოურ მწერლობაზე და ამასაც ერთსულოვნად აღიარებდნენ: დიდი განათლება რომ აქვს, რად უნდა ლაპარაკიო... მაგრამ ზვიადს ლექსის ჭია ყველაზე ძლიერ შესჩენოდა და, ახალი მოტივები და განწყობილებანი რომ შემოჰქონდა, ვერ იგებდა და ვერც ეგუებოდა, თუ რატომ დახშულიყვნენ ასე საგულდაგულოდ რედაქციები მისი ლექსებისათვის, ერთი-ორი შემთხვევით გაღწეული ნიმუშის გარდა მზის სინათლე რომ ვერ ეხილათ.

იმჟამადაც ლექსების თაობაზე მიეკითხა „ცისკრის“ რედაქციისათვის. ჯანსუღ ჩარკვიანს ავტორები ჰყავდა და მოსაცდელში ელოდებოდა. იქ ტარიელ ჭანტურია წამოადგებოდა თავს, ჩამოჯდებოდა და საუბარს გააბამდნენ, რას არ გადანვებოდნენ ჯერ მარტო ქართული თუ დასავლური ლიტერატურის ირგვლივ, ეს კლასიკაო, ეს თანამედროვეობაო, გულითადი მუსიკაო გამოუვიდოდათ და ორივე მეტად კმაყოფილი დარჩებოდა. ამასობაში რედაქტორი იმ ავტორებს გააცვილებდა და ზვიადს მიიხმობდა — კაბინეტში რედაქციის თანამშრომელთაგან გივი გეგეჭკორი და ემზარ კვიციანიშვილიც იმყოფებოდნენ. ტარიელ ჭანტურიას არ ეცალა, კაბინეტში აღარ შეჰყვებოდათ და თავის გზას გაუდგებოდა.

ზვიადი საყვედურით დაიწყებდა: რა გახდა ჩემი ლექსების დაბეჭდვა, ამდენ ხანს რატომ უნდა ჭიანჭურდებოდეს, ისე ვგრძნობ, არა, კი არ ვგრძნობ, ნამდვილად ვიცი, ტარიელ ჭანტურია აბრკოლებსო.

ბედი არ გინდა!.. იმას რალაც გახსენებოდა და უკან შემობრუნებულიყო, ჯანსუღისათვის რომ ეცნობებინა, და მოულოდნელად საკუთარი ყურით მოისმენდა კარისაკენ ზურგით მდგარი ზვიადის იმ ფრაზას. იმას არც კარის შემოღება გაუგია, არც თვალი მოუკრავს, ვინმე თუ შემოვიდა კაბინეტში. ტარიელის ადგილას სხვა იქნებ უჩუმრადაც გაბრუნებულიყო უკანვე, ვითომ არც არაფერი მოუსმენიაო... მაგრამ ის ასე იოლად ვერ გადაატარებდა ამ სიტყვებს და წინ დაუდგებოდა მის მთქმელს, შეცბუნებული რომ შემოჰყურებდა, აკი დავემშვიდობე, აქ საიდანაა გაჩნდაო.

— მაშე ვერე, არა, ზვიად? — ისიც იქნებოდა, ეს ფრაზა ეპატიებინა, — ჩემზე კიდევ მაგას ამბობ იმ საუბრის შემდეგ, რაც ახლახან გვექონდა? კარგი მაშინ, ამიერიდან მე შენსას აღარაფერს ნავიკითხავ და დავკმაყოფილდები იმით, რასაც დანარჩენი კაცობრიობა შექმნის.

წამოვიდოდა და დატოვებდა გაშეშებულ სურათს. ისე მწარედ მიეხალა, გულში უკმარობის ნამცეცხვს არ ჩარჩებოდა — რასაც დანარჩენი კაცობრიობა შექმნისო...

სარკაზმის ანთოლოგია რომ შეადგინოს ვინმემ, იქ ამ ფრაზასაც აუცილებლად მიუჩენს თავის ადგილს.

თუმც ეს ეპიზოდი ხელს ვერ შეუშლიდა, იმ სტატიაში, რომლის მეორე ნაწილიც გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის ქებას დაეთმობოდა, საგანგებოდ მოეხსენიებინა ზვიად გამსახურდიას მიერ თარგმნილი ამერიკელ პოეტთა კრებული და აღენიშნა ამ წიგნის დამსახურება ქართული თავისუფალი ლექსის დამკვიდრებაში: პოეზიის ამ ნაირსახეობის დადგინების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, ზოგიერთები კი უკვე ინანილებენ დაფნებს ამ საქმეში თავიანთი წვლილისთვის, ამგვარი განწყობილება გამოკრთა რამდენიმე საგაზეთო წერილსა თუ რეცენზიაში, რომლებიც ამ ბოლო ხანს გამოქვეყნდით. არადა, თუ ეს დამსახურება გახლდათ, მისი შეხედულებით, პირველ რიგში ეს იყო დამსახურება მთანმშინდელთა და ძველი ქართველი ჰიმნოგრაფების, გალაკტიონისა და მისი თანამოსაგრეების, მუხრან მაჭავარიანის, ოთარ ჭილაძის, მურმან ლებანიძის, შოთა ჩანტლაძის... ამ სიაში მოიხსენიებდა მთარგმნელებსაც, რომელნიც ძველ თუ ახალ პოეტთა თავისუფალი ლექსების გადმოღებისას გულდაგულ დაეძებდნენ შესატყვის ფორმებს ქართულად — თამაზ ჩხენკელი, გივი გეგეჭკორი, ჯემალ აჯიაშვილი და ზვიად გამსახურდი.

საკამოდ შთამბეჭდავი სიაა და აქ მოხვედრა — ღრმა პატივისცემისა და დაფასების გამოჟღავნება.

აი, ზვიადის ორიგინალურ ლექსებს კი არც წინგანდ გაუმართლა. საგამომცემლო გეგმაში კი შეიტანდა „მერანი“, კიდევ აანყობდნენ, გვერდებდაც დააკაბადონებდნენ, მაგრამ... სამზოვზე კი ველარ გამოაღწევდა.

ზვიადი ცენზურას აბრალებდა მის გამოუცემლობას, მერაბ კოსტავას პოეტური კრებულისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში გაიხსენებდა: მან მაიძულა ჩემი ლექსების მიტანა „მერანში“, რაც დასრულდა მთავლიტის მიერ მისი აკრძალვითა და ანაწყობის განადგურებითო. და იქვე დასძენდა: ხელისუფლება ჩვენს დასაპატიმრებლად ემზადებოდა და რა დროს ლექსები იყოო.

არადა, მთავლიტამდე არც მიუღწევია ანაწყობს, იზა ორჯონიკიძემ მანამდე დაწერა უარყოფითი რეცენზია და ჩვიდმეტი წლით გადაავადა კრებულის გამოცემა — რედაქტორობა მისთვის დაევალებინათ და თურმე წიგნისათვის საბედისწეროდ.

მოგვიანებით საამაყოდ ჰქონდა: — თამაზ ჩხენკელი და ბაჩანა ბრეგვაძე შინ მესტუმრნენ, ჩემთვის ეს ორი უძვირფასესი ადამიანი, და ლამის დამიჩოქეს, ისე მეხვეწნენ, შეცვალო რეცენზია და დადებითი დასკვნა დაუწერეო. მაგრამ ვერ დამიყოლიეს.

- რატომ მერე?
- რას ჰქვია, რატომ, მაგ ლექსების გამოქვეყნება როგორ შეიძლებოდა... ვაი, ვაი, ვაი... ისევე ზვიადისათვის იქნებოდა საზიანო.
- მასზე ზრუნავდა თურმე!..
- თვითონ თუ ასე ძალიან უნდოდა, ვისი წიგნი აღარ გამოცემულა და გამოქვეყნებულიყო ეს პატარა პოეტური კრებულიც.
- ეგ იმის ბრალია, რომ ვერც შენ ერკვევი პოეზიაში და ძალიან გეადვილება ამაზე ლაპარაკი. ინგლისური რომ იცი, ეს არ ნიშნავს, რომ პოეზიაც გესმის. ლექსი რა არის, ორ-სამმა ადა-

**ხუთშაბათს, 23 სექტემბერს
სამების საკათედრო ტაძრის
ახალგაზრდულ ცენტრში
გაიმართება წარდგინება
გაბრიელ ჯაბუშანურის
პირტომეულისა
დასაწყისი 19 საათზე**

მიანმა თუ ვიცით საქართველოში. არ უნდა გამოცემულიყო და არც დაიბეჭდა. ის ხომ კარგი იყო, სუკის აგენტობა რომ დამნაშავე?!

— რამდენად მართალია — იქნებ დააბრალებს.

— რას ჰქვია, „რამდენად“ და „დააბრალებს“. მერაბ კოსტავამ მითხრა, ზვიადი გვირცელებს, რომ სუკის აგენტი ხარ, მაგრამ მე არა მჯერაო. შენ თუ არა გჯერა, დიდი შელავათია-მეთქი, მივუგე და ისიც დავამატე: მაგ კაცთან რა გამეგობრებს, დროზე გამოეცალე-მეთქი.

ჰომეროსის „ილიადას“ თარგმნას რომ წამოიწყებდა, ალაპარაკებოდნენ: ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა „ოდისეა“ რომ გადმოიღეს, მაგანაც ამიტომ მოინდომა, თორემ ისე „ილიადა“ არც გაახსენდებოდაო. თითქოს ასეთი მოქმედება საძრახისი იყოს. კეთილსმყოფელი ზეგავლენა ყველგან და ყოველთვის დასაფასებელი ყოფილა და „ოდისეას“ პროზაულ-მა თარგმანმა თუ შეაჭიდა „ილიადას“, ესეც ჩვენი სალიტერატურო პროცესის ამოძრავებლად აღსატურებდა კიდევ ერთხელ.

ნაცვლად იმათსავით პროზად მოსინჯვისა, ზვიადი პოეტურ გზას დაადგებოდა და... ვერ ვიტყვით, რომ მაინც (და მაინც) წარმატებით გადმოიღო ამ ეპოსის პირველი ქება ქართულად. საჭაშნიკოვ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა და ეგებ სხვა შემთხვევაშიც ვეღარ ფურცლი „ილიადას“ გადმოიტანა ახალ ენობრივ სამოსელში, ალექსი ჭინჭარაულის მძაფრი კრიტიკული სტატიაც რომ არა, ამავე ფურცლზე რომ მოადვენა, მაგრამ თვითონ მაინც ამ ნერილს აბრალებდა: გული გამიტყუნესო.

თარგმნა ისედაც არ მიაჩნდა თავის მთავარ ხელობად თუ მონოდებად, გულს აკლდა, სხვა ლიტერატურულ ჟანრებში რომ ვერ გამოეჩინა თავი, გუნებაში როგორ ესახებოდა საკუთარი ლიტერატურული უნარი, და თურმე... თურმე თარგმნაც არ შესძლებია. გამოქვეყნება აკი ისედაც უძნელდებოდა და ეს მკაცრი გამომხმარებელი ალიქვა რაღაც გადაუღახავ ბარიერად... და თუმცა საპასუხო სტატიის გამოქვეყნების საშუალებას მისცემდნენ „ცისკრელები“, მაინც უფრო მეტად გაღიზიანდებოდა, ვიდრე დამშვიდებული, მონესრიგებული ყოფისას ემართება ადამიანს, რამდენიმე პასაჟი მაინც განსაკუთრებით ატკენდა გულს, თუნდაც ის უმთავრესი, უშუალოდ ძველბერძნულიდან თარგმნის მაგიერ რუსული ვერსიიდან გადმოღებას რომ უკიჟინებდნენ.

ყველაფერი ერთმანეთზე წაენწყობოდა და გულმოსული მიეჭრებოდა ჯანსუღ ჩარკვიანს, თან თავის მეგობრებსაც იახლებდა... ეს მიჭრა მშვიდად ვეღარ ჩაივილიდა, ისე დაი-მუხტებოდა ერთბაშად გარემო, და ზვიადი რედაქტორს ლენინზე დანერილ ლექსებსაც რომ გაახსენებდა ნიშნის-მოგებით, ისიც არ დაუთმობდა: ეს მამაშენისაგან ვისნავე, მისი რომანიტ სტალინზე... კიდევ ცხარე ლაპარაკი და: ვინც გინდა წამოიყვანე და გავიდეო, — სტუმარმა, და კარისაკენ გაიწევა ჯანსუღ ჩარკვიანი: გავიდეო და გავიდეო, ოღონდ მე მერე აღარაფერი დამაბრალოო.

ეს ეპიზოდი სხვადასხვა ნაამბობით ვიცი და მათი შედარება-შეპირისპირებით ზოგადი სურათის აღდგენა არ უნდა გაძნელდეს, მაგრამ ამჯერად ის ვიკმაროთ, ხელჩართულ შეტაკებას რომ აღარაფერი უკლდა და ვეღარც ვერავინ აირიდებდა, გურამ დოჩანაშვილი რომ არა, ვინც უნებურად შეესწრებოდა ამ აყალ-მაყალს რედაქციაში თავის საქმეზე მისული, და კიდევ ჩაერეოდა დამშოშმინებლად.

იმ წუთას გამტყუნებოდა ძველი სენტენცია: გამშველებელს ყველაზე მეტი მოხვდებაო.

მრისხანება ერთბაშად ჩაცხრებოდა, რაკილა გურამს

ორივე მხარე დიდ ანგარიშს უწევდა და ვერ ჰკადრებდნენ, რომ არ დამორჩილებოდნენ მის ენერგიულ შემოვარდნას ჩხუბის შუაგულში.

იმ წუთას პირდაპირ ჩავერიე, მოსალოდნელ საფრთხეზე არც მიფიქრიაო, — გურამმა, მოგვიანებით, — მხოლოდ მერე ვიგრძენი შიში, ჩემს გამო არა, პირიქით, უჩემოდ თუ რა მოხდებოდა... და ღმერთს მადლობა შევნიჩე, იქ რომ მომახვედრა, თორემ კაცმა არ იცის, რითი დამთავრდებოდა ის ალიაქოთი, დოდო რცხილაძის მონაწილეობა როგორ იქნებოდა ჩხუბში, მტერს არ ვუსურვებ მაგისი ხელის მოხვედრას. არადა, თავისით ის სიბრაზე არ ჩანყნარდებოდა, ჯანსუღიც ისე მიიწევა ქუჩაში გასასვლელად, შემკავებელი აღარავინ იყო. კიდევ კარგი, მე მაინც დამიგდეს ყურიო.

— ვიქტორ რცხილაძე ასე გამოიღებდა თავს?

— რა გგონია, ერთი ხანობა ზვიადთან ის უფრო ახლო იყო, ვიდრე მერაბ კოსტავა... ჭაბუხასთან ის ღირსების სასამართლო, თუ რაც იყო, რომ მოუხდა, მაშინ მართო დოდო ნაჭყვა. იმასაც კი ამბობდნენ, ორი რევოლვერით მივიდაო, მაგრამ დოდო ამაზე იცინის, მაგათთან რა იარაღი მჭირდებოდა, ძალიან რომ გამწვავდა, სკამიდან ოდნავ წამოვინიჩე, ეგაა და ეგ, და მაშინვე ჩაშოშმინდნენ, ჭაბუხასაც აღარ გაუგარძელებია ლაპარაკი, ზვიადს პასუხს რომ სთხოვდა ბრალდებაზეო.

— აბა, უკან გაიხედეო, — არ მოეშვებოდა ტარიელ ჭანტურია, — არა, არა, აზრობრივად გეუბნებიო...

თავზესაყრელისა რა ვთქვა, მაგრამ საკმაო დრო კი ჰქონდა იმხანად ზვიად გამსახურდიას, უკან ემზირა — გამოვლილი გზისათვის, და თვითგანსჯას წვრილმანებამდე და ნიუანსებამდე ჩალრმავებოდა. მერე რა მოგახსენოთ — ათ წელიწადში დრო ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით დაინწყებდა ტრიალს, უკან მიხედვა თუ არა, გვერდით ვეღარ მოასწრებდი თვალის შევლებას. ორიოდ წელიწადში რამდენიმე ეპოქას გადავიქროლებდით, და დროის ამ უჩვეულო ბრუნვა-ტრიალს უპირველესად ბედისწერის ჟინიანი თამაში თუ განსაზღვრავდა, მის აჩქარებაში ზვიად გამსახურდიაც მიიღებდა მონაწილეობას — რამდენადაც ადამიანის შვილს ძალუძს ზეგავლენა დროის მსვლელობაზე.

ბედისწერის იმ ჟინიან თამაშს ამოეგდო ხელახლა პოლიტიკურ ასპარეზზე, თორემ ტარიელ ჭანტურია უკან გახედვას რომ ურჩევდა, მაშინაც და კარგა ხანსაც ნაკლებად მოელოდნენ მისგან, თუ კიდევ შეძლებდა ძველი გავლენის აღდგენას საზოგადოებრივ აზრზე. დაე შეგუებოდა უჩინარ ყოფას, ათვალწუნებას, ამაო მიმონყდომას აქეთ-იქით... შეგუებოდა, რომ უიმისოდ გამოიჭედებოდა საქართველოს ისტორია... შეგუებოდა, რომ კომეტის გაელვებასთან გააიგივებდნენ მის წამიერ გადაელვებას და მოიხსენიებდნენ ტრაგიკულ პიროვნებად, ვინც დიდი მისია იკისრა, მაგრამ შესაფერისი ძალ-ღონის უქონლობის გამო ვერ ზიდა ეს ჯვარი და დამარცხებული და მომნანიე გაეცალა ასპარეზს.

* * *

ოთხი წელია ხმას არა ვცემო...

შერიგდებითო, — იმედოვნებდა ტარიელ ჭანტურია.

არა მგონიაო, — უარობდა გურამ დოჩანაშვილი, თუმცა არც ცდილობდა დაეფარა ხმასა და მზერაში ჩალვრილი ტკივილი.

არ იყო სულერთი... სულერთი არ იყო...

და მაინც... მაინც...

ეჰ, რას გაუგებ ბედისწერის ჟინიან თამაშს!..

იოსებ ჭუმბურიძე

ორი ბოდიში

□

ლიტერატურულ-კუბლიცისტური ეტიუდი

სერგო კლდიაშვილი იგონებს, თუ როგორ სთხოვდა მამას მემუარების დანერას.

„ვისთვის იქნება ეს საინტერესო? რა იყო ისეთი ჩემი ცხოვრება, ჩემს თავზე ვილაპარაკო? ეს ხომ ტრაბახი გამოვა“, — ეუბნება მამა.

ერთადერთი არგუმენტი გაჭრის:

„შენ მოვალე ხარ, დავიწყებას არ მიეცენ ისინი, ვისაც, შენსავით, მხატვრული შრომები არ დაუტოვებია, მაგრამ რომელთა ცხოვრება იმის ღირსია, რომ დავიწყებული არ იქნან?“

დიდი მწერალი ამაზე ეთანხმება. შვილს იმედი ეძლევა, მაგრამ მაინც დასძენს: **„თუმცა ისიც ვიცი, მრავალი დღე გაივლის, სანამ დავრწმუნდებოდე, რომ მემუარების წერას შეუდგება“.**

ოლონდ დანეროს და ასეთ ხერხსაც კი მიმართავს: მამას საკუთარ ფულს გაუგზავნის — ვითომცდა „მნათობისგან“ ავანსად გაცემულ ჰონორარს.

„ნამუსზე შემადგეთ და რალა უნდა მექნა“ — ეტყვის დავითი, როცა თბილისში ჩამოვა და მემუარების პირველ ნაწილს ჩამოუტანს.

ამ მოგონებაში მოჩანს კლასიკოსის თავმდაბლობა, რაც ყოველგვარ ტრაბახს გამორიცხავს.

თვითონ სათაურიც თავმდაბლობაზე მიგვანიშნებს. გასაგებია, რომ მოგონებებს ვერც **„ჩემს თავგადასავალს“** დაარქმევდა და ვერც **„ჩემს წუთისოფელს“**, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ასე დაესათაურებინა: **„ჩემი ცხოვრების გზა“.**

არა! ასე დაარქვა: **„ჩემი ცხოვრების გზაზე“.**

ეს კი ნიშნავს: საკუთარ თავზე კი არ ვწერ, საკუთარი ცხოვრების გზაზე კი არ მოგითხრობთ, არამედ იმ მოვლენებსა და ადამიანებზე გესაუბრებით, ამ გზაზე რომ შემხვედრიყო.

მაგრამ მემუარები ისეთი ყანრია, რომლის წიაღში ყველაზე თავმდაბალი ავტორიც ვერ დაიმალება. ის, ვინც იგონებს, ძალაუწევს მთავარ გმირად იქცევა, მითუმეტეს მაშინ, თუ მოგონებელი დავით კლდიაშვილის რანგის მწერალი და პიროვნებაა.

შესავალში ავტორი აღნიშნავს: **„მოკლე მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, იქნება მხოლოდ სინამდვილე“.**



დავით კლდიაშვილი

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს, ბიბლიაზე უდევს ხელი და ამ სიტყვებს ისე წარმოთქვამს.

დავით კლდიაშვილის რეპუტაციის მწერალს ნამდვილად არ სჭირდება დაფიცება — ისედაც ყველაფერი დაეჯერება, თორემ ზოგიერთი კონფლიქტური ეპიზოდის აღწერა სხვისგან, შესაძლოა, მართლაც ტრაბახად მოსჩვენებოდათ.

...სამხედრო სამსახურში მყოფ დავითს უშუალო უფროსი ამოიჩემებს და გამუდმებული შენიშვნებით თავს მოაბეზრებს. **„ვითმენდი, ვითმენდი, რაც გამეწყობოდა. ერთ დღეს კი მოთმინებაც დაიკარგა და მისმა ბრიყვულმა მიმართვამ ისეთნაირად ამრია, რომ დამავინწყდა ყველაფერი და პოდპოლკოვნიკი გავლანძლე საჯაროდ, დაუზოგავად“.**

პოდპოლკოვნიკი გუკოვი პატაკს შეიტანს და დავითი ციხეს ძლივს გადაურჩება. მართალია, ბოდიშის მოხდა მოუწევს, მაგრამ: **„ესეც ისე გამიადვილეს, რომ უარი ამაზე არ მითქვამს“—ო.**

...გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, **„გათახსირებულმა ჭუჭყიანმა გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“... ყოვლად უმგვანო, ყოვლად შეუწყნარებელი წერილი მოათავსა თავის ფურცელზე... სასაცილოდ იყო აგდებული ხალხის მგლოვიარობა, გასვენების მსვლელობა, მონაწილენი“.**

განრისხებული დავით კლდიაშვილი გაზეთის რედაქტორს, პალმს, დუელში გამოიწვევს.

„მე წინააღმდეგი ვარ სისხლის დაღვრის, მაგრამ პალმის სისხლს კი სიამოვნებით დავღვრი“. — განუცხადებს იგი ციხის უფროსს.

გენერალი კი ეტყვის:

„ის ისეთი შეშინებულია, რომ ორჯერ იყო ჩემთან და სული შემიწუხა: რა ვქნაო, მე იარაღის ხმარება არ ვიცო და რამერიგად დამიფარეთო“.

მოკლედ, გენერლის ჩარევით, დუელი არ შედგება.

„მეორე დღეს, საკრებულოს ზალაში თავშეყრილი ოფიცრების წინაშე პალმმა ჩემთან ბოდიში მოიხადა და აღმითქვა, რომ გაზეთში თვალსაჩინო ადგილას მოათავსებდა საბოდიშო წერილს“.

„საბოდიშო წერილი“ კი აღარ დაიბეჭდება, ვინაიდან ამ საქციელს დავით კლდიაშვილის ადვილად არ აპატიებენ. ციხის უფროსსაც გაკიცხავენ, ქართველების მხარე რატომ დაიჭირო. ამ ამბავს ბათუმში ისეთი აურზაური მოჰყვება, რომ დავითისგან ორთვიანი შვებულების აღებას და დროებით ქალაქის დატოვებას მოითხოვენ.

ის კი მტკიცედ განაცხადებს:

„ბათუმიდან ფეხს არ გადავდგამ!“

ესეც მნიშვნელოვანია:

პირველ შემთხვევაში დავითი იხდის ბოდიშს, მეორე შემთხვევაში — მას უხდიან.

ამ ორ ბოდიშში ძლიერი და მთლიანი პიროვნება მოჩანს.

ეს ორი ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს დავით კლდიაშვილის დიდ პიროვნულ ღირსებას და მამულშვილობას.

მათი გაცნობით მხოლოდ შარავანდედი ემატება მწერლის ისედაც ძვირფას ხატებას.

მთელი მემუარები კი გვიმტკიცებს, რომ ტყუილად შიშობდა დავით კლდიაშვილი, როცა შვილს ეუბნებოდა: „ეს ხომ ტრაბახი გამოვა“.

რამდენი ძვირფასი ეპიზოდია ამ მემუარებში, რამდენი ისეთი ფაქტი, სხვაგან რომ ვერსად შევხვდებით.

თუნდაც ის რად ღირს, ქუთაისში სტუმრობის შემდეგ, ვაჟას სადგურში რომ მიაცილებს და გენიალური მგოსანი გზაში ეტყვის:

„— ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამინერა „ენას გინუნებ, ფშაველოო“. მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასანუნია, მამ აღარაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება. უცნაური კბენა იცის ხოლმე!“

დავით კლდიაშვილი დასძენს: „ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა“.

რა მრავლისმეტყველია: ასეთი გულნატკენი ყოფილა და ლექსით რა ღირსეულად გაეპასუხა — ისე, აკაკის და თვითონ ვაჟას რომ ეკადრებოდა.

რარიგ ამშვენებს ეს ორი ლექსი მეცხრამეტე საუკუნეს და, საერთოდ, ჩვენს ისტორიას!

...გულისტკენა კი საჯაროდ არ გაუმხელია. მხოლოდ დავით კლდიაშვილს გაანდო („სხვათაშორის მითხრა“-ო).

დავით კლდიაშვილი რომ იყო, იმიტომ გაანდო.

ცამდე მართალია სერგო კლდიაშვილი მამის მოგონებებს შეფასებისას:

„ნაკვირვებელი და დავრწმუნდი: არ შეეცდარვარ „ახირებული ჩაცვივებით“. დავითმა უბრალო მემუარები კი არა, თავისი საუკეთესო მოთხრობების თანასწორი დაწერა“.

ღლიურის უპრცლაზიდან

ნინო ვახანია

სახელდახელო ჩანაწერები

ირლანდიური აღდგომის ექმ

ირლანდიური აღდგომა — იუნყება „ჩვენი მწერლობის“ 2010 წლის 5 თებერვლის გარეკანი. რა თქმა უნდა, რალაც უაღრესად საინტერესო, უჩვეულო და ამალეღვებელი იგულისხმება ამ სათაურის მიღმა. ინგლისელთაგან დაპყრობილი ირლანდიის ბედი არაერთხელ შეუდარებიათ პატარა საქართველოს ხვედრსა და ბედისწერასთან. საფუძვლიანადაც, ირლანდიური აღორძინების ერთ-ერთი მეთაურის უილიამ ბატლერ იეიტსის პიესა „კეთილი ნი ჰოულიჰენის“ მედეა ზაალიშვილისეულმა თარგმანმა კი აი, რა ფიქრები წამოშალა.

ეს მოცულობით პატარა პიესა უდიდეს გრძობას და ტკივილს იტევს. დასაწყისში დახატული ყოფითი სცენა თითქოს არც მიგვანიშნებს რალაც უფრო ღრმა და საკრალურისკენ. საგანგებოდ ამკვეთრებს მწერალი ერთ-ერთი პერსონაჟის, პიტერ გილეინის აღფრთოვანებას ვაჟის საქორნილო ტანსაცმლით, სარძლოს მზითვით, საერთოდ, მატერიალური კეთილდღეობით. პიტერს ვერც კი წარმოედგინა, თუ მის ქოხში ოდესმე ასეთი სიმდიდრე იქნებოდა. გახარებული, აღტაცებულ-აფოფინებული ცოლსაც კი შეახსენებს, რომ მას თავის დროზე ასეთი მზითვეი არ მოჰყოლია (ამას უნებურად აკეთებს, ისე, რომ სულაც არ სურს ცოლის წყენინება). გულწრფელად უხარია შვილის ბედნიერება, შეჰხარის მის მომავალს, ეს მომავალი სავსებით უზრუნველყოფილი იქნებება, იმიტომ, რომ ბედნიერების საფუძველი — ფული, ქონება საკმაოდია აქვს. დამპყრობელმა მოჩვენებითი მატერიალური კეთილდღეობა მოუტანა დაპყრობილ ხალხს. სწორედ ასეთი ვითარების გამო ამბობდა აკაკი წერეთელი: „კუჭმა გულს სძლია, ხორცმა სულს დაუთმო“.

ერთი ჩვენი უკეთეს პოეტთაგანი გრიგოლ ორბელიანი ხომ დარწმუნებული იყო, რომ „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“. ის, რაც ერთის შეფასებით „ოქროს ჯაჭვი“ იყო, სხვა თვალთ დანახული, ილია ჭავჭავაძის დაუბინდავი მზერით აღქმული, მხოლოდ „დაჟანგებულ ბორკილად“ მოჩანდა...

იეიტსის პიესაში ეს აფოფინება რალაც განგაშმა, გაურკვევლის მოლოდინმა უნდა შეცვალოს. გილეინებთან სტუმრად მოსული მოხუცი ქალი დასაწყისშივე გაკრთება მკითხველის წინაშე. ეს ის ქალია, რომლის გამოჩენას ომები და ათასი უბედურება მოსდევს ხოლმე. ეს ის ქალია, რომელიც უკითხავად და დაუპატიჟებლად ესტუმრება ადამიანებს. ეს ის ქალია... მოკლედ, ეს ქალი ბებერი ირლანდიაა (ზოგადად სამშობლოა) თავისი წარსულით, ისტორიით, ენით, ზნით, ჩვეულებით, ცით და მინით, ანწყოთი და მომავლით. მის წყნარ, ჩუმ, უშფოთველ არსებობას ვერც კი ვამჩნევთ მანამ, სანამ საფრთხე არ დაემუქრება. როგორც ვერ ვამჩნევთ ჰაერის, წყლის, ათასი აუცილებელი წვრილმანისა თუ მსხვილმანის არსებობას მანამ, სანამ ის არ მოგვაკლდება. თუ სამშობლო სვიანი და ბედნიერია, ვის მოაფიქრდება მისთვის პირადი კეთილდღეობის არა თუ განირვა, არამედ ოდნავ დათმობაც კი? საერთოდ, როცა ადამიანი საკუთარ თავზე ზრუნვაშია ყელამდე ჩაფლული, შეიძლება მას იმავე დროს სამშობლოც ახსოვდეს?..

„საბრალო დედაბრის სახე იეიტსმა მოიხმო ფოლკლორიდან, საბრალო დედაბერი — სიმბოლო ირლანდიისა, მოიხმო და გააზვიადა, რათა მძაფრად ეჩვენებინა თანადროული სურათი ქვეყნისა“, — წერს როსტომ ჩხეიძე თავის შესანიშნავ ესეიში „ჩემი იეიტსი“.

...„მზითვი დროებითია, ქალი კი მუდმივი თანამგზავრია“, — ამბობს ახალგაზრდა მაიკლი. დროებითისა და მუდმივის, წარმავალისა და წარუვალის, მატერიალურისა და სულიერის, მდაბალისა და ამალებულის დაპირისპირება, მათ შორის არჩევანია ადამიანური ფიქრისა და განსჯის, მამასადამე ლიტერატურის, მხატვრული სიტყვის საგანი და მიზანი ყოფილა იმთავითვე.

ქართული ლიტერატურა დასაწყისიდან და აქამომდე გაჯერებულია იმის მტკიცებით, იმ აზრის ჭეშმარიტების

დადასტურებით, რომ ადამიანმა სულისთვის უნდა იცხოვროს, როცა საჭიროება მოითხოვს, „ხორცი დათმოს სული-სათვის, უკვდავება არ დაკარგოს ნუთისოფლის გული-სათვის“. ეს საჭიროება კი ქართველისთვის უპირველესად სამშობლოა. და არა მარტო ქართველისთვის.

ვისთვისაც სამშობლო უფალთანაა გაიგივებული, ვისთვისაც სამშობლო რწმენაა, რელიგიაა, აღმსარებლობაა, მისთვის არასოდეს წამოიჭრება საკითხი, რა დგას სამშობლოზე მაღლა. როგორც უფლის გამოცხადება ურწმუნოსაც უცებ მოაქცევს, დაათმობინებს ამქვეყნიურ ყველა სიამეს, მარადიულს შეაგრძობინებს, ასევე სამშობლოს ძახილი ადამიანს ყველაფერს დაავიწყებინებს, საკუთარს, პირადს განზე გადაადებინებს და იმ, უფალივით ერთადერთისთვის გააწირვინებს თავს.

აკი ორიოდ ნუთის წინათ ცოლი მიაჩნდა მაიკლს მარადიულად. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და წმინდა კაცის ცხოვრებაში, ვიდრე ოჯახის შექმნა, მაგრამ თუ იმავე დროს მოხუცი სტუმარი — შენი ქვეყანაც გეძახის?!

სატრფო-სამშობლოს ალევორიას ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის პოეტმა გარსევან ჩოლოყაშვილმა მიაგნო და შესანიშნავად გამოიყენა თავის „ნარგიზოვანში“. მერე და მერე ეს ხერხი უკვე დამკვიდრდა ჩვენში, ხოლო აკაკისთან სისტემადაც იქცა. ქალი — სატრფო — სამშობლო... იეიტის პიესაში ქალი მოხუცია, ოლონდ... მრავალთა სატრფო. „ბევრი კაცი შეენირა ჩემს სიყვარულს... თუ ვინმეს ჩემი დახმარება უნდა, მაშინ საკუთარი თავი უნდა შემომთავაზოს და ყველაფერი დათმოს“. მინიშნება გამჭვირვალეა. სამშობლოს მარტო სიტყვით სიყვარული არ სჭირდება, მას მსხვერპლად უნდა შეენიროს მამულიშვილი. რაც საბრალო მოხუც ქალს უნდა, არც საჭმელია, არც სასმელი, არც ვერცხლი...


არ არიან მაიკლის მშობლები ის ადამიანები, ვინც შეილს იმ შეგნებით ზრდის, რომ სიცოცხლე მისი მამულის არის. ამ ახალგაზრდა კაცის დედ-მამას ამქვეყნიური კეთილდღეობა ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე მარადიული ღირებულებები. მაგრამ მაიკლი მონუსხა სტუმარი ქალის სიტყვებმა. ის სნებაშეყრილს, გაოგნებულს, შეპყრობილს ჰგავს და არის კიდევ.

არაფერი ამ პიესაში, არც ერთი პერსონაჟი, არც ერთი ფრაზა თუ მოქმედება არაა „ზედმეტი“, ყველაფერი უაღრესად დატვირთული, ტევადი და გამიზნულია. გარეგნულად დაწურულ, მოკლე დიალოგებში შინაგანი ღელვა ქარიშხალს ედარება. მაიკლის შეგნებაში მომხდარი მძიმე, მტკივნეული, მტანჯველი გარდატეხა თავისი ძალით ალუდას სულიერ ფერისცვალებას შეიძლება შევადაროთ. ხვალინდელი ქორნილისთვის ოჯახის დიდი ხნის სამზადისი, მთელი მიწყდომ-მოწყდომა ერთბაშად აზრს კარგავს. სისხლის, გულის, გონების, ცნობიერის და არაცნობიერის კარნახით მაიკლის მზერა და სმენა განიწმინდება, ამქვეყნიური ცხოვრების

წილი გადაეცლება მანამდე დაფარულს და მის წინაშე მთელი ბრწყინვალეობით გამოჩნდება ის ერთადერთი, რომლის წინაშე სხვა ყველა სიამე ფერმკრთალდება... და ამაოა მშობლების ყოველგვარი შეგონება...

„სახლში მეტისმეტად ბევრი უცხო ხალხია“, — ჩივის სახლიდან გამოგდებული დედაბერი, „ხალხმა არ იცის, რომ მტერი უკვე ოჯახში უზით“ (გივი გეგეჭკორი), ამოდენა ქვეყანა აქვს რუსეთს და სხვისი ცოტა რად უნდა? — ნუხს ალექსანდრე ორბელიანი...

„მაინცდამაინც ნუ დაიტვრებო, როცა საფლავებს გათხრიან ხვალ“ (მოხუცი კეთლინი), „არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს ღღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“ (ილია)... მამულისთვის თავგანწირულნი ხომ მარადიულად ცოცხლობენ სიმღერებში, ლეგენდებში, ხალხის ხსოვნაში. როგორც იეიტისს პიესაშია:



**ისინი ეხსომებათ მარადიულად,
ისინი იცოცხლებენ მარადიულად,
ისინი ილაპარაკებენ მარადიულად,
მათ ხალხი მოუსმენს მარადიულად.**

არ არის იოლი ყოველივე შეჩვეულზე ერთბაშად ხელის ალება და სამშობლოსთვის თავის განწირვა. ყველას არ ძალუძს მზის ნათლის ქვრეტა. ადამიანის სულში მუდმივად მყოლავ ნაპერწკალს ანთება სჭირდება, საბაბად კი შეიძლება სხვადასხვა რამ გამოდგეს, თუნდაც მოხუცი ქალის მოწოდება.

„ჩემი დახმარება მძიმე სამასხურია. მრავალნი, რომელთაც ახლა ვარდისფერი ღანვები აქვთ, ფერს დაკარგავენ... ბევრი კარგი ჩანაფიქრი ჩაიშლება; მრავალნი, რომელთაც ფული დააგროვეს, ვერ მოესწრებიან მათ დახარჯვას. მრავალი ბავშვი დაიბადება და მათ არ ეყოლებათ მამები, რომ ნათლობისას სახელი შეარქვან. ისინი, ვისაც წითელი ღანვები აქვთ, ჩემს გამო გაფითრდებიან და იფიქრებენ, რომ ეს მათთვის კარგი საზღაური იყო.“

თითქოს ხევისბერ გოჩას ვუსმენდეთ, ან დავით აღმაშენებელს დიდგორის ომის წინ, ერეკლე მეორეს კრწანისის ომის დაწყებამდე...

იქნებ ვინმეს წმინდანთა სახე წამოაგონდეს და მათი თვალების ნელი სიხარულიც ცხადად დაინახოს, ნათლის ღია კარს რომ შეჰხარიან... დიდია ჯილდო მონამეთათვის. სამშობლოსათვის თავგანწირულებს იქ უფალი გადასწერს ჯვარს, ერეკლე ხელს მოჰხვევს და გვერდით დაისვამს, თვით თამარი გამოეგებება ფეხშიშველი.

წმინდობლივია, რომ ნაწარმოების ბოლოს თორმეტი წლის პატრიკს სტუმარი ქალი ახალგაზრდა, ღამაზ, ყმანვილ ქალად ევლინება, რომელიც „დედოფალივით მოდიოდა“. ამ დეტალით მთავრდება იეიტის პიესა. თამარ მეფესავით მოდიოდა, — ალბათ, ასე დაამთავრებდა ნაწარმოებს ვინმე ქართველი მწერალი და სანუკვარ მომავალს თამარის შუქით გაასხვიოსნებდა.

რა ფერისაა სამყარო?

რა ფერისაა ირაკლი ფაჩულიას ულამაზესი პეპელა, „ჩვენი მწერლობის“ 9 ივლისის ჩანართიდან რომ შემოგვანათა უეცრად (ნეტა მწერალი ვიყო, რომ შევეძლო პეპლის ფერის ზუსტად განსაზღვრა)? თავდაპირველად თეთრად ან ღია ნაცრისფრად, იქნებ მტრედისფრად მოგეჩვენოთ იგი; მერე კი, როცა წარწერას წაიკითხავთ, რომელიც გვამცნობს, რომ ნახატს „ცხოვრება როგორც სიზმარი“ ჰქვია, ფერის განსაზღვრად, ალბათ, ნისლისფერს უფრო მოიმარჯვებთ და დაიბეჯითებთ. რადგან ცხოვრება ნისლისფერია, წარმავალია, ბჭალით ვერ დაიჭირვის, მისი ღვინოც და ჭირიც წუთია (ზოგმა წამადაც რომ გაზომა და შეაფასა). თავად ნისლი — პეპელა — ცხად-სიზმარი, ერთდროულად ხილული და უხილავი, არსებულიც და არარსებულიც — ბინდისფერ ფონზეა გამოსახული და ნისლისფერ ჩარჩოში მოქცეული. ეს ნისლის ჩარჩო ბედის საზღვარია, კაცთა მოდგმისთვის ღვთისგან დაწესებული? ვერც შემოუვლი, ვერც გადალახავ, ვერც ცხადში, ვერც სიზმარში.

მაგრამ ნეტა ეს ცხადი რაღაა? ეს ის პეპელაა, რომელსაც ესიზმრება, რომ ადამიანია, თუ ის ადამიანია, რომელსაც ესიზმრება, რომ პეპელაა?

მქრქალად, ძლივს შესამჩნევად ნაირგვარადაა მოხატული პეპლის ფრთები, რომელიც სიმბოლურად ჩვენს ცხოვრებას, ოცნებებს, წარმოსახვებს უნდა აღნიშნავდეს. ოღონდ ეს მრავალფეროვნება ხელს არამც და არამც არ უშლის პეპლის ერთფეროვნებას (ფერფლის, ავლის ფერი ხომ არ არის იგი?). ერთიანიც და დაშლილ-დანაწილებულიც. რამდენი აჩრდილი, ცხოველი, ფრინველი, ზღაპრული არსებანი — ცალ-ცალკე არცერთი, მაგრამ ყველა ერთად — ცხოვრება, სასწაული.

ერთი დღით მცხოვრები პეპელა სწორედ რომ შესაბამისი სიმბოლოა წუთისოფლისა, კიდევ უფრო მეტად — იმ ამოუცნობი ფენომენის, სიზმარს რომ ვუნწოდებთ.

მისი დანახვისა ადამიანს შეუძლებელია პირზე ღიმილი არ მოუვიდეს, სიამოვნება არ იგრძნოს, გული არ გაუნათდეს, თუმცა წუთისოფლის ამაოებასაც უმაღლესი შეიგრძნობს და ალბათ მსოფლიო სევდაც შემოაწვება.

რა თქმა უნდა, შემთხვევით არ გამოქვეყნებულა ჟურნალის ამავე ნომერში ხორხე ლუის ბორხესის „სამიწილი სიზმარი“, რომელიც ესპანურიდან ჩვეული პროფესიონალიზმით თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. ბორხესი იმონებს გრუსაკის წიგნს „სიზმართა შორის“. წიგნის ფინალში თურმე ავტორი ამბობს, რომ ყოველ დღით ის სალი გონებით იღვიძებს ან, ასე ვთქვათ, ერთგვარად სალი გონებით, მას შემდეგ, რაც მოინახულა აჩრდილთა სამყარო, ზმანებათა ლაბირინთები, — ნამდვილი სასწაული.

თავად ბორხესი დარწმუნებულია, რომ სიზმარი ბელეტრისტიკაა, ამიტომ ჩვენ, ალბათ, გამოვლიძების შემდეგ ვაგრძელებთ სიზმრის თხზვას მისი მოყოლისას. მაგრამ ხომ არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც — სიზმრის ბრწყინვალე რეალობასთან შედარებით მეხსიერებაში ჩარჩენილი სიზმრის ხატება უბადრუკობაა. რა მომხიბვლელია სიზმარში მარადისობის თუნდაც ნამიერად ფლოზა! სიზმარად ჯოჯოხეთის ან სამოთხის მოხილვა! მხოლოდ სიზმრად შეიძლება იყო მთელი სამყაროს პატრონი (ღმერთი) ან ყველაზე უმნიშვნელო ჭია, არარაობა...

ბორხესის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განაზრებანი მრავალგვარი ფიქრისთვის განაწყობს მკითხველს. მე, ცხადია, მისი ლექციის შინაარსის გადმოცემას არ ვაპირებ, განხილვას და მის შესახებ ჭკვიანურ საუბარს ხომ — არა და არა. მხოლოდ ერთ ციტატას მოვიხმობ თქვენი ნებართვით: „ველურისა და ბავშვისთვის სიზმარი ცხადის ეპიზოდია; პოეტებისა და მეტაფიზიკოსებისთვის კი მთელი სიცხადე შეიძლება სიზმარი იყოს. მის შესახებ მშრალად და ლაკონიურად ამბობს კალდერონი: „ცხოვრება სიზმარია“; შექსპირი კი ხატოვნად გამოთქვამს: „ჩვენ იმავე მასალისაგან ვართ ნაგები, რომლითაც ითხზვიან ზმანებები“. შესანიშნავად ამბობს ავსტრიელი პოეტი ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე... „ან ჩემი სიცოცხლე სიზმრად მეჩვენებოდა ანდა ეს იყო ცხადი?... გრუსაკი შექსპირის იმავე ფრაზას იმეორებს...“ უკეთ ვერ იტყვი. ყველაფერი გასაგებია. ან, პირიქით, ყველაფერი გაუგებარია. თავი რომ დავანებოთ პლატონს, ვერგილიუსს, სხვა მოაზროვნეებს (ან რატომ უნდა დავანებოთ თავი), მაინც ვერაფრით გაგვირკვევია: აჩრდილია ნამდვილი რეალობა თუ რეალობაა მოჩვენება და აჩრდილი?

თუ ჩვენი უფერული ყოველდღიურობა ცხადი და რეალობაა, ჩვენი ფერადი წარმოსახვები, სიზმრები რატომღა არაა რეალობა?

სიზმრის თემას ლოგიკურად აგრძელებს ამავე ნომერში დაბეჭდილი ანდრე მორუას მისტიკური ნოველა „სახლი“ (ფრანგულიდან ჩინებულად თარგმნილი ღია დარაშვილის მიერ). „სახლის“ მთავარი პერსონაჟი ქალბატონი დიდი ხნის განმავლობაში ყოველ ღამე ერთსა და იმავე სიზმარს ხედავს — სახლს, რომლის ეზოს, ბილიკს, ალვის ხეებსა და თვით სახლის იერს, სახურავის ფერს და სხვას კარგად არჩევს (გამოვლიძებული დეტალურად იხსენებს ყველაფერს). ოღონდ შიგ ვერ შედის, კარს არ უღებენ. ფსიქოლოგიურად სავსებით დამაჯერებელია ქალის სურვილი, ნახოს ის სახლი სინამდვილეში. იქნებ ბავშვობაში უნახავს, იქნებ უხილავი ძალა აკავშირებს, იქნებ წინა ცხოვრებაში... ა, ვინ იცის?

კარგა ხნის ძებნის შემდეგ მიაგნო. ის ალელეგება და ალფრთოვანება, შიში, რომ კარს არ გაუღებენ და ნახვის, აღმოჩენის სიხარული პერსონაჟთან ერთად მკითხველსაც ეუფლება და რა? სრულიად გამაოგნებელ ამბავს ვიგებთ მოხუცი მსახურისგან. სახლში სულს დაუსადგურებია, პატრონები მას გაქცევინან, ხოლო სულ... თვით ეს ქალბატონია!

კი, ადამიანი ხორცი და სულია, კი, „სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყარია“ (დავით გურამიშვილი), კი, „სხეული ნივთიერებაა და სული ხელოვნების იდეა, რომელიც განხორციელებულია მკვდარ მასალაში“ (დიმიტრი უზნაძე)... და ათასგზის კიდევ კი, მაგრამ ასე უმძვლად? ასე თვალსაჩინოდ? ასე ხელშესახებად? სული ტოვებდა სხეულს, მოგზაურობდა და იმ სახლს, იმ ბაღს, იმ ეზოს სტუმრობდა. მას, სულს, აჩრდილს, მოჩვენებას ყველა ცხადად ხედავდა, იმდენად აშკარად, რომ მოხუც მსახურს არ გაჭირვებია სულის პატრონი ქალბატონის ცნობა. „ის აჩრდილი ხომ თქვენ იყავით“, — მიმართავს იგი ქალს.

...რა სერიოი იქნება, თუ ჩემს სულს მართლა ხედავენ ჩემი ბავშვობის სახლში, ძალიან ხშირად, თითქმის მუდმივად რომ მესიზმრება! მაგრამ ვაითო, სასერიოდ კი არა, საბოლოოდ მაქვს საქმე. ათასგზის ბოდში იმით, ვისაც ჩემი სული მოსენება არ აძლევს და მშვიდად ცხოვრებაში ხელს უშლის! ჩემდა უნებურად, უკითხავად, ღამლამობით ტოვებს სხეულს,

შეჩვეულ და საყვარელ სახლს მოინახულებს, უთავბოლოდ დაბორილობს სამ ოთახში, გამოსასვლელ კარს ვერ აგნებს ან ვერ აღებს ხოლმე... ჩემი სული იმ სახლიდან თავს დაიხსნის? — აროდესო, თითქოს პოს ყორანი მეპასუხება.. ნეტა, მწერალი ვიყო, რომ დაახლოებით მაინც შევძლო იმის გადმოცემა, თუ რას ვგრძნობ რას განვიცდი ასეთ წუთებში...

ვინ, ვინ გამარკვევს, ცხოვრება სიზმარია თუ სიზმარია ცხოვრება?

სიცოცხლის პეიზაჟი

კარგია, როცა თებერვალშიც თაკარა მზე აცხუნებს, როცა ქუჩებში ნაირგვარ სამოსში გამოწყობილი ადამიანები დასეირნობენ, ავტობუსები გზებზე მოძრაობენ, დახურულ-სარკმლიანი შენობები კი გარემოს სიმშვიდეს ჰმატებენ.

სიცოცხლის ხალისი და სიხარული, გაზაფხულის სუნი და ფერი, სინყნარის, უშფოთველობის გემო და სიტკბო იღვრება ირვინ შოუს ნოველის „გოგონები საზაფხულო კაბებში“ დასაწყისიდანვე (დაიბეჭდა „ჩვენი მწერლობის“ 2010 წლის მე-7 ნომერში. ინგლისურიდან არაჩვეულებრივად თარგმნა სოფიკო დაუშვილი). ყოველდღიურობის ორომტორიალში სამყაროს ჰარმონიის, მშვენიერების, სილამაზის შემჩნევა და მისით ტკბობა ყველას როდი შეუძლია. პირქუში და გულქვა გარემო ადამიანებს სისხლს უყინავს, ათასგვარი წვრილმანი საზრუნავი ბავშვურ გულუბრყვილობას კლავს და ახალგაზრდულ ხალისს ადუნებს. მაგრამ თუ თებერვალია და მაინც თაკარა მზე აცხუნებს? ვინც ასე აღიქვამს სამყაროს, მისთვის ყველაფერი სხვაგვარადაა. შუახსნისა და მოსუქებულიც ისევ ახალგაზრდაა, ისევ ძველებურად შეჰხარის მზეს, გაზაფხულს, სითბოს და საზაფხულო კაბებში ჩაცმული გოგონების ემხს.

არ არის შოუს ნოველის პერსონაჟი — მაიკლი — მექალთანე, როგორადაც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს. მაიკლს სიამოვნებს ქალების ყურება. ნიუ-იორკი იმიტომ მოსწონს, რომ იქ აურაცხელი ქალბატონია. ცოლთან ერთად სეირნობის დროსაც მაიკლი თვალს ვერ სწყვეტს ქალებს.

„კისერი არ მოიტეხო“, — ეჭვიანობის ხუმრობით გადაფარვას ცდილობს ფრენსისი.

ირვინ შოუ უბრალო, ყოველდღიურ, ცხოვრებისეულ ამბავს მხატვრულ ნაწარმოებად აქცევს. მწერალი ღრმად წვდება სამყაროს საიდუმლოებებს და წვეთში ზღვას ამიტომაც ამჩნევს.

ფრენსისი ქმრის გულის მოგებას ცდილობს — ცდილობს, იყოს კარგი მეუღლე, დასახლისი, ერთგული მეგობარი და კვირა დღესაც მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში წასვლას იმიტომ სთავაზობს, რომ იცის, მაიკლს დიდი ხანია ეს უნდა. მაიკლი ნამდვილი დამფასებელია სილამაზის. დარწმუნებულია და ამ ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ ეპარება, რომ ღმერთმა თვალები იმისთვის მისცა, უყუროს მანდილოსნებს, მამაკაცებსაც, უცქიროს მეტროსადგურებს, ფეხით მოსიარულეთ, პატარა ყვავილებს მიხედვრად, დატკბეს სამყაროს მშვენიერებით.

ასე უბინოდ, სიხარულით, ამალელებული განწყობით ცხოვრების შეგრძნება მხოლოდ სუფთა სულის, უმანკო, შეურყენელ, დიდ ბავშვს შეუძლია.

მაიკლი არ ეშმაკობს, ცხვრის ქურქში არ ეხვევა, თავის ფიქრებსა და განცდებს ცოლს არ უმაღავს. უშუალოდ და ალაღად პასუხობს ფრენსისის შფოთიან შეკითხვებს. როცა მანდილოსნებს ხარბად უყურებს, მათთან სურს ყოფნა? — კი, ალბათ, ასეა. სურს მაიკლს ფრენსისისგან გათავისუფლება? — ხანდახან მართლაც სურს. გამოდის, რომ ერთხელაც იქნება, ცოლს მიატოვებს? — ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდეს...

ამ კაცის მთელი ხიბლი ისაა, რომ ის საგანგებოდ არ ეძებს, არ ქმნის სიტუაციებს. ხოლო ნებისმიერ ვითარებაში თვალი ჭამს, გონება თითქოს მისგან დამოუკიდებლად აღნუსხავს და იმახსოვრებს ლამაზ ქუდეებს, ძვირფას ბენვეულს, საუკეთესო სამოსს, მომხიბვლელ ქალებს... საქმე მართო სასაღმურთო დასაბურავ-ჩასაცმელი კი არ არის, არამედ მათი პატრონებია — მათი მშვენიერი თვალები, ლამაზი მკერდი, ჩამოქნილი ტანი, საამო ხმა...

მაინც როგორი ქალები მოსწონს? ყველანაირი. გიჟდება ოფისის გოგონებზე, სადაც ჩაცმულ, საქმიან ქალბატონებზე, უყვარს გოგონები ვახშობისას, მოსწონს ათასგვარ სამოსში გამოწყობილი მსახიობები, მაღაზიის გამყიდველი გოგონებიც; მოსწონს თეატრში ქალების გვერდით ჯდომა და საქვეყნოდ ცნობილ ქალბატონთა ყურება; ახალგაზრდა, ლოყებანიტლებული გოგონების ცქერა ფეხბურთის მატჩზე და აგიჟებენ გოგონები საზაფხულო კაბებში.

ნეტა ყველა მამაკაცი ასეა? არავინ იცის, არ ხდება ადამიანის სულში. არ არსებობს სულში მიმდინარე ფარული პროცესების შემსწავლელი ლაბორატორია. ვინ იტყვის ზუსტად, ვისი შინაგანი არსება როგორ ეხმაურება ერთსა და იმავე მოვლენას ან რატომ განვიცდით და შევიგრძნობთ სამყაროს სხვადასხვანაირად.

არ მიაჩნია მაიკლს დანაშაულად დასვენების დღეს ცოლთან ერთად სეირნობისას გვერდით ჩავლილი ლამაზ-მანის თვალიერება. პირიქით, თუ არ შეხედავს, თავს დამნაშავედ მაშინ იგრძნობს. ყველგან, სადაც უნდა იყოს — მუზეუმში, ქუჩაში, კაფეში, სტივენსონების აგარაკზე, ყველგან და ყოველთვის ქალებს უყურებს და ეს ყურება ისეთი რომანტიკულია, თავისუფალი ყოველგვარი უხამსობისა და უტიფრობისგან!

იქნებ ეს „საშინელი“ თვისება ცოლის ბრალია, იქნებ მობეზრდა მაიკლს ფრენსისი? „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“, იქნებ ფრენსისის სილამაზეც დრომ ან შემთხვევამ დააჭკნო ან უბრალოდ, ყავლი გაუვიდა მაიკლის თვალში? რა მარტივი და ერთმნიშვნელოვანი ახსნა მოეძებნებოდა მაშინ ქმრის საქციელს და მკითხველიც ყოველგვარ ინტერესს დაკარგავდა მის მიმართ.

მაიკლი კი ტელეფონის ჯიხურისკენ მიმავალ ცოლს უყურებდა და ფიქრობდა: „რა მომხიბვლელი ქალია, რა ვნებიანი ფეხები აქვს“; და ამ კონტექსტში ეს სიტყვები („ვნებიანი ფეხები“) მოკლებული ყოველგვარ ვულგარულობას, სინმინდით, სინათლით, სიცოცხლის ვნებით და სამყაროს შემოქმედისადმი მადლიერებით სუნთქავს.

ქართველ მკითხველს გულმა როგორ უნდა გაუძლოს, რომ სინაზის და მოკრძალების ჩვენებური გამოხატულება არ გაიხსენოს: „ამ დროს ნიავმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა/ და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩინდა,/ რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიდეს თვისდა...“

მაიკლი კი თავისას ფიქრობს: „როდესაც გვერდით ჩავუვლი, თუ არ შევხედე, თითქოს დანაშაულს ჩავდივარ“...

ნანა ქავთარაძე

„გზას ისტორიისკენ ერთეულეში ირჩევან“

ქართულმა საზოგადოებამ ზედიზედ ნახა ორი ფილმი: ნანა ჯანელიძის მხატვრულ-დოკუმენტური „გალობის რაინდები“ და ვასილ ამაშუკელის დოკუმენტური „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. 1912 წ.“ (აღდგენილი ვერსია).

ეს ფილმები, გარდა მხატვრული ღირსებებისა, მაყურებელს ბევრ რამეზე დააფიქრებს. სახელდობრ, ჩემთვის ეს არის ფიქრი ქართულ ფენომენზე და ქართულ ცნობიერებაზე. მაინც რა გენეტიკისა ვართ ქართველები: საუკუნეობით ჩამოყალიბებული მონური მდგომარეობის, ჩვენი გადაჯიშებისა და გადაშენების მცდელობათა მიუხედავად, მაინც ვდგავართ იქ, სადაც ვიდექით. ერთ დროს ავტოკეფალიანართმეულები მაინც ვგალობდით და აღდგენის შემდეგ კვლავ ვგალობთ უფლის სადიდებელ საგალობლებს, ლხინსა თუ ჭირში მაინც ვასრულებთ ჩვენს ხალხურ სიმღერებს, ხალხში მაინც ღვივის ქართული პოეტური სიტყვის სიყვარული.

ამ ფილმებში ორი საუკუნის წინანდელი საქართველოს ცხოვრება და იმდროინდელი პიროვნებანი ცოცხლდებიან და ისეთი ალუზიები იბადება თანამედროვეობასთან, რომ მაყურებლისთვის დროთა ჯაჭვი არ წყდება, წარსული და აწმყო მთლიანდება, მით უფრო, როდესაც აცნობიერებ, რომ დიდად არც არაფერი შეცვლილა. შეიცვალა თაობები და უფრო გაძლიერდა ერის თვითმყოფადობის წაშლის ფორმები.

გავისენოთ, აკაკის დროს გიმნაზიაში როგორ კრძალავდნენ ქართულ ენაზე საუბარს. მეტიც, ამ ენას „ძალის წკავენკავს“ უწოდებდნენ. საკმარისი იყო ერთი სიტყვა დასაცდენოდათ, რომ ხელზე ჯოხს ურტყამდნენ ან მკაცრად სჯიდნენ. შემდეგ საუკუნეში კითხვის ქვეშ დადგა ქართული ენის სახელმწიფო ენად აღიარება, რომ არაფერი ვთქვათ ეკლესიაში შემსვლელთა დევნაზე. დღეს კი მონობას თითქოს თავდაღწეულ „თავისუფალ“ ქართველობას ტოტალური კომპიუტერიზაცია და ყოველგვარი უცხოურის გაფეტიმება „ჩუმი სიკვდილის“ ნიღბით დაცემას ემუქრება.

როდესაც აღზევებულია უზნეობა, უკულტურობა, სულიერი დაკნინება, უნიგნურობა, უვიცობა, როდესაც ცისფერი ეკრანი წაღეკილია უცხოური უსახური სერიალებით, ხოლო მასმედია – მოზღვავებული „სიყვითლით“, ასეთ ვითარებაში ამ ორმა ფილმმა განგამის ზარი შემოკრა ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა და, თუ გნებავთ, თავმოყვარეობის გამოსაფხიზლებლად, განსაკუთრებით იმ თაობისთვის, რომელიც ვერ ვერ გარკვეულა ეროვნულ ფასეულობებში.

ნანა ჯანელიძის ფილმი „გალობის რაინდები“ (სცენარის ავტორი თემურ ჭკუასელი, ოპერატორი გიორგი ბე-

რიძე, გადაღებულია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ ფინანსური მხარდაჭერით) ქართულ სასულიერო საგალობელთა გადარჩენის რთულ და დრამატიზმით სავსე ამბავს მოგვითხრობს. იგი აღიქმება როგორც „მუსიკალური სახარება“, სადაც მონამებრივ გზაზე შემდგარი პიროვნებანი მოქმედებენ, და სადაც დაპირისპირებულია ადამიანური ვნებები: სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და ანგარება, ცოდნა და უმეცრება, ერთგულება და ღალატი, პირადულზე ამაღლება და სულის დამცრობა.

მშობლიური გალობისათვის შეწირული ადამიანები მხოლოდ რაინდები კი არა, ჭკმარიტად ისტორიული გმირები არიან. მათ ქართველ ერს, ქართულ კულტურას ის საგანძური შემოუნახეს, რომლითაც დღეს მსოფლიოს თავს ვაწონებთ. ფილმის ჩვენების შემდეგ მენიშნა ერთი ახალგაზრდის სიტყვები: ქართველებს თურმე მარტო ექვთიმე თაყაიშვილი არ გვყოლიაო. დიახ, ფილმონ ქორიძე და ექვთიმე კერესელიძე თუ მეტი არა, ნაკლები გმირები არ არიან თავიანთი მამულიშვილური მრწამსით, საქმით, თავგანწირვით.

ფილმონ ქორიძე — ევროპაში სახელგანთქმული ბანი – პირველი ქართველი მომღერალია, რომელმაც ლასკა-ლას სცენაზე შეასრულა დონ-ბაზილიოს პარტია როსინის „სევილიელ დალაქში“, წარმატებით გამოდიოდა იტალიის სხვადასხვა ოპერის თეატრებში, იმდროს წამყვანი პარტიები ევროპის, ამერიკის და რუსეთის სცენებზე, მათ შორის: ვერდის „რიგოლეტოსა“ და „ბალ-მასკარადში“, ბელინის „ნორმაში“, გლინკას „ივან სუსანიში“ და სხვა.

მომავალ ევროპულ ტურნეზე უარს ამბობს და მთელ დარჩენილ ცხოვრებას საგალობელთა ნოტებზე გადატანასა და სოფელ-სოფელ სიარულით მათ გადარჩენას მიუძღვნის. ფილმონ ქორიძემ 28 წლის განმავლობაში 5532 საგალობელი ჩაიწერა. იშვიათი ბანი (basso-profundo) დღიური ლუკმაპურის სამოგენლად ფორტეპიანოს ამწყობად ამთავრებს თავისი ცხოვრების გზას, იკარგება მისი ამდენი ხნის ნაამაგარიც.

რაც შეეხება ექვთიმე კერესელიძეს, წმინდა ექვთიმე აღმსარებელს, მას კიდევ უფრო მძიმე ხვედრი ერგო — საგალობელთა შენახვა-გადარჩენა. რა თავზარდამცემმა მოვლენებმა გადაიარეს მის თავზე. გულისშემძვრელია კადრები, როდესაც ბაზრის გამყიდველები საგალობელთა ნოტის ფურცლებში ხორცისა და ყველის ნაჭრებს ახვევენ, ან როდესაც მღვდელი რაჟდენი, ფულის შოვნით გონებადახშული, ექვთიმეს უარს ეუბნება მიბარებული საგალობლების დაბრუნებაზე და ბრაზმორეული ორი ათასამდე საგალობელს დანით ამოჭრის ხელნაწერებიდან. გამოგნებელია კადრები — მიწაზე დამხობილი ექვთიმე და წვიმაში მიმოფანტული საგალობელთა ფურცლები. არანაკლებ შემადრწუნებელია საგალობელთა 3 წლით ჩამარხვა ზედაზნის მიწაში, საბოლოოდ იქ აღესრულა ექვთიმე.

ფილმში სხვა ბევრი საინტერესო ამბავია მოთხრობილი — მუსიკალური თუ ისტორიული.

ნანა ჯანელიძემ ფილმი დრამატურგიულად შეკრა მთხრობელის შემოყვანით. ეს არახალი ხერხია, მაგრამ ჩვეულებრივი მთხრობელისგან განსხვავებით რატი ამალლობელს, რომელიც ამ ამპლუაში ვიხილეთ, სხვა დატვირთვა აქვს. იგი ამბის გულდამშვიდებული მთხრობელი კი არ არის, არამედ სახარებიდან გადმოსული მახა-

რობელივით აქტიურადაა ჩართული მოქმედებაში: ხან მემატინედ გვევლინება, ხან მკვლევარად, ხან ბანს ეუბნება მომღერლებს, ხან კომენტარს ურთავს სიტუაციას. და კიდევ, მთხრობელის უკან დგას რატი ამალლობელი — პიროვნება, მედიატორი წარსულსა და აწმყოს შორის და მას მაყურებელი განსაკუთრებული ნდობით უსმენს.

„გალობის რაინდებში“ სახარებისეული სისადავე, სიბრძნე და სინამდვილე სუფევს. არაერთი სცენა, სახე თუ ეპიზოდი მაყურებელში ამ სიახლოვის განცდას იწვევს. არაფერს ვამბობ ისეთ მომენტებზე, როგორცაა ლალატი, ჯვარცმა — ნამება, თავგანწირვა — დაუფასებლობა, სიკვდილი — ამალღება.

უკვე ფილმის დასაწყისში მომღერალი, რომელიც უცხოელებს „შენ ხარ ვენახის“ გალობას ასწავლის, აღიქმება როგორც სიბრძნისა და სულიერების მქადაგებელი. ფილმის ჩარჩო — ბიბლიურ სივრცეში უსასრულოდ გაშლილ გზაზე მიმავალი მამისა და ბაბუის სილუეტებით — თაობათა მარადიული ცვლის და კურთხეული მომავლის ალუზიაა.

„გალობის რაინდები“, ბუნებრივია, მუსიკით გაჯერებული ფილმია, რომელშიც მგალობელთა არაერთი ანსამბლი მონაწილეობს: საქართველოს საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი „ბასიანი“, აწმყოსხატის ტაძრის გუნდი, მგალობელ ქალთა გუნდი „იალონი“, ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „მძლევა-რი“, გურული ხალხური სიმღერის ტრიო „შალვა ჩემო“.

ეკრანიდან სასულიერო საგალობელთა თუ საერო სიმღერების არაჩვეულებრივი ხმები იღვრება. მით უფრო რთული ამოცანის წინაშე იდგა ფილმის მუსიკალური გაფორმების ავტორი — კომპოზიტორი მიხეილ მდინარაძე. „გალობის რაინდების“ მთავარი თემა და საგუნდო სიმღერა „კურთხეულ არს მომავალი“ ამალღებული ნწყობით, სულიერებით, დახვეწილი კომპოზიციით სავსებით მიესადაგება ფილმის შინაარსსა და რეჟისორის ჩანაფიქრს. „კურთხეულ არს მომავალი“ ფილმის ჩინებული დასკვნითი აკორდია, მუსიკაში ასახული ის ცისარტყელაა, ნანა ჯანელიძე სიმბოლურად რომ ამთავრებს ფილმს.

ქართული კინოს ისტორიის სათავეებთან მივყავართ ვასილ ამაშუკელის დოკუმენტურ ფილმს „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში. 1912“. აქ აღიბეჭდა 72 წლის მგოსნის მოგზაურობა საქართველოს ერთ-ერთ უღამაზეს მთიან კუთხეში, აკაკისთან ხალხის შეხვედრის საზეიმო სცენები, ზეიმის მონაწილეები, რაჭული ფერხული და კინოფირზე პირველად გადაღებული ისტორიული ძეგლები.

ამ მოგზაურობაში აკაკის მხლებლებს — სხვადასხვა გა-

ზეთების რედაქტორ-კორესპონდენტებს — კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული სახალხო ზეიმის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რასაც გვიდასტურებენ მათი რეპორტაჟები, ფოტოები, მოგონებანი თუ კინოფირზე აღბეჭდილი სცენები.

აკაკი ასე იხსენებს ამ თორმეტდღიან მოგზაურობას: „რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და ამათი დახვედრა სწორედ საარაკო და საზღაპარო იყო. ვისაც თვისის თვალთ არ უნახავს და თვისის ყურითაც არ გაუგონია ის, რაც მოხდა, იმას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილის: გაურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა, მთელი მაზრა ერთ პირად ფეხზე დადგა და ეროვნულის აღფრთოვანებით ლიტანიობდა მომავალს“.

„მომავალში“ აკაკი, როგორც ჭეშმარიტი თერგდალეული, რა თქმა უნდა, სამშობლოს თავისუფლებას გულისხმობს, რომლის მოპოვებისათვის ბრძოლაში, ვითარცა ზეიმის უამს, ერი „ერთსულ და ერთპირ“ გამთლიანდება.

აკაკის მოგზაურობისა და ვასილ ამაშუკელის ფილმისადმი ინტერესი შემდგომ თაობებსაც გადასწვდა: 1947 წელს გამოდის მიხეილ ალავიძის ნიგნი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“; 1953-54 წლებში კინოს ისტორიკოსის კარლო გოგოძის თაოსნობით რესტავრაცია ჩაუტარდა ამაშუკელის ფილმიდან შემორჩენილ ფრაგმენტებს; 1979 წელს სერიით „ქართული კინოს შედეგები“ მანვე გამოსცა ილუსტრირებული ალბომი; 2002 წელს კინოკრიტიკოსმა გიორგი დოლიძემ მოაწყო მოგზაურობა აკაკის ნაკვალევზე და გამოსცა ნიგნი „აკაკის მოგზაურობა — 90“; 2006 წელს გამოვიდა გურამ შარაძის ნიგნი — ალბომი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“.

დრომ და ტექნიკურმა პროგრესმა კვლავ დააყენა საკითხი ვასილ ამაშუკელის ფილმის რესტავრაცია-აღდგენის შესახებ. და ახალი ვერსიაც დაიბადა, რომლის ავტორები არიან: რეჟისორი ნანა ჯანელიძე, კინომცოდნე მარინა კერესელიძე, სცენარისტი ნინო ნატროშვილი.

ახალ ვერსიაში ბევრი რამ შეივსო, დაიხვეწა, ინფორმაციით გამდიდრდა, შეიქმნა მიხეილ მდინარაძის ახალი მუსიკალური პარტიტურა. საარქივო მასალებსა და პუბლიკაციებზე დაყრდნობით ახალ ვერსიას დაემატა მულტიმედიური დისკი. იგი აკაკის მოგზაურობის უნიკალური მატინაე თავისი ვიზუალური თუ ხმოვანი მასალებით: აქ ვეცნობით ისტორიას რაჭა-ლეჩხუმის შესახებ, კოტე ქავთარაძის ფოტოალბომში აღბეჭდილ იმ დროის ქართველთა პორტრეტებს, მხატვრულ ჩანახატებს, ვასილ ამაშუკელის ბიოგრაფიას, მოკლე ცნობებს რაჭა-ლეჩხუმის სასიმღერო ფოლკლორის შესახებ, 40-მდე ხალხურ თუ ქალა-



კადრი ფილმიდან „გალობის რაინდები“

ქურ სიმღერას, რომლებითაც მასპინძლები ეგებებოდნენ და აცილებდნენ მგოსანს, მათ შორის 1901-14 წლების შემსრულებელთა უნიკალურ ჩანაწერებს, რომლებიც ფილმის ავტორებს ანზორ ერქომაიშვილმა მიანოდა. დაბოლოს, აკაკის ხმას, მის მიერ წაკითხულ რამდენიმე ლექსს და ვარინკა წერეთლის მიერ დამღერებულ „სულიკოს“.

ახალ ვერსიაში იმდენად ამომწურავად არის გაშუქებული ამ ისტორიული მოგზაურობის ყველა ასპექტი, ისეა შინაარსობრივად დატვირთული, იმდენად მეთოდურადაა მასალა დამუშავებული და აკინძული, რომ ფილმი უდიდეს საგანმანათლებლო-ალმზრდელი მნიშვნელობას იძენს. ამ ფილმის ტირაჟირების შემდეგ ვერც კი წარმომიდგენია სასწავლო დანესებულება, სადაც თემაზე „აკაკი წერეთელი“ საუბრისას პედაგოგი ან ლექტორი გვერდს აუვლის ამ ფილმის ჩვენებას. გარდა ამისა, იგი არაჩვეულებრივი საჩუქარია ნებისმიერი ადამიანისათვის გემოვნებით გაფორმებული ვიდეონიგნის სახით (მხატვარი გიორგი მიქელაძე, დიზაინერი ნუგზარ მექმარიაშვილი).

ამ ფილმს შარავანდად ეფინება სულმნათი აკაკის პიროვნული ხიბლი, მისი შინაგანი სამყაროდან მომდინარე კეთილშობილების, სათნოების, სიკეთის სხივები.

ფილმი გაჯერებულია მგოსნისადმი ხალხის საოცარი სიყვარულით, მოკრძალებით, პატივისცემით. აკაკის ხან ყვავილებით მორთულ ეტლში, ხან სავარძლიანად ხელში აყვანილს, ხან საზეიმო სუფრასთან ან მოსეირნეს ვხედავთ, როგორი ტანკენარი და ლამაზი მანდილოსნები, როგორი კეთილშობილი იერის ახოვანი მამაკაცები ჰყოლიათ რაჭველებსა და ლეჩხუმელებს! როგორი წესრიგი სუფევდა ამ მასობრივ ზეიმში! დაუფიქრებელი ფერხულის ეპიზოდი, როდესაც ფეხანყობილ გლეხობას ენაცვლება სოფლის „არისტოკრატია“, შემდეგ ისინი გაერთიანდებიან დიდ წრეში და შუაგულში ბავშვებით შემორკალული აკაკი, ვითარცა ბიბლიური გმირი, ხალხის უსაზღვრო სიყვარულის ფლუიდებში ეხვევა.

ორივე ფილმში განსაკუთრებით ყურადსაღებია გზის სიმბოლიკა, რომელიც ფილოსოფიურ დატვირთვას იძენს. აქ ილია ჭავჭავაძის აზრი მინდა მოვიშველიო: „ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია ამ სისრულის გზაზე, ვინ რამდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაულავად სიარულისათვის, — აი სანყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისე მთელის ერისა“ (ტ. V, 342).

ფიქრობ, გზის ამგვარი სიმბოლიკა სათავეს იღებს „მონანიების“ ფინალიდან, სადაც ვერიკო ანჯაფარიძე ტაძრისკენ მიმავალ გზას ეძებს. აქ გზა ზნეობრივ-ეთიკურ პრინციპთა სინმინდის ძიებისკენაა მიმავალი.

„გალობის რაინდებში“ გზის ფილოსოფიური დეფინიცია დასაწყისშივეა გაცხადებული: „ცხოვრება არჩევანს ყველას სთავაზობს, გზას ისტორიისაკენ ერთეულები ირჩევენ“.

ეს ერთეულები სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები არიან. „აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობაში“ კი გზა — ერის გამთლიანების, მისი „მომავლის ლიტანიობის“ სიმბოლოა. წრე იკვრება — ყველა გზას სამშობლოს მომავლისკენ მიყვავართ და რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს იგი, როგორც არ უნდა გაგვიჭირდესო — გვმოდერავს ოთარ ჭილაძე, — „ყოველთვის გვახსოვ-

ნათე ბანძელი

ნისლის ტიხარი, ეს უსაშველო ნისლის ტიხარი...

მარტვილში ჩამოსულ სტუმრებს პირველად ჭვენიას სერზე აღმართული მონასტრის სილამაზეს ვაზიარებთ ხოლმე...

აქაურებს თავი მოგვწონს, რადგან ჭვენიას „გინაჯი-ნუ“ (გადასაცქერი) გულგრილს არავის ტოვებს...

ამჯერადაც ასე მოხდა.

ცნობილ მწერლებსა და ლიტერატორებს მაღალი გემოვნება აქვთ და მათი მოხიბვლა იოლი როდია. თუმცაღა მარტვილის მონასტრის ხიბლს უკიდურესად პრეტენზიული ესთეტიც ვერ უპოვის ხინჯს...

როსტომ ჩხეიძე გაოცებული ათვალეერებს კოლხური ნიჭითა და გენიით შექმნილ საოცრებას; მაკა ჯოხაძე გალავნის თვალსანიერიდან სხვანაირად ხედავს ყველაფერს. მისი გაცისკროვნებული სახე და მზერა მაფიქრებინებს, რომ გულში საკუთარ თავთან საუბრობს — აქამდე როგორ არ მინახავს ჭყონდიდური სილამაზეო!.. ფოტოხელოვანი ბაბუა ალუდაური თავისი განუყრელი „ატრიბუტით“ აჩერებს წამებს; ელგუჯა თავბერიძე და გია ხოფერიას აღტაცებულან კოლხური ლანდშაფტისა და ისტორიული ძეგლის ჰარმონიული შერწყმით.

ჭყონდიდური ზაფხულის ერთ მზიან დღეს აღტაცებაში მოუყვანია და მოუხიბლავს სტუმრები. იქ ფეხდადგმული მარტვილელობას ნატრობს, ან იმას მაინც, რომ კიდევ ერთხელ (თუ მრავალჯერ არა!) მოხვდეს ამ სავანეში!..

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სტუმრებს ელოდებიან...

შენობა ლამაზ სკვერში დგას... არა, გამორჩეული როდია, მაგრამ წელიწადის ოთხივე დროს სხვადასხვანაირია, სულ სხვანაირი ხიბლისა და ლაზათის მქონე. ყოველ შემთხვევაში სტუმრებს იმდენად მოსწონთ ეს გარემო, რომ ბატონი როსტომი უცებ მოიფიქრებს — სულაც აქ, ეზოში ხომ არ ჩაგვეტარებინა წიგნის წარდგინებაო!..

ვერ გამოვიდა... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზში თავმოყრილნი სტუმრების მოლოდინში არიან.

10 ივნისს ნისლის ტიხარი გაირღვევა და დავით მიქელაძის შარავანდებით გასხვიოსნდება დარბაზის ინტერიერი.

ქუთაისელი მწერლის, ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანის — „ნისლის ტიხარი“ — წარდგენა მარტვილის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩვეული აკადემიურობითა და პროფესიონალიზმით წარიმართება.

შეხვედრას დანესებულების დირექტორი იგორ კეკელია გახსნის, სტუმრებს წარადგენს, მოკლედ ისაუბრებს შეკრების მიზეზზე და აღნიშნავს:

— ნისლის ბურუსში იყო გახვეული ცნობილი ლიტერატორის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის — დავით მიქელაძის სახელი. ის იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში მეველე იყო გაზეთ „დროების“ ფაქტიური რედაქტორ-გამომცემელი, ასევე ფაქტიური გამგებელი გაზეთ „ივერიისა“ 90-იან წლებში. ეს თავისთავად ბევრისმეტყველი ფაქტია... აი, ასეთი ღირსეული კაცის სახელი გამოსტაცა დავიწყებას ბატონმა ელგუჯა თავბერიძემ და ნისლის ტიხარს აქეთ ააკაშკაშა. დიდი მადლობა მას ინტერესისა და ინიციატივისათვის...

გთავაზობთ ამონარიდებს გამომსვლელთა სიტყვებიდან:

ილია კუხალაშვილი (პოეტი, პედაგოგი): „თუ არ ვცდები, კონსტანტინე გამსახურდია წერდა — კარგი სათაური ნაწარმოების მონახვევაო. დიახ, მიგნებულად შერჩეული სათაური მთლიანად ხსნის ნაწარმოების შინაარსს. ზოგადი მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს, ვიტყვი, რომ ჩვენ შემთხვევაში სწორედ ასეა, რადგან, როგორც ელგუჯა თავბერიძე წიგნის პროლოგსა და ეპილოგში გვიხსნის — დათა მიქელაძის ცხოვრება და შემოქმედება ნისლის ტიხარს მიღმაა. ნისლის ფარდითაა გამიჯნული XIX საუკუნის სხვა ქართველ მოღვაწეთაგან...“

ზღვა მასალა მოუძიებია ავტორს. წიგნში აღწერილია პირადი ცხოვრების დეტალები, ბიოგრაფიული მომენტები. ხაზგასმულია, თუ როგორი შეუბრალებელი იყო ეს კადამბასარი პუბლიცისტი ყველა მათ მიმართ, რომლებიც უნებლიეთ თუ სავესებით შეგნებულად ხელყოფდნენ ქართველთა ეროვნულ თვითმყოფადობასა და ღირსებას...“

იმარ ხუხუა (პროზაიკოსი, პედაგოგი): „ქართულ სინამდვილეში ასეთი კატეგორიის ნაწარმოები არ წამიკითხავს. მართალი გითხრათ, ჩვენ ბევრი არაფერი ვიცით XIX-XX საუკუნეების ქართულ პრესაზე, მის მიერ გაწეულ კეთილ თუ უკეთურ საქმეებზე... გაზეთი ერთი დღით ცოცხლობსო, უთქვამთ, მაგრამ ახლა, ელგუჯა თავბერიძის საკმაოდ მოზრდილი წიგნის წაკითხვის შემდეგ, ვრწმუნდები, რომ დღეისათვის ჟურნალი და გაზეთი შეუცვლელი მისტორიე გამხდარა და მათი გვერდები ახალი სიცოცხლით ამღერებულა. დათა მიქელაძეს, როგორც ჟურნალისტს, გრიგოლ ორბელიანის წყალობით ვიცნობდი, რომელმაც უდიერად მოიხსენია თავის პოლემიკურ ლექსში, ამგვარად — „მესხი, მეველე, მელიქ-ალეზი...“ დათა მიქელაძე „მეველე“ გახლავთ... ბატონ ელგუჯას წიგნი მოგვიწოდებს — მივბაძოთ ავტორს და გამოვამზებუროთ არაერთი ღირსეული ადამიანი, შევისწავლოთ და შთამო-

მავლობას შემოვუნახოთ იმათი სახელები, რომლებმაც მამულიშვილური საქმეებით უკვდავება დაიმსახურეს“.

ოთარ დანელია (მარტივლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი, ჟურნალისტი): „ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი ჩემთვის აღმოჩენა იყო. მე დავით მიქელაძე აღმოვაჩინე! აღმოვაჩინე დიდი კაცი — დიდი ისტორიით! შემრცხვა, რადგან არ ვიცნობდი მეველეს ცხოვრებას. თუმცა ბრძენთაგან თქმულით დავიმშვიდე თავი — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! კარგა ხანია ასეთი ადამიანური ისტორია არ წამიკითხავს. ისე ყველა დიდი ადამიანი არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს...“



იგორ კვეკელა

არა, ჩვეულებრივს ვერ დაარქმევ — იყო ილიას მეგობარი, იყო აკაკის მეგობარი; ვაჟასთანაც გქონდეს მსგავსი ურთიერთობა, ალექსანდრე ყაზბეგთანაც... დიდი ადამიანების მეგობარი მათსავით დიდი უნდა იყოს. ასეც იყო, მაგრამ ნისლის ტიხარი, ეს უსაშველო ნისლის ტიხარი აუფერულებს ბევრი დიდი კაცის მარადიულ დიდებას. თუმცა ზოგჯერ ისიც გულმონყალეა და ნისლის ტიხარს იქითაც გამოაჩენს საუკეთესოს. დათა მიქელაძეს გაუმართლა — XXI საუკუნეში დასრულდა მისი დავიწყების ისტორია... „ნისლის ტიხარი“ მეველეს ძეგლია. კიდევ ერთი დიდი ადამიანი არ დაიკარგა უძეგლოდ!...“

ამალია ჭილაია (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი): „საოცარი კაცი ყოფილა დავით მიქელაძე. უფრო საოცარი ცხოვრებით უცხოვრია — სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ხმალამოლებით მებრძოლს, ერთგულ გუშაგს თავისი საქმისა. გაცემა ვერ დავფარე და გავიფიქრე — ზოგჯერ ღირსეული მამულიშვილების დაფასებას ათწლეულები და საუკუნეები სჭირდება თურმე. ბატონი ელგუჯა თავბერიძე რომ არა, ალბათ კარგა ხანს ისევე ბურუსით იქნებოდა მოცული დათა მიქელაძის ცხოვრება... ჩემი სურვილია, ყველამ წაიკითხოს ეს მშვენიერი წიგნი, რადგან მასში მოთხრობილი ამბავი დათა მიქელაძის ცხოვრების უკეთ შეცნობაში დაგეხმარება...“

რეზო კვესელავა (კინოდრამატურგი, ლიტერატორი): „შენიშვნა მაქვს, ბატონო ელგუჯა! ვერ დაგეთანხმებით ვორონცოვის მოღვაწეობის შეფასებაში. მაგალითად დავასახელებდი დიმიტრი მერეჟკოვსკის საქციელს, რაც დამეუფლი პეტერბურგის ფონზე მტრედების დაპურებაში გამოიხატა. „აი, პოზიორიო!“ — ამბობდნენ თურმე მასზე გამველელები. ვასილ როზანოვმა კი შენიშნა: „ვთქვათ, პოზიორია, მაგრამ მტრედები ხომ ძლებოდნენო!“ არ ვიცი, ვორონცოვი თვალთმაქცობდა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ მან ქართული კულტურის აღორძინებას შეუწყო ხელი და აკაკი წერეთელი ვორონცოვის მოღვაწეობის ამ მხარეს დადებითად აფასებდა. ჩვენც, თანამედ-

როვე ისტორიკოსებმა, არ უნდა დავივიწყოთ დიალექტიკის კანონი. ის, რომ „Нет худа без добра...“

მწერლებმა: მაკა ჯოხაძემ, როსტომ ჩხეიძემ და გია ხოფერიამ ილაპარაკეს ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოების პოპულარობაზე მკითხველ საზოგადოებაში. აღნიშნეს ამ ჟანრის განვითარებაში ბატონ ელგუჯა თავბერიძის წვლილი. წარმოდგენილი ბიოგრაფიული რომანი, უპირველეს ყოვლისა, ერთგვარი მატთანაა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრებისა. სტილი სადა და ნათელია, ამიტომაც ინტერესით იკითხება. გამოკვეთილია პორტრეტი დავით მიქელაძისა. ძნელია ამ მღვდლად ბუნების ადამიანს არ თანავუგრძნოთ, გინდაც არ ვეთანხმებოდეთ მას. ასევე კარგად არის დახატული ეპოქის სხვა მნიშვნელოვანი პიროვნებაც — ქართველიც და უცხოელიც...

მაკა ჯოხაძე:

„ვისაც ქართული მწერლობა, ზოგადად ქართული ხელოვნება უყვარს და ვინც ელგუჯა თავბერიძის მოღვაწეობას კარგად იცნობს, ამ საერთო გათიშულობისა და სიშორის ჟამს დასავლეთ საქართველოში რამდენიმე გულანთებულ პიროვნებასთან ერთად ელგუჯა თავბერიძე ქართული კულტურის უპირველეს ქომაგად და ხელშემწყობად ეგულება. ამ სულისკვეთებით მთელი მისი ოჯახია გაჟღერებული, რომლის წიაღშიც არა მხოლოდ შვილების შესანიშნავ აღზრდასა და განათლებაზე ზრუნავენ, ამ ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ ფონზე ყოფით პრობლემებსა და საზრუნავებს უმკლავდებიან, არამედ გამუდმებით საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში არიან და ჭეშმარიტი მარადიული ღირებულებების დამცველებად და მატარებლებად გვევლინებიან.“

ელგუჯა თავბერიძე მრავალმხრივი ადამიანია. მისი საგამომცემლო საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის ციხეცხელებს ნამითაც არ აპყობია და ამ რთულ წლებში ღირებულებათა ე.წ. გაფართოებული გადაფასების ეპოქაში სწორედ მის მიერ, როგორც გამომცემლისა, განხორციელდა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ეროვნული პროექტი. მარტო ნიკო ნიკოლაძის ტომების აღდგენა-გამოცემა რად ღირს.

არაფერი შემთხვევით არ ხდება ამქვეყნად და ალბათ არც ისაა შემთხვევითი, რომ მარტვილში, ამ უძველესი ფანტასტიკური ტაძრის შემოგარენში, რომლის ვიზუალური, არქიტექტურული აღნაგობა იშვიათია და არცერთ სხვა ქართულ ტაძარს არა ჰგავს, ისე შეყუჟულა მთელი ქალაქი, როგორც ღვთისმშობლის მადლიანი კალთის ქვეშ.

რომ არა ეს მადლი, ისეთ დრამატულ, ტრაგიკულ სიტუაციაში, რომელშიც დღევანდელი საქართველო ჩავარდნილი, ჩვენ ამ სილამაზეს, ელგუჯა თავბერიძის წიგნების პრეზენტაციაზე ამდენ ანთებულ სახეს, ასეთ სიმღერებს, ასეთ საინტერესო გამოსვლებს ნამდვილად ვერ ვნახავდით.

სასიხარულოა, რომ როსტომ ჩხეიძისა და ელგუჯა თავბერიძის მეგობრობა საერთო ქართული საქმისათვის მრავალმხრივ სასარგებლო აღმოჩნდა. დარწმუნებული ვარ, როსტომ ჩხეიძემ (რომლის სახელსაც უკავშირდება

დღევანდელ საქართველოში ბიოგრაფიული რომანის, როგორც ჟანრის აღორძინება) ერთგვარი სტიმული მისცა ელგუჯა თავბერიძეს, რათა ეს რომანები დაენერა. სასიხარულოა, რომ ამ ჟანრშიც ელგუჯა თავბერიძის, როგორც მწერლისა და მკვლევარის, მუშაობა უაღრესად წარმატებული გამოდგა.

სიმბოლურია, რომ დღეს ჩვენს წინაშეა ორი წიგნი ორ კაცზე, ორ რადიკალურად განსხვავებულ, სხვადასხვა სულისკვეთებისა და ინტერესების მატარებელ ორ ქართველზე: დავით მიქელაძეზე, დიდებულ ქართველზე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული, ქარიშხლიანი ცხოვრება სამშობლოზე ფიქრსა და თავისუფლების იდეას შეაღწია, და სოლომონ ამორდიაზე, ამ ნიჭიერ ავანტიურისტზე, რომლის სახელსაც საუკუნის წინანდელ საქართველოში ორიათასამდე კაცის გათავადება და გააზნაურება უკავშირდება.

ეს ორი კაციც თავისი ცხოვრების წესითა და ავ-კარგიანობით თავის ხალხს ჰგავს და, სამწუხაროდ, უაღრესად აქტუალურად გამოიყურება დღესაც“.

როსტომ ჩხეიძემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ბიოგრაფიულ რომანისტიკას საქართველოში ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდა ელგუჯა თავბერიძის სახით. ეს ჟანრი კარგად მოერგო მის ორივე უნარს – მეცნიერული კვლევისა და ბელეტრისტული სტილისტიკისაკენ სწრაფვას, და ამიტომ გამოქვეყნდა ზედიზედ მისი მხატვრულ-ლოკუმენტური თხზულებანი, რამაც მკითხველის დიდი ინტერესი, სალიტერატურო კრიტიკის მხრივ კი მოწონების შეფასება გამოიწვია.

იგი კვლავაც ჩაფლულია ამ ჟანრში, ერთდროულად შეჭიდება რამდენიმე თემას და, გვეიმედება, რომ მიუხედავად მათი სირთულისა, ჩვეული ოსტატობით დაძლევეს. რაც შეეხება დავით მიქელაძეს, უპატივებელი იქნებოდა ჩვენთვის ამ შესანიშნავი პიროვნებისა და მოღვაწის დაკარგვა ანდა შემთხვევიდან შემთხვევამდე ზედაპირული გახსენება, და ყოველი ჩვენგანის მონაპოვარია, რომ ელგუჯა თავბერიძემ მონუმენტი აღუმართა მას ამ ჩინებულ ბიოგრაფიული რომანით.

„წისლი ტიხარი“ ერთი კაცის მღვდლად, დრამატული თავგადასავალიცაა და მწვავე, კრიზისული ეპოქის შთამბეჭქდავი, ხელშესახები სურათიც. ამიტომაც მკითხველისათვის ბევრი ისეთი რამ გახდება საცნაური, რაც იმ აბურდული დროის სიღრმეში უფრო მკაფიოდაც ჩაახედებს და კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა შინაარსსა და მსვლელობასაც ყოველმხრივ გაასიგრძელებინებს.

გია ხოფერია:

„ელგუჯა თავბერიძის შემოქმედების გაცნობისას მკითხველი გრძნობს, თუ რაოდენ გაძლიერდა ჩვენი მწერლობა ახალი მხატვრული სახეებით, ახალ ნიადაგზე დაფესვიანებული და აღმოცენებული სიტყვა მოგვეახლა. ვგრძნობთ მწერლის ფიქრიან მზერას, წერის აზარტულობასა და მოქნილობას, რაც თავისთავად მეტყველებს ავტორის კეთილ სურვილზე — „თავანისმცემელიც“ მეტი გაიჩინოს. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ დღევანდელი შეხვედრა ასეთი განწყობითაა განპირობებული. უკვე რამდენიმე გამომსვლელს მოვუსმინე, რომლებსაც ყუ-

რადღებთ წაუკითხავთ რომანი „ნისლის ტიხარი“ და მათი მოსაზრებანი სავსებით ჯანსაღი და გულწრფელი იყო... ელგუჯა თავბერიძის მრავალმხრივ ჟანრულ სამყაროში ძნელად მისაგნებია „ჩავარდნები“.

მაღალ ლიტერატურულ ღირებულებათა მქონეა მისი კრიტიკული წერილები, ნარკვევები, მაგრამ მისი მწერლური შესაძლებლობანი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, ერთ-ბაშად ამოიშრება ბოლოდროინდელ რომანებში: „უბედო მამულის ყმა“, „აირევი ივერია ანუ სოლომონ აშორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“ და „ნისლის ტიხარი“. პირველი გიორგი შერვაშიძეს ეხება, მეორე — სოლომონ აშორდიას, მესამე კი — დათა მიქელაძეს.

ბუნებრივია, სამივე რომანზე საუბარი ამ შემთხვევაში არ მოხერხდება, მითუმეტეს, დღეს განსაკუთრებით გვაინტერესებს „ნისლის ტიხარი“, მაგრამ, ერთის თქმა აუცილებელია — ამ რომანებით მწერალმა ჩვენი არცთუ ისე შორი ისტორიის ჩაკეცილი ფურცლები გაასწორა და, მაგალითად, გიორგი შერვაშიძისა და დათა მიქელაძის პიროვნებათა გაცოცხლებით წარსულის საუკეთესო სურათებთან ერთად შეგვახვედრა იმ ადამიანებთან, რომლებიც დღეს უსაშველოდ გვჭირდებიან. მათი საფუძვლიანი გაცნობა ნამდვილად მოგვცემს სტიმულს, „არ დავივინყოთ, ვისი გორისა ვართ“.

დასანანია, სოლომონ აშორდია თავისმა უკუღმართმა ბედმა არანაკლებ უკუღმართ გზაზე რომ ატარა. დასანანია იმიტომ, რომ მისი ნიჭის პატრონი ოღროზოლო სიარულს გადაჰყვა, როცა საქვეყნო საქმეების კეთებით ერთობ სანიმუშო და წარმატებული ადამიანი იქნებოდა. სწორედ ეს გვითხრა ელგუჯა თავბერიძემ მართლაც და ბრწყინვალე რომანით.

„ნისლის ტიხარის“ შესახებ თქვენ საკმაოდ ისაუბრეთ... ელგუჯა თავბერიძემ ერთი დიდებული ადამიანი გაგვიცოცხლა საუკუნის წინანდელი სამყაროდან, ადამიანი, რამდენადაც გვეუბნება „ნისლის ტიხარი“, ურომლისოდაც წარმოდგენა მისივე დროისა, ძალიან უეფექტო და გამომშრალი იქნება.

დავით მიქელაძე, როგორც მოღვაწე და ჩინებული ქართველი, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ვიოლინო არ ყოფილა, უაღრესად საჭირო გახლდათ თავისი სამშობლოსათვის სწორედ მაშინ, როცა ნელ-ნელა იღვიძებდა ქვეყანა, ნელ-ნელა ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი, ფეხს იკიდებდა აქტიური ჟურნალისტიკა. დავით მიქელაძე ილიას ყაიდის პუბლიცისტი გახლდათ, მისი სკოლის ერთ-ერთი მიმდევარი. მათი პუბლიცისტური საზომები თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს.

ელგუჯა თავბერიძემ შეძლო წაეკითხა კაცი, დიდი ადამიანი, ისევე როგორც კითხულობენ ჯადოქრის ხელით შექმნილ ტილოებს. ორივე რთული საქმეა: კაცის წაკითხვაცა და ტილოსიც. თუმცა ამჟამად ორივე ერთადაა, ის კაცი, ის დათა მიქელაძე, ორივე იყო — კაციცა და ტილოც, აბა, ჩვენ, ახლანდელებს, სხვაგვარად რაში დაგვინტერესებდა, ყოფილიყო იქ, სადაც დარჩა თუ ჩარჩა! მაგრამ პიროვნება, ვინც წარბმუხრელად ეზიარა თერგდალეულობას, თვითონაც შეეცადა ეტვირთა ნაღდი მამულიშვილის ტვირთი, ნამდვილად ყოფილიყო მეველე, არა იმგვარი გაგებით, როგორც თანამედროვენი განაქი-

ლიკებდნენ, არამედ მეველე თავისი ქვეყნისა, მწყემსი თავისი ქართულობისა და საერთოდ, კარგად გამხედავი ეროვნული ღირსებებისა, სხვებთან ერთად ხმაჩახლეჩით რომ მოითხოვდა უნივერსიტეტის დაარსებას, ყოველთვის პირველ სანგარში რომ იჯდა, მართლაც სირცხვილიც კია, დაივინყო, წაალეკინო ცხოვრებისეულ უმადურობას...

მე თავს აღარ შეგანყენო, ოღონდ აღვნიშნავ, რაც უფრო მეტი ქართველი ნაიკითხავს ამ რომანს, უფრო მალე გაიფანტება თანამედროვეობასა და წარსულს შორის ჩამდგარი ნისლი და მომავალსაც ნათელი თვალებით დავინახავთ“.

ავტორის ჯერიც დადგა.

„მარტივი ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა კულტურული ცხოვრებით. დავით მიქელაძის პიროვნებით დაინტერესებაც ამის გამოძახილი მგონია. მაღლობა თითოეულ აქ შეკრებილ მარტივულს, განსაკუთრებით ბატონ რეზო კვესელავას, რომლის სიტყვასა და მსჯავრს ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის) დიდი მნიშვნელობა აქვს, მაღლობა იგორ კეკელიას, რომელმაც ითავა ამ შეხვედრის გამართვა...“

რაც შეეხება ჩემს წიგნს დავით მიქელაძეზე, იგი დოკუმენტების ანალიზითაა დაწერილი, მხატვრული გამოხატვის არ სჭირდებოდა და არც სჭირდება იმ პიროვნების ღვაწლის წარმოჩენას, რომელიც ილიასა და აკაკის უახლოესი მეგობარი იყო, გახლდათ უამრავი ეროვნული საქმის მოთავე, პრინციპულობისა და დაურიდებლობის გამო ბევრს არ უყვარდა, მაგრამ ასეთმა გაუტყეხელი სულის ადამიანებმა გადაარჩინეს ქვეყანა.

დავით მიქელაძე თავისი მოქმედებით, სულისკვეთებით შუა საუკუნეთა რაინდს ჰგავდა. მიხარია, აქაც რომ გახშირდა მისი სახელი, ზოგს გაეგონა, ზოგს სულაც არა, მაგრამ დღეიდან, ვფიქრობ, ყველას ეცოდინება ვინ იყო მეველე, რას იცავდა და პატრონობდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

დავით მიქელაძეს კიდევ ბევრი რამ ეკუთვნის თანამედროვეთაგან. გამოსაცემია მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელსაც, ალბათ, მალე მოვახამთ თავს.

საბოლოოდ კი, მერწმუნეთ, ყველას თვალწინ წამოიშრება აქამდე ნისლით შებურვული გამორჩეული კაცისა და მოღვაწის სახე, — განაცხადა **ელგუჯა თავბერიძემ**.

...შეხვედრას მხიარულ განწყობას შემატებს კინიის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ ჩონგურზე იშვიათი ოსტატობით შესრულებული სიმღერები.

ღონისძიების დასასრულს მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მონაწილეებს დიპლომებსა და სიგელებს გადასცემენ სტუმრები. მოსწავლეებიც ორმაგი სიხარულით იღებენ ჯილდოებს. მათ ხომ ცნობილი ადამიანები ულოცავენ წარმატებას!.. მომავალში იქნებ რომელიმე მათგანმა საკონფერენციო თემად დათა მიქელაძის ცხოვრება და შემოქმედება აირჩიოს... ანდა ელგუჯა თავბერიძის მრავალფეროვან სტატიებსა თუ ბიოგრაფიულ რომანებს ჩაუკვირდეს.

ერთმანეთს მომავალ შეხვედრამდე და ხვალინდელ დღეზე ფიქრის სურვილებით დავემორდებით.

მარტვილის „გინაჯინუდან“ სულ სხვანაირია საქართველო...

ზნეობრივი, ძრესტომატიული

(ჩვენი მოვალეობა ვასილ ბარნოვის წინაშე)

თბილისში ხშირად არ მინევეს ჩამოსვლა, და თუ მაინც მომი-
წევს ხოლმე, მიხარია, რომ საშუალება მეძლევა საპატრიარქოს
არხს ვადევნო თვალი. ტელევიზიებიდან ისლა ინარჩუნებს
ეროვნულ ზნე-ჩვეულებათა და საქართველოს ისტორიის, დი-
დებულ მოღვაწეთა და მშობლიური ენის ქომავის მოვალეობას
და ცდილობს გაარღვიოს უგემოვნობისა და, ბევრნილად,
უხამსობის წყვილი, რაც ასე შემოგვეჯარვია და სასონარკვე-
თილებამაც გვაგდებს — ნუთუ არ უნდა დაადგეს სამველი მი-
ზანმიმართულ ამღვრევას საზოგადოებრივი ცნობიერებისა?

მიამიტი არ გახლავართ და სულაც არა მგონია, რომ მასობ-
რივი კულტურა იოლი დასაძლევია იყოს. ჩვენთან კი არა, დასავ-
ლეთშიც ლამის ნალეკოს ყველა და ყველაფერი, მაგრამ იქ არსე-
ბობს მასთან დაპირისპირების გზები და, თუ ვერ განდევნი, ზე-
გავლენას შეუსუსტებ მაინც. ყოველ შემთხვევაში, აუცილებ-
ლად უნდა არსებობდეს ჭეშმარიტი ხელოვნების ნაკადებიც,
რომ გულმართალმა და ერის კულტურისა და ტრადიციებზე მო-
ფიქრალმა ადამიანებმა იქ ჰპოვონ ნუგეშიც და თავშესაფარიც.
კიდევ კარგი, „ერთსულოვნება“ რომ არსებობს და საკმა-
ოდ გააზრებულად მოქმედებს. სამწუხარო ისაა, რომ მისი ხმა
თბილისს იქით ძალზე ძნელად აღწევს.

ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მეიმედება საპატრიარქოს
ტელევიზიის მომავლისაც, რათა შესაფერისი ღვაწლიც დას-
დოს ჩვენი სულიერების გადარჩენას.

შესავალი ცოტა გამიგრძელდა, კალამი კი ამჯერად იმ გა-
დაცემის ხილვამ ამადებინა ხელში, ვასილ ბარნოვს რომ ეძღ-
ვნებოდა, ამ დიდებულ შემოქმედს, ვის რომანებსა და მოთხ-
რობებსაც შეუძლია დიდი და სასიკეთო ზეგავლენა მოახდი-
ნოს ჩვენს სახელმწიფოებრივ აზროვნებაზეც და ჩვენი ახალ-
გაზრდების სულიერ ჩამოყალიბებაზეც. აღარაფერი ვამბობ
მათ განსაკუთრებულ ესთეტიკურ ზემოქმედებაზე.

სიუჟეტი ჩინებულად იყო აწყობილი და დაწურულ და სა-
ხიერ სილუეტს შემოხაზავდა ამ ჩვენი თავმოსანონებელი კა-

ცისა, ვის წინაშეც ვალში ვართ და ეს გარემოება — ვასილ
ბარნოვი სათანადოდ რომ არ არის დაფასებული — გადაცე-
მის მსვლელობის დროსაც აღინიშნა.

დიდი მწერლის შთამომავლებმა გულისტკივილით ახსენეს თა-
ვიანთი წინაპრის ღვაწლის ერთგვარი მიყრუება, თუმცა კარგი იქ-
ნებოდა ან მათ და ან ჟურნალისტს საგანგებოდ აღენიშნა თუნდაც
იმ ორი პიროვნების განსაკუთრებული დამსახურება ვასილ ბარ-
ნოვის ხსოვნის წინაშე, ზოგად მაგალითადაც რომ უნდა დაისახოს.

ერთია გიორგი ლეონიძე — ვინც განახორციელა ამ დიდე-
ბული შემოქმედის თხზულებათა ატომეულის გამოცემა 1961-
64 წლებში (ასე მოკლე ვადაში!), რაც თავის დროზეც თვალსაჩი-
ნო საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენა გახლდათ და
დღესდღეობითაც ინარჩუნებს გამორჩეულ მნიშვნელობას.

მეორე კი ოთარ ჩხეიძე — ვისი ბიოგრაფიული რომანიც
ვასილ ბარნოვზე /„რომანი და ისტორია“/ ამ წანის კლასი-
კური ნიმუშია და, ამასთან, აქ აიზიდა ამ მწერლის სახელი ევ-
როპული ლიტერატურის დონეზეც და დაისახა XX საუკუნის
ქართული სამწერლო სტილის ერთი ნაკადის განმსაზღვრე-
ლადაც და სკოლის მეთაურადაც.

ამ მონოგრაფიულ თხზულებაში ისეა შეფასებული ვასილ
ბარნოვის ვეებერთელა მხატვრული ნაგებობა მამასახლისე-
ბის ჟამიდან მოკიდებული XX საუკუნის დამდეგამდე, არსე-
ბით მიმატებას აღარაფრისას საჭიროებს. ახალ-ახალი მასა-
ლით თუ შეიგნება ანდა ცალკეული ნიუანსები უფრო ხელშე-
სახებდა გამოიკვეთება.

ეს ორი მაგალითი ზნეობრივი თვალსაზრისითაც ქრესტომა-
ტიულია — თუ როგორ უნდა ზრუნავდნენ მწერლები მწერალზე,
ახალი თაობა — წინამორბედზე. თორემ ხშირად მომხდარა, რომ
ბევრად ნაკლები რანგის კალმოსნებს ბევრად დიდი სახელი მო-
უხვეჭიათ და ამჯერადაც „მიმქრალი შარავანდედის“ ავტორი ამ
ნაკლებადდამსახურებულ მწერალთა ჩრდილშია მოქცეული.

ვიმედოვნებ, ვასილ ბარნოვზე გაცილებით ვრცელი სა-
ტელევიზიო სიუჟეტებიც მომზადდება და, გულისტკივილის
გამოხატვასთან ერთად, იმ პიროვნებებსაც გაიხსენებენ,
ვინც შეგვაგონებენ, თუ რამხელა მოვლენაა ვასილ ბარნოვი
და როგორ გვმართებს მისი სახელისა და ნაწერებისათვის
გზის გაკვალვა.

თაქო ჩიტაქა
ყელქცეული

კიდევ ერთი „დაბრუნება“

უცნაური რამ არის ეს ისტორია, ზოგჯერ როგორ ძალა-
დობს ადამიანზე, მის ცხოვრებაზე, მის ბედზე.

სწორედ ისტორიის ჩარხის უკულმა ტრიალს მოჰყვა ის ტრა-
გიკული ამბები, რაც XX საუკუნის 20-30-იან წლებში დატრიალ-
და. რეპრესიებში მარტო ადამიანები კი არ მოჰყვენენ, არამედ
ენაც. დიას, ენა, ქართული ენა იქნა რეპრესირებული.

სამშობლოდან განდევნილმა გრიგოლ რობაქიძემ გერმანუ-
ლად დაიწყო წერა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, სხვანაირად
თავს ვერ დაიმკვიდრებდა უცხო გარემოში. ამბობენ, მისი გერ-
მანული მისსავე ქართულზე არანაკლებ ხატოვანიაო. არ ვიცი.
ის კი ვიცი, რომ გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებები ძალიან კარ-
გად ითარგმნება. შეიძლება ითქვას, მას გაუმართლა. კარგი
მთარგმნელები შეხვდა. ახლაც მასხოვს, რამხელა შთაბეჭდი-
ლება დატოვა ალექსანდრე კარტოზიას მიერ თარგმნილმა „ჩაქ-
ლულმა სულმა“. შემდეგ იყო ნაირა გელაშვილის, დალი ფანჯი-

კიძისა და ნანა გოგოლაშვილის თარგმანები. ახლახან კი წავი-
კითხეთ თამარ კოტრიკაძის თარგმნილი „გრაალის მცველნი“.

თუ არ ვცდები, თამარ კოტრიკაძე სხვა ევროპული ენებიდა-
ნაც თარგმნის. ასეთი კვალიფიციური მთარგმნელი ბევრი არ
გვყავს და სასიხარულოა, რომ იგი ინტენსიურად მუშაობს, ხში-
რად გვხვდება მისი ახელი სალიტერატურო პრესის ფურც-
ლებზე. თუმცა ყველაზე დასაფასებელი, იცით, რა არის? ის,
რომ მაღალ დონეზე თარგმნის, ნამდვილი პროფესიონალია და
ნდობით განვაწყობს. როცა მის ნამუშევარს კითხულობ, იცი,
რომ ჩავარდნა არ ექნება, გემოვნება არ უღალატებს, ფრაზას
ჰარმონიულად გამართავს, დედნის სულისკვეთებას ზუსტად
გადმოიტანს და მის მაღლს გაგრძობინებს.

ერთი სიტყვით, მინდა მივულოცო თამარ კოტრიკაძეს კი-
დევ ერთი წარმატებული თარგმანი, რობაქიძის შემოქმედების
თავყვანისმცემლებს კი კერპის კიდევ ერთხელ „დაბრუნება“
მშობლიური ენის წიაღში.

კოტა სისაური
მცხეთა

მარინე ტურავა

ზღვის ორდენის რაინდი

□

გურამ ოდიშარიას მინიატურები

ომამდელი და ომისდროინდელი სოხუმი ჩემთვის წარმოუდგენელია გურამ ოდიშარიას პოეზიის გარეშე. იგი მარინისტი პოეტია, მის ლექსებში ტალღების ხმაური, თოლიებისა და მაგნოლიების გამუდმებული ჩურჩული, ნიჟარების იდუმალი ექო ისმის. იგი ზღვის ორდენის რაინდია, ამ ორდენის ერთგული მსახურია დღესაც, სოხუმიდან შორს. იგი ნამდვილი სოხუმელია თავისი ქართულ-აფხაზური სამეგობროთი, მოგონებებით, წარსულითა და აწმყოთი. სადაც უნდა იცხოვროს და როგორც უნდა იცხოვროს, ყოველთვის ჭეშმარიტ სოხუმელად დარჩება.

„უკვე ორი წელია თითქმის, არ შევხვედრებოდა ერთიმეორეს, სიზმრებში თუ გაივლებოდა ხოლმე და, ეს არის და ეს. იშვიათად — ტელევიზორში მოგვრავ თვალს, კიდევ — საფოსტო ბარათებზე, ხანაც — საოჯახო ალბომებში. როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ, რა გიჭირს, რა გიღიხნის? — ვის არ ვეკითხები შენს ამბავს — ადამიანებს, გაზეთებს, რადიოს... მომისაკლისებ თუ არა ხოლმე? თუ უკვე — ისე რა. ან სულაც აღარ გახსოვარ?!“ — ასე მწერალი მშობლიურ ქალაქს ესაუბრება, ჯერ სულ ორი წელია გასული, დღეს ჩვიდმეტი წლის მერეც ისიც და ყველა ნამდვილი სოხუმელიც ისევ შორიდან და ისევ ძალიან მშობლიური, ახლობელი ადამიანით ეფერებიან თავიანთი ახლა უკვე ოცნების ქალაქს.

თბილისში დამკვიდრებულმა, დევნილმა გურამ ოდიშარიამ ამ ელვისისწრაფით გამოსცა წიგნი „დევნილთა ულელტეხილი“, პოეტური კრებული „სონატა სოხუმზე და შენზე“ და „სოხუმში დაბრუნება“. ეს უკანასკნელი იყო პირველი იმედის სხივი ჩვენს მრუმე, სასონარკვეთელ ყოველდღიურობაში. გურამ ოდიშარიამ ისე ლამაზად და დამაჯერებლად გვითხრა: „ჩვენ სოხუმში გემით დაებრუნდებით. იქნება დილა ან შუადღე. დღე — ნათელი, ცა — უღრუბლო, ზღვა — ულურჯესი, წყნარი, მოალერსე. გემის თეთრზე თეთრი ფერი ციური ნათელივით აირეკლება ზღვის ზედაპირზე... გემი აუჩქარებლად მიადგება სანაპიროს. ბავირით მიაბამენ გემს. დაბლა და დაბლა დაეშვება კიბე. შემოგვხვდებიან მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები, უცნობებიც კი, ყველანი... მათ უხარიათ, უხარიათ... ჩვენ დაგვხვდება ომამდელი სოხუმი და გვკითხავს, როგორ ვგრძნობთ თავს. დიდებულად. დიდებულად. დიდებულად — ჩვენ ხომ უკვე სახლში ვართ!.. სოხუმში ვართ!..“

ომამდელი სოხუმი ყველა სოხუმელის ოცნებაა, რადგან, ვინც ამ ჩვიდმეტი წლის მანძილზე სოხუმში ჩავიდა და ქალაქი ნახა, ყველა სიხარულის ნაცვლად დარდმა მოიცვა. ისევე როგორც შვილი დადარდინდება დიდი ხნის შემდეგ

მოხუცი, დავრდომილი, უმწეო დედის დანახვაზე, მშობლიური ხელი და ზრუნვა რომ მონატრებია და მოკლება კიდევ... ქალაქი ხომ პირველ ყოვლისა მასში დასახლებული ადამიანები არიან, უქართველებო სოხუმში კი უსახური, უსიხარულო, ნაღვლიანი ქალაქია...

გურამ ოდიშარიას მინიატურები „ზღვისპირელი ბიჭის“ ჩანაწერებია. ეს მინიატურები ჯერ კიდევ აფხაზეთის ომამდეა დაწერილი. ერთ-ერთი „ანგელოზის ხმა“ წინასწარმეტყველებაცაა. იგი მოგვითხრობს ზღვისპირა ქალაქში მცხოვრებ ერთ მეოცნებე მეთევზეზე, რომელსაც ზღვისგალმა ქვეყნის ხილვა სურს და იქიდან დრო და დრო ანგელოზის ხმა მოესმის. „დროთა განმავლობაში თვალის ფერიც კი შეეცვალა მეზადურს — ლურჯი გაუხდა. არავის გაკვირვებია ეს გაგუშმი, რადგანაც იგი ხომ რიჟარაჟიდან ბინდებუნდამდე და, შესაძლოა, სიზმარშიაც მუდამ ზღვას ხედავდა.“ ერთ მშვენიერ დღეს მეზადური მოზრდილი ნავით ალთქმული ქვეყნისაკენ გაეშურა, გზადაგზა მწვანეაფრიანი, ყვითელაფრიანი, ზღვისფერაფრიანი ნავეები გაანადგურა და თვითონაც ძალაგამოლეული ძლივს მიადგა ოცნების ქალაქს, ანგელოზის ხმა ძლიერდებოდა. „განცვიფრებამ კაცს ფართოდ, ტკივილამდე გაახელია თვალები — იცნო ქალაქის შუაგულში მდგარი უზარმაზარსათიანი თეთრი კოშკი...“ მეზადური ისევ გაგუშს მიადგა, მისი ერთადერთი ქალაქი ამქვეყნად, ერთადერთი ნავთსაყუდელი და ოცნება გაგუშში იყო, ანგელოზის ხმაც ამ ქალაქიდან ესმოდა... ამდენი ბრძოლაც გაგუშში დასაბრუნებლად დასჭირდა...

„ბავშვობაზე დადიდებული თვალებით და ჩაკირკიტებით წერა მუდმივი მტკიცებაა, მართლა არსებობს სადმე სამოთხე თუ არა“ (რეზო ინანიშვილი). გურამ ოდიშარიასათვის მინიერი სამოთხე — სოხუმია, მისი კანუდოსი მუდამ აქ იყო, მამინაც კი, როცა ქალაქს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა და ქართველი აფხაზთან ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდა. შეიძლება იმიტომაც, რომ იგი გულისგულში, მწერლური ინტუიციით მაინც გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს.

„მუსიკა“ გურამ ოდიშარიას ერთ ბავშვობისდროინდელ მოგონებას ეძღვნება. ბიძასთან რუსეთში ჩასულ „ზღვისპირელ ბიჭს“ მოწყენას მეზობელი შენობის მეცხრე სართულიდან მომავალი ვიოლინოს გამუდმებული ხმა უქარვებდა. მაშინ ბავშვური ფანტაზიით წარმოიდგინა, რომ მუსიკოსი კონსერვატორიის სტუდენტი იყო — „იგი ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. არა, ნამდვილად არ შეეძლო სხვას ასე თამაშად და ლაღად, მგზნებარედ დაკვრა.“ ათი წლის შემდეგ ბიძასთან ხელმეორედ ჩასულს სხვა მუსიკა დახვდა — „ჩემი ბავშვობის მევიოლინე სამგლოვიარო მელოდიას ამუშავებდა, სწორედ ისეთს, რომელსაც პანაშვიდებზე უკრავენ დაქირავებული, ხშირად გალოთებული მუსიკოსები.“ ამ მინიატურამ ედგარ პოს „ზარები“ გამახსენა. ამ ლექსში პოს მუსიკალურობა უმაღლეს მწვერვალს აღწევს, იგი შილერის „ზარების“ მიბაძვით დაინერა. პოეტის ზარების ხმის ოთხი რიტმით განმარტავს ადამიანის სიცოცხლის ოთხ საფეხურს. პირველ ნაწილში ზარების რიტმით არის გადმოცემული სიცოცხლის განთავის შესაფერისი მხიარული ემოციური განწყობილება. მეორეში ადამიანის საქონიწონო ასაკისათვის დამახასიათებელი ჰარმონიული ხმები ისმის. მესამე ნაწილში უკვე მოისმის საშინელი ხმები ხანძრისა, რომელიც ნთქავს და ანადგურებს ყველაფერს, რაც ადამიანს შეუქმნია. ლექსის მეოთხე ნაწილი აღსასრულის მომლოდინე შიშისა და საფრთხის ზარია. „ზარები“ პოს უკიდურეს პესი-

მიზმს გამოხატავს, თუმცა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს ზუსტად გამოყოფს. როგორც ჩანს, უცნობ მუსიკოსს ცხოვრების მესამე ეტაპი დაუდგა, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი მეზობელი ხალხისათვის დამახასიათებელმა საყვარელმა გატაცებამ თუ სენმა.

„მიხა“ უცნაურ ბერიკაცზე მოგვითხრობს, რომელსაც არც ცოლი ჰყოლია ოდესმე და არც შვილი. ახალგაზრდობა უცხო ქვეყნებში ხეტივალს შეაღია, სიბერეში კი ზღვის სანაპიროზე დასახლებული ჯერ ერთ ნიგნს კითხულობდა, შემდეგ კი ამ ნიგნის ფურცლებში გამოხვეწულ თუთუნს ენეოდა. სიკვდილის წინ უსარკმლებო და უკარებო ქოხი აიშენა, რომელიც შემდეგ ბერიკაცის უკანასკნელი ძვალთმესალაგი გახდა — „ბევრი იფიქრეს, იკამათეს მეზობლებმა და მოკეთებმა, და, ბოლოს, კარგა ხნის ჭოჭმანის მერე, ასე გადაწყვიტეს — ჩასვეწეს — საკუთარი ხელით მოჯორთილ სახლში და ასე მიაბარეს მისივე ხაია და ფერმოდლებული — ეზო-კარის მიწას.“ მთელი თავისი ავლა-დიდება და ქონება ბერიკაცმა თან წაიღო, ერთადერთი საყვარელი ნიგნი თუთუნის ქალაქად დაშალა, სახლი კი სამუდამო სადგომად ექცა...

„უდაბნო“ გზაბანულ ადამიანებზე მოგვითხრობს, დღესაც გამოსავალს რომ ეძებენ. თავიანთ გზაზე მიმავალნი რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს უდაბნოს ხრიკოში, როცა დარწმუნდნენ, რომ აქედან ვერ დააღწევენ, ჩამოსხდნენ ერთად, „ამბობენ, დღესაც იქ სხედანო“. შექსპირი სამყაროს უდაბნოს ეძახის ტრაგედებშიც, პოეზიაშიც („ამ უდაბნოში ხატად დამაქვს შენი ცოდვები და მორჩილი ვარ შენი ერთი გადმოხედვისა“.)

უდაბნო ქართულ პოეზიაში, განსაკუთრებით გალაკტიონთან მარტოობის სიმბოლოა («ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახვერდები»). გურამ ოდიშარიასათვის უდაბნო ზღვის ანტითეზაა. უდაბნოდან დაღწევა ყველას უნდა, ზღვიდან ნასული კი გამუდმებით მისკენ მიისწრაფის და საბოლოოდ ისევ ზღვას უბრუნდება.

„ხუროთმოძღვარი“ მეფის უმადურობაზე გვიამბობს, „ხმა“ — ხელოვანის გაკერებაზე, «კედელი» — უფლის მომლოდინე ბერზე და ა.შ... თითოეულ მინიატურას თავისი გამოკვეთილი სათქმელი და მორალი აქვს. გურამ ოდიშარია ამ მინიატურებშიც ზღვის ორდენოსნად რჩება, უფრო მეტიც, ზოგიერთ მინიატურაში ზღვა თითქოს პერსონაჟიც კია, ზოგიერთში გმირების ცხოვრების განმსაზღვრელი.

ამ მინიატურების დანერის შემდეგ გურამ ოდიშარია, როგორც პროზის ავტორი, კიდევ უფრო დაოსტატდა, დღეს მის კალამს არც მოთხრობა ეუცხოება და არც რომანი, მაგრამ ამ მინიატურებში არის უმთავრესი, რაც მწერლის შემოქმედების გამორჩეულ, ორგანულ ნიშნად იქცა — მის პროზაში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს გრძნობა და გონება, რაციონალური და ირაციონალური, სულისმიერი და გონისმიერი და ამ ყველაფერს ადამიანის დიდი სიყვარული კრავს, აერთიანებს. პროზაიკოს გურამ ოდიშარის ენა პოეტურია. მის პროზაულ ნაწარმოებებში, პოეზიის მსგავსად, ზღვის ტალღების ხმაური, თოლიებისა და მაგნოლიების გამუდმებული ჩურჩული, ნიჟარების იდუმალი ექო ისმის... იგი მარინისტია პოეზიაშიც, პროზაშიც...

და კიდევ... ამ მინიატურების წაკითხვამ კიდევ ერთხელ გამიჩინა იმედი, რომ იმ გაგუმელი მეზობელი ადრე თუ გვიან მწვანეაფრიანი, ყვითელაფრიანი, ზღვისფერაფრიანი ნავების დამარცხებისა და უამრავი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ აუცილებლად ჩავალთ ალექსანდრე მინაზე, ჩვენს კანუდოსში, აუცილებლად გავიგებთ ანგელოზის ხმას და დავინახავთ „ქალაქის შუაგულში მდგარ უზარმაზარ-საათიან თეთრი კოშკს“. „აქ ზოგს მუხლები უმტყუნებს, აუკანკალდება, თვალები ცრემლებით ავესება, მოაჯირს ისეთი ძალით ჩასჭიდებს ხელს, რომ თითებში სისხლი გაეყინება. რა გასაკვირია, ჩვენ ხომ უკვე სოხუმში ვართ. დაბრუნებამ იცის ასე“ („სოხუმში დაბრუნება“).

გურამ ოდიშარია იმედის მწერალია.

ყველაზე სანდო მწერალი

ანუ
დისერტაციი, როგორც
არაორდინარული მოვლინა

იმ დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის დეპარტამენტში, ამავე უნივერსიტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე, მორიგი დისერტაციის დაცვა გაიმართა...

მე არც სამეცნიერო საბჭოს წევრი, არც ოპონენტი, რაღა თქმა უნდა, არც თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვყოფილვარ, მაგრამ დისერტაციის დაცვაზე მაინც აღმოვჩნდი.

რატომ?

მიზეზი დისერტანტის — ნესტან ფიფიას — საკვლევი თემა გახლდათ: „XX საუკუნის 90-იანი წლების დოკუმენტური ქრონიკები (ოთარ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა)“.

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელები: თამარ პაიჭაძე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი და

მაია ჯალიაშვილი — ფილოლოგიის დოქტორი. ხოლო ოფიციალური ოპონენტები: ნონა კუპრეიშვილი — ფილოლოგიის დოქტორი. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და

ლალი დათაშვილი — ფილოლოგიის დოქტორი. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურისა და რელიგიის სწავლების კათედრის გამგე. დისერტაციის დაცვა დადგენილი წესითა და რიგით წარიმართა:

დისერტანტმა — ნესტან ფიფიამ შთამბეჭდავად და ამომწურავად ისაუბრა იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა მისი არჩევანი, როგორ წარიმართა კვლევა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. მოკლედ, ნაშრომის ზოგადი დახასიათება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„ოთარ ჩხეიძის შემოქმედება მხატვრული მატარებელია. მის ნაწარმოებებში მთელი სისავსითა და სიღრმით წარმოჩნდა თანამედროვეობა — სულიერსა თუ მატერიალურ სფეროში. ჩვენი ეპოქის „ქართლის ჭიორი“ მან ასახა როგორც ტრადიციული ნარატივით, ასევე ქართული პროზისთვის უჩვეულო, ენის ძირა ფენებიდან ამოზრდილი რიტმითა და თხრობის ორიგინალური ვარიაციებით. მისი მხატვრული ტექსტების დროსივრცული არეალი მოიცავს XX-XXI საუკუნეებს, თუმცა ამ ქრონო-



ნესტან ფიფია, მათა ჯალაშვილი და ლალი დათაშვილი

ტოპში წარმოჩნდება დრო, როგორც განუყოფელი ფენომენი, რომელიც თანაბარი ინტენსივობით მოიცავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

მწერალმა ქართული სინამდვილე, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით, ორიგინალური სტილით წარმოაჩინა: ქვეყნის დაკნინება, ერის სულიერი სტრუქტურის რღვევისა თუ განმტკიცების მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვით.

ოთარ ჩხეიძე ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში „სულის პურის“ ბარაქიანი მომკვლია. ამ თვალსაზრისით, იგი, უპირველესად, ილია ჭავჭავაძის სულიერი მემკვიდრეა.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში სხვადასხვა ასპექტით გამოკვლეულია ოთარ ჩხეიძის ტრილოგია — „არტისტული გადატრიალება“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „თეთრი დათვი“. თუმცა გათვალისწინებულია, მისი რომანების მთელი ციკლის კონტექსტი.

მწერალმა მიზანმიმართულად ჩაიფიქრა და განახორციელა ეპოქის გრანდიოზული ტილოს შექმნა. ტრილოგიის რომანები ამ ერთიანი სურათის, ერთგვარი მოზაიკის ცალკე „ნატეხია“, რომელსაც, რა თქმა უნდა, აქვს თავისი დამოუკიდებელი სტრუქტურა, მაგრამ ერთიანობაშია გასაზრებელი.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს ის, რომ ეს ტრილოგია პირველად ანალიზდება მთლიანობაში.

საკვლევა მიზნებმა და ამოცანებმა განაპირობეს, ასევე, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება შემდეგი რომანების მიმართ: „ამალღება“, „არტისტული გადატრიალება“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „თეთრი დათვი“, „ვენეციური ჭალი“, „ბორიყა“, „მორჩილი“, „ვასილ ბარნოვი“, „2001 წელი“, ამასთანავე, კვლევის ინტერესთა სფეროში შემოვიდა: პუბლიცისტური ნერილები, ინტერვიუები.

ლიტერატურული მეთოდების გარდა, კვლევის პროცესში ერთგვარი საყრდენია წმინდა მამათა ნააზრევი, თეოლოგიური ლიტერატურა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია სულიერი სტრუქტურისა და ჯვარსახოვნებითი ვექტორების კვლევისას, გნოსეოლოგიური ანალიზით განსაზღვრულია რეციპიენტის მიმართება ნაწარმოებთან.

ნაშრომში წარმოჩენილია მხატვრულ-დოკუმენტური პროზის სპეციფიკა. საინტერესოა, აგრეთვე, ის, რომ ოთარ ჩხეიძის სტილისთვის პუნქტუაცია საცა თავისი

მხატვრული დანიშნულება აქვს: წერტილი, ნებისმიერი პაუზა, თხრობის სახეობათა მონაცვლეობა — გამიზნულია მხატვრულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის.

XX საუკუნის 90-იანი წლებისადმი მიძღვნილი ტრილოგიის კვლევისას ქართული სატკივარი განიხილება ზოგადდამიანურ კონტექსტში, ჭეშმარიტი არსისგან მოწყვეტის (დარღვეული სტრუქტურის) ფონზე. ამ საკითხზე მსჯელობას მივყავართ უნივერსალურ პრობლემატიკამდე. საინტერესო პარალელი იკვეთება სტრუქტურის რღვევის ვიზუალურ დასტურად მოაზრებულ ასომთავრულთან ო (ნაშრომს ახლავს დანართი ჯგერის მონასტერზე, ნალენჯინის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარსა და იანიშის ოთხთავის პერგამენტზე გამოსახული ამ ასოსი).

სადისერტაციო ნაშრომი თავებდა ნაწილდება მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სისტემისა და თემატიკის მიხედვით.

კვლევის ჯვარსახოვნებითი და ჰერმენევტიკული მეთოდი, მხატვრული სისტემის კვლევა ადასტურებს ოთარ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის განუმეორებელ დახვეწილობასა და სიცოცხლისუნარიანობას“.

შემდგომ სიტყვა პირველ ოპონენტს — ქალბატონ ნონა კუპრეიშვილს დაეთმო, რომელმაც მისთვის ჩვეული კომპეტენტურობით გაუწია ოპონირება დისერტანტს.

აღნიშნა, რომ სარეცენზიო ნაშრომში აქცენტირებულია ეროვნული ყოფიერებისა და სულიერი სიმტკიცის ენასთან კავშირი — სწორედ აქ იღებს სათავეს ოთარ ჩხეიძის მართებული დამოკიდებულება სიტყვასთან, როგორც განზომილებასთან, რომელშიც დროსივრცული კავშირი ხორციელდება. ამასთან, ლიტერატურული ტექსტისა და გარესამყაროს მთლიანობას ედება სათავე, რასაც, დისერტანტის მართებული შენიშვნით, ბახტინი „ქრონოტოპს“ ანუ დროსივრცულ მთლიანობას უწოდებდა. არსებობს კიდევ ენის ალქმის სემიოლოგიური ასპექტი, რომელიც ენას, როგორც ადამიანის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ფორმას, ამა თუ იმ ერის კულტურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა, ინტერესთა და მისწრაფებასთან კოდირებულ ნიშანთა სისტემად აღიქვამს.

ნათქვამია, რომ „ოთარ ჩხეიძის პროზაში... წარსული — სიტყვა არსისმიერი უხილავი ძალა და მადლია, აწმყო — დაკნინებულ სინამდვილეში სიტყვა „გალიზდებულია“, მომავალი — გადარჩენა სიტყვის ერთგულებას მოითხოვს“...

რასაც სავსებით ვეთანხმები. თუმცა ის ხაზი, რომელზედაც ოსიპ მანდელშტამი მიანიშნებდა: „...ყველა მხატვრული ტექსტი არის ინფორმაცია ენის შესახებ... დიდი მწერლები არა მოთხრობებსა და რომანებს წერდნენ, არამედ რაღაც სხვას, უფრო მნიშვნელოვანს აკეთებდნენ...“ ცხადია, არ არის განვითარებული... ოთარ ჩხეიძის ენობრივ თავისებურებათა შესახებ კვლევა კი, უნდა ვივარაუდოთ, მომავალში ამ მიმართულებითაც გაგრძელდებაო“ — და ასე, საინტერესოდ მიმოიხილა ნაშრომი. რამდენიმე შენიშვნაც გამოთქვა. მათ შორის ასეთიც იყო: „მინდოდა მეტი სიცხადით ყოფილიყო გამოკვეთილი მიზეზი იმისა, თუ რამ გამოიწვია მხატვრულობის კლება და დოკუმენტურობის მატება განსახილველ რომანებში, ახსნილიყო ის შინაგანი კანონზომიერება, რამაც მწერალი სწორედ ამ გზით ნაიყვანაო“.

საბოლოოდ კი: „ნ. ფიფიას დასახელებული ნაშრომი კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს „ერთ უცნაურ დიდებულ მოთხრობელზე“, მწერალ ოთარ ჩხეიძეზე, რომელსაც თავისი სამწერლო პოზიციის გამო „სანდო მემატინაც“ უწოდეს. მართლაც, „უმაღლო ჟამით“, რომელიც გალაკტიონისეულ „ხანი უნდობარის“ ასოციაციას აღძრავს, მწერალმა ერის ნამდვილი ისტორია წარმოგვიდგინა. მან, მართლაც იცოდა, როგორ უნდა გადაეარჩინოთ ჩვენში ქართველი და როგორი „უნდა აღმოვჩნდეთ სამშობლოს წინაშე“... და როცა ე.წ. მოხსენების ოფიციალური ნაწილი დაასრულა, მისი ცხოვრებიდან ერთი ისეთი ეპიზოდი გაიხსენა, რომელიც ნოველის თემაც კი შეიძლება გახდეს.

სტუდენტი გოგონა და მისი ლექტორი — ბატონი თეიმურაზ მალაფერიძე (იგი ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი გახლდათ) ერთმანეთს უნივერსიტეტის წინ შემთხვევით ხვდებიან, საუბარს გააბამენ... და უცებ ლექტორი თავის სტუდენტს ერთ ჭაღარა კაცზე მიუთითებს — დააკვირდი აი, იმ კაცს, იქით, განაპირას რომ მიდის და დაიმახსოვრე — ეგ არის ოთარ ჩხეიძე — ყველაზე სანდო მწერალი!.. და ამ ორიოდე ფრაზით, მაშინ ბატონმა თეიმურაზმა დიდი მწერლის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი მოხაზა.

...და რაკი ლირიკულ ჩანართზე მიდგა საქმე, აქ მეც დავარღვევ დისერტაციის დაცვისთვის ჩვეულ ოფიციალურ სტილს და გავიხსენებ ოთარ ჩხეიძის მონოგრაფიას ვასილ ბარნოვზე, სადაც ასე შენიშნავს: „თავი არ აუღია, ისე ენოდა და ჭაპანსა, ღრმადმოხუცებამდის ენოდა, სამარის კარი კალმით დააკაუნა, შეალო და შევიდა კალმიანადა“...

ან კიდევ: „ბარნოვის სტილი მოვლენაა თავისი ეპოქისა, მეტად მღელვარე ეპოქისა, თავისი სირთულით რო არ ჩამოუვარდებოდა ყოვლად უძნელესსა და ურთულეს საუკუნეებს ჩვენი ცხოვრებისა, ამიტომაცაა რთული და მღელვარე სტილიცა მისი, ხასიათებიცაა, სიუჟეტებიცა, რთულიცაა და მომხიბლავიცა, მღელვარიცაა და წარმატიცა“...

...და რაც უნდა უცნაურად გვეჩვენოს, ეს ყოველივე ზუსტად მიესადაგება თვითონ ბატონი ოთარის ცხოვრებასა და შემოქმედებას!

მანაც ხომ ვასილ ბარნოვის დარად, კალმით დააკაუნა სამარის კარზე?!

რა შეიძლება ამას დავარქვათ, ალბათ, უფრო მისტიკური მსგავსება, წინასწარმეტყველება?..

საერთოდ კი, ვფიქრობ, ვასილ ბარნოვისა და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებათა ერთიანი კვლევა საინტერესო, საშური საქმეა და დარწმუნებულიც ვარ, ამ თემას ბევრი დისერტანტი მოჰკიდებს ხელს.

თუმცა არა, ახლა ამაზე საუბრის გაგრძელება შორს ნამიყვანს და ალბათ სჯობს კვლავ დისერტაციის ოფიციალურ მსვლელობას მივყვე.

ნონა კუპრეიშვილის გამოსვლის შემდგომ დისერტანტმა მოკლედ უპასუხა ოპონენტს:

უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებ ჩემი ნაშრომის ხელისხმეირი ნაკითხვისთვის, რჩევისთვის.

ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებების კითხვას შინაგანი სმენა და კვლევით მიახლება სჭირდება. ამ თვალსაზრისიდან და ჩემი მცდელობიდან გამომდინარე, გავაგრძელებ მუშაობას სემიოლოგიური კვლევის პრინციპითაც. მიმაჩნია, რომ ეს მიდგომა შეიძლება ახალ თემად და ახალ ნაშრომად ჩამოყალიბდეს. წარმოდგენილ თემას ამ მხრივ ყურადღების გამახვილება გაამდიდრებდა, გააღრმავებდა.

იქნებ ლირიკული გადახვევა იყოს, მაგრამ ვისარგებლებ მოგონებით: თუ როგორ გააცნეს ქალბატონ ნონას მის ახალგაზრდობაში ოთარ ჩხეიძე და უთხრეს: ეს ყველაზე სანდო მწერალიაო, — კიდევ ერთი რაკურსით თემა გაიშლეს... ვინ გააკეთებს ამას, დრო და მომავალი გვიჩვენებს.

მეორე ოპონენტმა, ქალბატონმა ლალი დათაშვილმა საფუძვლიანად მიმოიხილა დისერტანტის ნამუშევარი და ბევრი საგულისხმო მოსაზრება თუ სურვილი გამოთქვა; აღნიშნა, რომ „დისერტანტი გამოირჩევა აკადემიურობითა და განათლებით. იგი არა მხოლოდ საკვლევ ნაწარმოებებს იცნობს კარგად, არამედ დაჯილდოებულია ფილოლოგიური ალლოთი და გემოვნებით, რისი დასტურიცაა მისი ნაშრომი, თვალის უბრალო გადავლევაც გვარწმუნებს იმაში, ავტორი რაოდენ სიღრმისეულად და დეტალურად აანალიზებს ოთარ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტურ პროზას.

დისერტანტი მიზნად ისახავს ოთარ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის სტრუქტურული თავისებურების, მხატვრული ქარგის, შემოქმედებითი მიგნებების, სიტყვისადმი დამოკიდებულების ახსნას. ტრილოგიის ავტორის მიერ ეპოქის სულის გამოხატვის კვლევას კლასიკური (სახისმეტყველებითი) და თანამედროვე (ჰერმენევტიკული) მეთოდებით ახორციელებს, ასევე, მწერლის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიციის წარმოჩენისათვის ძალასა და ნიჭს არ იშურებს. იგი ინტერპრეტაციას აფუძნებს ტექსტის ალქმის ჯვარსახოვნებითი აზროვნების ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურ ვექტორებზე (რევაზ სირაძის თვალთახედვის მიხედვით).

დისერტანტი ნაშრომს იმის გააზრებით იწყებს, თუ ოთარ ჩხეიძისთვის რა ძნელი იყო „მოთვინიერებული მწერლობის“ ჩარჩოებიდან თავის დაღწევა და მართალი გზის გაკაფვა უმაღლო საზოგადოებაში, რას აღარ წერდნენ ამ საბჭოთა მყუდროების დამრღვევ მწერალზე. თუმცა ის უშუალოდ იღვწოდა და „ერის ისტორიული დანიშნულების ერთგვარ მესიანისტურ იდეას წარმოაჩენდა“.

მთელ საბჭოთა ლიტერატურაში მხოლოდ სულგაყიდული „მოსკოვის ნაბუშარნი“ გრძნობდნენ თავს კარგად, ამ ნამღეკავ ტალღასთან დაპირისპირებას „ფოლადური

რომანტიკა“ (მიხეილ ჯავახიშვილი) თუ შეძლებდა, მეტი ვერავინ. ოთარ ჩხეიძე სწორედ ასეთი „ნაჭედი“ აღმოჩნდა, ვერ გატეხა მოძალებულმა უმსგავსობამ და უფლის შვილობის ტვირთი ბოლომდე პირნათლად ატარა მრწამსით: „დროზე მაშინ ითქმის, როცა გიკრძალავენ“. იმ დროში რაინდულ თავდადებასა და მხედრულ გამირობას მოითხოვდა „ბორიაციის“ გამოქვეყნება, რაც ავტორსაც შესანიშნავად მოეხსენებოდა.

დისერტანტი მართებულად შენიშნავს, რომ ოთარ ჩხეიძეს მშვენივრად მოეხსენებოდა ყოველივე, თუმცა თავის სამკალს მკიდა დარწმუნებული: „უმწერლოდ ცხოვრება დაიკარგებოდა, ცხოვრების ისტორია არავის ეცოდინებოდა... სიმართლეს ვერავინ მიაკვლევდა, ხასიათებს ვერავინ გაარჩევდა...“ დისერტანტიც, ამ სიტყვებზე დაყრდნობით, სწორედ განჭვრეტს მწერლის როლს — იგი „ფასეულობათა აღრევის ჟამს ჭეშმარიტების არჩევაში ეხმარება მკითხველს“.

ქალბატონმა ლალიმ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომი სავსებით იმსახურებს საძიებელ ხარისხს, შენიშვნები კი არა აქვს, მხოლოდ სურვილი გამოხატა იმისა, რომ დისერტანტმა კვლავ გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა, თავისი ნაშრომი ნიგნად გამოსცეს, რაც მართლაც კარგი შენაძენი იქნებოდა XX საუკუნის ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ მკვლევართა და მკითხველთათვის“.

ნესტან ფიფია კი ოპონენტს ასე უპასუხა: „მე ჩემდა თავად რა მეთქმის უღრმესი მადლობის გარდა. აქ გამოთქმულ შეფასებას ნაქეზებად, შესახელებად მივიღებ.“

მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს ოთარ ჩხეიძის შემოქმედება და თუ ღვთის მადლით შევძლებ, გაავრცელებ კვლევას“.

ამის შემდგომ თემის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მაია ჯალიაშვილმა ისაუბრა ნესტან ფიფიაზე, როგორც მკვლევარზე, უსურვა ნარმატება და აღნიშნა, რომ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას საინტერესო მკვლევარი შეემატა:

„ნესტან ფიფია ძალიან ნიჭიერი მკვლევარია. საინტერესოა, რომ დოქტორანტმა ტრილოგიის გარდა აირჩია ის რომანები, რომელთა შესახებ თითქმის არ არის კრიტიკული წერილები; ეს ადასტურებს მის შემოქმედებით უნარს.“

ნესტან ფიფიას განუელი აქვს დიდი მუშაობა, ნამოჭრილი და გამოკვლეულია მრავალი საკითხი, ეს ნაშრომი გამოადგებათ მეცნიერებს, როგორც გაკვალული გზა.

ძალიან რომ უყვარს ოთარ ჩხეიძის შემოქმედება, ამას წარმოადგენილი ნაშრომიც ადასტურებს“.

ხოლო თემის მეორე ხელმძღვანელმა პროფესორმა თამარ პაიჭაძემ აღნიშნა:

„გარდამავალი დებულების დოქტორანტებთან არის ერთგვარი საუხერხულო მომენტი: ის მოდის გამზადებული დისერტაციით, ეტყობა დისერტაციის ხელმძღვანელის ალლო და ხედვა (თუმცა ასე ყოველთვის არ არის).“

ნესტან ფიფიას თემის ხელმძღვანელად დათანხმების ერთ-ერთი ფაქტორი იყო თვით თემა.

ოთარ ჩხეიძე XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, მის ნაწარმოებებზე დაფიქრება, მუშაობა საინტერესო პროცესია.

საგულისხმოა ნესტან ფიფიას შემოქმედებითი აქტიურობა.

ჩემგან თავიდანვე მოწონებულია მისი ნაშრომი.

მადლობას ვუხდით ოპონენტებს.

შენიშვნები არ ყოფილა. თემის შემდგომი დახვეწის შესახებ სურვილს (ნონა კუპრეიშვილი) მეც ვიღებ, როგორც თემის ხელმძღვანელი.

ნაშრომს უნდა მიეცეს პოლიგრაფიული სახე და ნიგნად გამოიცეს“.

პროფესორმა **მაია ნინიძემაც** გამოთქვა თავისი მოსაზრება და მოიწონა სამეცნიერო ნაშრომი.

შემდგომ ამისა, **როსტომ ჩხეიძის** გამოსვლამ მიიპყრო სამეცნიერო საბჭოს ყურადღება.

აი, რაზე ისაუბრა ბატონმა როსტომმა:

„არ შემიძლია პატივისცემა და სიყვარული არ დავადასტურო არა მარტო ნესტან ფიფიას, არამედ დღევანდელი დღის მიმართ.“

ვიცნობ ნესტან ფიფიას გამოკვლევებს. მთავარია მაძიებელი სული, თორემ ასე თუ ისე, ნაშრომი შეიძლება დაინეროს, მისი დაცვა და ნიგნად გამოცემაც მოხერხდეს, მაგრამ არ გხიბლავდეს მაძიებელი სულით. ნესტან ფიფიას ნაშრომში სწორედ ეს სული ჩანს.

ქალბატონმა ნონა კუპრეიშვილმა ბრძანა: დისერტაციის მაცნე ისე გააზრებულად არის აგებული, ნაშრომი ცალკეო. ეს იშვიათად ხდება.“

თვით შესავალი სიტყვა იყო ლაკონიური, მასში მოაქცია დისერტაციის არსი. ნაშრომის და ეპოქის ფონი წარმოაჩინა.

დოქტორანტმა იცის არა მხოლოდ ის მწვავე, ქაოტური ხანა XX საუკუნის 90-იანი წლებისა, არამედ XX საუკუნის მწერლობა ზოგადად. იცის არა მხოლოდ ის მწერლები, ვისაც ასახელებს, ისინიც, ვინც მსჯელობაში არ შემოდის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ დისერტაციისა არის ის, რომ ნამოჭრილია მრავალი ახალი საკითხი, ვინრო ჩარჩოებში არ თავსდება და გაგრძელება ნიგნისა ყოველთვის შეიძლება.

გავაგრძელებ მუშაობას სხვებიც და გამოადგებათ მისი დასკვნები და გამოკვლევები.

ეს დისერტაცია შემიძლია შევაფასო, როგორც არაორდინარული მოვლენა.

შემდგომ დისერტაციის დაცვა ყველა აუცილებელი წესით წარიმართა და სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა დისერტანტს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დასასრულ ქალბატონმა ნესტანმა დასძინა:

მადლობა სადისერტაციო კომისიას, ოპონენტებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო იმაში, რომ ეს დღე შემდგარიყო.

ჩემთვის ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ დისერტაციის დაცვა. მადლობელი ვარ იმ ადამიანების, რომლებიც გამოვილი, მრავალი ასპექტით რთულ და უკვე ინტერესიან გზაზე თუნდაც გულწრფელი ღიმილით შემეშველა.

ჩემი ხელმძღვანელების სახით (მაია ჯალიაშვილი, თამარ პაიჭაძე) ურთიერთობა მქონდა არა მხოლოდ მეცნიერებთან, არამედ კეთილშობილ ადამიანებთან.

დისერტაციის დაცვის პროცესს, ორ საათს, ამთლიანებდა ბატონი ოთარ ჩხეიძის სიმართლე და მისი ქმნადობის ნაყოფის — „სულის პურის“ მადლი.

მომზადა
ნიმე ჩხიკვიშვილმა

ივანე ამირხანაშვილი

იველის ცნობიერება

□

განსაკუთრებული ერთი მოთხრობის ანალიზისათვის

დიდი ხანია ვფიქრობ ამ მოთხრობაზე. წელიწადზე მეტია უკვე. შარშან, მარტის დასაწყისში გამოქვეყნდა „ჩვენს მწერლობაში“. უცნაური შთაბეჭდილება დამიტოვა, თითქოს გავიგე, ჩავხვდი, წავიკითხე, მაგრამ რაღაც მაინც დამრჩა ამოსაცნობი, მისახვედრი, გასააზრებელი.

ლაპარაკია ბესო ხვედელიძის მოთხრობაზე „მკვდრები“. რამდენჯერმე წავიკითხე. ამეკვივებო მოთხრობის მოტივი, დღემდე არ მცილდება.

მოტივი არის ფუტკრები...

ამბავს ცხრა წლის ბავშვი ჰყვება, მესამეკლასელი კოკა, ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ბიჭი. რაიმე უცნაურობის, ჭკუასუსტობის ან მსგავსი გადახრის ნიშან-წყალიც არ ეტყობა. პირიქით, ასაკთან შედარებით ჭკვიანი, დაკვირვებულობით, ალღოიანი ბავშვია. რასაც ვერ გეტყვობს, იმას გრძნობს. რომელიღაც პერსონაჟი ამბობს კიდევ: „პატარაა, მაგრამ დიდია!“ ერთი სიტყვით, ეს არც ფოლკნერის ბენჯია, არც სოლ ბლოუს რომელიმე მოზარდი ავტობიოგრაფიული ნონ-ფიქშენიდან და, მითუმეტეს, არც გავროშის ყაიდის ყბადაღებული სტერეოტიპი.

ბევრი საგანი მისთვის არის არა საგანი, არამედ რაღაც.

თხრობა სურათებად არის დალაგებული. ამიტომ შეიძლება თხრობადაც არ ჩაითვალოს, შეიძლება ამას დაერქვას ერთი ამბის წარმოდგენა სურათებად და დეტალებად.

ამბის სქემა ასეთია: კვდება ბაბუა, რომელსაც ორიოდე საათით ადრე აბაზანაში ცივი წყლით უსაპნოდ, ძველი სამართებით პარსავენ და აკივლებენ.

შემდეგ მოდიან მეზობლები, მეგობრები, ახლობლები, იწყება ჩვეულებრივი სამგლოვიარო სამზადისი.

მეექვსე სურათში ჭირისუფლები ფუტკრებს ახსენებენ. როგორც ჩანს, ბაბუა მეფუტკრე ყოფილა. სკების გაყიდვა უნდათ, სარფიანად.

მეშვიდე სურათში კოკა რაღაც სიზმარს ნახულობს, ოღონდ არ ვიცით, რა სიზმარია.

მერვე სურათი სავსეა მახვილგონივრული დეტალებითა და ჰუმორული დიალოგებით.

კოკას ეველინასთან გზავნიან, სუდარა უნდა მოიტანოს. სუნთქვაშეკრულ კოკას ბაბილოვნის მეძავი გამოეცხადება — ეველინა ტიტველი დაენახვება. ამ, მეათე სურათში იხსენება კოკას სიზმარი: ყველანი, მისი ჩათვლით, დაიხოცებიან და მატარებლით მიდიან სადღაც. მატარებელს ბაბუას ფუტკრები მიჰყვებიან.

ბაბუას დამარხვის შემდეგ ყველა გამხიარულდება. ქელებზე კარგად მოილხნენ, იცინიან, ხითხითებენ (მე-14 თავი).

კოკას აძინებენ (მე-15 თავი).

ბოლო, მეთექვსმეტე თავში, გამოღვიძებულ კოკას კომ-მარი დახვდება: სასტუმრო ოთახი ფუტკრებით არის სავსე, იატაკზე უსულოდ ყრია დაკბენილი, დასიებული ადამიანები, მათ შორის, დედაც. შორიდან მატარებლის კივილი მოისმის. კოკა ყურებზე ხელებს აიფარებს და თვალებს დახუჭავს, მაგრამ გრძნობს, რომ ფუტკრებმა ისიც დაინახეს...

ნებისმიერ მოთხრობას რომ კითხულობ, გინდა არ გინდა, სამ რამეს აკვირდები: რამდენად დამაჯერებელია ამბავი; რა ბედი ეწევა მთავარ პერსონაჟს; რას გვეუბნება ფინალი. ეს არის მხატვრული აღქმის ინსტინქტური დონე, რომელიც ყოველთვის მოქმედებს, განურჩევლად დროისა, ასაკისა, განათლებისა თუ გემოვნებისა. ამ თვალსაზრისით, ყველაფერი რიგზეა. ამბავს დამაჯერებლობა არ აკლია. სინამდვილე დახატულია რეალისტური დეტალების მეშვეობით, ყველა მოვლენა და ფაქტი ფსიქოლოგიურად ვერიფიცირებულია, არც ერთი წვრილმანი არ ტოვებს ზედმეტობის განცდას.

რადგან დეტალებზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ მაგალითზე გავამახვილებ ყურადღებას. მეორე სურათში არის ასეთი ეპიზოდი — სამგლოვიარო ფაციფუცს რომ გაარიდოს, დედა სამზარეულოში ჩაკეტავს კოკას. საინტერესოა, როგორ არის გადმოცემული მონაკვეთი. მე ამას სტიქიური ინფანტილიზმის ხერხს ვუნოვებდი. ავტორი არ ჰყვება, არ აღწერს, არ გვეუბნება, რას განიცდის უაზროდ და თავისუფლად დარჩენილი ბავშვი. უბრალოდ, დაგვანახებს, რას აკეთებს ბიჭი, თანაც ამას მისივე ენით გადმოგვცემს: „კაი ხანს აბლაბუდიან ჭერს ავცქეროდი და ობობებს ვითვლიდი. რომ მომბეზრდა, მაცივარი გამოვალე — წინმატი გავძიძგე. მერე არაჟანს მივადექი. არაჟნიდან მარწყვზე გადავედი, მერე საყინულეს პატარა ლოლუა წავატეხე და გავწუნე“.

მარტო ჩაკეტილი ბიჭი და მისი მოტორული ქმედებები — შესანიშნავი მასალა მწერლური ოსტატობის გამოსავლენად!

რა ემართება მთავარ პერსონაჟს? ამ კითხვის პასუხიც ნათელია, კოკასაც იგივე ბედი ელის, რაც სხვებს. ისიც განწირულია, სათაურიც ამას მიგვანიშნებს.

რას გვეუბნება ფუტკრების მოტივით გამართული ფინალი? კვიმატი კითხვა, რომელსაც ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ მოუძებნი. რატომ განირა ავტორმა ყველა პერსონაჟი, რატომ არ დატოვა იმედის ნაპერწკალი, რატომ შეიყვანა სიცოცხლე ჩიხში?

ეს ის კითხვებია, რომლებშიც პასუხი იგულისხმება. პასუხი, რომელსაც სიღრმისეულად გრძნობ, მაგრამ ზედაპირზე ვერ ამოგაქვს. ვერც ამოიტან, იმიტომ, რომ საქმე ეხება არა რეალობას, არამედ განცდას. აქ ცხოვრება კი არ არის აღწერილი, არამედ ცხოვრების განცდა. ნაჩვენებია ის, რაც ადამიანის სულის სარკეში ირეკლება. არსებობა დანახულია მეტაფიზიკის მხრიდან, ამიტომ ზედმეტია საუბარი ისეთ რეალიებზე, რაც ეგზისტენციის ფიზიკურ მხარეს წარმოგვიდგენს. მეორეულ ცნებებად იქცევა პერსონაჟის ბედი, იმედის ნაპერწკალი, სიცოცხლის ჩიხი. მთავარი კი ის არის, რომ უნაკლოდ არის აგებული მხატვრული სინამდვილე, რომელშიც იკითხება ერთი რამ — ცოდვად დაცემული საზოგადოება თავის თავში ატარებს აპოკალიფსური აღსასრულის მიზეზს. სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად კი რჩება გამოფხიზლება, გამოსვლა საღათს ძილიდან. საბოლოოდ რა მივიღეთ? — პესიმინიზმიდან გამომწერილი იმედის ცნობიერება, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ოპტიმიზმის გაუცნობიერებელი ქადაგება.

ფრანგული ჰოეზიიდან

კრისტინ პიზანი
(1364 – დაახლოებით 1430)

* * *

ვის უამბოს, ვის უამბოს სატკივარი
ქალიშვილმა, ვისაც არ ჰყავს მეგობარი?!

ქალიშვილი, ვისაც არ ჰყავს მეგობარი,
რითი ცოცხლობს, ნეტა როგორ,
ან ვინა ჰყავს „მაჯაშისა“ შემტყვებარი?
ვერ იძინებს, ფხიზლობს გოგო,
ვერ ერევა, ვერ ინელებს ჟინს და ვნებას,
სიყვარული არ ანებებს დაძინებას.

ვის უამბოს, ვის უამბოს სატკივარი
ქალიშვილმა, ვისაც არ ჰყავს მეგობარი?!

„მრავალსაც ჰყავს ორი, სამი,
ზოგი ოთხსაც არა კმარობს.
ნეტა ერთი მყავდეს მაინც,
რომ ცელქობით გამახაროს.
ლამაზ ყრმობას სწრაფად მტაცებს ჟამი ავი,
უფერებლად მირბილდება ძუძუსთავი.

ვის უამბოს, ვის უამბოს სატკივარი
ქალიშვილმა, ვისაც არ ჰყავს მეგობარი?!

იყოს ვინმე, იმოდენა სურვილი მაქვს
და გაბედვაც ისე მყოფის,
ხვალამდე ვერ მოვითმენდი
გაგრძელებას ამგვარ ყოფის,
რადგან ვნატრობ ცოფით სიკვდილს,
მარტოობა ისე მიმიძის“.

ვის უამბოს, ვის უამბოს სატკივარი
ქალიშვილმა, ვისაც არ ჰყავს მეგობარი?!

პიერ დე რონსარი
(1524-1585)

სონეტი ელენ დე სურჟერისათვის

სატრფოვ, ჩამეკარ, ხვევნა-კოცნა არ დაინანო,
სუნთქვა სუნთქვის წილ და სიცოცხლე გამილამაზე,
მაჩუქე კოცნა ათასი და კიდევ ათასი,
ტრფობასთან აბა რა ხელი აქვს რიცხვსა და კანონს.

კიდევ მაკოცე, ტურფა ბაგევი, თავს ნუ დაიცავ,
ბოლოს, ხომ იცი, შენც გაკოცებს ჩამქრალს პლუტონი,
მეგობარ ქალის ბოლო კოცნაც გაგყვება მგონი,
არც ფეროვნება შემოგრჩება და არც რაიცა.

ცოცხლად ტურ-ვარდით! დაყოვნება აბა რად გინდა,
მომაბუთებუტე სანახევროდ ღია ბაგიდან
ათასი სიტყვა... ნანყვეტ-ნანყვეტ...
დალიე სული

ამ ჩემს მკლავებში. მე მზადა ვარ, შენსაში მოვკვდე.
ხომ გავცოცხლდებით, მამ, ვირჩიოთ გზა მხიარული,
ყოველგვარ ღამეს დღე სჯობია ყველაზე მოკლედ.

კლემან მარო
(1496-1544)

ანას გამგზავრებაზე

სად მიხვალთ ანა? ვიცოდე მაინც,
გამაგებინეთ ვიდრემდის წახვალთ,
რომ თვალმა ჩემმა დაფაროს, რაიც
ამ საბრალო გულს ნუხილით დახრავს,
თუმც გეტყვით, როგორ არიდოთ მსახვრალს.

ნუ გამაფრთხილებთ, ტრფობით ტანჯული
თან წაიყოლეთ სანყალი გული,
თქვენთან მყოფს აღარ ექნება დარდი
და რომ უგულოდ არ გამძვრეს სული,
მე დამიტოვეთ თქვენი და... ნადით.

თავის თავზე

ვინაც ვიყავი, ველარ ვარ იგი
და ვერც ვიქნები, არს გარდასული,
ჩემი სარკმლიდან გადახტენენ რიგით
გაზაფხული და ცხელი ზაფხული.

შენ გამსახურებდი. ამურო-ტრფობავ.
არ მყავდა მეტი ღმერთი სხვა უფრო,
ნეტა შემეძლოს მეორედ შობა,
რომ უკეთ გეყმო და გამსახურო.

სკარონი
(1610-1700)

ეპიტაფია

ვისაც აქ სძინავს ნამდვილი ძილით,
არ შურდათ მისი – ებრალებოდათ
და მან ათასჯერ ნახა სიკვდილი,
ვიდრე სიცოცხლე გაეცლებოდა.

ჩუმად, გამვლელი, გვედრებ და გლოცავ,
არ დაარღვიო სიჩუმე ტკბილი.
ეს ხომ პირველი ღამეა, როცა
საბრალო სკარონს ეღირსა ძილი.

მატურენ რენი

(1573-1613)

ავითაზია

ვიცხოვრე ლაღად, ყოველგვარი ფიქრის გარეშე, ბუნების ტკბილი სურვილების ვიყავ ფარეში და ნება-ნება მივყვებოდი გზას ვარდებიანს, ის მიკვირს მხოლოდ, რად მინატრა სიკვდილმა ასე, ო, ღმერთი, რჯული – არც არასდროს მომნატრებია.

რუტებეფი

(1230-1285)

რა დაემაართათ ჩემს მიგობრებს...

უბედურება არ მოდის კენტად: რასაც ვუფრთხობი ყველაზე მეტად, მოვიდა მართლა. მეგობრებს მაინც რა დაემართათ, ახლოს რომ მყავდნენ გულთან და სახლთან, როგორც წესია? მაგრამ ვაი, რომ თურმე ღრმად ვერ დამითესია. როცა ჩემს ყოფას ყვავ-ყორანი შემოესია, ავის წინაშე დავერჩი ცალადა, სუყველა უხმოდ გამეცალა და, ხვედრს შემატოვა და მილალატა, დავშთი მდუმარი. მას შემდეგ ერთიც არ ჩანს სტუმარი, სუყველას სადღაც მიაფრენს ქარი, გრძნობა მკვდარია. ავბედითობამ ყველა არია, ნაცნობია თუ მეგობარია, მიჰყვება ქარებს. ან ვერაფერი ამინავს თვალებს, თუმც ვერაფერიც ვერ გამახარებს.

ესტაშ დეშანი

(1346-1406)

ბალადა პარიზზე

ბევრი შორი, უცხო მიწა და ზღვა მოვიარე, აყოლილმა თამამ ძახილს წუთისოფლის ქარის, ვნახე იერუსალიმი და თათართა მხარე, მივწვდი ალექსანდრიას თუ ბაბილონს თუ ქაირს, თვით დამასკოს, რაც სირიის სიამაყე არის. ვნახე ყველა ნავსადგური, სად არ გავყევ ქარსა, სადაც სტავრას და აბრეშუმს ჰპოვებთ ჩალის ფასად და ნუგბარს თუ სანელებლებს არ ჰყავთ შესადარი, მაგრამ ფრანგთა განძის მსგავსი არ არსებობს არსად, ვერაფერი, ვერაფერი შეედრება პარიზს!

ამ ქალაქის შემკულობას ვერ ამოთქვამს ენა, გრძნობისა და განათლების ანთებული კვარი ორი მხრიდან აჩირალდნებს მოდუღუნე სენას: მისი ტყე და მისი ღვინო, მისი ყვავილნარი, მისი ლალი შადრევენები და ნალკოტი ბარი. აქ თავს იგრძნობ, თითქოს იყო თვით სამოთხის კარად, უყვარს ყველა უცხოელს და ეყვარება მარად, რადგან გულმა იგრძნო ჟღერა სიამეთა ქნარის და სიხარულს ქალაქისა აქ იგულეებ შენად, ვერაფერი, ვერაფერი შეედრება პარიზს!

ის ღია და დიაღია, სჯობს მავანს და მავანს, არ ატყვია ძველ შატოებს უმცირესი ბზარიც, ვჭვრეტ უამრავ დარბაისელს და მოვაჭრეს მრავალს, ოქროს ჭედს და რკინას ანთობს ბევრი ჯადოქარი. ყველაფერი, რაც კეთდება, ხელთუქმნელი არის. ნახავთ ფაქიზ ნაკეთობებს, ნახელავს თუ ნაქსოვს, რაც აქაურთ აცვიათ და უპყრიათ და ამკობთ, შეედრება ოსტატობა ქვეყნის რომელ მხარის? და თამამად ვეუბნები ყველა მსმენელ-გამგონს, ვერაფერი, ვერაფერი შეედრება პარიზს!

შარლ ორლენელი

(1391-1465)

სიმღერა

რას მირჩევდი, ჩემო გულო, ვუთხრა ლამაზს, გავუმხილო, რომ მის გამო სასიკვდილო ტკივილი გაქვს უსასრულო?

თუ, რამე არ გავართულო, კრთი და შეჩერებას ცდილობ, რას მირჩევდი, ჩემო გულო, ვუთხრა ლამაზს, გავუმხილო?

სიყვარულით დაისრულო მოგახარებ კეთილ ცნობას, იქნებ, ნატვრა ავისრულოთ, რას მირჩევდი ჩემო გულო?

ჟან დე ლაფონტენი

(1621-1695)

და ჟანა

და ჟანამ რომ ჩვილი შობა მარხვა-ლოცვებს მისცა თავი აბატისამ მოუწოდა სხვა დებს: „გახდით ღვთისმოსავი და მიბაძეთ თქვენს დას ჟანას, უარყავით ეს ქვეყანა“.

მათ მიუგეს აბატისას;
„ჩვენც მივბაძავთ ჩვენს დას ჟანას,
დავბრძენდებით, როცა ვიზამთ
იმდენსა და იმისთანას“.

ჟან დე ბრიენი
(1144-1237)

პასტორალი

ტყის სიღრმეში, ჩრდილში ხეთა,
მშვენიერ მწყემს გოგოს ვხედავ,
ჩაფუთულა, მაგრამ ქერა
კულულები შვენი მტად,
ჩანს მარტოა, მარტოხელა
და მისვლასაც ჯიქურ ვბედავ, ჰეი!
მომხედურისგან მცველად, ამ დროს,
ჩანს ძალლი და ჯოხი მარტო,
სცივა, თავზე ჩაჩმოცმული
ისე მღერის, არეს ათრობს,
ფლეიტაზეც უკრავს გულით,
გარინეს თუ რობენს ნატრობს. ჰეი!

დავეკვითდი, ვუშვებ ცხენსა,
არ დაგიდევთ არაფერსა,
ვეტევები ქალს ანაზდად;
– „ჩემო მშვენიერო მწყემსო,
დავიფინოთ ფიანდაზად
ფოთლები და ვიალერსოთ“. ჰეი!

– სირ, მიბრძანდით, რა თქვით ესა?
მისი რიდი არ მაქვს წესად,
ვინც მიბრძანებს; „მოდით შენა!“
არ ჩავიდენ სიმდაბლესა,
და თუნდაც რომ ატკბოთ ენა,
არ ვუმუხთლებ გარინესა, ჰეი!

– ოლონდ შენი იყოს ნება,
ჩემი კოშკი გელოდება.
მოგაცილებ ჩაჩს ნაცრისფერს,
ეს მანტია დაგშვენდება
და იმ ვარდის მოგცემს იერს,
ხელახლა რომ იფურჩქნება, ჰეი!

– არ დავყვები უცხოს ნებას,
არ ვარ ვინმე ჭკუაკრული,
ვისაც ჭინჭი უჩენს ვნებას,
ციყვის ბენვით მოკაზმული
და მის სურვილს დანებდება,
ვისთვისაც არ უძგერს გული. ჰეი!

– მწყემსო ქალო, გეფიცები,
რა კარგი ხარ, ვხედავ, ვხვდები,
ჭკვიან, ამაყ, კეთილშობილ
ქალბატონად მეველინები.

დათმე ფიქრი მწყემსურ ყოფის,
სულმთლად ჩემი შეიქნები. ჰეი!

– სირ, გაიგეთ გასაგონი,
გასაგებად ვამბობ მგონი.
სატრფო, მოლზე ლუკმა ტკბილი
მყოფნის, რა მაქვს დასალონი?
თქვენს დარბაზში ჩაკეტილი
არ მსურს ვიყო ქალბატონი, ჰეი!

ანონიმი ავტორი

(XII საუკ.)

სიმღერა როლანა

(ფრაგმენტები)

XI

როლანი გრძნობს, რომ ეუფლება უკვე სიკვდილი,
თავში და გულში ისადგურებს გარდაუვალი
და ისიც ბოლო ძალას იკრებს, აღწევს ფიჭვამდე,
მის ძირში მწვანე, მოხასხასე ბალახში წვება,
ქვეშ ამოიძებს მახვილსა და სპილოს ძვლის საყვირს
და იხედება წინ გადაშლილ ესპანეთისკენ,
რადგანაც სურს, რომ შარლემანმა და მისი ლაშქრის
ყველა მებრძოლმა თქვან, რომ გრაფმა კეთილშობილმა,
მტერთა მმუსვრელმა გაიმარჯვა სიცოცხლის ფასად.
ის ინანიებს ყველა თავის ცოდვას და უფალს
სთხოვს შენდობას და თავის ძვირფას ხელთათმანს უძღვნის.

XIII

წევს ფიჭვის ძირში სულთმობრძავი გრაფი როლანი,
ესპანეთისთვის მიუპყრია მომაკვდავს მზერა,
ო, რამდენი აქვს რაინდის გულს მოსაგონარი,
თვის ტკბილ საფრანგეთს მიუერთა რამდენი მინა,
თავის მამულსაც გაიხსენებს მამაპაპეულს,
ის ფიქრობს მეფე შარლემანზე, აღმზრდელ-პატრონზე,
ფრანგებზე ფიქრობს, ხალხზე, ვინაც ასე უყვარდა,
თვალეზე ცრემლი მოადგება, ბაგეზე – კვნესა.
არ მსურს მიეცეს დაინწყებას მისი სახელი
და მომნაიე სამადლობელს აღუყვინს უფალს.
„ჰოი, უფალო, ჭეშმარიტო და უტყუარო,
მკვდართ საუფლოდან აღადგინე ვინაც ლაზარე
და დანიელი დაიცავი ლომებისაგან,
ჩემს ცოდვილ სულსაც უმფარველე ყოვლისშემნდობო,
გარდაატარე განსაცდელნი უფსკრულებისა“.
და უფალს უძღვნის შეურცხვენელ ხელთათმანს თვისსა,
და მაშინ წმინდა გაბრიელმა შეახო ხელი
და გულზე ხელებდაკრეფილმა როლანმა მხარზე
მიაცრდნო თავი ნეტარად და სული დალია.
უფალმა თვისი ქერუბიმი წარმოავლინა
და კიდევ წმინდა მიქაელი, ზღვათაგან მსხნელი,
იქ იყო წმინდა გაბრიელიც და ამა სამთა
სამოთხისაკენ გააქანეს როლანის სული.

**ფრანგულიდან თარგმნა
ბადრი თიჯვაიაძე**

ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო

ცის ბინადარი

აი, რისი გაკეთება უყვარდა ყველაზე მეტად ჯვარუკას, გავიდოდა სოფლის ბოლოს და გადამხმარ მიწაზე სწორად ჯდებოდა. ისე სწორად, რომ ზუსტად მართ კუთხეს ქმნიდა, სწორედ იმ დროს, როცა თაკარა მზე აცხუნებდა. საათობით გაუნძრევლად იჯდა, წელში გამართული და ფეხებგაჭიმული, შო, თითქმის გაუნძრევლად. მისი ხელები თითქოს თავისთავად ხანდახან მოძრაობდნენ, გლეჯდნენ პატარა ბალახებს და მისგან ჯვარუკა თოკებს ან კალათებს წნავდა. ასე იჯდა და თითქოს თავის ქვეშ მინას ჩასცქეროდა, არაფერზე ფიქრობდა, არავის ელოდა, უბრალოდ იჯდა წელში გამართული, ისე, რომ მართ კუთხეს ქმნიდა გამომხმარ მიწასთან, სოფლის ბოლოს, სწორედ იქ, სადაც უეცრად მთა მთავრდებოდა და ცა იწყებოდა.

უდაბური ადგილი იყო, მტვრისა და ქვიშის ქვეყანა, რომლის ერთადერთი საზღვარიც ჰორიზონტზე მართკუთხა პლატო გახლდათ. მიწა აქ ძალზე მწირი იყო, რომ ხალხი გამოეკვება და წვიმაც არ მოდიოდა ციდან. მოასფალტებული გზა კიდიოთ-კიდემდე კვეთდა ამ მხარეს, მაგრამ ამ გზით სწრაფად უნდა გაგველო, გაუჩერებლად, არ უნდა შეგეხედა მტვრიანი სოფლებისთვის, პირდაპირ გველო მირაჟებს შორის, გადახურებული საბურავების ნესტიანი ხმაურით.

მზეს აქ ძალა ჰქონდა, ბევრად მეტი ძალა, ვიდრე დედამიწას. როდესაც ჯვარუკა ასე იჯდა, გრძობდა მზის ძალას თავის სახესა და სხეულზე. მაგრამ მისი არ ეშინოდა. მზე თავისი გრძელი გზით მიდიოდა ცაზე და გოგონა არაფრად ენაღვლებოდა. ის ალღობდა ქვეშ, ამრობდა მდინარეებსა და ჭებს, ხრუკავდა ხეებსა და ბუჩქებს. გველებსა და მორიელებსაც კი ეშინოდათ მისი და შეღამებამდე ხერვლებსა და ქვეშის ქვეშ იმალებოდნენ.

ჯვარუკას კი არ ეშინოდა, არა. მისი უძრავი სახე თითქმის შავი გახდა, მზეს რომ არ დაერტყა, თავს მოსასხამის კიდიოთ იბურავდა. უყვარდა თავისი ადგილი ფრიალო კლდის თავზე, იქ, სადაც მიწა და კლდეები უეცრად წყდებიან და ცივ ქარს მიაპობენ, როგორც გემის კიჩო. მისმა სხეულმა თავისთავად იცოდა, თითქოს მისთვის იყო წინასწარ განკუთვნილი ეს ადგილი. სრულიად პატარა ადგილი, ზუსტად მისი დუნდულების და ფეხების ფორმის პატარა ჩაღმავება გამომშრალ, მაგარ მიწაზე. დიდხანს, დიდხანს შეეძლო მჯდარიყო წელში გამართული, ვიდრე მზე დაცხრებოდა და მოხუცი ბახტრი მოვიდოდა, ხელს მოჰკიდებდა და სავახშომოდ წაიყვანდა.

ის ხელისგულებით ეხებოდა მიწას, თითებით მიმოდიოდა ქარისა და მტვრისგან გაჩენილ ნაპრალებში, პანანა გორაკებში. ქვიშის მტვერი, რომელზეც პატარა ხელისგულები დაცურავდნენ, ფხვიერი და ტალკივით რბილი

იყო. ქარი რომ ამოვარდებოდა, მსუბუქი მტვერი ხელიდან უსხლტებოდა და ჰაერში კვამლივით უჩინარდებოდა. მყარი მიწა ხურდებოდა მზეზე. ბევრი დღის, ბევრი თვის განმავლობაში მოდიოდა ჯვარუკა ამ ადგილას. აღარც კი ახსოვდა, როგორ მიაგნო. მხოლოდ კითხვა შემორჩა მახსოვრობას, რომელიც მოხუც ბახტრის დაუსვა ცისა და ცის ფერის შესახებ.

„რა არის სილურჯე?“

აი, რა ჰკითხა პირველად და მერე ეს ადგილი იპოვა, ეს პატარა ორმო მყარ მიწაში, რომელიც თითქოს დიდი ხანი მას ელოდა.

დაბლობის ადამიანები ახლა შორს იყვნენ. ნავიდნენ, გაფრინდნენ უდაბნოს გზით, როგორც ხოჭოების გუნდი, და აღარ ისმოდა მათი ხმაური და ღრიანცელი. მიდიან ახლაც, ალბათ, სადმე თავიანთი საბარგო მანქანებით, მოხრიალე, მოჭრიალე რადიომიმღებები აქვთ ჩართული და მუსიკას უსმენენ. მიდიან პირდაპირ, შავი გზით გადამხმარ მიწებზე და მოჩვენება-ტბებს შორის, მიდიან და გარშემო არ იყურებიან. სულ პირდაპირ და პირდაპირ მიდიან, თითქოს უკან დაბრუნება არ უნერიათ.

ჯვარუკას უყვარს, როცა გარშემო არავინაა. მის ზურგს უკან სოფლის შუკები ცარიელია, იმდენად ცარიელი, რომ სიჩუმის ცივ ქარს არაფერზე შეუძლია მოჭიდება. ნახევრად დანგრეული სახლების კედლები კლდეებით დგანან – მძიმენი, უძრავნი, ქარით გადაქანცულნი, უტყვნი და უსიცოცხლონი.

და ქარიც დუმს, ყოველთვის დუმს. ის არ ჰგავს ადამიანებს, ბავშვებს, არც ერთ სულიერ არსებას. ის უბრალოდ დაჰქრის კედლებზე, კლდეებსა და მაგარ მიწაზე. მოაღწევს ჯვარუკამდე, მოეხვევა, უგრძობებს მზისგან დამწვარ სახეს, უფრიალებს მოსასხამს.

აი, ქარი რომ გაჩერებულიყო, იქნებ ჯვარუკას გაეგონა მინდვრებში მომუშავე ქალებისა და კაცების ხმები, ჭის ჭიშკრის ხმაური, ბავშვების ყიჟინა სკოლა-სახლიდან, ქვევიდან, სადაც თუნუქის ქოხმანები იდგა. და უფრო შორიდანაც, ჯვარუკას შეიძლება გაეგონა თუ როგორ ხმაურობდნენ რელსებზე სატვირთო მატარებლების ბორბლები, როგორ მიღრიალებდნენ შავ გზაზე დიდწონიანი სატვირთოები, რომლებიც ჯერ ქალაქებისკენ მიისწრაფოდნენ, სადაც კიდევ უფრო დიდი ხმაური იყო, და შემდეგ კი ზღვისკენ.

ახლა ჯვარუკა სიცივეს გრძობს, მაგრამ არ უძალიანდება. მხოლოდ ჯერ მიწას ეხება ხელებით, მერე სახეს. სადაც უკან ძაღლები ყეფენ, ისე უბრალოდ, დაიყეფებენ და მერე კედლის ძირში მოირკალებიან და ცხვირს მიწაში წარგავენ.

ამ დროს სიჩუმე ისეთი ყოვლისმომცველია, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჯვარუკას ახსოვს თავისი შე-



კითხვა, — უკვე რამდენი წელია სვამს ამ კითხვას და პასუხის გაგებაც ძალიან უნდა — კითხვას ცასა და ცის ფერზე. მაგრამ ხმამაღლა აღარ სვამს კითხვას: „რა არის სილურჯე?“

რადგან დანამდვილებით არავინ იცის პასუხი. ზის უძრავად, გამართულად გადახმარ მინაზე, ფრიალო კლდის ბოლოს, უფსკრულის პირას, და მის წინ ცაა. მან იცის: რაღაც მოხდება. ყოველ საღამოს გადახმარ მინაზე მჯდარი ელოდება რაღაცას, რაღაცას მხოლოდ თავისთვის. მისი თითქმის შავი, ქარისა და მზისგან დამწვარი სახე ოდნავ უკანაა გადაწეული, რომ არანაირი ჩრდილი არ მიადგეს. ის მშვიდადაა, არ ეშინია. იცის, ერთ დღესაც იქნება და პასუხი მოვა, მაგრამ როგორ, ეს არ იცის. ერთი რამ კი დანამდვილებით უწყის, ციდან ცუდი არაფერი შეიძლება მოვიდეს. მდუმარებაა დასადგურებული ველზე, სოფელში მის ზურგს უკან იმიტომ, რომ უკეთ გაიგონოს პასუხი თავის კითხვაზე. მხოლოდ ის შეძლებს მის გაგონებას. ძალებსაც კი სძინავთ და არ იციან, რა მოხდება.

თავიდან არის ხოლმე სინათლე. ის ჩუმად შარიშურობს მინაზე, როგორც ფოთლებისგან შეკრული ცოცხი ან წვიმის წვეთები. ჯვარუკა მთელი ყურადღებით უსმენს, სულგანაბული და გარკვევით ესმის ჩქამის მოახლოება. თავიდან შ-შ-შ-შ ისმის, შემდეგ ტკაც-ტკაც-ტკაც ყველგან, გარშემო: მინაზე, კლდეებზე, ბანიან სახურავებზე. ეს ცეცხლის ტკაც-ტკაცის ისმის, სუსტი, აუჩქარებელი, მშვიდი ცეცხლისა, რომელიც არც ზევით მიიწევს და არც ნაპერკვლებს ყრის. და რაღაც პირდაპირ გოგონასკენ მოფრინავს ზევიდან, პატარა ფრთების ფართხუნით. ჯვარუკას ესმის გუგუნის, რომელიც ძლიერდება და გარემოს იპყრობს. ახლა ის ყველა მხრიდან მოისმის: არა მარტო ზევიდან, არამედ მინიდან, კლდეებიდან, სახლების სახურავებიდან — ის ყველა მხრიდან იფრქვევა მხეფებად, იკვრება ყულფებად, იფანტება ვარსკვლავებად და იხვევა სპირალებად.

ის მის თავს ზემოთ სხივთა კონა ხატავს, უზარმაზარ ძნებს და მერე თავთავებად იშლება.

აი ისიც, პირველი ხმა, პირველი სიტყვა. ჯერ კიდევ მანამდე სანამ მთელი ცა სინათლით გაივსება, გოგონას ესმის, როგორ მოჰქრის მისკენ მისი ცელქი სხივები, და გული ძალუმად, გამალებით უძგერს.

ჯვარუკა თავს არ ატრიალებს, არ იძვრის. გადახმარი მინიდან იღებს ხელებს და წინ ხელისგულეზამოტრიალებულეებს ჭმავს. ასეა საჭირო: გრძნობს, როგორ ეხება სიტბო თითის წვერებს, თითქოს ეფერებაო. შუქი ციმციმებს მისი თმის ტევრში, მოსასხამის ბენზე, წამწამებზე; შუქი რბილია და ოდნავ თრთის, ხან ზურგით, ხან მუცლით დასრიალებს გოგონას ხელისგულეებზე.

თავიდან ყოველთვის ასეა: მოფრინდება შუქი და გოგონას გარშემო დატრიალდება და ნებას აძლევს მოეფეროს მოხუცი ბახტრის ცხენებივით. ოღონდ ეს ცხენები უფრო დიდი და უფრო ალერსიანნი არიან და უყოყმანოდ მიდიან მასთან, თითქოს მათი პატრონი იყოს.

ისინი ცის სიღრმიდან მოდიან, მთიდან მთაზე ხტებიან, ქალაქების, მდინარეების თავზე გადმოიჭენებენ ისე, რომ ფლოქებს სულაც არ ათქარუნებენ, მხოლოდ მათ აბრეშუმისდარ ფაფართა შარიშური მოისმის.

ჯვარუკას უყვარს მათი მოსვლის უამი. ისინი ხომ მხოლოდ მასთან მოდიან, რომ მის კითხვას უპასუხონ, ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ გოგონას ესმის მათი და უყვარს ისინი. სხვა ადამიანებს ეშინიათ და მათაც აშინებენ, ამიტომაც ვერასდროს ხედავენ ლაჟვარდიდან მოსულ ცხენებს. ჯვარუკა მათ ნაზად, მშვიდად, წამლერებით უხმობს, ცის ცხენებიც ხომ მინაზე მყოფი ცხენებივით არიან, მათაც უყვართ ნაზი ხმა და სიმღერა.

**ცხენებო, ცხენებო,
ციურო პანანა ცხენებო,
წამიყვანეთ თქვენთან ცაში, წამიყვანეთ
თქვენთან ცაში,
ციურო პანანა ცხენებო.**

ის მათ “პანანებს” უწოდებს, რადგან ვაითუ ეწყინოთ, თუ შეიტყვეს უზარმაზარები რომ არიან.

ასე ხდება თავიდან. მერე ღრუბლები მოდიან. ღრუბლები სულაც არ არიან სინათლის მსგავსნი. ღრუბლები არც ზურგით და არც მუცლით არ გეფერებიან ხელისგულეებზე, იმიტომ, რომ ისინი იმდენად მსუბუქნი და არამყარნი არიან, რომ შეხებისას შესაძლოა თავიანთი ქურქი დაკარგონ და ბაბბის ქულეებივით გაიფანტონ.

ჯვარუკა მათ კარგად იცნობს. იცის, რომ ღრუბლებს გადნობისა და გაფანტვის ეშინიათ და ამიტომ ცდილობს ნაკლებად ისუნთქოს და ამოსუნთქვითაც უცბათ ამოისუნთქავს ხოლმე ნარბენი ძაღლივით. ამისგან ყელსა და გულში სცივა და თვითონაც ღრუბელივით სუსტი და მსუბუქი ხდება. აი, სწორედ მაშინ მოდიან ღრუბლები.

თავიდან ცხვრის ფარასავით გაიწელებიან მაღლა, მინის ზემოთ, მზეს ჩამოეფარებიან და მათი ჩრდილები დასრიალებენ გადახმარ მინასა და ჯვარუკას სახეზე.

ჩრდილები დაცურავენ მისი თითქმის შავი ლოყების, შუბლის, ქუთუთოების, ხელების კანზე, აქრობენ მზეს და ცივ, ცარიელ ლაქებად ედებიან. ეს სითეთრეა, ღრუბლების ფერი. მოხუცი ბახტრი და სკოლის მასწავლებელი ისპერი ჯვარუკას ეუბნებოდნენ, რომ სითეთრე — ცის, მარილის, ღრუბლებისა და ჩრდილებითის ქარის ფერია. და კიდევ ესაა ძვლებისა და კბილების ფერი. თოვლი თეთრია და ხელში დნება, ქარი ცივია და ვერავინ იჭერს. მარილი ტუჩებს წვავს, ძვლები მკვდრები არიან, კბილები კენჭებივითაა პირში. ეს ყველაფერი იმიტომაა, რომ სითეთრე — სიცარიელის ფერია, თეთრის იქით ხომ აღარაფერია, აღარაფერი.

ასეთია ღრუბლები. ისინი ისე მაღლაა, ისეთი სიშორიდან მოდიან, სილურჯის სიღრმიდან, ქარივით ცივნი, თოვლივით მსუბუქნი და არამყარნი: ისინი ჩუმად, მკვდრებზე უფრო, ბავშვებზე უფრო ჩუმად მოდიან, როცა ეს უკანასკნელნი ფეხშიშველები დადიან სოფლის გარშემო კლდეებზე.

მაგრამ ღრუბლებს უყვართ ჯვარუკასთან მოსვლა და მისი სულაც არ ეშინიათ. იციან, რომ ჯვარუკასაც უყვარს სიჩუმე. იციან, რომ მათ არ აწყენინებს. დიდრონი ღრუბლები მოცურდებიან ხოლმე მასთან, გარს ეხვევიან. გოგონა გრძნობს მათ ალერსიან სიგრილეს. ათასობით წვეთი, ლამის წამივით, უნესტიანებს სახეს, ტუჩებს და ესმის

ნაზი, ნაზი ხმაური თავის გარშემო და ისევ იწყებს სიმღერას. მათთვის, ღრუბლებისთვის მღერის:

**ღრუბლებო, ღრუბლებო,
ციურო პანანა ღრუბლებო,
ნამიყვანეთ თქვენთან ცაში,
ნამიყვანეთ თქვენთან ცაში,
მალლა ცაში,
ციურო პანანა ღრუბლებო.**

ის მღერის „პანანა ღრუბლებო“, თუმცა იცის, რომ ისინი ძალიან, ძალიან დიდები არიან, რადგან მათი გრილი ქურქი კარგა ხნით გამოახვევს ხოლმე თავის კალთაში და მზისგან მალავს, ისე დიდხანს, რომ ააკანკალებს კიდეც.

როცა ღრუბლები მასთან არიან, ხელებს ძალიან, ძალიან ნელა ამოძრავებს, რათა არ დააფრთხოს. აქაურებმა არ იციან ღრუბლებთან საუბარი. ძალზე ხმაურიანები და მოფუსფუსენი არიან, ამიტომაც ცხოვრობენ ღრუბლები ცაში, ასე მალლა. ჯვარუკა ნელ-ნელა სწევს ხელებს და ლოყებზე იფარებს.

შემდეგ ღრუბლები მიცურავენ შორს, შორს, იქ, სადაც საქმეები აქვთ, მთების, ქალაქთა გადაღმა. მიცურავენ ზღვისკენ, სადაც მუდამ სილურჯეა, რომ წვიმად გადმოიღვარონ, რადგან ყველაზე მეტად ეს უყვართ: წვიმად მოსვლა ზღვის უკიდევანო სილურჯეში. ზღვა, ამბობდა მოსხუცი ბახტრი, ქვეყნად ყველაზე მშვენიერი ადგილია, ადგილი, სადაც ყველაფერი ლურჯია და ლაჟვარდოვანი. „ზღვაში მრავალგვარი სილურჯეა“, — ამბობდა მოსხუცი ბახტრი, „შეიძლება სილურჯე იყოს მრავალგვარი? — ჰკითხა ჯვარუკამ. — შეიძლება, შეიძლება, სილურჯე სხვადასხვაგვარი არსებობს, ისე, როგორც სასმელი წყალი, რომელიც გივსებს პირს და ჩადის კუჭში, ის ხან ცივია, ხან თბილი.“

ჯვარუკა სხვა ციურ ბინადართაც ელოდება. ელოდება, როდის მოვა მასთან ბალახებისა და ცეცხლის სურნელი, ოქროს მტვერი, რომელიც ცეკვავს და ცალი ფეხის წვერზე ტრიალებს, ჩიტო, რომელიც ერთხელ დაიჭყივნებს და მის სახეს ფრთას შეახებს. ისინი ყოველთვის მოდიან, როცა ჯვარუკა აქაა. მისი სულაც არ ეშინიათ. მათ ესმით მისი ერთი და იგივე შეკითხვა: ცის, მისი ფერის შესახებ, და ისე ახლოს მოდიან, რომ გოგონა გრძნობს, როგორ მოძრაობს ქარი მის თმებსა და წამწამებში.

კიდევ მასთან ფუტკრები მოდიან, რომლებიც დილაადრიან გამოფრინდნენ სკებიდან, ქვემოთ ველზე. მათ შემოიფრინეს ქვალორლებში ამოსული ყველა ყვავილი. ფუტკრები კარგად იცნობენ ყვავილებს, მათ მტვერს ცაცებით ატარებენ და სიმძიმე ქვევით ეწევათ.

ჯვარუკას ესმის თუ როგორ მოფრინავენ ისინი, ზუსტად ერთსა და იმავე დროს, როცა მზე ისრის ტარზეა გადამხმარი მინის თავზე. ესმის, როგორ ერთბაშად მოფრინავენ ყველა მხრიდან იმიტომ, რომ ისინიც ცის ლაჟვარდიდან მოდიან. მაშინ ჯვარუკა თავისი ქურთუკის ჯიბეებს მოიქექავს და შაქრის ნამცეცებს იღებს. ფუტკრების პატარა ფრთები თრთიან ჰაერში, მათი ზარივით სიმღერა აინავარდებს ცაში, ექოდ აისხლიტება კლდეებზე და ჯვარუკას ყურებსა და ლოყებს ედება.

ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს მოფრინავენ ფუტკრები. იციან, რომ ჯვარუკა ელოდებათ, მათაც უყვართ გოგონა. ათობით არიან, ყველა მხრიდან მოფრინავენ და თავიანთ მუსიკას ქმნიან ყვითელ შუქში. სხდებიან ჯვარუკას გადაშლილ ხელის გულზე და შაქრის ნამცეცებს ხარბად შეექცევიან. ასხდებიან სახეზე, ლოყებზე, ტუჩებზე, ნელა დადიან და მსუბუქი ცაცებით უღიტიწებენ, ისე უღიტიწებენ, რომ სიცილი უნდება. მაგრამ ხმამალლა არ იცინის, რათა არ შეაშინოს. ფუტკრები დაზუზუნებენ მის შავ თმაში, ყურებთან, მღერიან თავიანთ მონოტონურ სიმღერას ბალახებსა და ყვავილებზე, იმ ბალახებსა და ყვავილებზე, რომლებიც ამ დილით მოინახულეს. „გვისმინე — ეუბნებიან ფუტკრები, — ბევრზე ბევრი ყვავილი ვნახეთ მინდორში, მის კიდემდე მივფრინდით, იმიტომ, რომ ქარმა წაგვიღო, მერე კი ყვავილიდან ყვავილზე ფრენით უკან მოვბრუნდით“. „და რა ნახეთ?“ — ეკითხება ჯვარუკა. „ვნახეთ ყვითელი მზესუმზირები, ალისფერი ნარშავა, წითელთავა გველის მსგავსი ყვავილი ოკო-ტილიო. ვნახეთ დიდი, იასამნისფერი კაქტუს-პიტაიის ყვავილი, ველური სტაფილოს ჩახუჭუჭებული ყვავილი, დაფნის ფერგამკრთალი ყვავილი. ვნახეთ თავყვითელას შხამიანი, ინდიგოს ფუშფუშა და სალბის მსუბუქი ყვავილები“. — „კიდევ რა ნახეთ?“ — „ყველაზე შორეულ ყვავილებამდეც კი მივფრინდით, იმ ყვავილებამდე ფუტკრების ჭეჭა-ჭუხილზე რომ ბრწყინავენ — ველურ ფლოკსებამდე. ვნახეთ მექსიკური ყაყაროს ალისფერი ვარსკვლავი, ცეცხლოვანი ბორბალი, რძიანი ყვავილი. გადავუფრინეთ აგარიტს, დავლიეთ ფარსმანდუკის ნექტარი, ლიმონის პიტნის ნამი. ჩვენ ქვეყანაზე ყველაზე ლამაზ ყვავილთა-ნაც კი მივფრინდით, იმ ყვავილთან მალალ მთებში, იუკის ხმლისნაირი ფოთლების ზევით რომ იზრდება და თოვლივით ქათქათაა. და ყველა ეს ყვავილი, ჩვენი მეგობრობის ნიშნად, შენ მოგიტანეთ ჯვარუკავ“.

ასე ლაპარაკობენ ფუტკრები და კიდევ ბევრ რამეს ჰყვებიან. ჰყვებიან მზეზე ბზინავ წითელ და ნაცრისფერ ქვიშაზე, ფოთლებზე მიმოფანტულ ან ალოეს ეკლებზე ჩამოკიდებულ ცერის ნამზე. ქარზე, ზედ მინის პირზე რომ დააქრის და ბალახებს ხრის. მზეზე, ცაზე რომ ამოდის და ჩადის, და ვარსკვლავებზე, ლამლამობით რომ ციმციმებენ.

ისინი ადამიანთა ენაზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ ჯვარუკას მათი ესმის და ათასობით პანანა ფრთის თრთოლვით თვალბში პატარა ლაქები, ვარსკვლავები და ყვავილები უჩნდება. ფუტკრებმა იმდენი რამ იციან! ჯვარუკა კიდევ უფრო ფართოდ შლის ხელისგულს, რომ მათ შაქრის უკანასკნელი ნამცეცებიც შეჭამონ და ბაგეების ოდნავი მოძრაობით, ფუტკრების ზუზუნის მსგავსი ხმით უმღერის სიმღერას:

**ფუტკრებო, ფუტკრებო,
ციურო პატარა ფუტკრებო,
ნამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში,
ნამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში,
ციურო პატარა ფუტკრებო.**

და როდესაც ფუტკრები მიფრინავენ, ისევ ხანგრძლივი მღუმარება ისადგურებს.

ცივი ქარი სახეში სცემს ჯვარუკას, იგი ოდნავ აბრუნებს თავს და ღრმად სუნთქავს. ხელები მოსასხამის ქვეშ, მუცელზე უწყვია, ზის გაუნძრევლად, გამართულად, ზუსტად მართ კუთხეს ქმნის მიწასთან. ახლა ვინდა მოვა? მზე ისრის ტარზეა ლურჯ ცაში და ცხვირის, წარბების ქვეშ პატარა ჩრდილებს უტოვებს გოგონას.

ჯვარუკა ფიქრობს ჯარისკაცზე, რომელიც ახლა, ალბათ, აქეთ მოემართება. მოდის ვინრო ბილიკით, ამოდის მიტოვებული სოფლის ფერდობიდან. ჯვარუკა აყურადებს, მაგრამ ჯერ არ ესმის მისი ფეხის ხმა. ძაღლებიც არ ყფენ. ძინავთ დანგრეული კედლების კუთხეებში, მიწაში ცხვირწარგულებს.

ქარი უსტვენს და ზმუის ქვეშ შორის გადამხმარ მიწაზე. დარბიან გრძელტანიანი ფეხმარდი მხეცუნები, გრძელცხვირა, პატარა ყურებიანი მხეცუნები. ისინი გამოძვრებიან სოროებიდან ხეობის ბოლოს და ჩქარ-ჩქარა ახტებიან მდინარეებს, ხრამებსა და ნაპრალებს. დრო და დრო ჩერდებიან, ღრმად სუნთქავენ და შუქი თამაშობს მათ მბზინავ ბენზე. და ისევ მირბიან-მიხტუნაობენ ცაში, მისდევენ, კაცმა არ იცის რას, ჩაუქროლებენ ჯვარუკას და მის თმასა და ტანსაცმელს ოდნავ გაეხახუნებიან, მათი კუდეები კი შხუილით აპობს ჰაერს. ჯვარუკა ხელებს იშვერს, მათი შეჩერება, კუდიტ ერთის დაჭერა მაინც უნდა.

— მოიცათ! მოიცათ! ასე სწრაფად ნუ გარბიხართ!

მაგრამ მხეცუნები მას არ უსმენენ. მის გარშემო მკვირცხლად დახტიან, ხელიდან უსხლტებიან, თავიანთი სუნთქვით სახეზე უღიტიანებენ. ამასხარავებენ. ეჰ, ერთი მაინც დაეჭირა, ერთი, და აღარ გაუშვებდა. იცის ჯვარუკამ, მაშინ რას იზამდა. შეკაზმავდა ცხენით, ყელზე მაგრა-მაგრა მოეხვეოდა და ჰოპლა, ერთი ნახტომით ის ცაში აიყვანდა! და იფრენდა, ირბენდა მასთან ერთად ისე სწრაფად, რომ მხოლოდ მას დაინახავდნენ. იფრენდა ცის სილურჯეში ველების, მთების, ქალაქების თავზე, ზღვამდეც კი მიაღწევდა. ანდა იხტუნავებდა, ისრიალებდა მიწის ოდნავ ზემოთ, ბალახთა ღეროებზე, ოდნავი შრიალით, რომელიც წყლის რაკაკსაც ემსგავსებოდა. უჰ, რა კარგი იქნებოდა!

მაგრამ ჯვარუკამ ვერასდროს შეძლო ასეთი მხეცუნას დაჭერა, ისინი მოედინებიან მის თითებს შორის, დაძვრებიან მის თმასა და ტანსაცმელში. ზოგჯერ კი შენელებულნი და ცივნი არიან, ზუსტად გველებივით.

არავინაა ფრიალო კლდის თავზე. სოფლელი ბიჭები აქ აღარ ამოდიან, მხოლოდ ხანდახან ჩნდებიან ანკარების

დასაჭერად. ერთხელ ისე ამოვიდნენ, რომ ჯვარუკამ ვერ გაიგონა. ერთმა უთხრა:

— საჩუქარი მოგიტანეთ.

— რა საჩუქარი? — ჰკითხა ჯვარუკამ.

— გამომინოდე ხელები და ნახავ! — უპასუხა ბიჭმა.

ჯვარუკამ ხელები გაუნოდა და ბიჭმა ხელისგულზე ცოცხალი ანკარა დაუდო. გოგონას ძალიან შეეშინდა, მაგრამ არ დაუყვირია. მხოლოდ მთლიანად, თხემით ტერფამდე გააყრუოლა. ბიჭები იცინოდნენ, ჯვარუკას არა-

ფერი უთქვამს, ანკარა მიწაზე გაუშვა და ხელები მოსასხამის ქვეშ შემალა.

ახლა ის ყველას დაუმეგობრდა, ვინც კი უხმაუროდ დადის გადამხმარ მიწაზე: წყალივით ცივ და გრძელ გველებს, ბოხმეჭებს, ხვლიკებს. ჯვარუკამ მათთან ლაპარაკიც ისწავლა. ის მათ ჩუმი, კბილებში გამოცრილი სტვენით უხმობს და ისინიც მოდიან. მათი მოსვლის ხმას ვერ იგებს, მაგრამ იცის, რომ უახლოვდებიან, მოცურავენ ნაპრალიდან ნაპრალებზე, ქვიდან ქვაზე, თავებს მალლა სწევენ და ჩუმ სტვენას აყურადებენ და პატარა ყელები უკანკალებთ.

გველუკებო,

გველუკებო, —

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

მღერის ჯვარუკა. რა თქმა უნდა ყველა გველი არაა, მაგრამ გოგონა ყველას ასე ეძახის.

გველუკებო,

გველუკებო,

ნამიყვანეთ თქვენთან ცაში,

ნამიყვანეთ თქვენთან ცაში.

ისინი მოდიან, რაღა თქმა უნდა მოდიან, მუხლებზე აცოცდებიან და გოგონას ძალიან მოსწონს მათი მსუბუქი სიმძიმის შეგრძნება. შემდეგ უეცრად გარბიან, იმიტომ, რომ ეშინიათ, როცა ქარი წივის და მიწა ტკაცუნობს.

ჯვარუკას ჯარისკაცის ფეხის ხმა ესმის. ის მოდის ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს, როდესაც მზე პირდაპირ სახეში ანათებს, გამხმარი მიწა კი ხელისგულების ქვეშ თბება. ჯვარუკას ყოველთვის არ ესმის მისი მოსვლის ხმა, რადგან ჯარისკაცის კაუჩუკის ლანჩები უხმაუროდ მოაბიჯებენ. იგი ჯდება ქვაზე მის გვერდით და დიდხანს უსიტყვოდ შესცქერის. გოგონა გრძნობს მის მზერას და კითხულობს:

— ვინ არის აქ?



ეს კაცი აქაური არაა. ცუდად ლაპარაკობს აქაურთა ენაზე, მათსავით, ვინც ზღვისპირა დიდ ქალაქებში ცხოვრობენ. როდესაც ჯვარუკამ ჰკითხა, ვინ ხარო, მან უპასუხა: ჯარისკაციო, და მოუყვა ომზე შორეულ ქვეყანაში, რომელშიც ის დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ მონაწილეობდა. და იქნებ ახლა ის სულაც აღარ იყო ჯარისკაცი.

მას ყოველთვის მოაქვს გოგონასთვის მინდვრის ყვავილები, რომელთაც კლდეზე ამომავალი ბილიკის ნაპირებზე კრეფს. ეს მომჭკნარი, გრძელღეროიანი, გაიშვიათებულ ფოთლებიანი ყვავილებია, რომელთაც ცხვრის სუნი ასდით. მაგრამ ჯვარუკას ძალიან უყვარს ისინი და ხელში იტოვებს.

— რას აკეთებ? — ეკითხება ჯარისკაცი.

— ცას ვუყურებ, — პასუხობს ჯვარუკა, — დღეს ისეთი ლურჯია, ლაჟვარდოვანი, არა?

— კი, — ამბობს ჯარისკაცი.

ჯვარუკა ყოველთვის ასე პასუხობს იმიტომ, რომ იმ თავისი შეკითხვის დავინყება არ შეუძლია. გოგონა ოდნავ მაღლა სწევს თავს და ნელა ისვამს ხელისგულს შუბლზე, ლოყებსა და ქუთუთოებზე.

— მგონი ვიცი, რაც არის, — ამბობს გოგონა.

— რა?

— სილურჯე, ის ჩემს სახეს ათბობს.

— ეს მზეა, — ამბობს ჯარისკაცი.

იგი ინგლისურ სიგარეტს უკიდებს და ნელ-ნელა აბოლებს, თან სადღაც, პირდაპირ იყურება. ჯვარუკა თამბაქოს სუნს გრძნობს და ცოტა თავბრუ ეხვევა.

— მითხარით... მომიყევით.

ყოველთვის ამას სთხოვს და ჯარისკაციც უყვება დაბალი ხმით, დრო და დრო ჩერდება, რომ გააბოლოს.

— აქ ძალიან ღამაზია, — ამბობს იგი, — აი, დიდი დაბლობი და ზედ ყვითელი ყანები, ალბათ, სიმინდი შემოვიდა. აი, მინდვრებს შორის ლარივით სწორი, წითელი გზა და ხის პატარა სახლი...

— იქ ცხენი არის? — ეკითხება ჯვარუკა.

— ცხენი? მოიცა... არა, ვერავითარ ცხენს ვერ ვხედავ.

— ესე იგი ეგ ბიძაჩემის სახლი არაა.

— გვერდით ჭაა, მაგრამ, მგონი, ამომშრალია... აი შავი კლდეები, ისეთი უცნაური ფორმის, ზუსტად ნამონოლილ ძაღლებს ჰგვანან... უფრო შორს შოსეა და ტელეგრაფის ბოძები. იმის იქეთ პატარა ტბა მოჩანს, მაგრამ ნამდვილად დამშრალია, იმიტომ, რომ ქვები მოჩანს ფსკერზე... ნაცრისფერები, მტვრითა და ლოკოკინებით დაფარულნი... მერე სხვა დაბლობი იწყება და ძალზე შორსაა გადაჭიმული, ჰორიზონტამდე, მესამე პლატომდე.

მხოლოდ აღმოსავლეთით აღმართულან გორაკები, თორემ სხვაგან, საითაც არ გაიხედავ დაბლობია შიშველი და სწორი, როგორც ზაფხულის მინდორი. შორს დასავლეთით, მუქ-წითელი და შავი მთები მოჩანს. არც მეტი, არც ნაკლები, მძინარე სპილოებია...

— არ იძვრიან?

— არა, არ ინძვრიან, უკვე ათასობით წელია სძინავთ.

— ამ მთასაც ძინავს? — ეკითხება ჯვარუკა და ხელისგულებით მშრალ მიწას ეხება.

— კი, ამასაც ძინავს.

— მაგრამ ზოგჯერ მოძრაობს, — ამბობს ჯვარუკა. — ოდნავ შეინძრევა, შეიმშუმუნება და ისევ ძილს განაგრძობს.

ჯარისკაცი დიდხანს დუმს. ჯვარუკას წინ ყველაფერი ისაა, რასაც იგი მოუყვა, და ცდილობს ყველაფერი შეიგრძნოს. დაბლობი ეხება მის ლოყებს, დიდი და რბილი, ხრამები და წითელი ბილიკები ცოტათი კანს უწვავენ და მტვერი ტუჩებს უკანრავს.

ჯვარუკა თავს უკან აგდებს და სახეზე მზის სიმბურვალეს გრძნობს.

— იქ, ზემოთ რა არის? — ეკითხება ჯარისკაცი.

— ცაში?

— დიახ.

— რა ვიცი... უხერხულობაში ვარდება ჯარისკაცი. ამაზე მოყოლა არ შეუძლია. მზის შუქისგან თვალები ეჭუტება.

— დღეს ბევრი სილურჯეა?

— კი, ცა ლურჯზე ლურჯია.

— და სითეთრე სულ არაა?

— არა, ერთი თეთრი წერტილიც კი არაა.

ჯვარუკა ხელებს წინ იშვერს:

— ხო, ეტყობა, ძალიან ლურჯია. დღეს ისეთი მწველია, როგორც ცეცხლი.

თავს ხრის იმიტომ, რომ სახე ეწვის და ტკივა.

— არის ცეცხლი სილურჯეში?

ჯარისკაცი, ეტყობა, ვერ ხვდება, რას გულისხმობს.

— არა... — პასუხობს იგი. — ცეცხლი წითელია და არა ლურჯი.

— მაგრამ ცეცხლი იმალება, — ამბობს ჯვარუკა, — ცეცხლი იმალება მაღლა ცაში, როგორც მელია სოროში. ის იქიდან გვიყურებს, გვიყურებს და თვალები ეწვის.

— შენ მდიდარი ფანტაზია გაქვს, — ამბობს ჯარისკაცი.

ჩაიცინებს, მაგრამ მაინც აცქერდება ცას, თვალებზე ხელმოჩრდილული.

— შენ რასაც გრძნობ, ეგ მზეა.

— არა, — თავს იქნევს ჯვარუკა, — მზე არ იმალება და ისე არ გწვავს. მზე აღერსიანია, სილურჯე კი — კერაში ჩაყრილი გახურებული ქვებივითაა, ისეთი ცხელია, რომ სახე მტკივა.

უეცრად ჯვარუკა საბრალოდ დაიკვნესებს.

— რა გჭირს? — ეკითხება ჯარისკაცი.

გოგონა ხელს სახეზე იფარებს და ჩუმად კვნესის. იგი თავს მიწისკენ ხრის.

— დამგესლა... — სლუკუნებს.

ჯარისკაცი თმას უწევს, დახეთქილი თითებით ლოყაზე ეხება და ეკითხება:

— ვინ დაგგესლა? მე ვერაფერს ვხედავ...

— მზემ, ონავარმა, — პასუხობს ჯვარუკა.

— არაფერი არ გაქვს, ჯვარუკავ, — ეუბნება ჯარისკაცი, — მოგეჩვენა.

ცოტა ხანს სდუმან. ჯვარუკა ისევ ისე ზის, გამართული, მართ კუთხეს ქმნის გადამშრალ მიწასთან და მზე ანათებს მის ბრინჯაოსფერ სახეს, ცა გაყურდა, თითქოს სუნთქვა შეიკრა.

— დღეს ზღვა არ ჩანს? — ეკითხება ჯვარუკა.

ჯარისკაცი იცინის:

— არა, არა! ზღვა აქედან ძალზე შორსაა.

— ესე იგი აქ მხოლოდ მთებია?

— ზღვამდე დიდი გზაა გასავლელი. თვითმფრინავითაც კი რამდენიმე საათი უნდა, სანამ დაინახავ.

ჯვარუკას კი ძალიან უნდოდა ზღვის ნახვა. მაგრამ ეს არც ისე ადვილია, რადგან არ იცის, როგორია ის. რა თქმა უნდა ლურჯია, ეს ცხადია, მაგრამ როგორი?

— მზესავით მწველია თუ წყალივით ცივი?

— გააჩნია, როდის როგორ. ზოგჯერ თვალებს გწვავს, როგორც თოვლი მზეზე. ზოგჯერ კი დაბინდულია, მუქი, როგორც წყალი ქაში. ყოველთვის სხვადასხვანაირია.

— და თქვენ როგორი უფრო მოგწონთ, როცა ცივია, თუ როცა წვავს?

— როცა მის თავზე ღრუბლებია, დაბლა-დაბლა ჩამოსული ღრუბლები და როცა ყვითელი ჩრდილები, წყალმცენარეთა პატარა კუნძულებივით, დაცურავენ მასზე, — აი, როგორი ზღვა მიყვარს ყველაზე მეტად.

ჯვარუკა შუბლს ძალდატანებით იჭმუნის და სახით გრძნობს, როგორ მიცურავს ღრუბელი დაბლა, ზღვის თავზე. მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ მაშინ წარმოიდგენს, როცა ჯარისკაცი მასთანაა. ალბათ იმიტომ, რომ ჯარისკაცმა იმდენჯერ ნახა ზღვა ოდესღაც, რომ ახლა მისგან გარეთ მოინევს და გარშემო იღვრება.

— ზღვა სულაც არაა ის, რაც აქაა. ზღვა ცოცხალია, ის უზარმაზარი მხეცივითაა. მოძრაობს, ხტუნაობს, სულ სხვადასხვაგვარია: ხან მხიარული, ხან სევდიანი. ლაპარაკობს და არასდროს არაა ერთ ადგილას გაჩერებული. მასთან არ მოინყენ.

— ავია?

— ხანდახან კი, ადამიანებსა და გემებსაც კი ყლაპავს — ჰამ! მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ძალიან, ძალიან ბრაზობს. ასეთ დღეებში სჯობს შინ იჯდე.

— მინდა ზღვასთან, — ამბობს ჯვარუკა.

ჯარისკაცი უყურებს და დუმს.

— წაგიყვან ჩემთან ერთად, — ბოლოს და ბოლოს ამბობს იგი.

— ის ცასავით დიდია? — ეკითხება ჯვარუკა.

— არა, ასე შედარება არ შეიძლება, ცაზე დიდი აღარაფერია.

საუბრით დაღლილი ჯარისკაცი ახალ ინგლისურ სიგარეტს უკიდებს და აბოლებს. ჯვარუკას მოსწონს თამბაქოს კვამლის სუნი. თითქმის ბოლომდე ჩამწვარს, მაგრამ ჩაუმქრალს გოგონას უწვდის, რომ იმანაც მონიოს. ჯვარუკა ღრმად ისუნთქავს კვამლს. როცა მზე ძალიან აცხუნებს და ცის სილურჯე წვავს, სიგარეტის ბოლი მას რბილად ეხვევა გარს და იცავს. თავში რალაც უზუზუნებს, თითქოს კლდიდან ძირს ეშვება.

ბოლომდე მონეულ სიგარეტს ჯვარუკა წინ სიცარიელეში ისვრის.

— ფრენა შეგიძლიათ?

ჯარისკაცს ისევ ეცინება:

— ფრენა? როგორ?

— ცაში ჩიტივით.

— შენც იტყვი რა, ეგ არავის შეუძლია.

და უეცრად თვითმფრინავის გუგუნის ესმის, რომელიც სტრატოსფეროში მიფრინავს, ისე მაღლა, რომ მხოლოდ ვერცხლისფერი წერტილი და გრძელი თეთრი ნაკვალევი ჩანს. ცოტა მოგვიანებით დაბლობისა და მთის მდინარეების თავზე შორეული გრვინვასავით გაისმის ტურბორეაქტიული მოტორის გუგუნის.

— ეს „სტრატოფორტრესია“, ძალიან მაღლაა. — ამბობს ჯარისკაცი.

— სად მიფრინავს?

— არ ვიცი.

ჯვარუკას სახეს ცისკენ სწევს, თვალს აყოლებს თვითმფრინავის ნელ მოძრაობას. სახე მოელრუბლა, ბაგეები შეეკუმშა, თითქოს ემინოდეს ან ტკიოდეს რამე.

— ქორივითაა, — ამბობს გოგონა, — როცა ქორი ცაში გამოჩნდება, მის ცივ უსიამოვნო ჩრდილს ვგრძნობ, ის ირაოს კრავს, ნელ-ნელა დაფრინავს იმიტომ, რომ მსხვერპლს უთვალთვალავს.

— ესე იგი ქათამივით ხარ. ქათამები ხომ გარბიან ქორის გამოჩენისას!

ჯარისკაცი ხუმრობს, მაგრამ ისიც გრძნობს, მოტორის ხმაურისგან როგორ აუჩქარდა გულისცემა.

ხედავს როგორ მიფრინავს „სტრატოფორტრესია“ ზღვის თავზე, კორეისკენ მიფრინავს. ზღვის ტალღები ნაოჭებს ჰგვანან: ცა ისეთი კამკამაა, ზენიტში მუქი ლურჯი, ჰორიზონტზე კი ფირუზისფერი, — თითქოს არასდროს ჩაქრება დაისის შუქი. თვითმფრინავი-გიგანტის მუცელში კი ბომბები აწყვია, ტონობით სიკვდილია ჩარიგებული-ჩალაგებული.

თვითმფრინავი ნელ-ნელა უჩინარდება უდაბნოს მიმართულებით და ქარი აქრობს თეთრ ნაკვალევს. მძიმე, თითქმის მტანჯველი სიჩუმე ისადგურებს. ჯარისკაცი თავს ძალას ატანს და ქვიდან დგება, ცოტა ხანს დასცქერის გადამხმარ მინაზე გამართულად, მართი კუთხით მჯდარ გოგონას.

— მივდივარ, — ამბობს ჯარისკაცი.

— ხვალაც გამოიარეთ, — სთხოვს ჯვარუკა.

ჯარისკაცს სურს უთხრას, რომ არც ხვალ და არც ზეგ და შეიძლება არც აღარასოდეს მოვიდეს, რადგან მასაც მოუწევს კორეაში წასვლა. მაგრამ ამის თქმა ვერ გადაუწყვეტია და როგორღაც უხერხულად იმეორებს:

— მივდივარ.

ჯვარუკას ესმის მტვრიან გზაზე მიმავალი მისი ნაბიჯების ხმა. ისევ ამოვარდა ქარი. ახლა ის ცივია და შალის მოსასხამში გამოხვეულ გოგონას აკანკალებს. მზე დაბლაა, მისი სხივები თითქმის ჰორიზონტალურადაა და მათი სითბო ქარის შემოტევებს შუა აღწევს გოგონამდე და სულს უთბობს.

დგება ჟამი, როდესაც სილურჯე ხუნდება, იპარება. ჯვარუკა ამას თავისი დახეთქილი ტუჩებით, ქუთუთოებით, თითის წვერებით გრძნობს. მინაც კი აღარაა ისეთი მაგარი, თითქოს სინათლემ გააფხვიერა.

ისევ მოუხმობს ჯვარუკა მეგობარ ფუტკრებს, ხვლიკებს, მზისგან დამთვრალ სალამანდრებს, ხოჭოებს, ჭიანჭველებს, რომლებიც დაწყობილ კოლონებად დადიან. ყველას ეძახის და მღერის სიმღერას, მოხუცმა ბახტრიმ რომ ასწავლა:

**არსებებო, არსებებო,
ცოცხლო არსებებო,
წამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში,
წამიყვანეთ თქვენთან ერთად ცაში,
ცოცხლო არსებებო.**

ხელებს წინ იწვდის და ჰაერისა და შუქის შეჩერებას ცდილობს. წასვლა არ უნდა. ნეტავი ყველაფერი რჩებოდეს, არ ქრებოდეს, არ იმალებოდეს თავის ბუნაგსა და სამალავში.

ამ დროს, როცა მზე გადალავს და გატკივებს, ბოროტი შუქი გამოდის სილურჯის სიღრმიდან. ჯვარუკა ზის და არ ინძრევა, მასში შიში ამოიზრდება. მზის მაგივრად ცაზე ვარსკვლავი გამოჩნდა, ლურჯზე ლურჯი მნათობი, ის უყურებს და მისი მზერა პირდაპირ ჯვარუკას შუბლს ეჯახება. მას ბუმბულებისა და ქერცლისგან გაკეთებული ნილაბი უკეთია, მოდის, მოცეკვავს ფეხების პარტყუნით დედამინაზე და მისი ჩრდილი ლაბადასავით ეფარება ველს.

ეს საკუასოხა*, ასე ჰქვია. ის მარტოა და ცის სილურჯიდან ჩამოდის მიტოვებულ სოფელთან. მისი ერთადერთი თვალი უყურებს ჯვარუკას, ეს საშინელი მზერა ერთდროულად დალავს და ყინავს.

ჯვარუკა მას კარგად იცნობს. სწორედ მან დაგესლა ონავარის მსგავსად ცარიელი, უკიდევანო ციდან. ყოველდღე, ზუსტად ერთსა და იმავე დროს, როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხრება, როცა ხელიკები ქვებს აფარებენ თავს, როცა ბუზები ისე მძიმდებიან, რომ სადაც მოხვდებით, იქ სხდებიან, სწორედ ამ დროს გამოჩნდება ხოლმე.

ბუმბერაზი მეომრის მსგავსი დგას ცის მეორე მხარეს და თავისი საზარელი, თან მწველი და თან გამყინავი, მზერით დაჰყურებს სოფელს. ის თვალბეჭდში ჩასცქერის ჯვარუკას ისე, როგორც არასდროს არავის ჩაუხედავს.

ჯვარუკა შეიგრძნობს მკაფიო შუქს — სუფთა ლურჯ სინათლეს, რომელიც მას ეუფლება, გულის კარამდე აღწევს და ათრობს, თითქოსდა წყაროს წყალი იყოს. შუქი სამხრეთის ქარივით ალერსიანია, ბალახებისა და ველური ყვავილების სურნელი რომ მოაქვს.

* საკუასოხა – ლურჯი ვარსკვლავის ღმერთი ან მისი განსხვავება.

ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა, ხოპის, ლეგენდა. ღმერთმა ტაიოვამ სხვა ღმერთები გააჩინა და მათ დაავალა სამყაროს შექმნა. პირველ სამყაროს ერქვა ტოპელა. მასში იყო ხმელეთი, ოკეანე და ცოცხალი ორგანიზმები და ახალ ღმერთთაგან შექმნილი ადამიანები. მაგრამ ცოცხალი არსებები არ უჯერებდნენ ღმერთებს და ამიტომ დიდი წარღვევით განადგურდნენ. შემდეგი ორი სამყაროც უვარგისი გამოდგა და ასევე განადგურებულ იქნა, ჩვენი სამყარო მეოთხეა.

ხოპის ერთ-ერთი უძველესი წინასწარმეტყველება გვამცნობს დედამინაზე ლურჯი ვარსკვლავის ღმერთის, საკუასოხის, დაბრუნებას, რომელიც ახალ ძალზე შორსაა და უჩინარია, მაგრამ მალე ცაზე გამოჩნდება და მისი გამოჩენა დედამინაზე ახალი, მეხუთე ერის დასაწყისის მაუწყებელი იქნება.

ხოლის წინასწარმეტყველება გვაუწყებს: “ლურჯი ვარსკვლავის ღმერთი გამოჩნდება ცაზე და სამყარო ისევ შეიცვლება. როცა საკუასოხა ნილაბს ჩამოიხსნის და ცეკვას დაიწყებს ბაზრის მოედანზე საქმეში ჩაუხედავთა წინაშე, დიდი განმენდის დღე დადგება.”

სამყაროს შეცვლის პროცესში ყოველგვარი ბოროტება ქრება. მცდარი და მატერიალური დანგრეულ იქნება. რაღაც დროის განმავლობაში აღარ იქნება რიტუალები, არც რწმენა. მაგრამ შემდეგ დედამინა აღორძინდება და ცხოვრების ახალი ციკლის აღმნიშვნელი რიტუალებიც განახლდება.

დღეს კი მნათობი არ დგას უძრავად ცაში. ის ნელ-ნელა უახლოვდება, აცხუნებს, მოფრინავს, თითქოს ჩქარ მდინარეზე მოცურავდეს. მისი ლურჯი მზერა ჯვარუკას თვალბეჭეა მიჯაჭვული, ისეთი კაშკაშა შუქით ანათებს, რომ გოგონა ორივე ხელით სახეს იფარავს.

გამალებით უძგერს გული ჯვარუკას. ამაზე მშვენიერი არასდროს არაფერი უნახავს.

— ვინ ხარ? — უყვირის გოგონა.

მაგრამ მეომარი პასუხს არ სცემს. ის საკუასოხა, პირდაპირ მის წინ დგას კლდოვან კბოდეზე.

და ჯვარუკა ხვდება, რომ ეს ლურჯი ვარსკვლავია: ის ვარსკვლავი, ცაში რომ ცხოვრობს და ერთხელ ჩამოდის დედამინაზე, სოფლის მოედანზე საცეკვაოდ.

სურს წამოვარდეს და გაიქცეს, მაგრამ საკუასოხოს თვალთა შუქმა მასში შეაღწია და საძრაობა მოუსპო. როდესაც მეომარი ცეკვას დაიწყებს, ბავშვები, ქალები და კაცები დაიხოცებიან. თვითმფრინავები ნელა დატრიალებენ ცაში. ისე მალა, რომ ძლივს მოჩანან, ისინი კი ყველაფერს ხედავენ და მსხვერპლს უთვალთვალევენ. ცეცხლი და სიკვდილი ედება ყველაფერს კლდის გარშემო, ზღვაც კი აინთო, თითქოს წყლით კი არა, ფისით იყოს სავსე. დიდი ქალაქები ციდან მოვლენილი, დამაბრმავებელი ცეცხლის ალით არიან მოცულნი. ჯვარუკას ესმის მეხის გრუხუნი და აფეთქებათა ხმა, სასიკვდილოდ განწირული ბავშვების ტირილი და ძაღლების ყმუილი. ქარი ტრიალებს და უფრო და უფრო ძლიერად უბერავს, ეს ცეკვა კი არა, გაგიჟებული ცხენის ჭენებაა.

ჯვარუკა თვალბეჭე ხელს იფარებს. რატომ, რატომ უნდათ ეს ადამიანებს? მაგრამ გვიანაა, ძალიან გვიან და შეიძლება ლურჯი ვარსკვლავის ბუმბერაზი მეომარი არც აღარასოდეს დაბრუნდეს ცაში. მეომარი მოვიდა სოფლის მოედანზე საცეკვაოდ ისე, როგორც მოხუცი ბახტრი ცეკვავდა ოდესღაც სოცევილში, დიდი ომის წინ. ეს ამბავი თვითონ მოუყვა გოგონას.

ბუმბერაზი საკუასოხო დგას კლდოვანი კბოდის წინ, ყოყმანობს, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, შემოვიდეს თუ არა. ის უყურებს ჯვარუკას და მისი მზერა ისე ძალუმად სუსხავს და წვავს თავში, რომ გოგონას მეტის მოთმენა აღარ შეუძლია. ყვირის, წამოხტება და შეშდება, ხელები უკან აქვს განეული. ყვირილი ყელში ეხშობა, გული ენურება, რადგან უეცრად წინ ხედავს ბუმბერაზის თვალივით გადაშლილ ლურჯ, ულურჯეს ცას.

ჯვარუკა დუმს. ცრემლით ევსება თვალები — ძალზე ძლიერია მზისა და სილურჯის შუქი. უფსკრულის პირას, გადამხმარ მინაზე შეტორტმანებული ხედავს მის გარშემო ნელა დატრიალებულ ჰორიზონტს, ყველაფერს ზუსტად ისე ხედავს, როგორც ჯარისკაცი უყვებოდა: ფართო ყვითელ დაბლობს, ჩაშავებულ ხევებს, ნითელ გზებს და შორეული პლატოების უზარმაზარ სილუეტებს. იგი ადგილს სწყდება და გარბის, გარბის მიტოვებული სოფლის შუქებში, გარბის შუქ-ჩრდილებში, ლურჯი ცის ქვეშ და კრინტსაც არ ძრავს.

ფრანგულიდან თარგმნა
დალი იაშვილი

* * *

შოთა კიტოვანი აღშფოთებული მივარდებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში: თქვენი ბრალია, ცოლი რომ გარდამეცვალა, მე რომ უსამართლოდ გამაკრიტიკეთ, იმ წერილის გამო ინერვიულა და, აგერ, ველარ გაუძლოო.

იქ თავს იმართლებდნენ: მას შემდეგ ნახევარ წელიწადზე მეტიც გავიდა და იმ წერილის ბრალი რანაირად იქნებოდაო.

ის თავისას დაიწინებდა: ნერვიულობის კვალი ახლა გამოაჩნდა, მითუმეტეს, სასამართლოს იოლად რომ გადაურჩითო.

1987 წლის 30 დეკემბრის ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში გამოეყვანათ, როგორც სენსაციურ, ეპოქალურ აღმოჩენათა ავტორი, მის აღმოჩენათა საფუძვლებს კი ქმნიდა შეხედულება: ქართველების მიერაა გამოგონებული დედამიწის ზურგზე პირველი დამწერლობა, თანაც, ერთი კი არა, ერთბაშად ცხრამეტიო.

გადაცემის წამყვანი ვიტალი მიქიაშვილი თან აღტაცდებოდა და სიამაყით აღივსებოდა ასეთი გრანდიოზული აღმოჩენის წინაშე, თან ცოტა არ იყოს შეფიქრიანდებოდა: კი მაგრამ, რად გვინდოდა ქართველებს ამდენი ანბანო? — პასუხად კი შოთა კიტოვანი თავის შემოქმედებით ლაბორატორიას გადაუხსნიდა: მე თვითონ გამოგონებელი გახლავართ და კარგად მესმის გამოგონების, როგორც შემოქმედებითი პროცესის — როდესაც კაცი რაიმეს იგონებს, შეჩერება უძნელდება. ამიტომ ვინც ქართული დამწერლობა შექმნა, ამით ვერ დაიოკა თავისი შემოქმედებითი ჟინი, შექმნა კიდევ თვრამეტი ანბანი და მერე ზოგი გაყიდა, ზოგიც თან ნაილო და გააჩუქა, ფული, მოგესხენებათ, მაშინაც საჭირო იყოო.

ცხრამეტი ანბანის არსებობის არგუმენტად მოიხმობდა სახარების სტრიქონს: ეგვიპტით უწოდი ძესა ჩემსა.

მართალია ამ ფრაზაში ოცდაერთი ასო დაითვლებოდა და არა ცხრამეტი, მაგრამ აღმოჩენის ავტორი „ით“ მოქმედებითის ნიშანს (თვითონ მოფერებით ვითარებითის ნიშანს ეძახდა!), როგორც ნაკლებმნიშვნელოვანს, სათვალავში არ ჩააგდებდა, ცხრამეტი ასოს დატოვებდა და კიდევაც გააიგივებდა ცხრამეტ ანბანთან.

კიდევ ერთ არგუმენტსაც დაუმატებდა — ვანის სახარების კამარებიც ცხრამეტ დამწერლობაზე მიგვანიშნებსო. თუმც თვითონ იქ მხოლოდ თხუთმეტი ანბანის არსებობის ქარაგმას მიაგნო, მაგრამ ცხადად ჩაესმოდა ამ კამარათა დამხატვლის შეკითხვა: სად არის კიდევ ოთხი დამწერლობა, ქართველებმა რომ შექმნესო?

და კიდევ ერთსაც — საფარის ფრესკაზე გამოხატულ ქრისტეს შეპყრობის სცენაში შეიარაღებულ ბრბოს მახვილები და ნათები რომ ეპყრა ხელთ, ეს მახვილები და ნათები სინამდ-

ვილემი თურმე ანბანები ყოფილა — ზოგი აღმართული და ზოგიც დაშვებული. დაითვლიდი და... თვრამეტი აღმოჩნდებოდა. აბა, ცხრამეტიო? და ჟურნალისტს კინალამ ეჭვი რომ შეეპარებოდა ამ არგუმენტის წყალგაუვალობაში, შოთა კიტოვანი შემწყნარებლური მზერით მიუთითებდა დანაზე — რალაც აზრით განა დანაც მახვილი არ არისო? — რალაც აზრით არის, როგორ არ არისო, — ეთანხმებოდა წამყვანი და ბატონ შოთასაც სხვა რალა დარჩენოდა, თუ არა კვლავ რომ დაეკრა ბეჭედი: ესეც მეცხრამეტე დამწერლობაო.

ეს საკითხები ასე თუ დაუსვამს ვინმეს ადრეო? — დაინტერესდებოდა ჟურნალისტი და შოთა კიტოვანი ყალბი თავმდაბლობის გარეშე განუცხადებდა: არა, ჩემამდე ეს პრობლემები ამოუხსნელი იყოო.

და თავისას გააგრძელებდა: ოცამდე ადგილი მაინც ვიცი, სადაც ასი და მეტი ძველი ხელნაწერია, იქ ჩემი მოსაზრებების დამადასტურებელი მასალები მოიპოვება. არ მინდა თქვენგან არაფერი, მხოლოდ გათხრის ნება მომეცით, ამ მასალებს დაგილაგებთ ცვირნინ და მაშინაც არ დაიჯერებთო?

რაკილა ტელევიზიას ამ უფლებების მინიჭება არ შეეძლო, ეს გადაცემა ამიტომაც გაუშვა ეთერში, რომ ვისაც ჯერ არს, მოესმინა, შეეგნო და აღმომჩენ-გამომგონებლისათვის არქეოლოგიური გათხრების ნება დაერთო, და დალოდებოდა იმ ძველ ხელნაწერებს, რომლებიც სხვა უძვირფასეს ცნობებთან ერთად შოთა კიტოვანის ამ აღმოჩენასაც დაადასტურებდნენ, რომ ეგვიპტური ძველი ქართული

გახლდათ, ბერძნული — ძველი მეგრული, ებრაული კი — ძველი სვანური.

ბედნიერად მიმანია თავი, პირველი ინტერვიუს პატივი თქვენგან მე რომ მერგოო, — მეშვიდე ცას შეიგრძნობდა ფერხთა ქვეშე ჟურნალისტი... და თუ ამ გადაცემას ზოგი გულგრილად უყურებდა, ზოგი იცინებდა, ზოგიც აღშფოთდებოდა, მაგრამ თავთავიანთ განცდებს ტელევიზიის ეკრანთანვე ამოწურავდნენ, ზურაბ სარჯველაძე, ერთი საუკეთესო ენათმეცნიერი და მრავალ დიდებულ საქმეთა აღმსრულებელი, ქართული ენის ისტორიის სრული სურათის აღდგენას რომ ისახავდა მიზნად, ვერ მოითმენდა და მწვავე კრიტიკული სტატიით — „წინასახალწლო ხუმრობა, თუ?...“ — გამოეხმაურებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1988 წლის 8 იანვრის ნომერში.

სტატიას დაერთვოდა სარედაქციო მინანერი, რომელიც ამ მკაცრი დასკვნით ბოლოვდებოდა: საქართველოს ტელევიზიის მილიონობით მაყურებელი გააოცა კიტოვანის უპრეცედენტო გამოხვლამ. ამგვარი ცრუპატრიოტული, დემაგოგიური და ყოველგვარ მეცნიერულ დონეს მოკლებული გადაცემა არ ეკადრება საქართველოს ტელევიზიასო.



მეგობრული შარჟი მალხაზ იაშვილისა

ამ პუბლიკაციას მოჰყვებოდა შოთა კიტოვანის ჩივილი სასამართლოში. პროცესი ჩაიკოვსკის ქუჩაზე მდებარე შენობაში გაიმართებოდა. მოპასუხე მხარეს ზურაბ სარჯველაძესთან ერთად წარმოადგენდა „ლიტერატურული საქართველოს“ კრიტიკის განყოფილების გამგე ივანე ამირხანაშვილი. და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო კოლეგია ვერავითარ საფუძველს ვერ დაინახავდა რედაქციისა და პუბლიკაციის ავტორის დასასჯელად, მოსარჩელე იქ ისეთ ამბებს ატეხდა, შეწუხებული მოსამართლეები ზურაბ სარჯველაძესა და ივანე ამირხანაშვილს შეეხვეწებოდნენ: ოღონდაც ეს აყალმაყალი აგვაშორეთ, მხოლოდ ბოდიშის მოხდას დაგაკისრებთ გაზეთის ფურცლებიდან, მაგრამ ეს არაფერს დაგავალდებულებთ, სიტყვიერად მაინც მოუბოდიშეთ და სამუდამოდ თქვენი მადლიერნი ვიქნებითო.

ესენიც აღარ გაჯოჯუტდებოდნენ, სიტყვიერ მობოდიშებას დაყაბულდებოდნენ.

ახლა ამას გაუხსენებდა შოთა კიტოვანი ივანე ამირხანაშვილს: მაშინ იოლად გადავირჩითო.

ცოლის დაღუპვა როგორღა ეპატიებინა?

ის ეხვეწებოდა: ეგ აზრი თავიდან ამოიგდეთ, ხომ იცით, უსაფუძვლო დაბრალება დიდი ცოდვააო, — მაგრამ შეასმენდა? და ბურტყუნით რომ გასცილდებოდათ, ივანე ამ სიტყვებსაც გაიგონებდა: მთავარია, ჩემმა შვილმა არ შეიტყოს დედის გარდაცვალების მიზეზი, თორემ იმას კი ველარ გადაურჩებითო.

ესეც გალიზიანდებოდა და დაადევნებდა: შეიტყოს და შეიტყოს, ვითომ ვის რა უნდა დააკლოსო.

გერჩივნოთ, აქ არ მოვიდესო, — შემოსძახებდათ უკვე კიბეზე ჩასული.

მოვიდეს და მოვიდესო, — ივანესაც ცეცხლი მოეკიდებოდა, — ვნახოთ ერთი, რა ბიჭიაო.

არა, ჩემგან ვერაფერს გაიგებს და, ღმერთმა ინებოს, არც სხვამ ჩაანვეთოსო, — და კიდევ იმ მანძილზე გაშორდებოდა, ყვირილითაც ველარ შეასმენდნენ ერთმანეთს.

ივანე რედაქტორს უამბობდა საუბრის შინაარსს სიცილისიცილითა და იმ განზრახვით, მასაც გავამხიარულებო.

ელიზბარ ჯაველიძე... მაინცდამაინც არ აჰყვებოდა, ის კი არა, მზერა ჩაუშუქდებოდა.

მოვიდეს ერთი, ვნახოთ, რა ბიჭია და რა შეუძლიაო, — თავისაზე იდგა ივანე.

თუ მოვა, დავხვდებით, ეგრეც კი არ არის, მაგრამ თუ არ მოვა, ის სჯობსო, — ელიზბარმა.

ნეტა ვინ არისო, — სუფრაზეც იკითხავდა ივანე.

ყველა მხრებს ავიჩივლით. ერთადერთი ოლეგ გოლიაძე, ჩვენი უფროსი მეგობარი, შემფოთდებოდა: აუჰ, აუჰ, აუჰ... — ვინ არის მაინც?

— თავი დამანებეთ... ნეტა არ მოვიდეს... ვანო, შენ მაინც მოერიდე!..

ეს ჩაიციინებდა და მხრებს შეათამაშებდა იმის ნიშნად: ურჩევნია თვითონ მომერიდოსო.

ქრონოლოგიურად სამნახევარი წელი გადაიკეცებოდა მას შემდეგ, მეტი კი არა, თბილისის შუაგული რომ აღუდებოდა და მთავრობის სასახლეს ყუმბარებს დაუშენდა თენგიზ კიტოვანის გვარდია. ეს შემზარავი სურათები კი მალევე ჩაიხატებოდა ოთარ ჩხეიძის რომანში „არტისტული გადატრიალება“ რომელშიც „არსენას ლექსის“ ტრანსფორმირებული ვერსიაც ჩაერთვოდა, როგორც ახალი დროის მესტიერის ნამღერი.

„ნუ მლაღობთ, კიტოვანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსაო“ — ზვიად გამსახურდია ასე მიმართავდა ამ მოდიფიციურებულ ვერსიაში სიბნელიდან მის მიერვე ამოტივტივებულსა და გადიდკაცებულ ბატიას, ან უკვე გვარდიის მთავარსარდალს, ვისაც პირველი იერიში მიეტანა სასახლეზე რუსთა თანადგომით გულმოცემულს, იარაღსაც გულუხვად რომ აწვდიდნენ ვაზიანიდან და ქუჩის ბრძოლებშიც აგზავნიდნენ თავიანთ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, თუმცა სამხედრო გადატრიალებისათვის უკვე წინასწარვე მოემზადებინათ მათთვის ხელსაყრელი სახელწოდება: დემოკრატიული აჯანყება.

„თენგიზას ასე ეგონა: „ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა!..“ — ახალ ვერსიაში ეს სტრიქონიც ჩნდებოდა, და თუმცა დროებით მართლაც მოიგდებდა ხელთ ჩინსაც და ტემლაკებსაც, საბოლოოდ ფარსადან ბოდიშისხვევლზე უკეთესი ხვედრი არც მას ერგებოდა მაგრამ ამ ჩანაწერისათვის ზედმეტია თენგიზ კიტოვანის თავგადასავლის გახსენება. სატირული რომანი საცხებით კმარა, თუკი ვინმე თვალის მიდევნებას მოინდომებს.

ჩვენ ივანე ამირხანაშვილის გაცნობები წარმოვიდგინოთ.

სასახლის კედლები მკვიდრად გახლდათ ნაგები, გერმანული ტყვეების მიერ აშენებული გაუძლებდა ყუმბარების წვიმას და არ ჩამოიშლვლეოდა, მაგრამ განა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის შენობაც გაუძლებდა ასეთ თავდასხმას?

და რამდენჯერაც გავარდებოდა ყუმბარა სასახლისაკენ, ივანე იმდენჯერ შემოირტყამდა თავში ხელს: კიდევ კარგი, რედაქციას არ მოადგა, თორემ ნაცარტუტად გვაქცევდა ერთი-ორი გასროლითაცო.

მოვიდეს ერთი, ვნახოთ, რა შეუძლიაო...

მაშინ კი იყო დიდ გულზე, მაგრამ, აბა, ახლაც ნათამამებულიყო.

ბახ!.. ბუხ!.. ბახ!.. ბუხ!..

ეს იქით, რუსთაველის გამზირის შუაგულში.

ვაი!.. ვაი!.. ვაი!.. ვაი!..

ეს ჩუმი ვალალი აქეთ, ლერმონტოვის ქუჩის დასაწყისში. ისედაც შეძრულიყო, ისედაც მწარედ შეიგრძნობდა უმწირობას იმ მრისხანების წინაშე, რასაც რუსეთის სადამსჯელო ოპერაცია ერქვა და თენგიზ კიტოვანი ამ ოპერაციის ერთ პანია ქანჭიკს არ აღემატებოდა, მაგრამ ეს პანია ქანჭიკი სავსებით კმაროდა დემაგოგიური საფარველისათვის, რეალობას დროებით რომ გადააფარებდნენ ცრუპოლიტიკოსები და ცრუჟურნალისტები, და მითუმეტეს — „ლიტერატურული საქართველოს“ გასასწორებლად მიწასთან.

გერჩივნოთ, აქ არ მოვიდესო...

თურმე რას გადავრჩენილვართო, — ახლალა მოგებოდა გონს ივანე ამირხანაშვილი და ღმერთს მადლობდა, მასთან ერთად სხვა თანამშრომლებიც რომ არ ჩაიჟუჟუნა.

თბილისის გული კი დულდა — სავალალოდ და საბედისწეროდ.

აცვიოდა და აცვიოდა ყუმბარები.

„არსენას ლექსის“ ტრანსფორმირებულ ვერსიაში კი აღარ გადადიოდა არსენას ის ცნობილი დამოქრება ამ ახალი სახით: რას აპირებ, კიტოვანო, თუ ნაუფელ ამათ ხელსაო, — რაკილა იქ დასრულებულიყო ზვიად გამსახურდიას ხეობის ყამი და ველარ შემოაბრუნებდა საკუთარ ბედისწერას.

...ივანე ამირხანაშვილის სიზმრებში კი კიდევ კარგა ხანს იგუგუნებდნენ ზარბაზნები და რედაქციის შენობასთან ხან საიდან და ხან საიდან ამოყურყუმელავდებოდა თენგიზ კიტოვანის აჩრდილი.

მაინც იტყვის, ჩემი სჯობსო

„ყველაფერი ვეფხისტყაოსნის შესახებ“ ანდა „ვეფხისტყაოსნის ენციკლოპედია“ — ასეც შეიძლება ვუნოდოთ დიდებული ქართველი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის ნაშრომთა წყებას, ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივ შესწავლასა და კვლევას რომ მიუძღვნა.

ბეჯითი მკვლევარის თვალსაწიერში, სხვა აურაცხელ საკითხებთან ერთად, ბუნებრივია, მოხვდა ვეფხისტყაოსნის ქაჯთა საკითხიც.

განსხვავებით არაერთი მეცნიერისგან, რომლებიც გულისხმობდნენ, რომ რუსთველს, რეალურ პერსონაჟთა გვერდით, ზღაპრული ქაჯებიც გამოჰყავს სცენაზე, ვიქტორ ნოზაძე თავისი მორიგი რუსთველოლოგიური თხზულების („ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“) ფურცლებზე ასკვნია: „ვეფხისტყაოსნის ქაჯთა სამეფო უეჭველად ისტორიული ქვეყანაა და სწორედ ამ მიმართულებით, უკან მიმართულებით, ძიება უნდა მიმართოს მან, ვისაც ძალი აქვს ცდისაო“.

მკვლევარი იქვე წარმოგვიდგენს იმ ქვეყნებსა თუ პროვინციებს, რომლებიც შეიძლება გააიგივო ვეფხისტყაოსნის ქაჯთა სამეფოსთან. ესენი არიან: „კაჩ“ (არაბული ზღვის ყურეში), „კაჩარ“ (ასამის მხარეში, ინდოეთი), „კაჩემირ“ ანუ ქაშმირი (აღმოსავლეთ ინდოეთში) და „ყაჯი“, თურქულ-თათრული ტომი, რომელმაც 1794 წელს შექმნა ყაჯართა დინასტია ირანში.

იყო სხვა ცდებიც ვეფხისტყაოსნის ქაჯთა იდენტიფიკაციისა. ზურაბ ავალიშვილის აზრით, ქაჯებად ნაგულისხმევი უნდა იყოს სამხრეთ ავღანეთში დამკვიდრებული თურქული მოდგმის ქაჯები, ნაქები მეომარნი. როგორც მკვლევარი ფიქრობს, „ქაღჯობა“ კარგად ეთანხმება იმ ზოგად გეოგრაფიულ ფარგალს, რომელიც მან თავის გამოკვლევაში მოხაზა ხატაეთიდან არაბეთამდე.

შალვა ჩიჯავაძე აღნიშნავდა, რომ ნიგერიაში დღესაც ცხოვრობს ქაჯის ანუ „კაჯეს“ შავკანიანთა ტომი და პოემის ავტორისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ინდოეთსა ან სხვა ქვეყნებში მცხოვრები შავკანიანთა მოდგმის ზემოდასახელებული ტომი თუ ეთნოგრაფიული ჯგუფი.

უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულმა მკვლევარებმა კვლევის მართებულ გზას არასწორი გეზი მისცეს. ისინი ვეფხისტყაოსნის ქაჯებსა და ქაჯეთს მიიჩნევენ რომელიღაც არსებული ტომისა და მათი ქვეყნის სახელწოდების დამახინჯებულ ფორმად. ამგვარი მსჯელობა საფუძვლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ქართულ ენაში არა გვექონდეს სიტყვა „ქაჯი“, რომელიც თავისი პირველადი მნიშვნელობით (ეშმა, ავსული) ვეფხისტყაოსნის ფურცლებზეც გვხვდება.

პოემის დასაწყისში როსტეფანი ამბობს ტარიელის შესახებ: „ვითა ეშმა დამეკარგა“ და შემდეგ ტარიელის ძებნით ილაჯგანყვეტილი ავთანდილი იმავე ამბავს ასე იხსენებს: „ულონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან“ და ასევე მიმართავს ბოლოსდაბოლოს მიგნებულ ტარიელს: „ვითა ქაჯი დაგვემალე“.

ახლა საკითხავია, ვეფხისტყაოსანში „ავსული“ რომ ეწეროს „ქაჯის“ ნაცვლად, ისინი ავსტრიისა თუ ავსტრალიის ტერიტორიაზე უნდა გვექებნა?

ასე რომ, სამწუხარო გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს „ქაჯის“ ფონეტიკურად შესატყვისი ტომისა თუ ქვეყნის ძიება



ალამუთი

აზია-აფრიკის ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკაზე. ვეფხისტყაოსნის ტექსტი იძლევა ერთადერთ პასუხს: პოემის ქაჯნი და ქაჯეთი დამკვიდრებულ ეთნიკურ-გეოგრაფიულ ცნებათა სახეცვლილება კი არ არის, არამედ პოემაში მოცემული მეტსახელი რომელიღაც ხალხისა და მათი ადგილსამყოფელისა („არ ქაჯნია, კაცნიაო“, — როგორც გვაუწყებს რუსთველი).

განცალკევებით დგას ალექსანდრე სვანიძის ვარაუდი. მან ქაჯეთის ციხედ მიიჩნია გიბრალტარი, ხოლო ქაჯეთად — ესპანური მავრიტანია. ქაჯეთის ციხესთან გიბრალტარის მიმსგავსების საფუძველზე ავტორი აღნიშნავს: „მავრიტანიის კულტურული და ეკონომიკური სიმალლით, რომელსაც, როგორც ჩანს, რუსთველი კარგად იცნობდა, აიხსენებ, ალბათ, მისი დიდი რესპექტი ქაჯებისადმი“.

მაგრამ არასაიდანაც არა ჩანს, იცნობდა თუ არა, კარგად ან ავად, ქართველი პოეტი საქართველოდან ყოველმხრივ დაშორებულ მავრიტანიას.

არსებობს სხვა ხაზიც ვეფხისტყაოსნის ქაჯთა ვინაობის ამოხსნისა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშიელმა ვეფხისტყაოსნის ქაჯები გააიგივა აღმოსავლეთის ისტორიაში სახელმოხვეჭილ მულიდებთან ანუ ასასინებთან. შემდგომში ეს მოსაზრება გაიზარა და უფრო საფუძვლიანად დაასაბუთა გამორჩენილმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ.

მკვლევარი მოკლედ ახასიათებს XI საუკუნის დამდეგს ირანში წარმოქმნილ მულიდთა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და გვიჩვენებს მათი ბრძოლის მეთოდებს, თავზარს რომ სცემდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც, გულადსაც და ლაჩარსაც. მულიდთა მოღვაწეობის ცოცხალი და მჭევრმეტყველი აღწერილობა ზედმიწევნით შეესატყვისება ავთანდილისა და ფატმანის დიალოგში მოცემულ ქაჯთა პორტრეტს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანადროულობისა და მსგავსების მიხედვით, ვეფხისტყაოსნის ქაჯებსა და ქაჯეთის ციხესთან ყველაზე ახლოს დგანან მულიდები და მათი მბრძანებლის რეზიდენცია ჩრდილოეთ ირანში — ალამუთის ციხე-სიმაგრე.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ყაჯ-ქაღჯ-ქაჯე-ქაჯე-ქაჯეთაგან განსხვავებით, მულიდებს მშვენივრად იცნობდნენ რუსთველისდროინდელ საქართველოში და „ვეფხისტყაოსნის“ შექმნამდე დაახლოებით ნახევარი საუკუნით ადრე ისინი ტერაქტებს თბილისშიც კი ახორციელებდნენ!

და აი, სწორედ ის ვიქტორ ნოზაძე, რომელმაც ვეფხისტყაოსნის ქაჯთა იდენტიფიკაციის საუცხოო გასაღები გვიჩვენა („ვეფხისტყაოსნის ქაჯთა სამეფო უეჭველად ისტორიული ქვეყანაა...“), რატომღაც მტრულად შეხვდა სწორედ კორნელი კეკელიძის ყველაზე უფრო საფუძვლიანსა და დამაჯერებელ ვარაუდს.

აი, რას ბრძანებდა იგი: „ეს არის ბოროტი თამაში და არა მეცნიერული ძიება. ეს არის უპასუხისმგებლობა, დასაგმობი, ვინაიდან მხოლოდ ზიანის მომტანია“.

გსმენიათ ოდესმე ენოსდენ უსაფუძვლო, უსამართლო და უღმობელი ვერდიქტი?

ალეგა-არალეგა

ყოფილი საბჭოთა ისტორიკოსი, შემდგომში — სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ ჰელერი 1988 წელს აღნიშნავდა, დავა „გერმანული ფულის“ თაობაზე დღემდე გრძელდება. მეცნიერის სიტყვით, ეს დავა შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: იყო თუ არა ლენინი გერმანიის აგენტი და ლეზულობდნენ თუ არა ბოლშევიკები ფულად დახმარებას გერმანიისგან.

ჰელერი წერს, რომ დამარცხებული ყოველი რევოლუციის ბელადებს უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებად აცხადებენ ხოლმე. ეს უკანასკნელი ცნება კი გულისხმობს ადამიანს, რომელიც სხვის ნება-სურვილს ასრულებს. მაგრამ ლენინს საკუთარი ჰქონდა ნებაც და მიზნებიც, რომლებიც განსაზღვრულ ეტაპზე გერმანიის მიზნებს დაემთხვაო.

თავად ილიჩი სასტიკად უარყოფდა ბრალდებას, მაგრამ იმავე ჰელერის სიტყვით, უცნაურად და არადაამაჯერებლად უარყოფდა. დროებითი მთავრობის დოკუმენტებს ბოლშევიკთა განცეკისა და კოზლოვსკის კავშირზე პარავუსთან, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ლენინი ასეთ პასუხს სცემდა: განეცკი, როგორც პარავუსის ფირმის თანამშრომელი, მხოლოდ და მხოლოდ საეჭარო საქმეებს აწარმოებდაო.

ლენინი ამტკიცებდა, რომ პარტიას არ შეეძლო საქმე დაეჭირა პარავუსთან, ვისაც მან ჯერ კიდევ 1915 წელს უწოდა „გერმანელი პლენანოვი“ და „რენეგატი, ჰინდენბურგს რომ ულოკავს ჩექმებს“. ლენინი აცხადებდა: „ბინძური სიცრუეა, თითქოსდა მე ურთიერთობა მქონდა პარავუსთან“. ეს სიმართლე გახლდათ, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ სწორედ ლენინის ხელქვეითებს ჰქონდათ ურთიერთობა პარავუსთან.

მიუხედავად ლენინის, ტროცკისა და პარტიის სხვა ბელადების თავის მართლებისა, არც ერთ მათგანს არ აუხსნია, რანაირად მოხდა, რომ პარტია 1917 წლის აპრილში, ოფიციალური მონაცემებით, ახერხებდა გამოეცა 17 ყოველდღიური გაზეთი — მათი ყოველკვირეული ტირაჟი შეადგენდა მილიონნახევარ ეგზემპლარს.

ცნობილი მწერალი-ემიგრანტი მარკ ალდანოვი იხსენებდა, რომ რევოლუციამდელი რუსეთის ერთი პანანკინტელა პარტია, რომელიც თითქმის არ ენეოდა აგიტაციას, 1917 წელს გამოსცემდა ასევე პანანკინტელა გაზეთს და, ერთი წლის განმავლობაში, ამაზე დაეხარჯა დაახლოებით 300 ათასი მანეთი, მიღებული პარტიის რამდენიმე შეძლებული წევრისგან.

ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა შლიაპნიკოვი, ვისი კეთილსინდისიერებაც არავითარ ეჭვს არ იწვევს, გვამცნობს, რომ 1916 წლის 1 დეკემბრიდან 1917 წლის 1 თებერვლამდე ბოლშევიკთა სალაროში შესულა 1117 მანეთი და 50 კაპიკი. მარტის თვეში გულუხვობა გამოუჩენია მწერალ მაქსიმ გორკის და 3 ათასი მანეთი შეუტანია.

ოქტომბრის რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი ლევ ტროცკი, ამხელს რა „უდიდეს ცილისნამებას მსოფლიო ისტორიაში“ (ე.ი. მიტქმა-მოტქმას „გერმანული ფულის“ თაობაზე), ამტკიცებს, რომ ბოლშევიკური პრესისათვის ფულს დებდნენ მუშები.

მ. ჰელერის აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რომ სასტიკი ინფლაციის პირობებში, როცა ფული გამალებით კარგავდა ფასს, ხოლო სასტამბო ხარჯები იზრდებოდა, მუშებს ათობით და ასობით ათასი მანეთი შეეგროვებინათ იმ პარტიისათვის, რომელიც სრულიად არ ყოფილა ერთადერთი მუშათა პარტია და არც მთავარი სოციალისტური პარტია არა ყოფილა (პოპულარობით წინ უსწრებდნენ ესერები და მენშევიკები).

მარკ ალდანოვი, თვითმხილველი რევოლუციისა, ისტორიული რომანების ნიჭიერი ავტორი და გამჭრიახი ისტორიკოსი, 1935 წელს ოცნებობდა: „ვილჰელმშტრასეს გროსბუხები, შესაძლოა, ფასდაუდებელ დოკუმენტებად ქცეულიყო ოქტომბრის რევოლუციის ისტორიისათვის, მაგრამ, ვაგლახ, ისტორიას მალე როდი მიუწვდება ხელი იქამდე. ამასთან, გროსბუხთა ჩანაწერებს, ალბათ, ცალმხრივი ხასიათი ექნებათ — ამგვარ შემთხვევებში ხელწერილს ფულის მიღებაზე არ ვასცემენ ხოლმე“.

იმავე მ. ჰელერის სიტყვით, ალდანოვი შეცდა. ისტორიას ძალზე მალე (ათი წლის შემდეგ ანუ 1945 წელს) მიუწვდა ხელი ვილჰელმშტრასეზე მდებარე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გროსბუხებზე. მაგრამ ალდანოვი იმაში კი მართალი აღმოჩნდა, რომ ლენინის ხელწერილი ფულის მიღების შესახებ იქ არ აღმოუჩენიათ. იქ იყო მარტოოდენ გერმანული დოკუმენტები ბოლშევიკებისათვის ფულის გაცემაზე.

მ. ჰელერი ფიქრობს, რომ „გერმანული ფულის“ პრობლემა, ასე რომ აღეკვება ისტორიკოსებს, ეთიკური პრობლემა გახლავთ. ხოლო ლენინისათვის, რომელიც ბურჟუაზიულ მორალს არ აღიარებდა, ალეგა-არალეგა საკითხავი არა ყოფილაო.

ქრონიკა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, აკაკის ძეგლთან გაიმართა პოეტის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი „რჩეულის“ (ლექსები და პოემები) პრეზენტაცია.

„რჩეულის“ გამოცემის იდეის ავტორმა, ქუთაისის კულტურის სამსახურის უფროსმა, მწერალმა გიზო თავაძემ შესავალ სიტყვაში დიდი მადლობა გადაუხადა ქუთაისის თვითმმართველობას, საკრებულოს თავმჯდომარეს ამირან ხვადაგიანსა და ქალაქის მერს გიორგი თველორაძეს ნიგნის გამოცემაში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის. აღნიშნა, რომ აკაკის რჩეული ლექსებისა და პოემების შედგენაში დიდი ამაგი მიუძღვით შემდგენელს ელგუჯა თავბერიძესა და რედაქტორს როსტომ ჩხეიძეს, რომელთაც ყველაფერი ილონეს, რომ ეს გამოცემა არამარტო პოლიგრაფიულად, არამედ შედგენის თვალსაზრისითაც ყოფილიყო გამორჩეული. თქვა, რომ ნიგნს ნამძღვარებული აქვს დავით წერეთლის ნი-

ნათქმა, რომელიც აკაკის პოეზიის იდუმალ სამყაროში ჩახედვის საუკეთესო ნიმუშია, პოეტის პოეტური აზროვნების გაგების, ლექსების ახლებურად წაკითხვის წარმატებული ცდაა.

სიტყვებით გამოვიდნენ: ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ონიანი, მწერლები: რეზო ჭიჭიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ელგუჯა თავბერიძე, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი მერაბ გვაზავა, რეჟისორი თორნიკე მარჯანიშვილი. მათ ისაუბრეს აკაკის შემოქმედებაზე, აკაკის ფენომენზე, იმ წარუხოცელ კვალზე, პოეტმა ქართულ ლექსს რომ დააჩნია, იმ დამოკიდებულებაზე, პოეტს იმდროინდელი მოვლენებისადმი რომ გააჩნდა.

აღნიშნეს „რჩეულის“ მაღალპოლიგრაფიული დონე — ევროპულ დონეზე გამოცემა.

ახალგაზრდა მსახიობებმა ნაკითხვის პოეტის შედევრები.